

# მნათობი



114 /  
1935/2

## 2

### მინაარსი

ლექსები

ს. ჩიქოვანი

ვ. რაზაძე

ვ. გაყრინდაშვილი

პ. მ. ზ. ა.

შ. დადიანი

მ. პოლუმორაძეშვილი

ქ. ზამსახურაძე

ა. ბელიაშვილი

აკაკი წიგნაძე

მ. ტორაშვილი

ალ. აბაშვილი

მ. დუღუჩავა

ი. მნიჟოლოშვილი

გეგმულუციური მოძრაობა

ქ. გორაძე

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ბ. ბუაჩიძე

წარსულიდან

დ. მისხი

ბიბლიოგრაფია

შა-ლი

მ. ბ.

05  
2-732

# მნათობი

საქართველოს  
საბჭოთავო  
საბჭოთავო

88645  
54988

სრულიად საქართველოს საბჭოთა  
მწერლების კავშირის ყოველთვიური  
სალიტერატურო, სახელოვნო და საზო-  
გადოებრივ-საპოლიტიკო ჟურნალი

1654

2

წელიწადი მეთორმეტი



საბელაში

1935

საქართველოს  
საბჭოთავო  
საბჭოთავო  
საბჭოთავო



საკრედიტო კოლეგია:

ირაკლი აბაშიძე  
ნოე ზოგლითელი  
ნიკო ლორთქიფანიძე  
კონსტ. ლორთქიფანიძე  
ბა. შურულაველი  
შალვა რადიანი  
გალაკტიონ ტაბიძე  
ტიციან ტაბიძე  
ლევ. კიკელიძე  
პანტელეიმონ ჩხიკვაძე  
დემნა შენგელაია



---

კრედიტის მისაღებად: ტფილისი, შაბლის ქ. № 13. ტელ. № 3—55—25.  
გენ. ნინოშვილის სახელ. შვერალითა სსახლზე.

კანტორის მისაღებად: ტფილისი, კროვის ქ. № 7. პერიოდსექტორი.

---

ზალვა დალიანი

# უ რ ჯ უ მ ი

ისტორიული რომანი

სამ გუმბათში შეწყვედივლი,  
შეყინული ამბები.

გუმბათი პირველი

ა ვ ა ი - ვ ა ვ ა ი

თავი პირველი

ცეცხლთან მოთავაზე

ა

გრიალებს ქურა.

მოხუცი თასიკოჩი გრდემლზე თოხის პირს უროს მტკიცელ არტყამს, მაგრამ მის მკლავს მოღლილობა მაინც დატყობია.

თასიკოჩის ახალგაზრდა თანაშემწეს კი უხარია, რომ საბერველი ხელთ უჭირავს და მის გამო ცეცხლის ლურჯი, მწვეტიანი ენები დიდის სიმწვავით და თვალის მომჭრელად ენთებიან.

თვალს კრის, მაგრამ მაინც უხარია მისი ცქერა.

უხარია, რადგან იცის, რომ ამ ლურჯი ენების წარმოშობა მის ხელთაა. საბერველს რომ ხელი შეუშვას, ჩაქრება და, თითქო უნდა ერთ-ხელ კიდევ გამოსცადოსო, საბერველს ბერეას უკლებს, ანელებს, ცეცხლიც წელდება, ლურჯი ალი დაბლდება, აგერ-აგერ გააქრეს კიდევ, მაგრამ არა!

განა ახალგაზრდა ჩააქრობს ცეცხლსა?

ლონიერად დაქშინა საბერველმა, ცეცხლმა ისევ აიწია და ბრილი მორთო.

ოო, როგორ უხარია! მის ხელთაა, მის ხელთ!

იგი პატრონია ამ ცეცხლისა, იგია გამჩენი, იგია გამღვივებელი: უნდა დააქრობს, უნდა აანთებს.

და ვერ აუხსნია, რათა გრძნობს თავს ასე ამაყად? რათა ჰგონია, რომ ამეამად ის არის ყოველადშემძლე?

აი კიდეც: მიანელა და კვლავ გააღვივა.

მხოტუცი თასიკოჩი მაინც თავის საქმეს განაგრძობს: დინჯად, მაგრამ თანაბარის ზომიერებით; მოწყენით, მაგრამ მაინც მუდმივად მუშაობს რეზული, მაგრამ მაინც სიმტკიცით ურტყამს უროს და ახალგაზრდა კი ახლა მესამეჯერ სინჯავს თავის ძალა-უფლებას.

თასიკომჩიმ თავი მიიბრუნა.

— უტუ!

გაისმა მისი ბოხი ხმა.

უტუ? ეს მხოლოდ ყურში ჩაესმა ახალგაზრდას, მაგრამ რომ არა სცალია. უტუს საქმე აქვს ახლა. უტუ ცეცხლს ეთამაშება. უტუ ცეცხლს უკიდებს. უტუ ცეცხლის მპყრობელია.

დიაღ, უტუა, უტუ! რას ჩააცივდა ეს თასიკოჩი!

ჰო, ის უტუა, ამას წინათ ბიჭინამ კინალამ რომ დააღრჩო მდინარეში.

ბიჭინა, აი, უტუს მებატონის შვილი, მისი ტოლი და ამხანაგი. ისიც 17 წლისაა და ესეც, ერთი კბილა არიან.

იმ დღეს ერთად ბანაობდნენ, ცურავდნენ, ყვინთავდნენ და შემდეგ ისევ ამოიყურებულავენდნენ.

ერთი მეორეს ეჯიბრებოდა — წყალ ქვეშ ვინ უფრო დიდხანს გაძლებსო.

აგერ უტუმ ჩაიყურებულა, დაპყო კარგა ხანს, თვალიც გააღო შიგ წყალში — იმდენად დაჩვეულია წყალსა და ამ მდინარეს. ახლა კი ეყოფა, უნდა თავი ამოპყოს. უეცრად რაღაც თავზე აჯდება და ზევით არ უშვებს. მიხვდა — ეს ბიჭინაა, თავზე ხელს აჭერს და გასაქანს არ აძლევს. უტუ შეეცადა თავის განთავისუფლებას, მაგრამ ამაოდ ფართხალებს შუაგულ წყალში, მაჯლაჯუნასავით თავზე დაწოლილი მებატონე ვერ მოუშორებია.

უკვე სული ეხუთება, ლამის დაიღრჩოს, გრძნობა მიეხადოს.

მაგრამ იკრებს უკანასკნელ ძალ-ღონეს უტუ და წყალში კიდეც უფრო ღრმად ჩაეშვება.

ამას ეტყობა არ მოელოდა მებატონე. დასაყრდენი ბელიდან გამოეცალა და მოულოდნელობისაგან ცურვაც ვეღარ მოასწრო, ისე ტყვიასავით წავიდა ფსკერისაკენ.

უტუმ კი თავი ამოპყო და იცინის. მზე დასთამაშებს მის თითქო მოოქვრილ ხუჭუჭა თმას, ცოტა სპილენძის ფერი რომ გადაჰკრავს. მაგრამ ეს რაა! ბიჭინა არ ამოდის, წყლის ზედა პირზე კი ჭავლი ამოიბუშტა.

დაიღრჩო?

და ბევრი არ უფიქრია, უტუმ კვლავ თავი ყვინთა მდინარეს.

ახსოვს, რომ ძალიან გაუჭირდა, მაგრამ მაინც ამოათრია სამშვიდობოს ცოცხალ-მცდარი ბიჭინა და მაშინვე ყვირილი მორთო. ყვირილი მეყანებებს შეესმათ და მიეშველნენ. გაბერილი ბიჭინა მზეზე გააწვინეს და ზელა დაუწყეს.



ძლივ-ძლივ მოსულიერდა ბიჭინა.

უტუ კი ჩაფიქრდა: რათ გადაეარჩინე? ეგ რომ თავზე მოეჯდა, რათ არ შემობრალა? ახლა მახსენდება — მე თვითონ თავისთავისადაა, ეგ ნამდვილად დამალრჩობდა. რათ დაეიხსენ?

— უტუ!

კვლავ გაისმა თასიკოჩის ხმა.

ჰო, უტუა, უტუ. ის უტუ, ერთხელ რომ ნახა...

თასიკოჩი მიაჩერდა თავის გარინდულ შეგირდს და რომ შეატყუო, ცეცხლს შიინც აღვივებდა, გაიღიმა, თავი გაიქნია და უტუ ჩატოვა მის ფიქრებში.

უტუ კი იხსენებდა: ნახა... კარგა ხანია მას აქეთ... ბიჭინას დედამ ერთხელ როგორ გამოაწყო მოსირმულ ჩოხა-ახალუხში თავისი ვაჟი, შესვა ცხენზე და გაისტუმრა დედულეთს. ცხენითვე აახლა ბიჭინას ორი შინაყმა, აზატი გლეხი, უტუ კი ფეხშიშველი ქვეითი გააყოლა მის ტოლსა და ამხანავს ბარგი-ბარხანით.

მაშინ პირველად ჩაუფიქრდა უტუ ამ ამბავს: ხომ მისი ტოლი და ამხანავია ბიჭინა? მაშ რათა ზის ის ცხენზე და ეს კი ქვეითი მისდევს?.. მოსირმული ჩოხა-ახალოხი აცვია, ეს კი ფეხშიშველია?

და ვერ ახსნა მაშინ ეს ამბავი.

შემდეგ რომ უთხრეს, ის ბატონია, შენ კი ყმა ხარო, ვერაფერი ვერ გაიგო. რომ აღესნეს, ის უფროსიაო, ბიჭინას უფროსობა ვერაფრით ვერ წარმოიდგინა. და შეაწუხა ყველა გამოკითხვით — რათ არის ასე, მეც ხომ მისთანა ბიჭი ვარო. მაგრამ პასუხი არსად სჩანდა.

ერთხელ ბატონის სახლში ვიღაცას რაღაც მოეპარა. დაიბარეს უტუ და ცხელი წყლით სავეს ქვაბში ხელეზი ჩააყოფინეს. მანდ წმინდა ჯგერო ასვენია და ამოიღეო. მართლაც ქვაბში ჯგერო იდგა. ამოიღო. თვითონ ბიჭინას დედამ შეუხვია დამდულრული ხელეზი. ცოტა ხნის შემდეგ რომ გაუხსნეს, აფუთქული ჰქონდა. გადააბრუნეს და სცემეს. ეღბნებოდნენ — გამოტყდიო. არაფერ შუაში იყო და გულწრფელ უარს ამბობდა. ცემას რომ მოუმატეს, თვალთაგან კურცხალი გადმოსცვივდა, მაგრამ გაბოროტდა და პირი სულ მოკუმა. იმავ დროს მისი ტოლი ბიჭინა იქვე იდგა და კარკაცობდა.

კიდევ რა გინდათ უტუსაგან? რას ეძახით?

არაფერ არ ეძახდა. თასიკოჩი მდუმარეთ იჭივებდა უროს. მაგრამ უტუს ყურში შიინც ვაჰკიოდა მისი სახელი.

ჰო, უტუ ვარ, აი ის უტუ, ბიჭინას დედის ეზოში ერთხელ ხელეზზე-კრული და ხეზე მიბმული ჩემი მეზობელი რომ ენახე. წელ ზევით გაეშვიშვლებინათ, დანის წვერით ტანი დაესერათ და ზედ მაწონი გადაესხათ. ბუზები დასეოდნენ და პაპანება სიცხეში იმანჭებოდა საცოდავი. რომ იკითხა, რა ამბავიაო, უთხრეს, ბატონს „ოდიდი-პიჩური“ (სადიდი-მარბეო) ვერ გადაუხადა და იმისათვის სჯიანო. ოდიდი-პიჩური კი იყო

და, რაც იყო უტუშ. მამა მისი ყოველ-წლივ დიდმარხვაში მიართმევდა ბატონს: ორ დიდ დოდო-მკადას, ერთ კოთხო ლობიოს, ერთ მწკრივ სანელებლად სამყოფ კაკალს, ხახვს, მარილს, მწვანილს და ხაჭაპურს, ყაჩაღის, ოხრახუშის და სხვათა მწნილს. მაშ ამისათვის ასეთი სასჯელი? ეს არის ყმობა? ამას ჰქვია ბატონობა?

უსამართლობა და ძალმომრეობა ყოფილა ბატონყმობა.

პირველად მაშინ გაუელვა ამ აზრმა უტუშს.

და ეს მამიდამაც აუხსნა.

კარგი მამიდა ჰყავს უტუშს. ქველონშია ვათხოვილი, ქვემო ოდიშში. და ძალიანაც უყვარს მამიდა, მამიდაშვილები. უუ! რამდენი ხანია არ უნახავს.

თასიკოჩიმ კვლავ გადახედა უტუშს და, როცა კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ უტუშ ამ ქვეყნად არ იყო, მაგრამ საბერველს მაინც უბერავდა და ცეცხლს არ ანელებდა, ისევ თავის მუშაობასა და საფიქრელს ჩაუბრუნდა.

მისი ფიჭრიც უტუშს დასტრიალებდა. უტუშ ხომ თასიკოჩის დისწულია. 11 წლის დარჩა ობლად და შემდეგ სულ ბატონის სახლში ტრიალებს. მისი ქობი კი აჭამდის გამოკეტილი იყო და თასიკოჩი რომ ამ სოფლად არ ჩამოსულიყო და სამკედური არ გაეღო, ახლაც გამოკეტილი იქნებოდა.

მაგრამ თასიკოჩიმ ამ სოფელს მაშინ მოატანა, როდესაც 1838 წელს სამეგრელოში საჩიჯაოს გლეხთა აჯანყება ჩააჭრო მთავრის მემკვიდრე დავით და დიამ. თასიკოჩი ერთ-ერთი მეთაური იყო აჯანყებისა და, როდესაც სხვები გაბაწრეს და დასაჯეს კიდევ, ამან გატკეცივით თავს უშველა და აქ სოფ. ჯვარში მოკეთებებს შეაფარა თავი. მეგრელი ხომ შეკედლებულს არ ვასცემს არასოდეს და ისიც მოკეთეს. ხანი და ქამი რომ გავიდა, მივიწყებას მიეცა საჩიჯაოს აჯანყების ამბავი და თასიკოჩსაც, ჯვარში მაინც, თავისი თავი შეეძლო „არგამათ“ (ლეგალურად) ეგულვა. ასეც მოიქცა. გამოვიდა ხალხში, სამკედური გააღო და ცხოვრებს თავისთვის. მხოლოდ ზოგჯერ ვერ ითმენს და მწვავე სიტყვები წამოცდება. ხალხს მოუწოდებს აღსადგომად, მაგრამ ეს წუთიერი მოფეთებაა მისი. თუ კარგი გამოხმაურება ვერ ჰპოვებ, ისევ ჩაიფუფქება ხოლმე. გულში კი მაინც ღვივის ცეცხლი შეურიგებლობისა, და ახლა აი, ამ თავის დისწულს შეჰხარის. აგონებს თავის სიჭაბუკეს, მეტის-მეტად გულისხმიერია, ყოველივეს გამოჰძიებელი, ძირის ძირამდე ჩამყოლი. მახვილი გონების პატრონია, მალე იცის მოსაზრება, მაგრამ ჯერ გაუგნებელია. თასიკოჩი წვეთ-წვეთად აწოდებს ამ ქვეყნის უკულმართობის ამბავს, მაგრამ სჯობია ჰაბუკმა პირადად ნახოს და განიცადოს. უფრო მწვავედ იგრძნობს, უფრო მედგრად შეუტევს...

— ჰმ! — ეცინება გულში თასიკოჩის. — კარგი ბიჭია, კარგი! „მენცარიც“ (მიხედვით, ეშმაკი) არის, „განჩით“ (ირონიით) იცის ლაპარაკი. ეს კარგი ნიშანია... ყველაფერიც გამოუვა ხელიდან. მამიდა მისს მაინც

ბავშვობაში ბევრი რამ უსწაელებია: ქსოვაც კი იცის, კალათების მოწვნა, ხის ჯამ-ჭურჭლის გამოხარატებაც, მაგრამ მკედლად კი სულც არა მკედელი დადგება. მე მაჯობებს. ჯერ ახლაც. იმ დღეს თოფიკურული მოვასხით... რას ბრძანებ! ზოგი რამ აქეთ გამისწორა, ესეც მსგავსი მსგავსი თალი გამოდგა. მხოლოდ ფიჭვი იცის ბევრი. რომ ჩაუღრმავდება და გაეტაცინება, ძნელია მისი გამოფხიზლება. აი ესლაც ღრმად ფიჭვობს რალასაც. რა აქვს ნეტა ჭაბუკს ამდენი საფიჭრალი?

და ცოტა ხანს შეაჩერა მუშაობა. სიყვარულით აღსავსე თვალი მიიპყრო დისწულს.

დისწული კი იხსენებდა უცხო რამ ამბებს:

— პირველად როგორ იყო? მაშინ გადაეწვიტე მეც ჩამეცვა ფეხს, როდესაც ბიჭინას ფეხზე სამოგვე ვნახე და წვივებზე პატიკები. მაგრამ სად შეშოვნა? მაშიდას ვთხოვე კანაფი, დავგრიხე კარგა მსხვილად, მოვქსოვე და კოხტა ფეხსაცმელი გამომივიდა. ეს თათმანი კი არ არის, თოკებისაგან შემდგარი ფეხსამოსია. ამითი რომ გამოვეკობტავდი, როგორ მოეწონა ბიჭინას დას.

დალფინზას...

ამ სახელის გახსენებაზე უტუს სხეულს რაღაც ძალმა ჩაერიოლა.

— დალფინზა! რატომ აქამდი არ შემომჩნევია. ხომ ბავშობიდანვე ერთად ვართ შეზრდილი, ერთად არ ვთამაშობდით მუდამ სამივე: მე, ბიჭინა და ის...

თითქო ხაზი გაუსვიაო უტუს გონებაში.

— ის! გულწინა რომ ბურთი მესროლა. დავიჭირე და შეუბრუნე. მან კი ვერ მოახერხა დაჭერა და ბურთი ეკალ-ბარდში შესრიოლდა. გაიქცა გამოსატანათ და მეც გამოუდექი. ისეთ ძეძენარში მოვხვდით, ვარს კედლათ შემოგვერტყა, ნარბენზე ამ კედლებშუა რომ შევდექით, ხარხარისაგან სულთქმა გვეკვროდა და ერთი-მეორეს რომ შევხვდეთ... თითქო პირველად ვნახეთო ერთმანეთი. განმარტოებულნი, პირისპირ... უპ, რანაირად დაცხა! ჩემი მკლავები უნებლიეთ გაიშალნენ, ის... ის მომეკრა გულ-მკერდზე და... დედაია, რა ყოფილა ცხოვრება!

## ბ

თასიკონს საბერველის მეტად გახშირებული სუნთქვა შემოესმა. ქურაზე ლურჯი ალები ხტოდნენ და თითქო ლამობდნენ ჰერის მიწვდომას.

— უტუ! რა ღმერთი გიწყრება! უტუ!

თითქმის დაუყვირა მართლა გაჯავრებულმა ბიჭამ.

უტუ გონს მოეგო, თასიკონიმ ხმას დაუკლო.

— მოდი აქ, მოიტა მანდ საწალდე რომ არის გახურებული.

უტუმ მაშით მოიტანა გაჯავრებული რკინა. დაუდეს ვრდემლზე და ეს ლითონის ნაკვერჩხალი ორთავემ თავიანთი უროებით ისე განადეს, რომ სულ ნაპერწკლები აყრევინეს.

განსაკუთრებულის ხალისით უტუ იქნევედა უროს. თასიკოჩი აპყვა. სხვანაირად არც შეიძლებოდა. ერთი დაცდენა და შეიძლებოდა უროები ერთი მეორეს დაჯახებოდა, მასალაც გაფუჭებულიყო და... არ გამოსულიყო.

მაგრამ მათი მუშაობის ხელშეწყობილმა სიზუსტემ ნაკვერჩხლიდან უკვე წალდის სახეობა გამოიყვანა: ცალ მხარეზე უფრო სქლად დაუტოვა საყუე, პირისაკენ კი უფრო შეათხელა. წვერისაკენ ცოტა მოკაუჭებული ცხვირიც გამოუსახა.

ახლა ეს უხაროდა უტუს: თასიკოჩის და მისი ხელიდან საგანი სახიერდებოდა.

თასიკოჩიმ თითქო შეამჩნიაო, ღიმილით გადაულაპარკა:

— მაღლიანი იარაღია. გლეხ-კაცისათვის მაინც დიდათ გამოსადეგი.

— მე რომ ხანჯალიც მიყვარს? — შეუბრუნა უტუს.

— ხანჯალი? კარგია, ვინ ამბობს, მაგრამ იმას მარტო ერთი დანიშნულება აქვს. ხანჯალი სატევარია. იარაღი შეტევისათვის. სხვა რამეში ისე ვერ გამოვადგება. წალდი კი შრომაშია გამოსაყენებელი და... თუ დაგვირდა, ხანჯლის მაგივრობას ვერ გასწევს თუ? მტერს თავს ვერ ვუპობს?

— მე მაინც ხანჯალი მინდა გავიჭედო...

— აკი ამას წინათ გავიჭედე.

— რა დამემართა! ხომ გავიჭედე. ვიშოვნე და მშვენიერი რჭის ტარიც დავაგე, კობლებიც მე თვითონ გამოვახარატე...

— ხელიდან ყველაფერი გამოგივა, ბიძია, იმისთანა ბიჭი ხარ. მაგრამ უკუღმართი ხარ... გავიტყდებოდა.

— რის გატეხა, რას ამბობ! ბიჭინამ წამართვა...

— რომელი ბიჭინა?

— აი ხუბუტუას შვილი, ჩვენი ბატონისა.

— ხუბუტუა კი არა... გაუპრტყელე შენც! — და აქ ეტყობა წალდმა მიიღო საჭირო ფორმა, რადგან თასიკოჩიმ მუშაობა შესწყვიტა და უტუსაც შეაწყვეტინა. ჩამოჯდა იქავე „კველაზე“ და ყალიონს გაკეთება დაუწყო, თან ვანაგრძო: — ხუტუბიბა ის ეყყვილილი (ამოწყვეტილი), ისა! ოო, რა ხარბები არიან! ტყუილა კი არაა მათი გვარი ხუტუბიბა, შეტყუბებული პეშვი! ყველაფერი უნდა თავისკენ მიიხვეჭონ... აი შენთვისაც კი ისეთი სიხარულით გაკეთებული ხანჯალი წაურთმევი.

— რა ვქნა, გული კი დამწყდა, მაგრამ ხათრი ვერ გაუტეხე. ჩემი ტოლია. ვიფიქრე, ჩემთვის კიდევ გავიკეთებ-მეთქი.

— უტუ, იცოდე: ბატონს რაც გმართებს, იმის მეტი არა უნდა მისცე-რა, თორემ შემდეგ ბეგარათ შემოგაწერს. აი, ეხლა თუ დაიქნა, ყოველ-წლივ თითო ხანჯალსაც მიგატანინებს. შენ კარგი მჭედელი დადგები, უტუ, და ვერე თუ მოიქეცი, ვინ იცის შემდეგ ამ ხელობაში რეები არ მოგთხოვოს.



— საიდან უნდა მომთხოვოს, ჯერ რასაც მოთხოვს, ისიც ვერ მომიტია?..

— შენ არ იცი? ერთ გლეხს მაგისი ზურგით შეშის გიტანა, ემართა. მიჰქონდა. ერთხელ უთხრა მაგ ბიჭინა ხუტკუბიას მაგეჰ ~~საჩუქრის~~ ~~საჩუქრის~~ თავს და ზურგით მოგაქვს შეშა, მოდი ურმით მომიტანე, შეგიმსუბუქდებოა. მაგრამ გლეხმა არა ჰქნა. განა გლეხი სულელი იყო და ზურგი არ ენანებოდა, მაგრამ რომ განსკერიტა ურმით მოტანის დავიდარება, უარი სთქვა.

— მერე და, ბიძია, მე რომ აქამდის არ შესმის, რათ ვიხდით ეს გლეხები ამ ბევარასა?

— მამ! — მწარედ ჩაიციხა თასიკოჩიმ, — სმენით არავის არ გვესმის, მაგრამ... ვიხდით.

— აი, ეხლა, ხომ იცი, რვა კოკა ღვინოს კიდევა მოთხოვს. ბიჭინას ვუთხარი და მითხრა — გეხუმრა დედა ჩემიო... ბიჭინა ჩემი ტოლია, „ჭაკუნით“ \*) ბურთს ერთად ვთამაშობდით, მწყრები ერთად დაგვიჭერია. ერთად გვიცურავნია, გვიცეკვია, გვიმღერია და არას ვუშალავ... კარგი გულისაყ არის.

— ეჰ, დედა მისია უხეირო, ავი, ავი, საშინელი. შენთვის არ მიამბნია, ერთხელ რა გვიყო შე და ქვაცას. კაი ხნის ამბავია. მაშინ ბავშვები ვიყავით მეც და ქვაცაც. ლეღვი მომიკრიფეთ, გვიბრძანა ორთავეს. ხეზე ასვლა რომ დაეპირეთ, პირში წყალი ჩაიგუბეთო, მოგვთხოვა, და მანამ არ აგვიშვა, სანამ პირში წყალი არ ჩავიგუბეთ. ავედით ხეზე და დავიწყეთ კრფა, რალა თქმა უნდა, მოგვინდა ხილს ქაშა. ქვაცამ ვერ მოითმინა და წყლიანი პირით სცადა ლეღვის მირთმევა, მაგრამ არ მოუხერხდა და წყალი გადმოეღვარა. ეს რომ დავინახე, ლეღვის ფოთლები-საგან მოხერხებული ჯამის მაგვარი რალაც გავაკეთე და წყალი იმით შევინახე. სწორედ ამ დროს ქვეიდან ჭალბატონმა დამიძახა: „უტუ, რას ჩაღიხარო!“ თავში დამკრა — საიდან დამინახა-მეთქი, მაგრამ მიუხედი ეშმაკობას და ზმუილით ვუბასუხე — „მამ!“ რომ ჩამოვიდოდით ლეღვის ფოთლებიდან წყალი ისევ პირში ჩავისხი და მოკრფეღ-ხილიანა წარვდექით ჭალბატონის წინაშე: მე — „პირწყლიანი“ და ქვაცა — „უპირწყლო“. წამოაქციეს ქვაცა და კარგა მიყეფეს. მე კი გადავჩრჩი.

თასიკოჩის გაეღიმა და ლმობიერებით გადახედა გონება-მახვილ შევირდს, თითქო საქციელი მოუწონაო.

ამ დროს კარებს მოადგა ტან-წერწეტა, ხმელ-ხმელი ახალგაზრდა ჩოხა-ახალუხით, წულა-მესტებით, გამოწყობილი და ჩაბალახ-თავწაკრული.

მის დანახვაზე სწრაფად ფეხზე წამოიჭრა უტუ და სიხარულით შეიკვირვა:

— მურზა, საიდან?

\*) თავ-მოკატეხული ჯოხი საბურთაოდ.





— ჭვალონიდან მოვიდვარ, გულმა არ მომიტმინა და შენ სანახევად შემოვიარე.

— ვინ არის ეს ბიჭი? — იკითხა თასიკოჩიმ — როდის შევიდა ხარ, ბიძია?

უტუქმ არ დააცალა მოსულს და თვითონ უამბო:

— მურზა ფაჩულია, ჩემი მამიდაშვილი. ჭვალონშია ხომ მამიდა ჩემი გათხოვილი?

— ჰოო. ეხლა მახსენდება. გოჯოგვიას შვილი იქნები, შვილო, ლოლუს კაცი... და ამაზე რატომღაც ცოტა შეფიქრდა თასიკოჩი.

მურზამ კი მკვირცხლად დაუდასტურა:

— დიად, ბატონო. ეხლაც ლოლუებს ვახლავარ. ქალის გადასახედით არიან წამოსული და მეც მოცეკვავეთ წამომიყვანეს.

— ოო, ბიძია, რა ცეკვა იცი მურზამ, რომ იცოდე. მთელს ოდიშში განთქმულია.

— ოდიშში, უტუქ. შენი მამიდაშვილის კი არა, დეისმა ჩიჩუას ცეკვაა განთქმული.

— შევხვდი, ბატონო, დეისმას...

— შერე?

— გავბედავ და გეტყვი, რომ წავახდინე.

— აი მარჯა! — თითქო აფხაზურად ცოტა შეუკვივლა თასიკოჩიმ. — შენ, მოჯალაბის შვილმა, თავადი წახდინე? ხელი შეგარჩინა ღმერთმა!

უტუს გაეხარდა მამიდაშვილის გამარჯვება, მაგრამ ის კი ვერ გაიგო, თავადის წახდენა რათ იამა თასიკოჩის.

არაფერი უთქვამს. ფიქრები აეშალა, თავმა დაიწყო გაცხარებით მუშაობა.

მუდამ ასე ემართებოდა, როდესაც გამოსაცნობ რასმე ჩაუტყვირდებოდა.

ახლაც მის წინ დიდი გამოცანა იდგა: რა არის თავადი და რა არის მოჯალაბე? განა ორთავენი აღამიანები არ რიან? რად არსებობს მათში განსხვავება? რად არის, რომ ერთი მუშაობს და მეორე ქეიფობს? რად არის, რომ ერთი ემსახურება, გადასახადს იხდის, სხვადასხვა ბეგარას. მეორე კი უზრუნველია და ნებიერი? ვინ გააჩინა ასე? ვინ დააწესა? ღმერთმა?

ახლაც წამოესია ყველა ეს საკითხი. მაგრამ ყური მიუგდო: რთულ საუბარს ჩაბმოდნენ მურზა და თასიკოჩი.

მურზა უამბობდა:

— ამგვარად, მთელი გლეხოზა კონა თოდუასთან იკრიფება. ჭკუას ეკითხებიან, დარიგებას სთხოვენ.

— მომიცა, მომიცა, — შეაჩერა თასიკოჩიმ, — ეს კონა თოდუა ის ხომ არ არის, რუსეთში რომ ყოფილა მეზღვეურათ?

— სწორედ ის გახლავთ.

— ჰოო, ეგ მინახავს. ჭკვიანი და ვაჟკაცი კაცია. იმან კი ვაჟკაცობა  
ჭკუა. ის ზოგიერთ ჩვენსავით არ არის ქედ-დადრეკილი. <sup>გაქვს</sup> <sup>კაცია.</sup>

— აი სწორედ ეგ არ მოსწონთ მებატონე კორძაიებს. <sup>გაქვს</sup> <sup>კაცია.</sup>  
გადაასახლონო.

— თუ! ეგ არ იქნება კარგი... გლეხებს თუ ვინმე ჭკვიანი გამოგვი-  
ჩნდა... ასეთი ბედი გვაქვს: ან გადაასახლებენ, ან რაიმე ზიფათს აუტე-  
ხენ თავადები... ეს იმიტომ, რომ ერთი პირი არა გვაქვს, ბიძია... — და  
თასიკოჩი ფეხზე წამოდგა, გაიმართა და თითქო თავის თავს დაუდასტუ-  
რაო, უფრო მტკიცეთ წარმოსთქვა:

— ერთი პირი გვეპირდება ჩვენ...

სწორედ ამ დროს სამქედურში შემოვიდა რამდენიმე გლეხი და რომ  
დაინახეს წელში გამართული სახიერი, თეთრ-წვერა თასიკოჩი ვრთიბაზე  
მოლაღადე, მოკრძალებით შეჩერდნენ.

მსმენელები სხვებიც რომ გაუჩნდა, თასიკოჩიმ მათ ყურადღებით თვა-  
ლი გადაავლო და რომ დარწმუნდა ამითან გულლია ლაპარაკი შეიძლე-  
ბაო, განაგრძო მოზღვავებულ ნაფიქრთა გადმოშლა.

— ასე მოდის საუკუნოებით. ერთი მოსვენებული ცხოვრება არ უნა-  
ხავს ჩვენს გვარსა და ჯილაგს. ღამე რომ დაიძინებ, დილით არ იცი,  
რა მოგელის. ბატონი რა გუნებაზეა, მარცხენა ფეხზე წამოდგა თუ მარ-  
ჯვენაზე. მოუნდება — ახალ ბეგარას შეგვაწერს, მოუნდება — სულერ-  
თიან აგვაწიოკებს, მოუნდება — დედა-ბუღიანად გავვყიდის. კიდევ კარ-  
გი თუ ჩვენ ქვეყანაში მიგვყიდა რომელიმე სხვა მებატონეს, ესეც კიდევ  
ერთგვარი ღვთის მოწყალებაა, რადგან შენიანებს მაინც ნახავ ზოგჯერ,  
შენი ენის ხალხში მაინც იცხოვრებ. თორემ შეუძლია პირდაპირ სათათ-  
რეთში გიკრას თავი, ან სადმე ყაბარლოსა და ჩერქეზეთში. შინ ვერაფე-  
რი გავგიჩენია — ბატონს მიაქვს, ენა ვერ დაგვიძრავს — მათრახით აგვა-  
ჭრელებენ, ან დიღეგში ჩაგვაღბობენ. ცოლ-შვილი ვერ დაგვიცავს მათი  
მსუნაგობისაგან. ჭალი თუ შეგვეძინა, ეს კიდევ უარესი უბედურებაა, გა-  
უპატიურება არ აცდება. ეს არის სიცოცხლე? ეს არის აღამიანობა? კაცი  
გვეყვანი ჩვენ? პირუტყვები ვართ მიმოსარეკ-საჯაგლაგო და აკი ვერც  
გვეპყრობიან...

ხმა-გაკმენდილი უსმენდნენ, თავ-ჩაჭინდრულნი და გაბოროტებულნი.  
დულდა ბრაზი, ბოლმა გადმონთხევას ლამობდა.

მაგრამ გამოსავალი სად იყო, სად?

უტუ ხარბად ყლაპავდა თასიკოჩის სიტყვებს. წინათაც ჰქონდა ყვე-  
ლა ესეები გავონილი, ზოგი იმავ თასიკოჩისაგან, ზოგი სხვებისაგან, ზოგი  
ნანახიც, მაგრამ ესე ერთი-მეორეზე მოწყობილათ ჯერ არა.

და კვლავ დაუბრუნდა გონება საკითხს: რად არის ასე, ვინ დააწესა?  
იკითხა კიდევ:

— მერე და ვინ გააჩინა ეს? ვინ დააწესა? ღმერთმა?

მურზას გაეცინა. წარმოსთქვა:

— ღმერთი? სად არის ღმერთიო, ამბობს კოჩა თოდუა.

— მართალი უთქვამს, — ჩაერია ერთი ხანში-შესული გლეხთაგანი, — ცხადია, რომ ჩვენს გაჩენაში ღმერთი არ ურევია, — ~~საქართველო~~ ~~საქართველო~~ დე! — და პირუცყარი გადაიწერა.

— აგერ კოჩა თოდუა, — კვლავ აიმაღლა ხმა თასიკოჩიმ, — ამ ყმაწვილმა ამბავი მოიტანა, რომ კორძაიები გადასახლებას უპირებენ თურმე... კოჩა ხომ გაგივიათ ვინც არის?

— კოჩას როგორ არ ვიცნობთ! — აბრიალდა ხალხი.

— ოდიშში თუ ვინმე მოიძებნება ჭკუის საკითხავი, ეგ ერთი კოჩა თოდუა საჭილაოში და მეორე მართალია თოდუა წაჩხურში.

— მაგათი იმედით გვიდგია სული.

— ეგენი რომ არ გვეყვანდნენ, თავადები სულ წაგვლეკავდნენ.

— კიდევ ეგენი იტყვიან ზოგჯერ გაბედულ სიტყვას და ამხელენ ბატონებს...

— მთავარი დადიაც უწევს თურმე ანგარიშს, განსაკუთრებით მართალიას.

— ის კი არა, ამბობენ, მთავარმა დაეითმა მართალიას რჩევით გამოსცა კანონი და კაცის სულის გაყიდვა სამთავროს გარეშე აკრძალაო.

— გლეხების დატყვევება და მებატონეთაგან მათი გაღახვაც აუკრძალავსო.

— ეგ სულ მართალიას რჩევით.

— არა, ძან კაცია ჩენი მთავარი დაეით: ისიც რომ მოსპო — მე-შევიდრედ დარჩენილი ქალის მამულის ჩამორთმევა მებატონისაგან.

— კარგი, კარგი! — ამ დროს თითქო დაიჭუბა თასიკოჩიმ და აბრიალებული ხმა გააკმენდინა. — გაგიგონიათ მთავრის ამდენი ქება? მთავარი იმიტომ არის მთავარი, რომ ის უფრო დიდი ვეშაპია. შე არ ვიცო, საიდან გაიგეთ, მაგრამ თუ მაგისტანა კანონები დაუდგენია, ეს იმდენად ჩვენ სასარგებლოდ არ არის, რამდენადაც პირადად მისთვის. დამიჯერეთ — მითი იმას უნდა თავად-აზნაურობა ალაგმოს, ჩვენ თავისკენ გადაგვიოთრიოს და ვეშაპმა მერე თვითონ იცის, როგორც გადაგველაპავს. აქ არაფერი ჩვენთვის სანუგეშო არ არის... განა არ იცით, პირადად მის ყმებს რა დღეც ადგიათ?

— ეგ კი მართალია, თასიკოჩი, — წარმოთქვა ერთმა, — თავად-აზნაურები თურმე ძალიან უკმაყოფილონი არიან ჩენი ახალი მთავრის საქციელით და განკარგულებებითაო.

— მე ისიც ვაგიგონე, რომ ჭკადუაშში, გიორგი პატენისქუას სახლში, მთავრის წინაღმდეგ ძალიან არიან ალესილი და აფხაზეთის მთავარიც ამაში მათ ხელს უწყობსო.

— ასე უჭნიათ, ერთმანერთი სულ ამოუწყვეტიათ დედა-ბუღიანათ! — წარმოსთქვა კვლავ ხანში შესულმა.

— არა, მაგას ნუ იტყვი, — შეუბრუნა თასიკოჩიმ, — პირობითი გვიჩვენე ცოდვა, თუ მართლა ერთი მეორეში ჩხუბი აუტყდათ... უწინარეს ყოვლისა ჩვენ მიგვაქვით ერთი მეორეს. წიწილივით წაგვარტყდათ თანვიანთ საქმეს. ეგ ძალიან ცუდი ამბავი მითხარი.

— მაშ სად არის გამოსავალი, სად, თასიკოჩი? გვითხარი ჰკვიანად, გამოცდილი ხარ? — თითქმის ერთხმად შემოესიენ გლეხები.

თასიკოჩი კვლავ წამოიმართა, ჯდება ერთხელ გადაავლო თვალი იქ მყოფთ და შემდეგ უბრალოდ წამოთქვა:

— ერთობაში, ძმებო!

— უი, ჯიმაგუე! (ძმობის) — შებედა ხანში შესულმა. — ეგ ცარიელი სიტყვებია. ოცდა თერამეტში შენ არ იყავი, რომ საჩიჯაოში კინალამ დაგვლუპე? ჩვენ გადავჩიით, მაგრამ ბევრი მაინც დაიღუპა.

ეს მართლა ძალზე უკბინეს თასიკოჩის. თვალწინ წარმოუდგა 38 წლის გლეხთა აჯანყება სოფ. საჩიჯაოს, თვითონ თასიკოჩი რომ იყო ამ აჯანყებულთა ერთ-ერთი თავგამოდებული წინამძღოლი. მთავარ დავითის მამის, ლევანის დროს მოხდა ეს ამბავი, აჯანყებულები ისე გაძლიერდნენ, რომ ლევანმა არ იცოდა, როგორ და რითი მოეცლო. მაშინ იყო, ლევანმა რუსეთს გამოთხოვა ნებართვა, თვითონ გადადგა მთავრობიდან და თავისი მეკვიდრე დავითი დანიშნა სამეგრელოს გამგებლად. დავითი კი იმის ვარდა, რომ ახალგაზრდა იყო მაშინ და გერგილიანი, თავიანიც გამოდგა. მოუყარა თავი ერთგულ თავად-ახნაურებს, ნაწილი გლეხობაც აიყლია და აჯანყება მოაღრჩო.

მას შემდეგ არის, რომ თასიკოჩის პირადად არ უყვარს დავითი. ახლა კი ესენი, ეს ტუტუტები რეებს ლაპარაკობენ: ერთმა ისიც კი თქვა, რომ „მი ახნაურ გვაჯაგებებს ძიძიშვილი ვარ და იმათ ვერ ვუღალატებო“. მეორემ გიორგი შკადლაშელისკენ გაიწია, უმრავლესობამ — მთავრისაკენ, და თასიკოჩის ერთხელ კიდევ ჩაწყდა გული:

„არა, ჩემი საქმე არ არის ერთობის გამოჭედვა. ერთხელ დამარცხებულს აღარავინ მიჯერის“. და ერთი წუთის წინათ აღფრთოვანებული, კვლავ ჩაიფუტქა, თვლებში შავი სევდა ჩაუჯდა.

თითქო წელში მოიხარა კიდევ და უკვე მოხუცებულის, გაციებულის კილოთი მოსთხოვა მოსულებს, თუ რა ჰქონდათ სამკედურში გასაკეთებლად მოტანილი.

8

მურზა ცხენზე იჯდა და ურუ ფეხ-შიშველი ქვეითად მიუყვებოდა ფერდობზე შეფენილ ღობილოს. მკლავზე უმსხოსი მრავალწლოვანი ვაზი ზურმისა და თხმელის ხეებს მჭიდროდ შემოხვეოდა. ზედ „ჩემსუბნის“ ყურძენი ყვითლად ღვიოდა. იქა-აქ კი ჩამიჩვიით შემკვანარი იყო და დარჩინის ფერი მიეღო.

უტუმ შესთავაზა — მოწყვიტე მტევანი და მიირთვიო, მაგრამ მურზა არ თანხმდებოდა. მაშინ უტუმ მურზას ცხენი შეუწერა, თვალს დახამხამებზე მოახტა მურზას ცხენის გავას, ზედ შედგა, მიწვედა მაღლა ასულ ვაზს და ერთი „საიასალო“ მტევანი მოუწვევდა. მტევანს დასტუმსა — ეგ რა ჰქენი, მავისთვის ხომ გცემს პატრონიო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ დობილოს პატრონი სწორედ თვითონ უტუ იყო. აგრეც დააყოლა:

— ამ ვენახით არის, რომ მე ობოლ ბიჭს მიდგია სული. ეს რომ არა მქონდეს, მაშ ბიჭინას დედას წელიწადში 15 კოკა ღვინოს საიდან მოუტანდი? — და გაუყვინენ ვაზებით ჩახლართულ უბილიკო ფერდობს. უტუმ მოინდომა ცხენიდან ჩამოხტომა, მაგრამ მურზამ აღარ გაუშვა: ცხენი ორივეს გვზიდავსო.

ცოტა რომ ჩაივაცეს, მურზამ კვლავ მიმართა:

— მართლა, უტუ, მითხარი, თუ გიყვარდე: რამდენს უხდი წელიწადში ბიჭინას დედას?

— რამდენს ვუხდი? რა ვიცი, რას არ ვუხდი, მხოლოდ ის არ ვიცი — რატომ ვუხდი...

— შეგას ეხლა დავეთხოვოთ. შეგას კოჩა გეტყვის, თოდუა. ხომ მეწყვევი ამ ზამთარში, საშობაოთ მამიდას არ ნახავ? რომ იცოდე, როგორ ენატრება შენი ნახვა. სულ იმას ვაიძახის, ჩემი „დურჩე“ უტუ ერთი ნეტა მაჩვენა და მეტი არაფერი მინდაო. კი არ იცის, რომ ასე ვაზრდილხარ და უკვე პასაკში მოსულხარ. ჰო და სთხოვე ბატონებს, თასიკონისა ც... გამოგიშვებენ და მაშინ წაგიყვან საქილაოს, ქვალონზე ახლოა. თუ არა და ისიც ამოდის ზოგჯერ ჩვენთან და როგორმე გაგაცნობ.

— უჰ, რა კარგი იქნება! შენ რომ გვიამბობდი, ამისთანა კაცია კოჩა თოდუაო, ძალიან მომინდა მისი გაცნობა.

— გაგაცნობ, გაგაცნობ. მისი გაცნობა ჩვენთვის ძალიან საჭიროა. ბევრ რამეს გვასწავლის, მაგრამ შენ რაც გითხე, იმაზე მიპასუხე, რამდენს იხდი? ეს ცნობა კოჩასაც გამოადგება. ჩვენში, სამეგრელოში, სხვა გადასახადია, აქ „ლაკადაში“ კიდევ სხვა. შენ კიდევ ობოლი ხარ და მინდა ვიცოდე, ობოლს აქ რამდენს გახდევინებენ.

— ეგ აქაც ისეა, გადასახადი სხვადასხვაა. ზოგს მეტს ახდევინებენ, ზოგს ნაკლებს.

— ეჰ, ეგ ყველგან აგრეა. მაგრამ შენ რას იხდი?

— მე მაქვს ოთხი „ორთვალი“ \*) მიწა, ამათში უვარგისი ორია, ერთი მამულლიანია, აი ეს დობილო, ვაზიანი, ერთი კიდევ ჩემი ეზოა, მაგრამ, ამჟამად შიგ არაფერი მითესია.

— ეგ არაფერ შუაშია, არ იცი, რომ მიწა-წყალს ბეგარისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ბეგარა ბატონის პირად სურვილზეა.

\*) ორთვალი — 652 კვ. საფ.

— ეგ არ ვიციდი. მე კი ვიხდი 8 ქლა\*) ღომს, 80 კბლა ცხეღს, 15 კოკა\*\*) ღვინოს და წელიწადში ერთს „საბეგრო“ ღირსს. ახლანდეს მმართველს „საბოკი“: ჭათამი, გოჭი და ციკანი. ვიხდი „საურს“ წყულად, ათ შაურს. მმართველს „პირადი შრომა“ ბატონის კარზე, თუშეცა-ქვეყნის თუშე ლობამ და თასიკოჩის სამკვედურმა ეს საქმე ცოტა შემიმსუბუქა.

— კარგა დატვირთული ყოფილხარ, მაგრამ ჩვენ არამც თუ იმას ვიხდით, რაც პირდაპირ ჩვენი მებატონეებისა გვმართებს, არამედ ცხდით იშასაც, რაც ჩვენს მებატონეებს მართებს მათი მებატონეებისა.

— როგორ? თქვენ ბატონებს კიდევ ბატონები ყავთ?

— შენ, უტუ, ჭურში ხომ არ ზიხარ?

— არა, ვიცი, რომ ბიჭინას ბატონი აქაური, ჯვარელი ბატონი შვილებია.

— ჰო და აგაშენოს. მაგრამ ეგ რა არის? ჩვენში, და ყველგანაც ოდიშში, ხშირად ასეთი მდგომარეობაა: დელმახორეს (მოჯალაბის) გარდა, არსებობს გლეხის-გლეხი. მაშასადამე, გლეხს ბატონად ჰყავს ისევე გლეხი. ამ მებატონე გლეხს ბატონობს ვინმე აზნაური, აზნაურს — თავადი და თავადს კი — რომელიმე ბატონი შვილი ან თვითონ მთავარი.

— ეს როგორ კიბესავით ყოფილა აჩოჩილი?! — გაეცინა უტუს.

— ჰო და...

მურზამ აჭეთ-იჭით მიიხედა სიფრთხილისათვის, თუმცა იმ არგ-მარეზე არავინ ჰაჭანებდა. შემდეგ განაგრძო:

— კოჩა ამბობს, ეს კიბე უნდა გადმოვებრუნოთო.

სიჩუმე ჩამოვარდა. უტუ თითქო ჩაუფიქრდა ამ „კიბის“ გადმობრუნებას და შემდეგ სიცილით წარმოსთქვა:

— უცნაური კაცია ის შენი კოჩა ვილაც არის.

— მოდი, ნახე. უთუოდ უნდა ჩამოხვიდე, უტუ, საშობაოთ. თუ ჩვენი თავი გიყვარს, მამიდას ნახვა თუ გენატრება.

— მამიდა როგორ არ მენატრება...

თითქო რალაზედაც შეყოყმანდა უტუ, მაგრამ უმაღვე მიაყოლა:

— ჩამოვალ, რალა თქმა უნდა!

და მოულოდნელად ჩამოსრილდა ცხენის გავიდან.

აქ თავდებოდა მისი სოფლის საზღვარი. მურზას უკვე წყლით უნდა ევლო, რადგან სხვა გზა არ იყო. უტუს კი მისი გაყოლა თავის სოფელს დიდად დააშორებდა და მურზას ხათრი, თორემ გული დიდი ხანა დალფინზასკენ მიუწევდა.

მურზა რომ ეთხოვებოდა, უტუმ მაინც შენატრა:

— ნეტავი შენ! ამაღამ რაშდენს იცეკვებ...

\*) ქლა — 1 ფ. 35 ვირგ.

\*\*) კოკა — 30 ვირგ.

— ჰა, ჰა, ჰა! — გაიცინა მურზამ. — აქელი აზნაურის ქალებს სულ თავბრუს დაცხვევ ამაღამ.

— აზნაურის ქალებთანაც იცეკვებ?

უკრეხეხე

— მაშ როგორ! ეს ცეკვა მათთან მათანაბრებს და, ამიტომაც, მათს მეხვეწებიან ჭირისუფლები — არა ჩემი ქალი აცეკვე, არა ჩემია.

— კარგი ხელობა გაქვს...

მურზამ ლაგამი მოსკიმა, თითქო უნდა დაიძრასო, მაგრამ უცრად უნაგირზე შემობრუნდა:

— მართლა, უტუ, აზნაურებზე გამახსენდა. შენ ბიჭინას და ჰყავს ხომ. უტუ შეინძრა.

— რა, არ ჰყავს? თუ მე სხვაზე მითბრეს?

უტუს სისხლი აფეარდა თავში. მაინც თავი შეიკავა და უთბრა:

— როგორ არა, ჰყავს!

თავში კი უტრიალებდა: „რა უთბრეს?“

— რა პქვია?

— დაღვინა.

უპასუხა უტუმ და თითქოს მთელი გულ-ღვიძლი თან ამოაყოლო. თითქო ამ სახელს მთელი „ხვაშიადი“ გაამელაენაო.

— ძალიან მიქვს. მართლა კარგია?

უტუს გულიდან თითქო ლოდი გადაუგორდა: საქებარი თუ ვინმეა, აბა ის არის აი. უნდოდა დაეწყო, მაგრამ კვლავ მურზამ დაასწრო:

— მართლა „ღურჩეა?“ თეთრ-ყირმიში?

— არა, პირიქით, კუპრივით შავი თმა აქვს.

— გრძელი ნაწნავეები?

— კოკებამდე სცემს.

— სახე-პირი როგორი აქვს?

— ატამი ხომ გინახავს?

— ჰა, ჰა!

— მისთანა ლოყები აქვს.

— თვალები?

— ქურაზე ცეცხლი რომ ენთება, მოლურჯო ფერს რომ გადიკრავს.

— ლურჯი თვალები აქვს შავი თმის პატრონს?

— არა, აზნაურებზე ვამბობ.

— ტანადია?

— მის გზოზე შემოვლებულ ალვის ხეებსავეთ აშოლტილია.

— ტურბიცი კარგი ექნება.

— მარწყვი მოგიწყვტია?

— ნეტავი ამაღამ იქ მომცა...

უტუმ მურზას თვალები შეანათა. მურზამ კი დინჯად განაგრძო:

— ვაცეკვავებდი და ლი<sup>2</sup>ს ვეტყოდი სასიყვარულოს. არ გაგიგონია ეს ლექსი:

„სქანი ყოროფა მა ბჷუნც თეში  
ოზედი ვააქვე საყვეცს.  
ჩქიმი გური თეში მიკობუ,  
მუქო ჩხომუ არყეცის.“ \*)



და გაქუსლა ცხენი.

კარგიც ქნა, თორემ უტუს შეიძლება თავი ვერ შეემგარებია. მურზა მურზაა, მართალია, მამიდაშვილია და უყვარს კიდევ, მაგრამ დალფინზას კი უჯაკრავად, თვით „ქრისტე-ღმერთსაც“ არ დაუთმობს.

„რა კარგი ყოფილა დალფინზა!“ და გაუჩქარა ფეხს უტუმ სოფლისაკენ. „თუ კი უნახავი კაციც ასე მონატრული გახდა მისი, რა იქნება, როდესაც დალფინზას სხეებიც ნახვენ. ნახვენ, ნახვენ, ცხადია! და მაშინ რაღა ქნას უტუმ?“

დალფინზა ხომ ბატონის ქალია.

ბატონი! ბატონი!

ბატონის ქალია, მაგრამ ჩემია. არავის დავენებებ. რომ ვაათხოვონ? ცოცხალის თავით არავის დავენებებ. მოვიტაკებ. ქვალონში წაიყვან მამიდასთან, მაგრამ იქ რომ მურზაა! კლდეში წაიყვან, გამოქვაბულში. ცოცხლად არ მივაკარებ. იქ გავხსნი სამქედურს, თავს ამით დავირჩენ, მხოლოდ დალფინზას კი აღამიანის თვალს არ დავენახებ. მეყოლება ზღაპრულ მშეთუნახავივით კოშკში მჯდომარე.

ქაბუკის ოცნებამ კიდევ უფრო ფართოზე გაიწია. იმავე დროს ფიქრებს შეეთხზა რამდენიმე წუთის წინათ მურზასაგან გაგონილი ლექსი.

„ჩქიმი გური თეში მიკობუ,  
მუქოთ ჩხომი არყეცის.“

სწორედ ესეა. მისი გული ანკესხეა წამოცმული. ეს ანკესი კი დალფინზას უპყრობა ხელთ.

და ახლა დალფინზას უნდა პკითხოს, უნდა მოელაპარაკოს: ხომ წაპყვება, ხომ სხვას არავის შეხედავს?

რა გავრძელდა ეს აღმართი, ბიჭინას ეზოსთან აშავალი? უნდა სწრაფად აირბინოს, მაგრამ ქლოწინობს კი.

ცოტა შეჩერდა. მზე დასაეღლისკენ, სათაანჯღოს მთისკენ გადახრილიყო და მწვავე სხივები სოფ. ჯვარისასთვის აერიდებინა. აქ მაინც, ამ ფერდობზე ჩრდილი იყო დამდგარი. სიგრილე იგრძნო და იამა. ირგვლივ წიფლის დიდრონი ხეები თავს წამოპყუდოდა. იელის და შჭერის ბუჩქები მწვანედ ხასხასებდა. გორაკის აღმართი თითქო ბუნებას შეეკბინა და ამ შეკბენილში ფართოდ გაშლილ ტერიფის ძირას პაწია „წყურვილი“ \*\*)

\*) შენი სიყვარული მე რომ მწვანეც იყო ენაში ღმრთის დასწევს ღმრთის ჩამოკიდებული, როგორც თევზი წყალში.

\*\*) წყარო — გრილი, სიეროდ წყაროსა ქეთან.

1654  
54988





მოწანწყარებდა. უტუმ პეში გააკეთა და წყურვილი მოიკლა უტერად რალაც ჩიტმა ჩაიკიკტია.

უტუს ფრანგული რომ ცოდნოდა, მიხედებოდა, მანამდე ჩიტოქო ფრანგულ „ტუცვიტ, ტუცვიტ“-ს გაიძახოდა.

მან კი ისე შილო, თითქო ჩიტი მიესალმა, და გულში ჰკითხა კიდევ: ჩიტო, რას მეტიკტიკები? რას მიამბობ? რა გინდა, რომ მახარო? გზას მილოცავ დალფინზასკენ, თუ სხვა რამეს მეუბნები?

მაგრამ ჩიტმა, თითქო საპასუხოდ, ორიოდ რალაც ჩაიქლურტულა და დადუმდა.

უტუს გაელიდა.

— მართალი ხარ, ჩიტო, უკვე დროა, უნდა დაიბუდრო. ძილი ნებისა? და კვლავ ხალისით შეუდგა საყვარლის აღმართს.

ამეამად ის სრულიად არა გრძნობდა, რომ შედიოდა მებატონის ეზოში.

## დ

სამოახლოსთან უტუმ შეამჩნია, რომ ბიჭინას მსახური გოგო-ბიჭები მოლზე ჩამსხდარიყვნენ და წრე გაეკეთებინათ, მხოლოდ ქვაცა და ერთი გოგო გულდაწყვეტილი ატუზებოდნენ შორი-ახლო სამოახლოს კარებს და ნალვლიანად შეცქეროდნენ ტოლთა მზიარულეებს, რადგან, როგორც დილმახორეთ, მათ მარაქაში გარევა არ შეეძლოთ.

ერთი ყმაწვილი უვლიდა წრეს გარშემო და ხელში ბოლო-გამოსკვნილი „სარწყე“ (პირსახოცი) ეჭირა.

წრეში იჯდა ბიჭინაც და მისი დაც.

სამოახლოდან მოშორებით, ოდისებურ ყაერთ გადახურულ ხის სახლის წინ, „აბარწაზე“ (პარმალი), მაღალ საკარცულში იჯდა ბიჭინას ხანში შესული დედა. იქვე მოხუცი გამძელი მიცუცქებოდა და დიდად გართულიყვნენ საუბარში.

უტუ მიუახლოვდა ახალგაზრდათა წრეს და ისე დადგა, რომ დალფინზა პირდაპირ დაენახა. დღე და ღამე ერთი მეორეს ეყრებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ ძალა-მოუღებელი მთვარე თითქო მაინც ჩაპხაროდა დალფინზას სახეს.

უტუს მაინც ასე ეგონა.

წრის გარემო მიმომავალმა ყმაწვილმა უჩქარა სიარულს. აგერ დაიწყო სირბილი და უტერად დალფინზას ბეჭზე გაიბაგუნა „სარწყის“ გამოსკვნილმა ბოლომ. დალფინზა წამოხტა, დაედევნა ჰაბუქს, მაგრამ ვერ დაეწია, ჰაბუქმა მისწრო და დალფინზას ადგილზე არხინად მოიკეცა. ახალგაზრდობამ კრიამული მორთო. დალფინზა იძულებული შეიქნა წრის გარშემო ახლა მას ერბინა და შეუშინევლად ვინმე გამოეჭირა. მაგრამ დალფინზამ ერთი კი შემოუარა წრეს და უტერად სარწყის ბოლო განზე მდგომ უტუს გადაუჭირა.



ვალი. თავზე კილობის ქუდი ხურავს. ჩოხა შეხსნილი აქვს და ჭამარი შიგნით, ახალუხზე შემოკრული. მეორე უფრო დაბალადაა ქაჩკნილი. აცვია ანაფორის მაგვარი რალაც — „ლაფსერდაკი“ ფეხსაცმელია და ფეხებს ფართო, მაუღის ქუდი ხურავს. ეტყობა მოძრავი კაცი, ცოცხალი. ტოკავს, ვერ ისვენებს. იხრება მდინარისკენ, თითქო უნდა რიონიდან სასურველი საგანი „თვალთ ამოიყვანოს“.

— აბრამ! როგორ გვონია, ვერ მოაღწევს? — მოუსვენრად ეკითხება მალალს დაბალი.

— კონა თოდუა ისეთი კაცი არ არის, რომ სიტყვა გასტეხოს, — დინჯად იძლევა პასუხს მალალი. — მოაღწევს უთუოდ.

— კი, მაგრამ რომ ღამდება?

— ჟინჯილს აინთებს.

— ჟინჯილის სინათლეზე ნავის წამოყვანა, ისიც დატვირთული ნავის და ისიც ამ ოხერ მატყუარა, სილიან რიონში!

— შენგან არ მიკვირს! პირველად ხომ არ მოდის! კონა ძალიან გამოცდილი მენავეა. ტყუილა კი არ ყოფილა რუსეთში პატროსად.

— რა ვიცი, გული არ მისვენებს! — და დაბალი ახლა ცას გაჰყურებს. — ხედავ, როგორ იღრუბლებს! — ხელი შეუშვირა ცას. — არა, ჯერ არა წვიმს.

— ნუ ხარ შფოთიანი კაცი. არაფერი იმდენი ღრუბელი არ არის. წვიმა არ იქნება, ნუ გეშინია! — ამშვიდებს დინჯი ჰოლოკი.

— მახარიკა! — გასძახის მოუსვენარი იქვე შორი-ახლო მდგომ ახალგაზრდა მეგრელს. — ერთი, შენ გაზდას, იქით წადი, მოსახვევეში და ნავი რომ გამოჩნდეს, მაშინვე გამაგებინე.

ახალგაზრდა მახარიკა დაუზარებლად გარბის. ეტყობა, რიდი და პატისკემა აქვს მისი, ვინც მიმართა.

— მოდი აქ, შე კაცო, ჩამოჯექ. — მშვიდის კილოთი იწვევს დინჯი აბრამი მოუსვენარ კაცს.

ორთავენი რიონის პირად ფიცრებით მობოვილ პატარა ნავთსადგურის ბაქანზე დვანან. ნავები აქ აღება, აქ ტვირთავენ, აქ გადმოზიდვენ, აქვეა ორ მხარეზე ფიცრები ჩამოსაჯდომად ხარიხებზე მიმაგრებული.

ეტყობა, ხათრს ვერ უტებს აბრამს მოუსვენარი და გვერდით მოუჯდება, თუმცა ცალი თვალი მაინც დასაუღეოთით მდინარეზე უჭირავს. აბრამი კი მშვიდად უამბობს:

— ზუგდიდის ამბავი რომ არ მომისმინე...

— ჰო, რა იყო, რა მოხდა?

— რა და აბრეშუმი მაინც ძვირად ვიყიდე.

— რატომ?

— ვითომ არ იცის! ამ მეგრელებში, რაც უნდა მოვინდომოთ, ფასებს ვერც აფწევთ და ვერც დავწევთ. თვითონ არიან მეგრელები ვაჭრები. განსაკუთრებით, რაც ეს დათაია ჭედია გაჩნდა:

— ხომ ვითხარი, დათაიას უნდა მოერიდო-მეთქი. მთავარი ღვინითი სწყალობს...

— ჰო და ამიტომ ვიყიდე აბრეშუმი ძვირად. მაგრამ <sup>არცაა მოკვსსე-</sup>ნო, საქონელი მართლა საუკეთესოა. ააშენა ღმერთმა ის ფრანკონი! რაც ვე გრადი როზმორდიუკი ჩამოვიდა სამეგრელოში და პიემონტის თესლი გაავრცელა, მას შემდეგია საუკეთესო აბრეშუმი მოდის.

— თვითონ გრადი არ ვინახავს?

— არა, საიდან? ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა საფრანგეთიდან.

— არ არის კარგი ნიშანი!

— რატომ?

— თავის დროზე გაიგებ, აბრამ.

აბრამს არ იამა მეგობრის ასეთი გულჩახურტულობა, მაგრამ არ შეი-  
მნია და თავისი განაგრძო:

— ახლა, ჩემო ძმაო, ბამბის ამბავს არ იკითხავ? საოცარი ფასი აქვს.

— ზუგდიდში?

— ჰო. ხომ იცი სერების კალთებზე, სადაც ნიადაგი არც ისე ტენია-  
ნია და ქვიანიცაა, საუკეთესო ბამბა მოდის. იმიტომ მივეტანე ზუგდიდს.

— რა ღირდა ფუთი?

— რას ამბობ! გასაოცარი: ჯერ 10—12 მ. იყო, უეცრად 15 მ. ავირდა.

— ვინ აუწია ფასი?

— სტამბოლელმა ოსმან შერ-ოღლიმ და ხუშუტ საინ-ოღლიმ.

— ეშმაკები არიან. იციან, რასაც ჩადიან. არაფერია, ახლა არ ვიზა-  
რალემბო, მაგრამ ყოველ-წლივ არ აჩყვე ბამბაში. ეგ შემთხვევითია. ყო-  
ველთვის ასე არ იქნება. ამერიკის ომის გამო ევროპის მანუფაქტურებს  
ბამბა დასჭირდათ და ამ საქონელს ფასი დაედვა. ყოველთვის ასე არ  
იქნება, აბრამ, გახსოვდეს.

— უჰ, შენისთანა ნასწავლი რომ ვიყო! — გულდაწყვეტით წარმო-  
სთქვა აბრამმა.

— რად წუწუნებ, ძმაო? გვერდში არ გიდგვივარ! ჯერ, მგონია, ერთი  
მეორეს გამოსადეგი ვართ...

კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ აქლომინებულმა მახარიკამ  
შეაწყვეტინა:

— გამოჩნდა, ბატონო, გამოჩნდა!

— უჰ, შენ კი ვაიხარე! მოდი აქ... — და ხელში მრგვალი რუსული  
ვერცხლის მანეთიანი ჩაუღვია.

მახარიკა სიხარულით ცას დაეწია, რადგან ამ საჩუქრით თავისი ღა-  
რიბი ოჯახისათვის თითქმის მთელი ერთი თვის სარჩო-საბადებელი  
იშოვნა.

ამ დროს ცხენების თქარა-თქური მოესმათ და დაინახეს, რომ კარგა  
მოზრდილი ასაბია შემოდის ორპირის ბაზარში.

მგზავრები რომ გაუთანასწორდნენ, ებრაელებმა იცნეს: წმინდა სისხლის ოქროსფერ ყარაბადულ ულაცზე მჯდომი შეედარე, მკრე-მარის შებატონე, აზნაური შმაგი კორძაია იყო. თავს ესურა, გახეიქურელებიანი საბდის ქუდი. ტანთ ემოსა იისფერი ხავერდის კაბა, კვერნის ტყავ-ამო-კრული, ზედ კიდევ შავი ჩოხა ეცვა, სახელოებ-გაჭრილი და მაჯებთან სირმის ვოძგარით დამაგრებული. ჩოხაზე ერტყა შევერცხლილი ქამარი და ეგრევე ვერცხლით მოკაზმული ხმალ-ხანჯალი. თითბრის ღიღებით შე-საკვრელი პაჭიჭები ეცვა და მოსირმული სამოგვე-ქუსლთან კი ამოკრუ-ლი ჰქონდა „მუხამუხი“ (ღეზი).

გვერდით მოაყვებოდა დარაბტულ ცხენზე მჯდომი და, განთქმული სილამაზის კლეოპიკა, ზოლო კლეოპიკას გვერდით — სიძე, ვეშაპივით ვაე-კაცი, სასტიკი გამომეტყველების ჯოლორია დგებია.

ქალი მამაკაცივით იჯდა უნაგირზე და აბჯანდაში გაყოფილი ფეხები სიომით აქვივებულ მაღალყელიან ფეხსამოსით ჰქონდა გამოწყობილი. წელზე პაწია აბრეშუმის ქსოვილის სარტყელი ჰქონდა შემორტყმული, გულისპირი ამოჭრილი, მოსირმული კიდევებით და თავზე სალუქი ლეჩაქი უთავსაკრავოდ მეგრულად წამოხურული, ყელში გამოვლებული.

ჯოლორია ჩერქეზული ჩოხით იყო, მასრებით ყელზე მიბჯინებული. სხვა მხლებელნი უფრო სქელი რუხი ღართებით იყვნენ დართულნი და თოფ-იარაღში ჩამსხდარნი.

შმაგიმ რომ ებრაელები შეამჩნია, ცხენი ცოტაზე შეაჩერა და ორთა-ვენი პატივისცემით მოიკითხა. იმათ მაღლობა გადაუხადეს და შეეკითხნენ:

— საით გამგზავრებულხარ, ბატონო შმაგი?

— აგერ, ჩემი სიძის ნათესავებში. ზომ იცი, ჩემი და კლეოპიკა რომ გავათხოვე? აგერ ამას მივეც, ამ ყაზილარს, ამას. — ხუმრობით ჩაუგუ-რულა კორძაიამ, თან მაშინვე დაუმატა: — მაგრამ შენ როგორ არ იცი, ცხაკუნია, — მიმართა დაბალსა და მოუსვენარ ებრაელს, — კლეოპიკას სამშითვოდ, გახსოვს, შენც რომ წავართვი? — და ფართოდ გაიცინა, თითქო ნახეთ, რა ვაეკაცობა ჩამიდენიაო. შემდეგ მიუბრუნდა სიძეს: — ჯოლორია! ვერ იცნობ! ეს არის ჩვენი განთქმული ცხაკუნია ურია მიხაი-ლაშვილი. ეს კიდევ მისი ძმა აბრამია... ეგ არის ჩვენი სამეგრელოს ტალკვესი. მთავრიდან მოყოლებული უკანასკნელ მოჯალაბემდე მგ ხალხით გვიდგია სული.

— რას ბრძანებ, შმაგი, იცოდეს ღმერთმა ხუმრობა კი გიყვარს! — ჩაილაპარაკა აბრამმა, მაგრამ შმაგის ყური არ უგდია. შეეკითხა:

— აქ ახლა თქვენ ტყუილ-უბრალოდ არ იქნებით. ფოთიდან საქო-ნელს მოელაით, არა? ვის მოაქვს — კოჩა თოდუას ზომ არა? უთხარით იმ თქვენ კოჩას, ფრთხილად იყოს, თორემ ამძუნზე ავაგებ. რალაც გნის ტარტარი დაუწყვია ამ ბოლო დროს და... აქ ხალხს ნუ მიჯანყებს, თო-რემ ჯანყი როგორც უნდა, მე ვასწავლი იმას...



გამოდგნენ ბაზიან პაწია სახლებიდან ახლად დასახლებული/ რუსი  
საქურისები, გადმოდგა თავის აივანზე ორპირის გამგევე, მუხუცე, კოლ-  
კოვნიკი გეგიძე და, რომ იცნეს შმაგი, თავაზით და ქუდმა მობრუნებთ გა-  
აცილეს.

ცხაკუნიათ კი გააყოლა:

— უცნაური კაცია. ფეხებზე კილია აჯანყებაც, ომიც და შენი სამთავ-  
როც. ხედავ რა გიჟური სიმღერით წავიდა! რამდენი ხალხი გაიფლიტება,  
რამდენი ნათესაეი ნათესაეს შეაკვდება, ძმა-ძმას, დარდი არა აქვს. კი  
არა, შეიძლება ფიქრობს — წყალი აიმღვრევა და მსუქან-მსუქან თევზებს  
წავაველებ ხელსაო. კორძაიებს ძალიან უყვართ ზუთხი, ფოროჯი...

— საწყალი ვალურია! — შეიბრალა აბრამმა. — ხომ ამოგდებენ  
ამალამ.

— შეძლებული გლახია, კარგათ დაუხვდება.

— კი, მაგრამ, კაცო, ორმოცდაათი ცხენოსანი მაინც იქნება. მერე  
კიდევ ვალურიას ხომ კორძაიასი არ მართებს სტუმრობა, ჭყონდრის  
კაცია.

ცხაკუნიას რალაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს ნაეი უკვე მოადგა  
მთ ბაქანს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).



სიმონ ჩიქოვანი

## კოლხიდის გირეზს

ამწვანებულო მხარეე კოლხეთის  
პორიზონტისკენ ორთქლი გდიოდა.  
წყალდიდობაში ხმელეთს მოხეტქილს  
სოფლები წყველით გადაჰკიოდა.  
მდინარეები, წვიმაში ოხერით,  
დიდდებოდენ და ხენეშდენ მარჯენიდან.  
თხრიდენ თხმელებს და

ქოხმახებს მოზრილს

რიონი, ცივა და კაპარჭინა.  
მინდორს მოწამლულს ვიცნობდი ადრე,  
ბელტი სწვებოდა მუდამ ქიანი.  
მაგრამ ცივ ფონზე გმირები ადგნენ  
და ბედს აღუდგა ადამიანი.  
აღუდგა კლასი სინესტის სარწყავს  
(თითქო ქოხებიც მოიშლილფეს).  
აღუდგა კლასი ღარიბულ ფაცხას  
და გლახებივით წახრილ ტირიფებს.  
მიწაში ძარღვი ცოცხალ თაობის  
იგრძნო და ასქრა ბუჩქების ფარა,  
იხსნა ხმელეთი, მოსპო ჭაობი  
დასძრა რიონი და მოიხმარა.  
კუნთით შებორკა კლასმა მდინარე  
ჭაობებიდან აიღო ღამე,  
პალიასტომის სივრცე მძინარე  
დარჩა კეთილი და მოკამყამე.  
დაფნამ აუშვა მიწის სურნელი,  
სურნელი მისცა ჰაერის შრიალს.  
ტბიდან აფრინდა სველი ფრინველი  
და მზე გაოცდა დასაუღეთშიაც.





ქართული  
 ენციკლოპედია

გმირებმა დასწვეს სიბნელე ღამის  
 და ხეებზეთ აყვნენ ალიონს.  
 დაბლობებს წასცხეს რიონის შლამი  
 და გარიჟრაჟის სუსხი დალიეს.  
 ჟამთა სვლის ქვეშე მთელემარე მიწა  
 გააცოცხლეს და შთაბერეს სული.  
 და დაეწერა დროების ფიცარს:  
 სიმწვანე, სუნთქვა და სიხარული.  
 ეს მოხდა დღეს და არა გუშინ  
 იპყრობს სივრცეებს მართალი ძალი.  
 ეს მხარე შედის პოეტის გულში  
 და ტრფობით გული ააფართხალა.  
 მაშ გიძღვენ ლექსი.

გმირებო დასცხეთ  
 თქვენ ფერს შეუცვლით ბუნებას მდარეს  
 თქვენ მოსპობთ თხმელებს

ჭოხსა და ფაცხებს  
 და სტალინურად გარდაქმნით მხარეს.





ქართული  
ლიბრერი



სოფლის მეურნეობა — სოფლის მეურნეობა — სოფლის მეურნეობა

ელიზბარ კოლუმოვსკინოვი

## ახალ მიწას

ათიოდე წელი არ გასულა მას შემდეგ, რაც მდინარე ქვედრულა ადიდა და მის ნაპირზე გაშენებული სოფელი წალეკა. ეს მთების ძირში წარმომადარი სოფელი საწყლად გამოიქვირება და ხრიოკი მიწისა და მწირი ზედაპირის გამო სულამოუთქმელ სილატაკეში ცხოვრობს. დღესა და ღამეს აუტანელ ჯაფაში ატარებენ, მაგრამ არ იქნა, არ ეშველა ქვედრულელებს, ვერც ერთ გაზაფხულს და განთიადს მაფთვის სიხარული ვერ მოაქვს, ვერც ერთი შემოდგომა მათ ბელეებს და ნალიებს ბარაქიანი მოსავლით ვერ აესებს და არც ერთი ზამთარი არა ყოფილა, რომ ხელნაკლებობა და გაჭირება არ დასადგურებელიყო მათ კერაში.

— რამდენიც გინდა ჩიჩქნე ეს უმადური მიწა, ის მაინც არაფრის მომცემი არ არის!.. — გაიძახიან ჯაფას დაუზარელი რაჭველი გლეხები და ხელს ჩაიჭნევენ ხოლმე, რაც მწარე ნალველსა და ამოებას გამოქნატავს.

მიწურული შემოდგომის მზე ძლივს აცოცდა მახლობელი მწვერვალის მხრებზე და ირიბი გეზით, რამდენადაც შეეძლო, დაბლა დახრილი გადაეშვა მორიგი მთის გადაღმა. ის არც კი იხედებოდა ისლით დაფარული ქოხების ფანჯრებში. ნიავის მცირე დაბერვის გამოც კი ცვივოდა ზეზილს ფერნაცვალი ფოთლები და აქა-იქ, ხეების ირგვლივ ან ქოხების წინ სვეტებად ტრიალებდა. ამღვრეულ ცაზე ღრუბლები რაღაც განსაკუთრებული სისწრაფით მოძრაობდნენ და ერთმანეთს ერიდებოდნენ, თითქოს გაწვიმებას გაუბრძინაო.

მთაკლდოვან გზებზე ტყისკენ მიკრიალებენ ორმტკაველიან თელებზე შემდგარი დაბალი ურმები და ამ კრიალს ელილინება შეშაზე მიმავალი გლეხი რაღაც უსიტყვო და გულამოუთქმელი სიმღერით.

სოფლის შუაგულში კი, სამკითხველოს წინ შეგროვილი გლეხები ერთმანეთს დინჯად ებასებიან, თამბაქოს წვეით თავს იყოლიებენ და სიცივისაგან დამზრალ ხელებს ხშირ-ხშირად იორთქლავენ.

მათი ბაასისათვის ყური რომ დაგეგდოთ, გაიგონებდით:

— ბიჭტორიკა, ამ ზამთარს შინ რათ დარჩი, სამუშაოზე რატომ არ წასულხარ?

— ჯერ შეშა მქონდა მოსაქრელი, მერე უფუნებოთ ვიყავი ასეა თუ ფეხი არ გადამიტრიალდა და კარგათ ვიქენი, ქალაქში წასულს ვაპირებ. შენ რაღათ დარჩენილხარ, დაზებილი ოქროები ხომ არ უნდა გქონდეს?..

— მე, ჩემო ბიქტორიკა, წელს არსად არ მივდივარს! — ხმამაღლა როგორმე თავს გადავიჩრჩენ. ცოტა ფქვილი მაქვს შემორჩენილი. მეყოფა.

— შენისთანა დურგალი ვიყო და შინ გავჩერდები?.. ცოტა არ იყოს სიცოცხლე გეზარება, ვასილ, არ ვარგა აგრე!..

— რისთვის დავგიბარა სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ? — ჩაერიამათ ლაპარაკში მესამე გლეხი, რომელიც რაღაც მოუთმენელი მღელვარებით წამდაუწუმ თემშარისაკენ იცქირებოდა.

— რა გეჭკარება, შე დალოცვილო. გული ე მანდ საგულეს არა გაქვს? რაქველი ტყვილა ხარ?.. მოიცადე პატარა და გაიგებ! — ხუმრობით უპასუხა ბიქტორიკამ, ვასილმა კი დაცინვით დაუმატა:

— სიმინდის ყანები უცდება, შეიძლება ვენახიცა აქვს გასასხლავი, ეჩქარება... — სთქვა ეს და ხმადაბლა ახითხითდა, მერე ხველებაც აუტყდა. ხმაზე ეტყობოდა, შეახნის კაცი უნდა ყოფილიყო.

— მხართედოზე წამოწეჭე ბიძია, ჩიბუხი მოსწიე, ცეცხლი არ ჩაგიქრეს, თორემ გული რაზე უნდა გადააყოლო?! — ბრაზიანად უპასუხა მან და ორივეს ზურგი შეუქცია.

სწორედ ამ დროს თემშარაზე სოფლის საბჭოს თავმჯდომარეც გამოჩნდა. მას გვერდში მოჰყვებოდა მასზე უფრო ტანმაღალი კაცი, ბოხოხის ქუდიანი და ნაცრისფერ მანარაში გამოწყობილი. სამკითხველოს რომ მოუხალოვდენ, გლეხები ფეხზე წამოდგენ და ღიმილგადაკრული სახეებით მიესალმენ.

— მოელაპარაკეთ, ამხანაგო ვარლამ, ვინც თანხმობას განაცხადებს, წაიყვანეთ, — წარმოსთქვა სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ, მერე შეგროვილ გლეხობას გადასძახა: — ფოთიდან ჩამოსული ამხანაგია, სამუშაოზე უნდა გაიწვიოს ხალხი. მოუსმინეთ, თუ ჰქვიათ დაგიჯდეთ, უარს ნუ ეტყვიან, თუ არა და ძალას არავის დაგატანთ. — ყველას თვალი გადაავლო, მერე ახლად მიღებული გაზეთი გადაშალა და თვალეირება დაუწყო.

— ამხანაგებო, ვინ წამოხვალთ კოლხიდაში? იქ სამუშაო ბევრია. ჩვენთან მოდიან საქართველოს ყოველი კუთხიდან, მოდიან ზღვით, ხმელეთით. კოლხიდაში ქაობების ამოშრობა მიმდინარეობს, მუშა ხელი გვეჭირდება, — დაიწყო კოლხიდიდან ჩამოსულმა ვარლამ თოფურიაშ. სიტყვა ქაობის ხსენების დროს მას წამის განმავლობაში თვალწინ ელვასავით გაურბოდა ხოლმე ლაქაშებით, თხემლებით და ხავსით სავსე მყრალი ქაობები, რომლებიც ადამიანს ზიზლსა ჰგვრიდა. — კოლხიდა უნდა აყვავდეს. თქვენი გამარჯვებელი უნდა ერიოს ამ ახალი მიწის მოპოებაში, — განაგრძობდა ისევ ვარლამი და მის თვალწინ კვლავ ელვასავით სწრაფად იხატებოდა ეს ახალი მიწა, როგორც მას წარმოედგინა. დააპირა კი-

დღე აეწერა ეს უძვირფასესი ხეხილნარით გაშენებული მომავალი კოლხიდა. მაგრამ აღლევებდა ის ღუმელი, რომელიც მის წინ შეგროვებულ გლეხებს შორის ჩამოვარდნილიყო.

ვარლამი სწუხდა. ისე გრძნობდა, თითქოს მას ამ ღუმელით უარს ეტყებოდნენ. ამ ღუმელში კითხულობდა გულშემზარავ სიტყვებს:

„ეი, ძმობილო, სად მიგყვეართ? ჩვენ ჩვენი უბედურება არ გვეყოფა, რომ ქაობებში არ წაგიყვანაო?.. იქ ხომ დაავადდებით, ცოლშვილს ვილაგვირჩენს?.. არა, ძმობილო, სიღატაკეში ვართ, მაგრამ სიყვდილი მაინც არ გვირდა!..“

ეს სიტყვები, ეს ფიქრი, გლეხების ღრმა ღუმელში ჩამარხული, აწუხებდა ვარლამს. უნდოდა კიდევ რამე ეთქვა, მაგრამ სწორედ ამ დროს გლეხების ჯგუფიდან წინ წამოდგა ერთი და ხმამაღლა წარმოსთქვა:

— მე წამოვალ!..

ეს ხმა ისე გაისმა, როგორც ზარის ძლიერი ბგერა. გლეხები მიჩერდნენ მას, განცვიფრებული უცქეროდნენ წინ წამოსულს და ხმადაბლა ერთმანეთს ეკითხებოდნენ:

— როგორ, ბესარიონ მეტრეველი მიდის?!

— ბესარიონ მეტრეველი?!

ჯმუბი, წვერულვაშში ოდნავ თეთრშერეული, შუახნის კაცი კი დინჯად წინ წამომდგარი შესცქეროდა თავის მეზობლებს. ის მათ სახეებზე კითხულობდა განცვიფრებას და მათ გულისწყრომასაც გრძნობდა. ბესარიონი მთელ სოფელში ჰკვიან კაცად იყო ცნობილი. თუ ვინმეს რაიმე დარდი უღრღნიდა გულს, ბესარიონს შეეკითხებოდნენ ხოლმე. მან იცოდა ისეთი რჩევის მიცემა, რომ მომწუშებელ მალამოსავით გადაესმებოდათ ხოლმე ნატყენ ადგილზე.

„მაშასადამე, ცუდი არა ყოფილა, ბესარიონი რომ დათანხმდა“, — გაიფიქრა თითოეულმა მათგანმა და თვალები კი ისევ მას მიაშტერეს.

— ამხანაგებო, მე ისეთი რა უნდა გითხრათ? თვითაც მშვენიერად იცით, რაჰველი კაცი, მეტადრე ზემოური, შიმშილით მოყვდება, შემოდგომიდან სამუშაოზე რომ არ ვავიდეს. ცოლშვილს რა დაურჩენს?! — დინჯი, ტკბილი და გულში ჩამწვდომი ხმით დაიწყო ბესარიონმა. მისი თვალები ახლა უკვე მთის ფერდობებს გასცქეროდნენ, რომელნიც შემოდგომის სუსხისაგან უკვე გაძვალტყავებული გამოიყურებოდნენ. ბესარიონი რატომღაც დაეინებით ჩაშტერებოდა ამ ხრიოკ ადგილებს, გულში ბრაზიანი სიტყვებიც უგორავდა მისდამი:

„შემოდგომისაგან ვატიალებული ხარ, მაგრამ არც ვაზაფხულზე ხარ მადლიანი“.

— ჰო და, ჩემო ამხანაგებო, იმას ვამბობდი, მე წაველ კოლხიდაში... ცუდი არ იქნება. შრომა და გარჯა ყველგან კარგია თუ თვალთ ნახავ ნაყოფს. ეყოფილვარ სამეგრელოში, ვიცი, ჰო, ვიცი... კარგია!.. კარგია!.. — აღარ დაამთავრა ბესარიონმა თავისი აზრი, თითქოს ის, რაც

გაიფიქრა, გულში დაამთავრაო. გაჩუმდა და მდუმარებაში ჩაიფარა. მის სმენამდე აღწევდა ქვედრულას ნელი მდინარება, რაღაც საამო დუღუნო.

ბესარიონმა ჩიბუხი ამოიღო, კარგა ხანს სჩიჩქინდა ჩაქვების წამწვევის გამოსაყრელად და ფიჭვებში გაეხვია. უკვე აღარ უსმოდ, თუ რა ხდებოდა მის ირგვლივ. აღარ მიუტკეცვია ყურადღება იმისათვის, რომ მის მიერ გადადგმულ ნაბიჯს ბევრმა სხვაამც წაჰბაძა. ვარლამის უბის წიგნში აღინიშნა მათი გვარები და სიტყვაც მისცეს, რომ ამ ორ დღეში ოჯახის საქმეებს მოაგვარებდნენ და მესამე დღეს განთიადიდანვე ფოთისაკენ გაემგზავრებოდნენ.

ამ კრებიდან ბესარიონი მარტო ბრუნდებოდა. აუარა გვერდით ქვედრულას, ჩაჰხვდა მოჩუხჩუხე წყალს და ნახევრად გასაგონი ხმით წაიჩურჩულა:

— გიციობ, გიციობ, რა სიკეთის მომტანიცა ხარ, მინახია შენ მიერ აწიოვებული გლეხიკაცი...

ბესარიონი მიდიოდა რატომღაც დღემდე განუცდელი გრძნობით. ღიმილით ვასტყვროდა ვარემო მთებს, დავარდნილ ჭალაკს, აკვირდებოდა თითოეულ ხეს, რომლებმისთვისაც ათეული წლების განმავლობაში ყურადღება არ მიუტკეცვია. თვალი გადაავლო ცასაც და დაატყერდა ღრუბელს, რომელიც სოფლის თავზე გადადიოდა. მეტად ლამაზად ეჩვენა თვისი სოფლის ცა და მისი ღრუბელიც კი.

ბუხარში ცეცხლი გუზგუზებდა, მისი ალი გადაეკრა ბესარიონის მოღმარ სახესაც.

— ცოლს ესამოვნა ქმრის სიხარული და თვითონაც მოცინარი სახით შეეკითხა:

— კარგი ამბავი გაგივია, ბესარიონ, გამაგებინე ჭი...

— გაგაგებინო?... კარგი!.. — წარმოსთქვა ბესარიონმა, მაგრამ შეყოყმანებული წალოსაკენ გაეშურა. ეერ გაბედა თვისი ფიჭვის განდობა. ეშინოდა ნადრევი არ ყოფილიყო. სახის ნაკვთების შეუცვლელად წალოდან გულდა-სტვირი გადმოიღო, ბუხართან მივიდა, დაბალ კუნძზე ჩამოჯდა და რამდენადაც შეეძლო, მძლავრად ჩაჰბერა.

გაიბერა გულდა, ამოიღო ილლიის ქვეშ და რამდენიმე წუთის შემდეგ მთელს ოთახს მოეფინა მღვრავ ზუზუნში ვახვეული მესტირულის ბგერები.

შემოეხვივნენ ბავშვები, მცინარე სახეებით შესტყვროდნენ ვახარებულ მამას. ცოლმა უკვე შემოარბენინა ხელადით ღვინო, კედელზე ჩამოკიდულ ღორს ჩამოათალა კარგა დიდი ნაჭერი. ამოზელილი ლობიო ტყემლითა და პილპალით თეფშზე დაუსხა, ერთის სიტყვით, ყოველმხრივ ხელი შეუწყო, რომ ბესარიონს გუნება არ წაჰბდნოდა. მერე, რამდენი ხანია საზანდარი არ დაუკრავს, ლამის ენა ჩაუვიარდეს სკვირს!..

ბესარიონმა პირველი ჭიქა რომ გადაჰკრა, სულამოუთქმელი სიჩქარით დააყოლა:

— თებრონიკა, სამეგრელოში მივდივარ. სამუშაოზე უნდა გავიდე. ბალნებს მოუარე, თავსაც გაუფრთხილდი. რალაცა ფიქრი ამეცვიატა... ღმერთი ჩვენც გვაღირსებს კაი ცხოვრებას, — თანაც უბედურებას. მიერ მიცემული ქალაქის ფული ამოიღო და ცოლს გადასცა. კარგა ხანს არ შემწყდარა საზანდრის ხმა.



რალა წვიმა უნდოდა ყორათის დავარდნილ ადგილებს! ასხამდა წვრილი, როგორც საცერში გაცრილი, შეუწყვეტილი და გულისგამწყალებლად მომამბეზრებელი წვიმა. იღვრებოდა ყორათზე მთელი ცა და ღრუბლები მთელი შემოდგომის განმავლობაში და ისედაც ამყარლებულ, ლაფიან ნიადაგს უბეებს უვსებდა წყლით.

ფოთლებგაცენილი, შემოძარცული, მალლა აწვდილი თხმელები თითქოს სიამაყით დასცქეროდნენ მათ ძირში უთვალავად ამოსულ ლაქაშებს, რომლებსაც გადაეზნინათ წყლით გაქვინთილი და წყლითვე დამძიმებული წვრილი ტანი, თითქოს სწადიათ იმავე შმორს დაუბრუნდნენო, საიდანაც მათი სხეული წამოიზარდა.

თუ წვიმა არ არის, თუ სინთუმა, თუ არ ისმის ნიაეისაგან ლაქაშების რბევა, მაშინ კოლოების ფრენას და ზუღლსაც გაიგონებს კაცი. ბაყაყების ყაყანი ხომ ყურ-შეუჩვეველ ადამიანს გულს აღმღვრევს.

ბესარიონი ყორათში რომ ჩამოვიდა, თავდაპირველად მისი თვალი მოიტაცა ყორათის მოსახლეობამ, რომელიც რალაც განსაკუთრებული მზრუნველობით და გატაცებით უვლიდა თავის კარმიდამოს. კოლხიღმუნის მუშაობა სულ რამდენიმე წლის დაწყებული იყო და ყორათის ირგვლივ ჯერ კიდევ გაუვალ სარტყელივით შემოვლებოდა ქაობი.

ყოფილა ბესარიონი ხორვაში და ქალადიღში. ახსოვს ბესარიონს ხორგელი გლეხები, რომელთაც ეზო-კარი წვიმებისაგან მოვარდნილი წუმბეებით ევსებოდათ. მაშინ თითოეული გლეხი იმას ფიქრობდა, რომ როგორმე საღმე ადგილი გამოენახა და სხვაგან დასახლებულიყო. გლეხს გული აყრილი ჰქონდა თავის სამოსახლოზე. არ ფიქრობდა მის მოვლა-პატრონობაზე, რადგან საკუთარი თვალთ ხედავდა, რომ მისი შრომა ამაოდ მიდიოდა, მისი ბავშვები გაყვითლებულნი და მუცელგაბეზრილი დადიოდნენ, მისი სხეული ციების ნემსებით იჩხვლიტებოდა.

მეორე დღეს ბესარიონი უკვე სამუშაოზე გავიდა. სამუშაოს ხელმძღვანელობდა ვარლამი, რომელსაც ამოსაშრობად ჩაბარებული ჰქონდა ცალკე უბანი. ბესარიონმა თავისი მარჯვე და ძარღვიანი ხელი ჩასკიდა ნიჩაბს და შეუდგა მუშაობას. ეს უბანი უკვე მოძირკული იყო. ახლა საწრეტი არხების თხრა მიმდინარეობდა. ეს არხები მთავარი არხის გარდი-გარდმო გაჰყავდათ.

პირველ რიგში ყორათის მიდამოები იწმინდებოდა. მუხლამდე ლაფში შესული მუშები ძირკვადნენ ასეული წლების განმავლობაში თავისით გა-

ზრდილ უსარგებლო მცენარეებს. ლიუბეკი და კატერინოპოლი/რომელნიც მძლავრფესებება თხმელებს ძირიანად ჰგლეჯდენ, თავიანთი შეუშლელი და ერთფეროვანი გუგუნით საერთო შრომას ახსრამსენენ!!

— როგორ მოგწონს, ბესარიონ, ეს შეუნელებელი შემაჩხვ? — შეკითხა ერთ დღეს ვარლამი, რომელიც ნიჩაბზე დაყრდნობილი იდგა და ყორათის გუბეს დასცქეროდა. — ჩვენ ვებრძვით სიკვდილს, რამდენიმე წელში მოსპობთ მის ბუდეს. აი, ხედავ, ამ ერთ თვეში რამდენად წაიწიეთ წინ. შენ რომ ჩამოდი, ბესარიონ, აქ ჯერ კიდევ გაუვალი ტყე იყო. ახლა უკვე საწრეტი არხები გაგვყავს, ნიადაგი თანდათან შოება.

— მეც სწორედ მაგაზე ვფიქრობ, ვარლამ. ძალიან მიხარია, ჩემს ნაწინაბრიდან წყალი რომ ეონავს და ნიადაგი წუმპესავან იცლება, მარა, ე ყორათის გუბეს რა ეშველება?!

— ყორათი არხად გადაიქცევა. მთელი მიდამოს ჩამონაყონი წყალი მანდ ჩაიქცევა. ახლა შენ ის ნახე, ამ ერთ კვირაში მიწის მთხრელი გემი რომ შემოიჭრება! — დამაჯერებელი ხმით უპასუხა ვარლამმა და მესამე ბრიგადისაკენ გასწია.

ბესარიონი ისევ სამუშაოსკენ შეტრიალდა. ლაფითა და სილით სავსე ნიჩაბი რამდენჯერმე თხრილიდან ამოიქნია და ხმაბლლა წამოიძახა:

— ჰე, ბიჭებო, შეუტითო!..

მის გვერდში მდგომი მუშები ცდილობდენ მხარდამხარ გააყოლოდენ, ცდილობდენ არ ჩამორჩენილიყვნენ, მაგრამ ბესარიონის ნიჩბის მოხერხებულ და მონდომებულ ტრიალს ვერავენ უტოლდებოდა. ის თანდათან ყურადღებას იპყრობდა არა მარტო მასთან მომუშავე მუშებისას, არამედ ხელმძღვანელ ამხანაგებისასაც.

ასე მიდიოდა დღეები და თვეები. საწრეტი არხების გაყვანა და ძირკვა ახალ-ახალ უბნებზე გადადიოდა. სწორედ ამ დროს შავი ზღვიდან შემოსული მიწის მთხრელი გემი „საბჭოთა საქართველო“ წინ მოიწვედა და მდინარე კივიდან ყორათის გუბეში შემოდიოდა. გემი ისე სწორად და ლამაზად სჭრიდა ამ გუბის ფერდებს და მკერდს, თითქოს ქვის მჭრელი-სავან სავანგებოდ ჩამოთლილი ქანდაკება იყოსო.

ამ პატარა გემმა გამოაცოცხლა მახლობელი სოფლები და ის მიდამო, რომლის ამოშრობაც მიმდინარეობდა. რამდენიმე დღეში ყორათის გუბე გადაიქცა ფართო არხად და თავის შიგნით მოიქცია ძირგამომპალი ნიადაგის ტბორი.

ბესარიონის თვალწინ კეთდებოდა ყველაფერი ეს. ყოველდღე ხედავდა, თუ როგორ შრებოდა მიწა. თანდათან რწმუნდებოდა, რომ კოლხიდის მიწის ამოშრობა სინამდვილეა.

თავდაპირველად მუშაობისავან თავისუფალ დროს ბესარიონი იმ უბნების თვალყურებაში ატარებდა, რომლებიც ამოშრობაზედაც თვით მუშაობდა. დადიოდა რალაც ღრმად ჩაფიქრებული. თავის მუქ ყავისფერ თვალებს, რომლებიც აბურძგვნილ წარბებს ქვეშ ძლიერ მოუჩანდა, მი-



წის ხან ერთ ნაკვეთს დააშტერებდა, ხან მეორეს. ხანაც მიწას გაღისნიქნიდა, თითქოს სინჯავდა მის სინოყიერეს. მერე, მუშაობით დაღლილდაქანცული, მიწვეებოდა თავის ლოგინზე და ფიჭვებში ჩიჩქინობდა. მაშინ მის თვალის გუგებში იმართებოდა რაქის მთები, წამწამთიონის ბრეღით დაფარული, ხან გაზაფხულის მწვანე ხეხილნარით შეფეთავილი. მის თვალის გუგებში მიცურავდა მდინარე ქვედრულაც, მაშინ ემღერებოდა თვალები და ათრთოლებულ ქუთუთოებს ქვეშ ჩასთვლემდა ხოლმე. გაეღვიძებოდა იმაზე ფიქრით, რომ ქვემოთში წასასვლელი იყო ჰადის ფქვილის ამოსატანად, თორემ ბეღელში სიმინდის ნატამალიც აღარ გააჩნდა.

— აქ ყოფნაში ძველათაც გამიგონია, რომ სამეგრელოს მიწაზე ერთ ქვეყანაზე ასი ფუთი სიმინდი მოდის... რაღა გაუჭირდება ჩემს ოჯახს?! — წაიხურჩულა სიზმრის ბურუსში გახვეულმა ბესარიონმა და შეეცადა მოგონებისაგან აღევნებული განცდები გადაებერტყა.

ეს ფიქრები არ სცილდებოდა.

ერთ დღეს ბესარიონი, მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო დამთავრებული იყო და უკვე ბინდიც წვეებოდა, შინ არ წავიდა. დარჩა ამ ახლად ამომშრალ მიწაზე და შეუდგა მოკლე სოლების მიწაში ჩასობას. როდესაც ეს მუშაობა მოათავა, შეჩერდა და კარგა ხანს უტკეპროდა იმ ადგილს. მან თვალთ მოხაზა ამ ფართობზე დიდი ხნის ნააზრევი სურათი და სიტყვაამოუღებლივ წავიდა შინ.

ამ ხნის განმავლობაში გემმა თავისი მუშაობა მოათავა და მდინარე დედაბერთი ლანჩხუთისაკენ გაემართა ახალი არხების სათბრეღად. მთავარი არხის გასწვრივ კი ამთავრებდენ გზის გაყვანას, რომელსაც ხორგა ჰალადიდთან უნდა შეეერთებინა.

— ბესარიონ, შენ ძალიან მარჯვეთ მუშაობ! — უთხრა ერთხელ ვარლამმა. — თურმე მუშაობის დამთავრების შემდეგაც რჩები და მაინც არ სცილდები საწრეტ არხებს.

— არხებს ფერდებს ექსწორებ, ცოტა უსწორო-მასწორო გამოდის აქარებული მუშაობის დროს, — უპასუხა ბესარიონმა და წასვლა დააპირა, თითქოს ამ საკითხზე ლაპარაკს ერიდებოდა.

— რას მიგეჩქარება, ბესარიონ? მე ისიც გავიგე, თურმე შენ, რკინის გზის მახლობლად რომ ფართობია, მხოლოდ იმ ადგილს ჩაჰკირკიტებ, რატომღაც უკეთესად უვლი...

— ეეჰ, ერთი შენც!.. სხვა რაა ჩემი საქმე?.. არხებს ვასუფთავებ, — უპასუხა ოდნავ ჯავრნარევი ხმით და ჩქარი ნაბიჯით წავიდა.

შინ მისვლისას მაშინვე ნაჯახს მოჰკიდა ხელი და ტყეში წავიდა ხეების მოსაჭრელად. ყოველდღე ორ-სამ ხეს მოათრევდა ბესარიონი და ყორათთან ჩამომდინარე წყლის პირზე აგროვებდა.

მოკირწყლული გზა კი თანდათან ჰალადიდისაკენ მოიწვედა.

ერთ დღეს ბესარიონს თავზარი დაეცა. როდესაც თავის გარდასახვებულად მოვლილ ფართობში გავიდა, შენიშნა, რომ გზის გამყვან ტექნიკოსებს ზონარი ამ ფართობზე გადაეყვანათ და მიწა-ქვანთა მანქანაც თავის ათასფუთიან ბორბლებს უკვე მის ზედაპირზე ატარებდა. უცბად სისხლი აემღვრა, გულმა მძლავრი ცემა დაუწყო. თითქოს აქამდე ფრთხილად მდებარე ოცნება ძირს დაუნარცხესო. სასომიხდღილმა უიმედოდ დაუშვა მკლავები. თითქოს თავბრუ დაეხეაო, წაბორძიკდა, და შეიძლება მუხლებიც ჩაჰკეცოდა, თავისთვის ძალა რომ არ დაეტანებინა. მეორე წუთში თავბრუმ გაუარა, ისევ ჩვეულებრივი ღონე და უნარი დაუბრუნდა, გონებაც ნათელი აზრით გაუბრწყინდა და სწრაფი ნაბიჯით კოლხიდ-მშენის კანტორისაკენ გაემართა.

— მე ინტენერი გეგმაჰქორი მინდა! — გაბედულად წარმოსთქვა ბესარიონმა, როდესაც შევიდა მშენებლობის უფროსის კაბინეტში.

— მე გახლავართ! — წარმოსთქვა ერთმა ტანშალაშმა, თეთრწითურმა და მზარბეჭიანმა კაცმა.

— მე, ჰირიმე, მუშა ვახლავართ, ზემო რაჰიდან წამოვედი. აი, ექვსი თვე იქნება რაც ამოშრობაზე ვმუშაობ. ბესარიონ მეტრეველი ვარ გვარად... — მორიდებით და ხმის თანდათან დაწვეით მიუგო ბესარიონმა.

— ბესარიონ მეტრეველი?!. პო, როგორ არა, ვამიგონია. რა გაგიჰირდა?

— რაეა რა გამიჰირდა თქვენი ჰირიმეთ, თქვენ თითონ ამბობდით, რომ ვისაც სად უნდა, იქ შეუძლია დასახლდესო, მეც ამევიჩინე ერთი ფართობი, სოლებითაც შემოვლობე და დღეს კი, თქვენი ჰირიმე...

— რა, დღეს რა მოხდა?... ვინ რა დაგიშავა?..

— რა დამიშავეს და ჩემ ამონარჩევ მიწაზე გზა გაყავით. ვადაუთელიათ ჩემი ფართობი. რაღა ექნა, თქვენი ჰირიმე, დავიჭეცი თლათ.

— მერე, ბესარიონ, ვერ სთქვი წინასწარ?... ხორგაში გზა ერთი მტკაველით მარცხნივ რომ დამეწყო, ჭალადილში ას ნაბიჯზე გადავაცდენდი.

— მაი ასი ნაბიჯია რომ მღუპავს, მარა თუ მიშველი, თლათ ავშენდები...

— არა, ჩემო ბესარიონ. გეგმის დარღვევა არ მოხერხდება. გზა ხორგასა და ჭალადიდს შორის ლარივით სწორი უნდა იყოს. გზა რომ გაფუჭდეს, მაგას შენც არ ისურვებ. გზის გასწვრივ მიწა რამდენიც გინდა, აიღე. დაგვითმე, ბესარიონ, შენი ამონარჩევი ფართობი, სამაგიეროდ რასაც მომთხოვ, იმას ავისრულებ.

„დაგვითმე“, — წაიჩურჩულა ბესარიონმა. გულში სიამტკბილობის გრძნობამ გაურბინა. მაშასადამე, ბესარიონი გათელილი არა ყოფილა. მას აფასებენ, ანგარიშს უწევენ. მისი ბრალია რომ აღრევე არ განაცხადა, თორემ შესაძლებელია ეს ასი ნაბიჯი მიწა მისთვის არც კი ჩამოეთალათ.

— მაშინ, თქვენი ჰირიმეთ, იცით, რას გთხოვთ, ავერ სამი თვეა ვეწვალები და ხე-ტყეს ვაგროვებ. რაცნა მცირედს მოვეუყარე თავი, ერთი

თვალი სახლი შემოძლია დაედგა. უბრძანეთ თქვენს ქარხნაში დამბერ-  
ხონ, ისე, უსასყიდლოდ, ფულზე ღარიბათ ვარ...

— ტყესაც დაგიბერხავ და რაც დაგაკლდება, იმასაც დაგიბერხავ, —  
დასახლდი! — უთბრა გეგეჰკორმა და ბესარიონს მხარზე ხელი დაარტყა.

ბესარიონი უი, სიხარულით სავსე და ბავშვივით ბედნიერი, გამოვიდა  
კაბინეტიდან და ისეთი ფრთებშესხმული სილალით მიდიოდა, თითქოს  
სიცოცხლეს თავიდან იწყებო.

იმავე დღესვე სოლები გზის გასწვრივ გადაიტანა და ცოლთანაც წე-  
რილი დასწერა.

„ჩემო თებრონიკა...

ჯერ თავდაპირველად შემოგითვლი შენს კარგათ ყოფნასა. მერე  
პირველად ვუსურვებ ჩვენს ბოვშებს სიცოცხლესა. მერე თებრონიკა  
ქი თუ რომ ჩვენს ამბავს იკითხამ გეტყვი რომე ჯანზედაც ქვე ვარ  
კარგათა და იგივე სიცოცხლითა. იმას გეუბნები თებრონიკა მე მე-  
ვისაზრე მაქ ქვედრულაში არას გზობით აღარ დავბრუნდე. არ თქვა  
გამექცაო. იგიც ქვე მაქ ნაფიქრი რომე ჩვენის ბოვშებით კვატებით  
ქათმებით წიწილებითა და ყოლიფერი საბადებელით აქ წამოგი-  
ყვანო. მე თებრონიკა ქი ერთი თვალი სახლი დაედგი და დაესახლ-  
დეთ ყუ — ვიცხოვრებთ აქანე სიამტკბილობითა. შენ მოეშადე და  
წამოგიყვან. აწი შემდეგ ამისა არ იკითხამ თუ რა ქვეყანაა ესა.  
კაი ქვეყანაა ძაან. ჩვენსას ქართოფილის მეტი რო აფერი მოდის  
აქ სიმინდიცა ლობიოცა ლომიცა თავსაყრელად ხარობს. ძალიან  
მიწაა. შემდეგ ამისა ჩემო თებრონიკა აქ უნდა გავაშენო გრეიფუ-  
ტი და ფეიხოა. თლათ მაგისტანებით უნდა გავაძლო შენ შენი ბოვ-  
შებითა. კი თებრონიკა კი მალე წამოგიყვან ჩემსას სულ მალე...  
საზანდარი და სტერიი აწი დაგეჰირდება. ი მონჭობები კარგათ  
დამისუქე იმასაც თან წამოვასხამთ. აბა ჰე შენ იცი...

კეთილისმდომელი სურვილებითა

ბესარიონ მეტრეველი“.

მოულოდნელი ამბით შეწუხებული და გაკვირებული თებრონიკა  
მთელ დღეს მეზობლებში დარბოდა, მთელი სოფელი შემოიბრინა, ყვე-  
ლას ბესარიონის წერილს აკითხებდა და გულშემოყრილი ეკითხებოდა:

— ქვე გამაგებინეთ, თქვენი კვენესა არ გამეგონოს, რა ეშმაკია ი  
გრეიფუ და ფეიხუ?... გადამერია ჩემი ბესარიონი, ვუი, ქი, ჩემ შავდღესა!..  
მაგრამ თებრონიკას ამის პასუხს ვერავენ ვერ აძლევდა.

### 3. რუხადი

## მ ტ კ ვ ა რ ი

ფაფარაყრილი, ვეფხის ნახტომით  
 მოჰჭროდა მტკვარი, შეენოდა სრბოლა;  
 ვინ იყო, აბა, მის წინ დამხდომი  
 და ვის შეეძლო იმასთან ბრძოლა!  
 მოაგორებდა ტალღებს ქუხილით,  
 სთხრიდა მიდამოს, ჭაფში მარხავდა.  
 წარბს ვერ უხრიდა ქვეყნის წუხილი,  
 როცა ნაპირებს გადმოლახავდა.  
 ბევრჯერ უნახავთ ჩვენს ცხელ ზაფხულებს  
 დაუზოგავი მისი თარეში:  
 მოჰხვეტდა ხალხის ნაჭირნახულევს,  
 მიაჭანებდა შორს, ზღვის არეში...

მაგრამ მოვიდა ფოლადის რიტმით  
 აედრებულნი დრო და შეგნება:  
 აცეკვდა ფიქრი, ვით შოთას რითმა,  
 და გაიშალა ფერად გეგმებად.  
 სიტყვამ ხმალივით გაჰკვეთა სივრცე:  
 — შეჯავშნეთ შმაგი, დაუძლეველი;  
 ამან ქვეყანას მზე უნდა მისცეს  
 და ენერგია დაუღვეველი!”

გაცოფდა მტკვარი — ეს მით ყაჩაღი,  
 მჭრელი თვალებით რისხვა მოკვეცა  
 და ნაპირს ზვირთნი ისე აჯახა,  
 რომ პიტალო კლდე წელში მოკვეცა.  
 უეცრად გაჩნდა ტექნიკით შრომაც —  
 და შეიტაკნენ ვეფხი და ლომი...  
 მტკვრის თავგანწირვის არ ჰქონდა ზომა,  
 მაგრამ დამარცხდა: წააგო ომი.

და იმ წამიდან დანებდა ისიც  
 საბჭოთა ქვეყნის მტკიცე განაჩენს



და სცილობს ახლა, ღამით თუ დღისით,  
რომ წითელ დაფის გარეთ არ დარჩეს.  
შეუსვამს მხარზე რკინის მხედარი  
ხელში ჩირაღდნით, მოპჭრის ზღვაურით  
და მოაქანებს, დაუდევარი,  
ჩქერით, გრილით, აურზაურით...

ახლა ქვეყანას ემსახურება,  
ზიდავს ეპოქის მაღალ სიმძიმეს:  
ვის არ მოზიბლავს მისი ყურება,  
როცა ვარსკვლავებს ააციმციმებს;  
როს რბის ძარღვებში სიჩქარით ქართა  
და ამოძრავებს ფოლადის კუნთებს;  
როცა გუგუნებს ღუმელის კართან  
და უმხურვალეს გენიას უნთებს;  
ან ფანტელივით რომ მიაქანებს  
ეჭპრესს სურამის უღელტეხილით  
და საზეიმოდ მორთულ ბაქანებს  
შემოვლებია ფერად გრეხილად!





# მთვარის მობაცობა

## XXVIII. სანტიმენტალური მოგზაურობა \*)

(კოლხეთის ველიდან ქართლის ზეგანამდის)

„Hereux celui, qui se souvient avec plaisir de ses peres, qui antre tient avec joie l'etranger de leurs actions, de leur grandeur, et qui goûte une satisfaction secrète a se voire le derniere anneau d'une belle chaine“.

გოეტე. იფიგენია.

„Jou make yourself unhappy“...

ლოურენს სტერნ. „სენტიმენტალური მოგზაურობა“.

სწრაფი მატარებელი დილის 7 საათზე ვადიოდა ზუგდიდიდან ოჩამჩირისაკენ. ჩვენი გმირების მგზავრობას მშვენიერი ამინდიც დაესწრო. ამიტომაც დათანხმდა თამარი ზღვით წასვლას.

„დავინავსეთ!“ ზუმრობით შესჩივლა თამარმა კაროლინას.

ეს შარდინ აშლიბაია შეეხებათ დილა აღრიან. შარდინს თეთრი ბუკეტი ეჭირა ხელში და საერთაშორისო ვაგონის დერეფანში დაბოროილებდა.

შარდინმა თავდაპირველად ისეთი პოზა მიიღო, თითქოს ვერ ამჩნევსო მათ. ფანჯარასთან იდგა და ვილაცას ელოდებოდა.

განსაკუთრებით თამარს არ ეპრიანა. არ უნდოდა მისი მგზავრობა თარაშთან ერთად დაბაში გახშიანებულყო.

შარდინს ყვავისფერი ჟილეტი ეცვა, კუმბოკრულად დახაზული შარვალი, ტფილისის ამერიკულ ბაზარზე ნაყიდი.

შარვალი გრძელტოტიანი სჩანდა, მაგრამ შინც ჩაეტანებინა ყვითელ კრავებში.

თავზე პლანტატორის ქუდი ეხურა და ამგვარად მორთულ კავალერს, ოპერეტულ იერს აძლევდა თეთრი გიორგინების ბუკეტი. გიორგინები ახლად მოწყვეტილნი იყვნენ.

ქალებს თვალი დარჩათ ზედ.

„აღბად ეჭიმი კილოსანიას ცოლი შინავალა ტფილისს.“

უჩურჩულა თამარს კაროლინამ.

განა მარტო თამარმა და კაროლინამ!

მთელმა დაბამ იცოდა ეს ამბავი.

\*) იხ. „მნათობი“ № 1.

როცა მადამ კილასონია ქალაქს მიდიოდა, შარდინი უფროსი მიგლინებას გაიკრავდა, ყვაველებით, ხილით და საუზმით დატვირთული ეახლებოდა თავის გულის დედოფალს.

მატარებლის წასვლამდის 5 წუთი ღა უკლდა.

კუპეს კარი ღია იყო, ქალები ამჩნევდნენ, თუ როგორ აღელვებულად არბოდა შარდინ ალშიბაია.

მატარებელი დაიძრა. აქოშინებულმა შარდინმა ძლივს შეასწრო ვაგონში. შარდინსაც შემჩნეული ჰქონდა: თამარის, თარაშისა და კაროლინას აქ ყოფნა.

მიხვდა: მიუსვლელობა რომ არ ივარგებდა. კაროლინა დაუნდობელად დაგესლავდა, ამიტომაც შეუერთდა მეზობელ კუპეში მყოფთ.

„დავილუპე, ეუბნება შარდინი თარაშს, ჩვენი სკოლის გეგმები უნდა მოეტანა საქმეთა მმართველს, დააგვიანდა“.

თარაშმა თანაგრძნობით შეხედა. კაროლინა ძლივს იკავებდა სიცილს. მიხვდა: თუ რა გეგმები ჩაეშალა ალშიბაიას. შარდინი თავის კუპეში გაიჭრა და გეორგინები შემოუბრუნინა ქალებს.

მატარებელი ენგურის ხიდზე გადადიოდა. გააფრთხილებული ენგური ეხეთქებოდა ბურჯებს.

თარაშ ფანჯარასთან იჯდა.

სათანჯოს ციხეს შესცქეროდა მდუმარად.

შარდინმა ველარ იტანა ქალების დუმილი.

— „იციო, ეუბნება იგი, ეს სათანჯო იტალიური სანტ ანჯელოს ციხე რომ არის?“

„ჰო, ვენეციელების მიერ აშენებული არისო გამოგონია“.

დაუმოწმა კაროლინამ.

მიჰქროდნენ ალგები, ჰადრები მუხნარები, პალმის ტევრები, ისლიანი და ლელიანი ჰაობები.

\* კამეჩების ლეგეონები იწვნენ წუმპეში. ზანტად იგრებდნენ კისერს და კეთილი მზერით აცილებდნენ მატარებელს.

„ეს პირველი საერთაშორისო ვაგონი მიდის ტფილისიდან ოჩამჩირეს, ამბობს ისევ ალშიბაია და ცივილიზაციის ხობტას მოჰყვება.“

ქალები სდუმდნენ, თარაში ფანჯრიდან ვასცქეროდა გაშლილ ველს. შარდინ ალშიბაია ადგა. ქალებმა უცნებელი ჭორები უამბეს თარაშს, შარდინისა და მადამ კილასონიას რომანის გამო დაბაში დარჩეული.

კიდევ ერთი ახალი ჭორი უნდა ეთქვა კაროლინას, მაგრამ ავტომატიური კარი გაიღო, კონიაკის და ბენედიქტინის ბოთლებით დატვირთულმა შარდინმა შემოაყო თავი. ვაგონის მხლებელს შემწვარი ღედალი, ხაჭაპურები და ხილი მოჰქონდა.

შარდინმა სუფრა გაშალა. ცალყბა ხუმრობით თავათვე იკისრა თამალობა. მორიგეობით ადღეგრძელა თანადამსწრენი, მერმე ფრიად პატრიო-





შემდეგ ამისა, კოლხეთის მეფეს ეიტს დაუმოწმაო ორატორმა თურმე: როცა უცხოელები ოქროსსაწმისიან ვერძს მოიტაცებენ, შენ თავს მოიკლავო უთუოდ.

„არა?“

თარაში ისევ დაემოწმა და აღშობაიამ ისევ განაგრძო:

და ბრძანა მეფე ეიტმა თურმე: უცხოელები მთელს კოლხეთში ამოვწყვიტათ. მაშინ ბერძნებმა მშვენიერი ლეგენდები შეთხზესო: კოლხეთის მეფეს არეას საკურთხეველთან ცეცხლის მტრქვეველი ხარები მიუბამსო, ხოლო ოქროს საწმისიან ვერძს გველეშაბი ინახავსო.

„არა?“

აქაც დაეთანხმა თარაში ალკოპოლის აღმურმოდებულ შარდინ აღშობაიას. და ისევ დადუმდა.

შარდინმა იგრძნო გული ერეოდა, შეწამოიჭრა და დერეფანში გავიდა წამსვე.

კაროლინა ფანჯარასთან იჯდა და სდუმდა.

თამარი დერეფანში იყო გასული.

„რატომ მოიწყინეთ ფრაუ?“

ეკითხება თარაში.

„დიდი ხანია ექსპრესსში არა ვმჯდარეარ. ჩემი ქალწულობის დრო მომაგონდა.

თქვენ ეს არ განგიცდიათ. ღამე ბნელ ოთახში წევხართ, მატარებლის კივილს შემოიტანს ქარი. გული აგიჩქოლდება. მოგინდება: გაჰყვე იმ მატარებელს ბნელეთის კიდემდის.

კაროლინა დადუმდა, გეორგინებს ფურცლები წააცალა.

დაწეწა-

დაწეწა

ბეშვი აიესო და ფანჯრიდან გადაჰყარა.

თარაშმა ფანჯრიდან გაიხედა. ოჩამჩირის შოსსეზე რამოდენიმე გზის სატყეპნი როლლერი გუზგუზებდა.

„კოლხეთის ველებსაც შემოესიენ თუჯის და რკინის ბეგემოტები. მანქანები იერიშით მოდიან ამ მხარეზედაც. შავი ზღვის რკინის გზა ზღულ მალე შეუცვლის სახეს ოდიშს და აფხაზეთს. ამ ქაობებს დააშრობენ, ამ ბზის ტყეებს გასჩეხენ. გზა-ტყეცილები, რკინის გზები და ავტოები დაფრთხობენ ამ ტყეებში მიმალულ ნადირს. შეირყევა და შეიცვლება ჩვენი ხალხის ზნეჩვეულებაც და მანქანების ნასუნთქი დაამუქებს კოლხეთის ლავეარდოვან ცას“.

• •

იმ ხანად შავი ზღვის რკინის გზა მარტო ოჩამჩირეს სწევდებოდა. ამიტომაც ჩვენი გმირები ავტოში გადაჯდნენ.

შარდინი წამსვე იქ გაჩნდა. შოფერთან მოთავსდა. (დახვეწეთ შარდინს, იგი ნელნელა ითვისებს დიდკატურ ზნეს!)

კაროლინას ეს ამბავი გაეხარდა.

ახლოს რომ მომჯდომოდა თავს წამქამდაო ლაყბობით.

ეს გზატკეცილი ზღვის კიდეს უახლოვდება ალაგალაგ.

მხარმარჯვნივ, დაბალ სერებზე ოდიშური ოდებია გამწკრივებულ-მხარმარცხნივ ზღვა მოსჩანს პირველჯეჯილის ფერისა. ნარიჯის ბალები და ველური ციტრუსოვანი ხეები, მაგნოლია, დაფნა მარადეამულ მწვანით ამკობენ ხმელს. თეთრად ნაგვირისტევი ტალღები ელამუნებიან ამ მშვენიერ ნაპირს.

ჩრდილო პორიზონტზე მწვანე ხავერდის მთები სთვლემენ რძისფერ ნისლებით თავდახურულნი.

მისრიალებენ ალგები, მაგნოლიები, დაფნის, ნარიჯის ბალები.

ზანტი ტატიტ მოდიან კამეჩის ურმები, კრიალა, შვე თვალებს უბრი-ალეებენ ლაფში გათხუნულ აეტოს.

აფხაზი ცხენოსნები შემოხვდათ.

ვაეები წინ მიუძღოდენ ცხენოსან ქალებს.

„ეს ჭორწილში მიმავალი აფხაზებია“.

(შარდინ ალშიბაია ამბობს).

ცხენოსნებმა მთისკენ იქციეს პირი, სოფლის შარაზე გაივაცეს, დამბა-ჩების სროლით მიაშურეს კორტოხზე მდგარ ოდას.

წითელყვითელით მორთული ქალები კიბეზე ჩამოდიან.

ლანდშაფტი შეიცვალა უცებ, ზღვის ფონზე გამოჩნდა მარტოხელა გემი.

გველვეშაპსავით დაკლაკნილი კვამლი მიემართება ცისკენ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, უშველებელი ბავირით ჰკიდიან ეს ცისფერი გე-მი, ნაპენტი ღრუბლებით მოგებულ ცაზე.

თამარი გატრუნული იჯდა. თარაშს წელზე შემოეჭდო ხელი, რადგან მანქანა არყევდა თამარს.

გემის დანახვაზე შიშს გამოსთქვამდა:

ვაა თუ დამარყოსო ზღვამ.

თამარი გამოტყდა: აროდეს ემჯდარეარო გემში:

კაროლინა გაოცდა:

„როგორ შეიძლება ასე ახლოს სცხოვრობდე ზღვასთან და აროდეს გემგზავროს გემით“.

„მართლაც საოცარია: ჩვენს ხალხს საეცებით არა აქვს ზღვის სი-უვარული. ქართველ ტომებში ლაზებია გამოჩინებული. „მე მგონია“, — გა-ნაგრძო თარაშმა, — „საერთოდ კავკასიის ხალხებს არ უყვართ წყალი. ეს რელიგიური კულტების ზედგავლენაა ალბად. წყალში უამრავ მანე სუ-ლებს გულისხმობენ. დასავლეთში მგზავრობისას ამჩნევ ადამიანი, თუ რო-

გორ დახუნძულია ზღეების, ტბების და მდინარეების კიდები <sup>ნაბანაკე</sup> ხალხით. ხევსურსა და სენს ცხედრის გაპატიონებისას თუ დაბანაკებას.

რევოლვერის სროლის მინაგვარი გრიალი გაისმა.

უკანა  
გინაგინა

თამარი შეკრთა.

მანქანა შესდგა.

„კილასურის ციხესთან მიესულვართ“.

შოფერმა ზუფი აპხადა აეტოს. შარდინი ბავშვსავით შესცქერის მანქანის შინაგან მიღებს.

ცხოველის ნაწლავებს არა ჰგავს ეს ტიალი!?

გაიფიჭრა, მაგრამ არ გაამხილა.

მოტორი თუხთუხებდა, ნაციებსავით ცახცახებდა.

მგზავრები ძირს ჩამოვიდნენ, შოფერმა ჭვეშ სადგომზე შეაყენა მანქანა, ნაწლავისებური შლანგით ქოჭვას შეუდგა.

თარაშ ემხვარმა ქალებს ხელი გაუყარა მკლავში.

ზღვის კიდესთან იწყება ქვიტკირის უზარმაზარი კედელი. ხვლიკები დატანტალებენ სუროში.

„ამას აფხაზეთის დიდი კედელი ჰქვია, სათანჯომდის უწევდა იგი 100 კილომეტრის სიგრძეზე. ეს კილასური ყოფილა ოდესღაც საბერძნეთისა და საქართველოს საზღვარი. ვახტანგ გორგასლანმა კეისრის ასული რომ შეირთო, მზითვად მიიღო ეს მხარე“.

გაუმარტავს თარაში ქალებს.

„აქ რამდენჯერ გავვივლია მე და თამარს, არ კი ვიცოდით რა იყო. ხეროპსს ისტორია არ უყვარს. საერთოდ არსად ისე ცოტა არ იცინა წარსულის გამო, როგორც თქვენში, ამბობს კაროლინა. აქ ყოველ კლდეს წარსულის ბეჭედი ატყვია“.

ზღვა ოდნავ ირწვოდა.

ზევითების ზედაპირი მობიბინე სათიბის დარად ირხეოდა. თეთრი გვირისტების ზოლი გარს ევლებოდა უსაზღვრო სილურჯეს, მწყურვალსავით ლოკავდენ ტალღები ნაციხარის ხავსიან კედლებს.

თამარი ზღვას გასცქეროდა.

თარაშმა შეხედა სახეში: ეს პანორამა მომეტებულ სილავეარდეს აძლევდა მის თვალებს.

„აქვე ყოფილა ოქუმელი შერვაშიძეების სასახლე. აგერ, ანწლნარში მოსჩანს კიდევ იმ სასახლის ბალავერები“.

თამარმა გაიღიმა, არა უთხრა რა თარაშს.

შარდინი მოვარდა.

მანქანა გაცოცხლდა.

გაზაფხულის იერს ბადებდა ეს ზღვა, ეს ცა და სივრცეში მიმჭროლავ მავნოლიების, ნარინჯების სამარავდული კიანთი.

აქაიქ ჭადრის ხე იელვებდა მოყვითანო ფოთლების კრთობით და ეს მოოქრევილი წინწკლები აღვიძებდენ საშემოდგომო სევდის ნაქუსრევს.

უკრუნუნუნუნ  
გმგმგმგმგმგმგმ

სოხუმში ძლიერ გამოცვლილი ეჩვენა თარაშ ემზეარს.

შუადღის 12 საათზე გადიოდა ფოთისკენ გემი „საქართველო“.

თამარმა ყველაზე უმაღლ იყნოსა ზღვის მარილის უსიამო სუნია.

მეთოლიები ყიპყიპით დასტრიალებდენ პორტს. მზე ერთ წუთში გაუჩინარდა რძეზე უთეთრეს ღრუბლებში. გაუჩინარდა და ისევე გამოჩნდა. საოცარი ცხუნვარება დამყარდა მზეარეში. ჰაერი მძიმე იყო, სუყვე და დახუთული. თარაშ ემზეარს იამა პირიქით, ზღვის სუნის ყნოსვა აღრია მოაგონდა, ხმელთა შუა ზღვა, და შორეული რეისება ვისაც ზღვის სენი არა სჭირს, უთუოდ გულს აუტოკებს ზღვის სუნი და გემის შეხედვა...

ზღვის სუნი და გემის შეხედვა...

ხომ უდიდესი სიხარულის აღმძვრელია გემი?!..

იგი სულ არაფრით ჰგავს სხვა რამ ეკიპაჟს.

გემის დანახვისას ალბად ქალაღის ნაღი მოაგონდება ყოველ კაცს, თავგასართობად ჩაგდებული წყლის ნაგუბარში.

ალბად ასეთი ბალღური სურვილი თუ მოსვლია პირველ ნაოსანს. ბავშვური სურვილი და თავხედობა...

ამას ფიქრობდა თარაშ ემზეარ.

დარღობდა იღუმალ: სულ ორიოდ საათის გზა წინ რომ ედო გემით სავალი. (და გემით მგზავრობისას მას ფრიად უყვარდა ზღვის კობოების ჭამა, პილპილიანი კონიაკი და ოღისევის ხმამაღლა კითხვა).

როგორც კი სოხუმს ვასცილდა გემი, მყისვე შეიცვალა ჰაერი. თალხი შეერია ღრუბლებს, აფხაზური ტალახისფერი.

და ცა?

ცა ისეთი გახდა, როგორც ნაწვიმარი წყალი, კოლხურ ნიადაგიდან ამონაქონი.

მწვანე.

მთლად მწვანე.

უფრო მეტი: ვასაკას ფერი.

და მერმე დაინგრა დასაველეთისკენ დაყორებულ ღრუბლების ბასტიონი.

წვიმის მუქარა მოიტანა სუბუქმა ბორიომ.

და წამოვიღნენ დასტადასტად შევლევო ღრუბლები...

გადაეფოფრნენ ვასაკის ფერ ზეცის მუზარადს.

თარაშ ემზვარ ბაქანზე იდგა.

ბაღღებრ ალტაცებული შესკეროდა ზღვის ფერთათამაშს.

გემის მარჯვლად მოდიოდნენ ზღვის დელფინები. ჩაჩაჩენ უწყვეტად იელეებოდა მთლად სისხლისფერი. გემი გუზგუზით შექრობდა თავის ნაველზე რძისფერ შარას უკან სტოვებდა ნაურმალის მისამგვანებელს. იმატა თვალწინ ზღვის სარკის რწევამ (ბერძენ ავტორებს თავის დროზე ჩაუწერიათ, რა მუხანათი ზღვა ყოფილა პონტოს ევქსინოს!).

საწყალობლად აკრიალდნენ გემის ანძები.

ძლიერ უყვარდა თარაშ ემზვარს ეს მოულოდნელი ზღვისა წახდომა. პოსეიდონი დაიძრება კვესკნელეთიდან... გაროზგავს ზღვას და შეიქმნება სტების მინაგვარ ტრიალ მელ ფონზე და აბობოქრებულ ტალღების დოლი.

გოგვით და როკვით წამოვლენ ზვირთნი და აზვავდებიან.

აზღვავდებიან...

და შერძე მთები საძირკელიდან ამოგდებულნი გემის ბაქანზე გამარ-თავენ ნამდვილ ოთურმას.

ასე დაიწყო იმ დილასაც შავი ზღვის ლელვა.

თარაშს სახეზე ესმებოდა ტალღის ნაშხეფი.

გრძნობდა: ნელნელა სველდებოდა ტანისამოსი.

იდგა და თვალში შეჰყურებდა ზღვას „უმიზეზოდ“ გაგულისებულს. შარდინ აღშობაიამ ამოჰყო თავი. იგი ქათმის კუქსავით ვალურჯე-ბულოყო.

პლანტატორის ქუდი განზე მოქცეოდა. მოტვლებილ თავზე წამოკუ-სული.

თამარი ავად გახდაო?



კაიუტაში მიბრუნებულ თარაშ ემზვარს ასეთი სურათი დაუხვდა.

თამარი პირქვე იწვა. კენესოდა. თათია სტიროდა. კაროლინა ზედ გადაფოფრებოდა.

გაქარჩულ სახლსავით კაკუნებდა მთელი კაიუტა.

ლუზის ჯაპკვის უნიდაგო რაზრახი ისმოდა სარკმლიდან. რაკრაკებდა კედელზე მიკრული გრაფინი.

ტოკავდა კაიუტის შუაგულში მდგარი მაგიდა. თაროებიდან ძირს სცვივოდნენ ჩემოდნები და ქუდები...

თარაშმა კაიუტის სარკმელი მაგრად გადაარაზა, რადგან წყალი შე-მოესხა ტალღას.

თარაში გულშემოყრილი დაბორილებდა.

ხან თამარს ასუნთქებდა პიტნის წვეს. ხან პატარა თათიას დაჰხე-დავდა. კაროლინას შეეხმინებოდა. თათია ისე ტრაგიულად განიცდიდა ზღვის რწევას, როგორც მიწისძვრას მოზრდილი.

პანიურად გაგანიერებოდა თვალის უბეები. სტიროდა, ჩელფებს ასხმარტალეზდა.

თარაშ ემხვარ კაიუტიდან გავიდა. დერეფანში მთერეფე, კაფედენ ალ-შიბაია წაქცეულიყო. მის მიერვე ნარწყევში გორავეფე, აქიფეთურის ქუდი.

ფოთამდე ორიოდ ინგლისური მილი უკლდათ, როცა დღევა ჩადგა. მზემ გამოიჭერიტა, დაფლეთილ ღრულების თექამოსხმულმა.

თარაშმა ქალები ბაქანზე ამოიყვანა.

ჩრდილოეთისკენ ხელს იშვერს თარაში.

„ეგერ ესკავატორებს ხომ ხედავთ, ისინი ნაბადას წყალს აფართოვებენ. რიონი იქ უნდა გადაადგონ. ნარიონალში ზღვას შეუშვებენ. ფოთის გარშემო შავ ზოლებს ხომ ხედავთ, ეს სულ ღისია. გაუვალი თხემლის ტყეები.“

ლაქაში.

გაუვალი ჭონჭყო და კოლოების მეტროპოლია“.

ლალუმების გრიალი ისმოდა.

თათია ცახცახებდა წამდაუწუმ.

„იქ რამდენიმე ათეული ათასი პეტტარი ლაქაშს, კაობსა და ხაიას უქირავს.“

ბევრჯერ მინადირნია იმ ქაობებში.

მალტის და მაროკოს ქაობები მონაგონია მათთან. აქ არის კოლხეთის ქაობების სათავე. ამას წინად ე მანდ შავი ტყე რომ მოსჩანს ზღვის პირად. შვიდი კაცი ენადირობდით. დილის 10 საათზე ამოვარდა ზღვაური. ის ზღვაში შეჭრილი ნიადაგი ტორფიანია — ტყის ნიადაგს ქვემოდ წყალია, ზღვის წყალი, კეფალები და ზუთხები დაცურავენ და ზევით ჩვენ ენადირობთ შეელზე. ორ საათში მთელი ფოთი და მისი სანახები დაფარა წყალმა, შემდეგ იმ ტყესაც ირგვლივ შემოადგა. ენით უთქმელი ამბავი გადაგვხდა. ამ თხემლნარებში დღესაც ათასობით იპოვნით შველებს. წყლისაგან დაშინებული მშველის ჯოგი ე მანდ კორტოხზე მოგროვილიყო.

ერთი თეთრი შველი ერია მათ შორის.

„განა შველი თეთრი იქნება?“

შეეკითხა კაროლინა.

ეს უნიკუმია ბუნებაში. მაგრამ ერთი თეთრი იყო. ბამბასავით თეთრი. მე არასოდეს დამავეიწყდება თუ როგორ მომეხუტა კისერზე ეს მშვენიერი ცხოველი. ამაზე ლამაში არაფერი მჭერია ხელში.

ღმერთო, როგორ ცახცახებდა!..

მიწაზე არასოდეს მინახავს მასზე უფრო კეთილშობილი ცხოველი. და მისი თვალები... თავათ სათნოება იყო, ხორცშესხმული სათნოება.

„მერმე არა გრცხვენიათ, ასეთ ცხოველს თოფს რომ ესკროთ?“ ეუბნება თარაშს თამარი.

„იმ დღიდან მე არც კი მინადირნია შველზე. ახლა, ამდენ ხანს დიდი იკითხეთ? ბალსავეთ სტირის ბედშია. ცრემლებს ღვინს...“

„ამ ქაობებს ახლა ყოველი მხრიდან მოსდგომიან ესკავატორები. მრავალი ათასი კაცი ებრძვის მათ. კანალებით დასერილია ის ლაქაშების ველები.“

„ამ ქაობებს დააშრობენ და გაუვალ ტყეებს დასჩეხენ. და ამოწყდება შვლის ჯოგები მანდ ბინადარი“.

\*\*\*

ფოთში მზე პირს იბანდა. მზიანი იყო, მინც სწვიმდა.

„აქაური წვიმები ძლიერ წააგავს ინდოეთის სეზონურ წვიმებს. ჰაერიც როგორ დახშულია, მდორე და მსუყე. ნამდვილი სუბტროპიკაა“. ამბობს თარაში.

ეტლი უილაჯოდ მიჩაქჩაქებს პროსპექტზე.

„ამ პალმების დარი პალმები მალაკაში იცის, მხოლოდ მალაკაში. წყლის ნაგუბარს დახედეთ. მთლად მალაქიტის ფერია, ხელიკის ფერზე უფრო მომწვანო, თამარის თვალების ფერისა“.

თამარმა თარაშს შეხედა, გაიცინა.

„არა თამარის თვალები უფრო მოლურჯოა, მაგრამ არც ისე მრუმე ლურჯი“.

შარდინ აღშობაია ველარ ეტეოდა ეტლში, ახლად დარგულ ნარინჯებისა და გრეიფუტების ბაღნარებისკენ იცქირებოდა. აფსუსი არაა, ასეთ ქვეყანაში თხემლას, სიმიდს და ანწლს რომ ეკავოს მთელი ფართობი.

„ვერ ეზოში ტიულპანის ხეები დაურგავთ, იტალიური ლეღვი, ეპიპაპონური მუშალა, გუტაპერჩის ხე, ამერიკული აგავა“.

ეტლი ლაყლაყებდა... კაროლინა იცინოდა...

„ევეალიტი... ქონის ხე... ქინაქინა... ქინაქინა...“

მარიონეტსავეთ ხტოდა ეტლში შარდინ აღშობაია.

თამარიც ვერ იკავებდა სიცილს, რადგან შარდ... აღშობაიას ჯერაც ვერ შეენიშნა: პლანტატორის ქუდი როგორ გაზიხთულიყო — ნარწყვეისაგან.

„ქალებო, თუ გშიათ იმ რესტორანთან გავაჩერებ ეტლს“. სთქვა თარაშმა.

„მე ჯერაც არ გადამსვლია გულისრევა. ჩემს დღეში გემში არ ჩაივლიბი“. მოიგო თამარმა.

თარაშმა გაუღიმა. თამარის მუხლები მისას ეხუტებოდა.

ეტლი რახრახით მიდიოდა ოღროზოღრო ჭეაფენილზე და მათი მუხლები უფრო მჭიდროდ ეკვროდნენ ურთიერთს. თარაშმა მისი მუხლები შეეტლეს უბრძანა: სადგურისაკენ წადიო. მისი მუხლები

ახალ ნაწვიმარზე უსიამო ოშხივარი აყოლოდა ამ ფანტასტიურ ევგეტაციას. ორთქლის აბანოს სუნი იდგა გარშემო. დამპალი ციების, დამპალი წყლისა და ობის სუნი... უნებლიედ თვალს ხვდება სახლების კედლებზე მოდებული მომწვანო ხავსი. ცვილონში ამ სუნის გასაქარებლად საკმეველის ხეებს-სწვავენო ჭურბებზე. შენიშნა თარაშმა.

თარაშს თვალი რჩებოდა დარგულ მარაოს პალმებისკენ, ნარინჯის ბაღებს. გასცქეროდა იგი სიამით. ნაყოფით დაბუნძული ტოტები საცოდავად გადრეკილიყენენ, ნადრევად დაორსულებულ ქალწულებს ჰგვანდნენ ისინი დარცხენილთა და წელში გაზნეკილთ.

„კოლხიდმშენის“ საცდელ სადგურთან გაიარა ეტლი. შარდინ აღშობაია ისევე ხტოდა: — „სელი სელი... რამი... რამი... ეკვალიპტი... გრეიფრუტი, გრეიფრუტი“.

„ამ მინდორზე ბურთს ვთამაშობდით ამ ოცი წლის წინად ცოლიანები და უტოლონი, პირველმაისობას“.

იგონებს შარდინი.

„შარდინს თავისი წლოვანება გაამელავნებინა საცდელმა სადგურმა“. წასჩურჩულა კაროლინამ თარაშს ინგლისურად.

თარაშს და შარდინს უნდოდათ: ეტლი გაეჩერებინათ და ახლადდარგულ სანერგესათვის თვალი გადაეცლოთ. მაგრამ, კაროლინა შეეყოყმანდა: ეამ თუ კოლომ უკბინოსო თათიას.

ნატრობდა: მალე ვავეცალოთ „კოლოების სატახტო ქალაქს“.

შარდინ აღშობაია არწმუნებდა: კოლოს ბატონობას ბოლო მოელოვო. უკვე პალიასტომის ტბისკენ მიიმწყვდიესო ეს „სისხლისმსმელი მზეცი“, მაგრამ კაროლინა უარზე იყო. ასეთ ქალაქში მოსკიტოს ბადეებით შეიარაღებული უნდა დადიოდესო ხალხი.

განსაკუთრებით თათიას გამო ეშინოდა კაროლინას. მატარებელში რომ ჩასხდნენ, თათია ძლიერ გაჭირვებულდა. ფანჯრიდან გამომახედეთო, ევედრებოდა დედას, მაგრამ სანამდის ფოთს არ გასცდა მატარებელი, ვაგონის ფანჯარა არავის გაუღია.

შარდინი სადღაც გადაიკარგა. ნამთვრალევე შეადა მოსვლოდა. ამიტომაც არ სცილდებოდა ვაგონ-რესტორანს იგი.

მატარებელმა ტეხური გადაიარა. ნეტავ ძველ ბერძნულ ტე ხორაიდან თუ არის ეს სახელი? ფიქრობდა თარაში. მდინარე გადასულიყო.

აბაშის რკინის ბურჯებს მდგრად ებრძოდა წყალი.

„აჭაურა მდინარეები უეცრად აწვავდებიან ხოლმე, ამბობს თარაში. როცა არაბთა მთავარსარდალი მურმან ყრუ გადასულა აბაშაზე, რამოდენიმე ათასი კაცი დახრჩობია წყალში“.



ეუბნება თარაში კაროლინას.

თამარი აღდა, კუბედახ გავიდა.

თარაშმა ამ მგზავრობის დროს შეამჩნია: თამარს არ უნახავს თარაში ინგლისურად, ან ფრანგულად შეესიტყვებოდნენ. საერთოდ მას ამ ხნის განმავლობაში განზე ექირა თავი.

„შარდანი ისევ მთვრალია, აქ შემოპირიდა, კონდუქტორმა დაითხოვა. რბილი ვაგონის ბილეთიც ვერ უშოვნია, კარგია, გზაში მაინც მოგვასვენებს“.

იცინოდა თამარი.

თარაშმა შეამჩნია, რალაც უთქმელი დარდის ჩრდილი მიჰყვებოდა მის სახეს. თარაში თამარის გვერდით იდგა, ფანჯრიდან გასცქეროდა ეწერებს, თხემლნარებს, რიკულებიან მეგრულ ოდებს, ბოსტნებს, ბაღებს და ხვადებუნებს. მატარებელი ირყეოდა და თამარის მხარი მისას ეხებოდა და ამ უცარი შემოხლისაგან ღელავდა ვაგი. თარაშს შემჩნეული ჰქონდა: გემში და მატარებელში იგი განსაკუთრებით მძლავრად განიცდიდა სქესობრივ აღტყინებას.

წამდაუწუმ თვალს მოსწყვეტდა ლანდშაფტს, მზერადქცეულ თამარს თავკისერზე თვალს შეავლებდა და უცნაური გულისტკივილი ხდებოდა საცნაურ.

თამარი ტფილისს მიდიოდა. მიდიოდა და მისთვის დაიკარგებოდა სამუდამამოდ. და ამ წუთში მისგან მიმავალი თამარი ისე საყვარელი იყო და ძვირფასი...

სწუხდა: კაროლინა ტფილისს არ წამოსულიყო ნეტავი.

თამარისაგან მხარმარცხნივ მდგარმა მარჯვენა მხარზე დაადო ხელი. ელოდა: თამარი ჩვეულებრივად მოიცილებდა მის ხელს. თამარი თითქოს ვერ ამჩნევდა ამას და როცა მატარებელი უფრო ძლიერად ატოკდა, თამარმა ეს შენიშნა: მათი სხეულები მკვრივად ეხებოდნენ ურთიერთს.

კუბედან კაროლინა გამოვიდა, გვერდით ჩაუარა, კონდუქტორს დაუძახა და კუბეს კარი გაიხურა.

თამარმა ნაზად წაავლო ხელი თარაშის ხელს და მხარი გაინთავისუფლა. თარაში მაინც ეკვრებოდა მხარზე მხრით. მცირე ხანს უსაზომო რამეს უამბობდა და ენებისაგან ისე აღრეულიყო, თავათაც გრძობდა: ენა უბორძიკებდა, გრამატიული ლაფსუსებიც მოსდიოდა ენაარეულს“.

ხუმრობით, ლაღობით უთხრობდა არგონაუტების კოლხეთში მოსვლის მითს, იაზონის მიერ მედეას მოტაცების ამბავს.

თამარს არა ერთხელ გაუვლია ამ გზაზე, მაგრამ აროდეს დაფიქრებულამ ამ ამბების გამო. ნაუბარმა ფრიად გაიტაცა იგი.

არც კი შეუმჩნევია: თარაშ ემხვარს წელზე მოეხვია მისთვის ხელი. მგზავრები ღერეფანში მიმოდიოდნენ. თამარმა ხელახლა წაავლო თარაშის მაჯას ხელი და ისევ ჩამოიცილა. მატარებელს რომელიღაც სადგურზე შეჩერდა.

„სიმიდი, კუინტი სიმიდი“. ყვიროდნენ ფეხშიშველა ბიჭები

„მაყვალი, მაყვალი“ ისმოდა ქალური წერილი ხმა. უკრქუნული

გრძელ წამწამიანი ბიჭუნა იდგა საერთაშორისო ფეხშიშველი ფეხებისაგან მოქოვილი ბუდე ეკირა ხელში მაყვლით საესე. სწორი და გრძელი ფეხები ჰქონდა ამ ბიჭუკელას ეკლებისაგან მთლად დაკარგული. თავზე ტილის ქუდი ეხურა. სიმეტრიულ, რომაულ ცხვირზე სურსულე მოსდებოდა.

იდგა ტანწუობილი და პირმშვენიერი, მაყვალი, მაყვალიო იძახოდა მოკრძალებულად. თარაშმა მანეთიანი გადაუწოდა, თუმცა არც თამარს და არც მას მაყვალი არ მონდომებიათ.

ვაემა მაყვალი მიაწოდა.

ახლა თარაშს მისი შებლის დანახვა მოუნდა.

„აბა ერთი მოიხადე მაგ ტილის ქუდი“ შეევედრა იგი მაყვალის გამყიდველს. ბიჭუნას სიწითლის აღმური მოედო დაწვებზე. აენტო და პასუხი არ გასცა. ღველფსავით ბზინავდნენ წაბლისფერი თვალები.

მატარებელი დაიძრა და თარაშმა იდროვა, სამმანეთიანი გადაუგდო. ბიჭი აიშღვრა. ვერ გაეგო: ზედმეტი ფული რად გადაუგდეს მას?

იდგა და დასჩერებოდა ფულს.

„ქუდი რომ მოეხადა უთუოდ არ მისცემდი. არა?“

შეესიტყვა თამარი თარაშს.

თარაშმა გაუღიმა. თვალებით ამცნო, არ მიეცემიო.

„სიმიდი, სიმიდი, ყურძენი, ყურძენი“...

„სიმიდი, სიმიდი, ყვიროდნენ ბალები, ცივილით მისდევდნენ მატარებელს.

კაროლინას მიეხედოთო ჩაილაპარაკა თარაშმა, მაგრამ თამარმა ყური არ ათხოვა. იგი გულმოდგინედ უჭკვრეტდა ლანდშაფტს.

მატარებელი აჯამეთის ტყეში შედიოდა.

მზერაში სთვლემდა შეყვითლებული მუნხარი.

ვაგონის მხლებელმა გაიარა. თარაშმა ხმადაბლა უთხრა: ჩემი კუბუკ გააღეო. თამარს მკლავში წააგლო ხელი და საერთაშორისო ვაგონის კუბეში შეიყვანა.

თამარი გულჩათხრობილი იყო, გულზვიადი ამპარტაენობა ჯერაც არ მოეშალა. იგი პირველად ხედავდა საერთაშორისო ვაგონის კომფორტ-ტაბლურ კუბეს. თამარს სულწასულად უყვარდა კომფორტი. თვალგამრწყინებული შესცქეროდა წითელ ხისაგან ნაგებ კარებს, ფანჯრების რაფებს, პატარა კარადას და კრიალა სარკეს კედლისას.

და სარკეები განუზომლად უყვარდა თამარს, ოცნებობდა კიდევაც იდუმალ: თუ ოდესმე გაემდიდრდი, ჩემს საწოლ ოთახს მთლიანი სარკის კედლები უნდა ექნესო წითელი ხის რაფებით დამშვენებული, ეუბნებოდა ერთხელ ძაბულის.

ბავშვსავეთ მოსწონდა ეს რბილი, ხვეწვადგადაკრული სავარძელი და სპილენძის ვარვარა რაზები და სახელურები.

კარგიაო ასეთი კუბე გქონდესო კაცს საკუთრად და შეეცანა ამნაირად მოიაროო. ეს გაიფიქრა თამარმა და არ კი გაუშნილა თაბაშა. თარაში კუბედან ვაჟიდა.

თამარი აღვა. სარკეს მიადგა. ქუდი მოიხადა. თმები გაისწორა.

მოეწონა საკუთარი თავისური. საკვოიაცი ვახსნა და პომადა წაიციხო ტუჩზე, თუმცა, თარაში მუდამ უშლიდა ტუჩებს ნუ იღებავო, ეს პარიზელი დემიონდენების მიერ მოგონილი მოდააო.

და როცა რბილ სავარძელში ჩაჯდა ისევ, ეუცხოვა რათ შემოგყვიო ვაჟს მარტოკა კუბეში და იღუმალი მღელვარების მისაჩქალავად ფანჯარა ზეასწია და აქარის ზურმუხტის მთებს შეტყაორცნა მხერა.

გამსჭვირვალე ბურუსში სთვლემდა თოვლის ზოლებით შემკული ქედი. და გადმოღმა ჯერ კიდევ მწვანითმოსილ ველებზე თვალის მომნუსხველად იხატებოდა ვენახების, ყანების კუბოკრული შონახაზები, ოქროს, ძოწის და სამარაგდის ფერები ელავდნენ უბადლო მხატვრობით შესრულებულ ლანდშაფტების რიალში.

თარაში კუბეში დაბრუნდა.

თამარმა ზეახედა.

გრძლად ეჩვენა ორიოდ წუთი თარაშის მიერ დერეფანში დაყოვნებული. კაროლინასთან ხომ არ შეუვლიაო? გაიფიქრა მაგრამ ეს უთხრა გამოსაცდელად:

„ნეტავ თათია ხომ არ ქირვეულობს?“

„როგორც სჩანს სძინავთ, კუბეს კარი დაკეტილია“.

მიუგო თარაშმა.

ისევ შესდგა მატარებელი და ისევ მოისმა ბავშვების ძახილი:

„სიმიდი, სიმიდი... ყურძენი, ყურძენი...“

და ეს ძახილი იღუმალი სიხარულით აესებდა თარაშის გულს. ამ ბავშვების პირით ხელზავიანი საქართველო გაპკივისო თავის სუბედნიერ რთველების სიჭარბეს.

და ვაგონის ფანჯრის გასწვრივ გორმახებზე შეფენილ ვენახებსა და ყანებში, ნაქორჩალს აცლიდნენ სიმიდს, ფეხშიშველა მამაკაცები სწურავდნენ ყურძენს და ქვევრების, ჩაფების კიდებს ებრძოდა ახლად დაყენებული შუშუნა მაქარი.

სულ ახლოს ხედავდნენ ისინი ოდების ჩუქურთმიან აივნებს, ღრუტუნა წისქვილებს, ძველებურ ჭიშკრებს და ოჩოფებიან ნალიებს. აკილოებით დატვირთული ბავშვები დაცუნკულვდნენ სადგურების ფარდულების მიხლობლად და ისმოდა ბავშვების ხორალური ჟივილი:

„ყურძენი, ყურძენი... ყურძენი...“

თარაში სიამით უმხერდა ჭვრეტით გართულ ქალის პროფილს, აგონდებოდა რატომღაც ცხრაწლიანი თამარი. ეს იყო მხოლოდ ამ თამარს

რალაც გაუმხელელი დარდი ეტყობოდა შხერაში, თვალის და გულს გარშემო, ქცევაში, ხმაში, მხრისთავეების მონახაზებში. და სავსებით უცრად გულზე შემოაწვა სურვილი: როგორმე შეეცნო ქალს, რომელიც მისი დარდი.

და მის გონებაში იელვა საგაზეთო ქრონიკის ცნობამ: ზრახვების ამომკითხავი მოუგონიაო ვილაც მეცნიერს. ეს აპარატი ინატრა თავის გუნებაში.

და მერმე მხარზე დაადო მარცხენა. ხოლო მარჯვენათი თამარის ორივე ნაწნავი ხელში აიღო, თამარმა მოიხედა ნაღვლიანი თვალებით და ისევ ფანჯრისაკენ მიიდრიკა კისერი და მაშინ თარაშმა იდროვა და ორჯერ აკოცა მძიმედ დაგრაგნილ ნაწნავებზე.

უბიწო ქალწულის თმების ნელსურნელება შეეცნო, მერმე ხელიდან გაუშვა თმები და აკოცა კეფაზე სწორედ იმ ადგილას, სადაც ნაწნავების სათავე იყო.

თამარი უკან მოუხედავად განაგრძობდა ქვერტას. თარაშმა კიდევ აკოცა ნაწნავებს. გაოცდა: თამარი აღარც იგერიებდა აღერს. ისევ აიღო ხელში ნაწნავები, თითქოს სიმძიმეს სინჯავსო ხელით. მერმე გადაიხარა ქალისკენ და აკოცა ზედიზედ ყვრიმალში და ყურის ბიბილოზე.

ელდენსავით მოედო ერუანტელი ქალს.

მობრუნდა უცრად და პირდაპირ შეაშტერდა ვაქს, თითქოს რალაც საშინელისა და უცნაურის მოლოდინშიყო. ელექტროს შუქი მომეტებულ სიმკრთალეს აძლევდა მის სალუქ სახეს. თარაში შედრკა ოდნავად და ელენ რონსერს მიამსგავსა თამარი ამ წუთში.

„რა გინდა ჩემგან თარაშ?“ ამბობდა თამარი და ატოკდა მისი ოდნავ ამობორცვილი ზემო ბაგე.

და ამ ხმაში თარაშმა სასოწარკვეთილის მუდარა შეეცნო.

„შენი სიყვარული“. მიუგო თარაშმა შესფოთებულ ქალს.

სავსებით უძლური და გაცვეთილი ეჩვენა ეს სიტყვა და ხელი შეაშველა სიტყვას (ლოყაზე მოუცაცუნა ხელი, თმები გადაუწია ყურის ქვემოდ ჩამოწეული, მომშვილდული, ამაყი წარბები გაუსწორა...) და ხარბმხერით შებადა ტუჩის კლთხებში ნაჩრდილევსავით მიმდგარ პაწია ულვაშის ბუსუსებზე. კოცნა მოუნდა, მაგრამ თავი შეიკავა. ისევ აიღო ორივე ნაწნავი ხელში, შემოაგრაგნა მთელს თავზე ორკეცად. ორივე ხელით ექირა თამარის თავი და თვლებში შეაქაქრდა.

თამარი სდუმდა მლეღვარებისაგან გაფითრებული სავსებით, არც ერთი ვუნთი არ ტოკავდა მის სახეზე და მოაგონდა თარაშ ემზვარს რომელიღაც ინდური ღვთაება, ფერგამკრთალი, მარმარის ღმერთი თავკისერზე გველებით შეგრაგნილი. მშვიდი სახე ჰქონდა ამ წუთში თამარს, მშვიდი, მაგრამ არა სათნო.

იჯდა წელგამართული გაფითრებული განსაცდელს უცნაურს მოელინო თითქოს.

აენტო თარაშ ემზვარ ამ ამაყი ქალის ჰვრეტისას, შემოეცნო კისერზე ქალს. მაგრად ეჭირა მისი თავისერი ორივე ხელში, უკოცნიდა თვალებს, შუბლსა და ლოყებს და გახელებული ვაეი ნაწილები უთხრებს მისწვდა ტუჩისას.

და თამარმა იგრძნო ხელები უთრთოდა თარაშ ემზვარს, გაცხელებული, გრძელი ხელები... და თავათაც ცახცახებდა ქალი.

ზემოტუჩი აუტოკდა თამარს, თვალეში სისველემ იელვა.

თარაშმა სხოსოვა საყვედური არ დასცდენოდა და მაგრად მიიხუტა მისი თავისერი.

დიდხანს, დიდხანს იჯდნენ ასე მდუმარედ ორივენი. თარაში გრძნობდა თამარის ნიკაას მის მარჯვენა მხრისთავზე დაბჯენილს და მერმე შეიცნო: ყვრიმალის არეში უცნაური სისველის ჟონვა.

სინათლისაკენ მიუდრიკა თავი. სტიროდა თამარი, უმწეო ბაღღური ცრემლები მოწანწყარებდნენ ლოყებზე. სადღა იყო შერვაშიძის ქალის სიამაყე, ან მარმარისებრი სიცივე და უყარებლობა?

წელში მოდრეკილიყო ოდნავ, მშრების თავები ძირს დაშვებოდა და მთელი მისი სხეული განუსაზღვრელ სიღობოდ და სიტვოდ ეჩვენა თარაშს. მჭიდროდ მიიკრა გულმკერდზე ქალი. ჰკოცნიდა ისევ ყვრიმალში, ყურის ბიბილოებზე და ბუსუსებიან ტუჩის კუთხეებში, იქ სადაც მისი პაწია უღვაშები იწყებოდა და წყდებოდა. ენამოჩლეჭილად ეალერსებოდა, ტირილის მიზესს ეკითხებოდა, ათას საალერო სახელს უძახოდა მრავალწელს გულში ნატარებს იღუმალ.

„თათიას“; „თამოს“, „თამუნის“... „თათუშას“ და „თათუშელას“... და თავის საყვარელ ცხოველებს აღარებდა თამარს (და თარაშ ემზვარ ყოველ ძვირფას ადამიანს ცხოველებთან აღარებდა ინსტიქტიურად).

„შემიბრალეო“ ეხვეწებოდა თამარი და თანაც წინააღმდეგობაზე აელო ბელი. გულამომჯდარი სტიროდა, ცახცახებდა და ცრემლები ესკენებოდა ნიკაპის ქვემოლ.

თარაშმა ხელები შემოხვია თამარს, ხელში აიყვანა ქალი და ამ წუთში მოაგონდა ის თეთრი შველი, სიკვდილისაგან დაფეთებული რომ ცახცახებდა და თავის ჯიშის გადარჩენას ევედრებოდა უტყვი შველური თვალებით.

თარაშმა სარკესთან მიიყვანა ქალი, აკოცა სარკის წინ და მერმე ისევ სავარძელში ჩააწვინა.

მატარებელი გაჰქანდა ისევ, თითქოს განზრახ უმატაო ჭროლვას.

„ყურძენი, ყურძენი, ყურძენი...“

შემოდოდა დაბნელებულ ფანჯრიდან ბავშვების ძახილი.

ჰკოცნიდა თარაში თამარის გაცხელებულ ლოყებს და ტუჩებს.

ერთბაშად ნაეთის და მახუთის სუნი შეიციო. მიხვდა: ტონელში რომ შვეიდა მატარებელი. მარცხენა ხელი გაიწვდინა ფანჯრისკენ. თამარის გვერდით მხარმარჯვნივ მყოლარემ. ავტომატური ფანჯარა ძირს დაე-

შვა რახუნით, და მერმე გაუხსნა თამარს სანახევროდ მოღვლილი ღვიფი-  
შებედა მის თეთრსა და მკვრივ ძუძუებს. შეხედა ელექტროს შუქზე მო-  
ელვარეთ, და აკოცა ზედიზედ.

ისევ ზეასწია თარაშმა თავი, თამარის გულმკერდს შეაგლო თვალი,  
ვნება წაეკიდა კვლავ და გახელუებული მივარდა, ჰკოცნიდა, ძუძუებს, კი-  
სერს, ყვრიმალს და ბუსუსებიან კუთხეებს ტუჩისას. მაგრად იხუტებდა  
მკერდზე თამარის სალუქსა და ტფილ სხეულს. თითოდა თამარის ტანიც,  
თითქოს ერთსხეულებად გახდომა მონატრებიათო ქალსაც და ვაჟსაც, და  
საესებით მოულოდნელად ჩაჰჭრა ელექტროს სინათლე...

თავი ვადაიგდო ბალიშიდან თამარმა, მაგრამ გახელუებულმა ვაჟმა მო-  
ძებნა ტუჩები ბნელში, დააცხრა ვნებაბორეული, გააფთრებული ჰკოც-  
ნიდნენ ურთიერთს. თითქოს ემზვარის ვაჟი და შერვაშიძის ქალი საუკუ-  
ნოების მტრობას კოცნით უპირებდნენო ჩაჭრობას.

და მიმჭროლავ მატარებლის გრიალში უფცარი კივილი გაისმა, ჭვე-  
სკნელის კიდესთან მიადესო თითქოს, მერმე აისვეტა ბნელში ქალის  
ზემო ტანი, სისხლის მაძიებელ მამაკაცის მტკიცე მკლავებიდან გასბლტო-  
მას შეეცადა, მაგრამ ისევ დაენარცხა ძირს თამარის რბილი და ტფილი  
სხეული და ერთბაშად ისევ მიენდო ვაჟსაც და ორივემ შეიკნო მყისა  
ბნელეთის უბეში მიაჭროლებდა მათ ბედნიერების წრესგადამცდარი ეტლი-  
რელსების ელარუნი მოესმათ. ტონელის შუაგზის სიგნალი.

„მისოუსტ სადა ვართ ნეტავი?“

შეესიტყვა თამარი თარაშს.

თარაშმა პასუხის ნაცვლად აკოცა ტუჩებში ნაზად, დროის და სი-  
ვრცის გახსენება ეზარებოდა.

და მატარებელი მიჰჭროდა ბნელში, არგათენებას ნატრობდნენ ორი-  
ვენი გულში.

ფანჯრიდან სინათლე შემოკიადდა. თარაშმა მაჯის საათს დახედა. 1-ს  
ურვენებდა ისარი. თარაშმა მომწვანო შტორები ზეასწია.

ისეთი ზასხასა სინათლე შემოიჭრა, როგორც ქართლის ზეგანს სჩვევია  
ტაროსში.

მაღალე ფაიფურის ცა თავს წადგომოდა ჭეყანას. მყინვარი ოლანძუ-  
ლიყო თოვლიან მასტოდონტების ქეროზე. კავკასიონის ვარვარა ქედები  
ვარბოდნენ უხაზდერო სიბრკეში.

თარაშ ემზვარ იზმორებოდა ნეტარებით დამტკბარი. ასე ეგონა ახლად  
ვშობილევარო ამ ჭეყანად. ვალერსებოდა მის მზერას ამ ცის თვალშეუ-  
დგამი სილურჯე და კავკასიონის იგავიშუწვდომელი მშვენება.

ფოლადისფერი ქართლური ლანდშაფტი ელავდა სარკმელში.

ქედანისფერი,

მზისფერი,

ზღვისფერი,

ქარგაშლილი ტიტველი ქედები, (გაზაფხულზე თუ ვინმის ვინაზადს, ყორნების მიერ ზეწვევადილი კამერის ზურგი)...

და პორიზონტებზე ელაედნენ თავპირჩამოღეწილი ქვეთკირის კოშკები და ციხეები.



თამარმა ჩაქმა გაათავა. თარაში წამოდგა. ტულეტის კუბედან გამო-  
სულს სარკიან კართან შეეგება. აკოცა ახლად პირდაბანილს. რძისა და  
ლენისფერი გადაჰკვროდა თამარის სახეს. უჩინრად გამქრალიყო სახის  
მისის ფერნამკრთალობა (უკვე აღარ წახვავდა თამარი რომის სადგურზე  
მომავალ, ფერმიღებულ ელღენ რონსერს).

დამშვიდებული სახე ჰქონდა ამ დილით თამარს. იგი გუშინდელზე  
უფრო მშვენიერი ეჩვენა თარაშს. როცა თარაში სარკესთან ჰკოცნიდა  
თამარს, ქალმაც ცალი თვალით შენიშნა: ისინი დამძასავით წახვადნენ  
ურთიერთს და ამ წუთში თამარმა ისე შეხედა საკუთარ ლანდს, თითქოს  
სხვა ვინმე ყოფილიყო იგი, მეორე თამარ შერვაშიძე, რომელიც კუბეს  
კარის სარკეში იწყებდა ცხოვრებას. ეუცხოვა იგი თამარს და მზერა  
აარიდა კიდევაც.

თარაშმა ფანჯრიდან გაიხედა. მერმე გვერდს მოუჯდა თამარს. ლი-  
ლი დარჩენოდა მკერდზე შეუბნევი. მზრუნველად შეუბნია ლილი.

თამარი წამოდგა. ფანჯარასთან მივიდა.

კაროლინას მივაკითხოთო. ამბობდა. მხოლოდ ახლა გაახსენდა მას  
კაროლინა და თათია.



კაროლინას მთელი ღამე არ სძინებია. თამარისა და თარაშის „გადა-  
კარგვის“ ამბავი ძლიერ აწუხებდა. კონდუქტორი გაფრთხილებული ჰყავ-  
და თარაშს, ამიტომაც დაფარული არ გასთქვა კონდუქტორმა. მთელი მა-  
ტარებელი გაიარა, ვაგონ რესტორანშიაც შეიხედა. შორიდან აღშობაიას  
წააწყდა, არა გაუშობილა რა. ბოლოს შეურიგდა ამ აზრს: ალბად რომე-  
ლიმე სადგურზე ჩამორჩნენო მატარებელს.

როცა თამარი და თარაში კუბეში დაბრუნდნენ, მატარებელი რომელი-  
ღაც ციხესთან გაჩერდა.

ტაქტიანმა გერმანელმა ქალმა გაუჩინარების მიზეზი არა ჰკითხა არც  
ერთს. კუბედან თავი გამოჰყო და ციხეს დაუწყაო მზერა, მთაზე აღ-  
მართულს.

თამარი თათიას მიუჯდა და აღერსი დაუწყაო.

თარაშ ემხვარა ალვიარა: ეს ციხე ბუნებისა და ლანდშაფტის შეხვეების  
იშვიათი ნიმუშიაო. ასეთ მაღალ კვარცხლბეკზე თმოგვისა და მუცოს ციხე

თუ დგანან, თორემ სხვა არც ერთიო. „ასეა მთელი საქართველო“, ამბობს თარაში. „ყოველ მდინარეს ჭადრაკული წესით მოსდევს ვაიბა გამოღმა ციხეების მთელი სისტემა. მტკვარს არტანუჯამდის, კუჩუქის მთებამდე მოსდევს იგი, ენგურს მთელი სვანეთის სივრცეზე წენარამდის, არაგვს გველეთამდის, მცხეთიდან ვიდრე ფშავეის არაგვის სათავემდის, ხოლო იქიდან ქისტეთამდის მდინარე არღუნის ვალმა. ყოველ ორას მეტრზე ციხეა. როცა ქისტეთიდან მტერი დაიძრებოდა, მუცოს ციხის ერდოზე ცეცხლს აანთებდნენ, ან თოფს ვაისვროდნენ, და მეტრე ჭადრაკულად განრიგებული სიმაგრეები ლანდის უსწრაფესად სროლით ვადასცემდნენ საგანგაშო გასროლას თოფისას. დასასრულ ბებრის ციხე ამცნობდა ტფილისს“.

და მცირე პაუზის შემდეგ დასძინა: „ამგვარად მთელი თავისი ენერჯია თავდაცვას შეაღია ამ ხალხმა“.

ესა სიტყვა თარაშმა, ადგა, თათიას მიუახლოვდა. ლოყაზე მოუტაცუნა ხელი. კაროლინამ შეზება თვალებში თარაშს და ამ მზერაში უძინარი და უსიამო ღამის ჩვენება განმიანდა უეცრად.

„Wenn sie erwachsen wäre, würde ich sie hütten vor Ihrer Liebko-  
sung“).

„Warum denn gnädige Frau?\*\*)“

„Weil sie durch die Zivilisation verseucht sind\*\*\*).“

„Ach was?.. obschon... mag sein\*\*\*\*).“

თამარი მიხვდა, კაროლინას ნათქვამის არაკს. არ იბა ეს ყოველივე ადგა და კუბედან გავიდა, ხოლო კაროლინამ განაგრძო:

„Dies arme Mädchen tut mir wirklich leid. Sie sind ein goflöser Mensch, Herr Emchwari. Sie quälen sie unmenschlich... Ich bin überzeugt sie wird zuletzt zu grunde gerichtet. Sie haben neulich sich selber verraten in dem Sie sagten eine jede Schönheit zugrunde gerichtet werden müsse“...\*\*\*\*\*)

„Zugrunde gerichtet, damit sie neu erschaffen werden könnte. Das ist dus unvergängliche Gesetz des Lebens unde des Todes“\*\*\*\*\*).

კაროლინამ ხელში აიყვანა თათია. ლოყაზე აკოცა და ფანჯრიდან გამოაბედა.

\*) იგი მოზრდილი რომ იყვის, უფროდ მოვარიდებდი თქვენს აღერსს.

\*\*) რატომ მეტრე მოწყალეო ქალბატონო?

\*\*\*) დასავლეთის ცივილიზაციისაგან ხართ წაბილწული.

\*\*\*\*) რას ამბობთ?! თუმცა, შესაძლოა ასე იყოს...

\*\*\*\*\*) ეს საცოდავი გოგონა მეცოდება თქვენს ხელში. თქვენ უღმერთო აღამიანი ხართ. თქვენ არადამიანურ წამებას აღენებთ ამ ქალს. მე დარწმუნებული ვარ ერთბე-  
ლაც იქნება და დაუღუპავთ კიდევაც მას. ამას წინად თქვენ თავად გაეციოთ თქვენი გუ-  
ლის ნიღები, როცა ამბობდით, ყოველივე სილამაზე შესამუსერელად განწირულიაო.

\*\*\*\*\*) დაიხ, შესამუსერელად... რათა ხელმეორედ აღორძინდეს იგი. ეს არის სო-  
ცოცხლისა და სიყვდილის გარდუვალი კონონი.



ბავშვი გაოცებული შესცქეროდა უზარმაზარ ციხეს ფლატეზე ატმან-  
თულს.

თარაში დადუმდა და კუბედან გავიდა.

„ყურძენი, ყურძენი...“

შემოდოდა ბავშვების ძახილი ფანჯრიდან.

თარაშმა ყურძნის აკიდო შემოუტანა თათიას და ხელში მისცა.

თამარი კუბეში დაბრუნდა. კაროლინა ისევ ფანჯრიდან გასცქეროდა ქართლის ლანდშაფტს.

თარაშ ემზვარ ერთგვარ უხერხულობის მისაჩქალავედ განსაკუთრე-  
ბით გულმოდგინედ ეწეოდა ჩიჩერონობას.

გორის ციხემ იელვა ვაგონის ფანჯარაში.

ათინის აკროპოლისს ძლიერ წააგავსო გორის ციხე, ამბობდა თარაში.

კუბეს კარი გაიღო და გორის ვაშლებით დატვირთულმა შარდინ  
აღშობაიამ შემოჰყო თავი.

შარდინი ნაღვინევი სჩანდა. მთელი ღამე ვიჭეიფეო აფხაზეთიდან მო-  
მავალ ახალგაზღვებთან ერთად. თქვენი სადღეგრძელოც გიახელითო, თა-  
ნაც თარაშმა და თამარსაც შეაელო თვალი.

შარდინ აღშობაიამ წუხანდელი ჭეიფის ამბავის დათავებაც ვერ მო-  
ასწრო და ვიღაც რომბებიანმა სამხედრო პირმა შემოიხედა კუბეში, ალერ-  
სიანად თავი დაუჭნია შარდინს.

აღშობაია წამოიჭრა, ბოდიში მოიხადა და კუბედან გავიდა.



ქალები შინაურ ამბებს მიუბრუნდნენ. ხერობსს საავადმყოფოში გადა-  
უყვანილო ლუკაია, თავით უფლისო მოხუცს. ბაბუა ტარიელი მარტო და-  
რჩებოდაო, დაშას კარგი ნერვები დასჭირდებო და მარტოებულები ბაბუა  
ტარიელის მოსაველედა.

თარაშ ემზვარ მღუმარედ ყურს უგდებდა ქალებს, ცალი ყურიც დე-  
რეფანში მოსაუბრე სამხედრო პირისა და შარდინ აღშობაიასაკენ ეჭირა.  
რომბებიანი მგზავრი აქებდა ქსნის ციხეს, დიდი სტრატეგის მიერ უნდა  
იყოსო ეს ციხე აშენებული...

შარდინ აღშობაია ჩვეულებრივად დიდაქტიური ტონით ორატორობდა:  
„ორმოცი წელია, რაც ქსნის ციხეს შეესცქერი, მაგრამ ქსნის ციხის  
შხერით ჯერ არავინ გამძლარაო. არც გორის ციხე მოგვეცემსო რამეს,  
არც უფლის ციხე და არც მცხეთის ტაძარი, არც ტფილისელი სიონი და  
არც ბეთანია. ისინი ისე მკვიდრად აღუშენებიაო ბატრონს, ათას წლობით  
ასე მდგარანო, ჩვენ არ ვიქნებით და ისინი აქ დარჩებიანო.“

მე ის მაინტერესებსო ამჟამად აგარის შაქრის ქარხანამ რა მოგვეცაო  
ამ წელში, კასპის მჭიდის ქარხანა როგორ მუშაობსო, ან ტფილისის მალ-  
დის ტრესტი.

ბისმარკმა სთქვაო, ამბობდა ალშიბაია, — ბალდადონ რეინს გზას რომელიმე გერმანელი გრენადერის ძელები მიჩვენიაო! მე ბისმარკთან რა ხელი მაქვსო, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომელიმე უცხოელი დეპოს მუშის კოჭრიანი ხელები მიჩვენიაო დაეითისა და თამარის ძელებს, ხოლო ცაში ვაფრენილ ხოხობს შინ დარჩენილი ქათამი შორს სჯობიაო.

რომბებიანი მხედარი იცინოდა, თავს უქნევდა შეპიკვიებულ შარდინ ალშიბაიას.

თარაშ ემხვარმა სიტყვა სიტყვით გადაუთარგმნა კაროლინას ეს ყოველივე. კაროლინამ თავისებურად გადაიკისკისა.

???

თარაში დადუმდა. ფანჯრიდან გაიხედა.

შარდინი კუბეში დაბრუნდა.

კაროლინა შესტყროდა: ვერ ვამოერკვია ეს რომელი ალშიბაია იყო, კოლხეთის ძველი კულტურის მაქებარი, თუ ახალი აღმშენებლობის მეხოტბე?

ვაგონის ფანჯრიდან ხელიკისფერმა მცხეთის ტაძარმა იელვა.

„აქ, მცხეთაში ააგო ოდესღაც საბერძნეთიდან გამოთხოვილმა რვე მფვის კოლმა სეფელიამ აფროდიტეს ძეგლი“.

ეუბნება თარაშ ემხვარ ქალებს, ე მანდ ორაკული მდგარა ოდესღაც ზედაზენის მთაზე წარმართული კერპი, და ამიტომაც მოგვითხრობს ლეგენდა დემონებით სავსეაო ზედაზენის მთა. ხოლო იმ მომცრო გორაკზე აღმართული იყვნენ იღუმალებათა და წინაპართა კერპები ვა ც და ვა ი მ“.

## XXIX. ტფილისი

... „ხოლო ტფილისი სოფელი და კალაა მოხრებულყო“...  
**გუანურ.** „ქართლას ცხოვრება“.

ტფილისი მდებარეობს 41°, 48, 48 ჩრდილოს განედსა და 44°, 48, აღმოსავლის სიგრძეზე, გრინვიჩით.

ჭალაქი ტერიალეთის გორმახებითაა შემოგარსული. დიდგორი, მთა წმინდა, მახათა, კალა და სეითაბადი გარს არტყია მას. მტკვარი ისინისაგან ჰყოფს ტფილისს, ხოლო კალას წყალი კალასაგან, კალას მთიდან კალას ციხე გადმოსცქერის ჭალაქს, შესანიშნავი შუროსციხე. იმ ვამად, როცა ჩემი გმირები ჭალაქად ჩავიდნენ, ტფილისი 430 ათას მცხოვრებს შეიცავდა; 13 ათას ქუჩას და ყოველწლიურად 80 მილიონ კილოვატ საათს ხარჯავდა.

ხარის ზურგივით მოტვლებილია ეს გორაკები. ისინი ფოლადისებურ იერს აძლევენ ჭალაქს. მუქლეგო ფოლადისფერში ვნოლისფერი ტალები გაურეგია შელწილ ფლატეებს და შიშველ ლოდებს.

მთაწმინდას თეთრი ეკლესია მიუყრავს მკერდზე. წარსულში ეს მთა ქართული რომანტიზმის ოლიმპად ითვლებოდა. შუბლში შესტყროდნენ

მას პოეტები და ლექსებს უძღვნიდნენ მის მოღუშვას და ჯანყით მოიქცას ახალ დროშიაც შეირჩინა მთაწმინდამ პარნასისა და პანთეონის შედარებული როლი.

მთაწმინდიდან ჩამოდის ჭავჭავაძის დაღმართიანი ქუჩა. სწორედ ამ ქუჩაზე გამოჩნდნენ საღამოს სრულ 7 საათზე თარაშ ემხვარ და თამარ შერვაშიძე.

პროვინციიდან ჩამოსულ ქალწულს ჯერ კიდევ არ ეცვა ისეთი გემოვნებით, ტფილისელ ღამაზმანებს რომ გამოჩნდოდა.

თარაშ ემხვარ მაინც ამჩნევდა: გამვლელები ნაბიჯს ანელებდნენ მის დანახვაზე, მამაკაცები კისერს იღრეჯდნენ. უფრო მეტი, გაუზრდელნი მათ შორის მოურიდებლად აცქერდებოდნენ. ვაივლიდნენ, შესდგებოდნენ, უკან მოხედავდნენ, თვალს შეავლებდნენ მის მშვენიერ თეძოებს და თეძოს ქვემოდ ჩამოსულ ნაწნავებს.

განსაკუთრებით ეაფურად თმაშეკრევილ ქალებს ხედებოდათ თვალში თამარ შერვაშიძის ძველებური ნაწნავები.

რუსთველის პროსპექტზე გასვლისას პარადინის და ასფალტის სუნი ეცა თარაშ ემხვარს... ასე სჩვეოდა დიდ ქალაქებში თარაშს: ცხოველებსა და მცენარეებს შენიშნავდა პროსპექტებზე უშალვე.

ცხენების ნახვას დანატრებულს ხელურმებში შებმულ ძაღლებისკენ გაურობდა თვალი. უნტენ დენ-ლინდენის ცაცხვებს ეალერსებოდა მისი მზერა მუდამ, ჰაიდელბერგელ წაბლების ხეივნებს და პარიზელ ჭანდრებს.

რუსთველის პროსპექტზედაც ახლად დარგული ჭანდრები შენიშნა მყისვე.

თამარი პირიქით, კრიალა ავტოებს ადევნებდა თვალს, ქალების კოსმეტიკას, ტფილისელ მამაკაცების უგემურ ჩაცმულობასაც ამჩნევდა კარგად.

თავითაც ხედავდა თამარი: ქალებიც ვერ იკავებდნენ მის დანახვაზე თავს. მოურიდებლად უქვრეტდნენ და უღიმოდნენ თითქოს ეს გარდასთივლნი დიდი ხნის უნახავი დობილები ყოფილიყვნენ მისი. ჯგუფჯგუფად მისდევდნენ უკან ტექნიკუმის მოსწავლე ქალები, ხელს იშვერდნენ ალტაცებულნი მისკენ. რა მშვენიერი ქალიაო, ასე ამბობდნენ ხმამალა.

და ეს გახშიანებული ალტაცება ეწოთირებოდა კიდევაც თარაშ ემხვარის სმენას. მას ძლიერ უყვარდა საერთოდ თამართან ხელგაყრილად სიარული.

ახლა კი ხელი შეეშვა, შორიახლოდან მისდევდა გვერდით. არ უნდოდა: ქუჩას რომ გაეგო, თუ რა იყო თამარი მისთვის.

მაგრამ ქალები, ჯერ თამარს შეხედავდნენ, მერმე თარაშზე გადაინაცვლებდნენ მზერას და ყველა უსიტყვოდ ამჩნევდა ესენი ჯუფტები რომ იყვნენ.

საღამოც ისეთი ამო და დამტკბარი იყო, როგორც ტფილისში იცის განსაკუთრებით შემოდგომის პირზე.



კლერტოებს, მსხვილმანიდან წვრილმანიზე გადავა, წვრილმანიდან იტყო მეტად წვრილზე გადაიარს, ღეროდან ფოთოლს წაეპოტიწებო, წველი-დან უწნუზე გადაიჩრდებო, ფოთლიდან ფოთოლზე გადაცოცდებო, მსხვილ-ლესიდან უმაღლესს მისწვდებო და უუმაღლეს მოექცევეს. მსხვილ-სწვრივ-როზე, ასე დაძრულიყო ქართული ანბანი, ასოები გასულიყვენ ვამელე-ლების მხრებზედ, ფოსტალიონების, კონდექტორების, რკინისგზელების, მილიციელების და წითელარმიელების საყელოებზე მოქარგულნი, კარებს, ვიტრინებს, რაფებს, მანქანები აკიდურებს ზემოქცეოდნენ, ეტლების ზურ-გებს ამკობდნენ, ფრიალა წითელ დროშებს და მაღალ შტანდარტებს.

და თითქოს სული აუღვამთო ასოებს, უხმობდნენ, უძახოდნენ ვილა-ცას ისინიც.

ელავდნენ, ბზინავდნენ, ბრწყინავდნენ... იცდიდნენ, სდგებოდნენ და ისევ მიჰქროდნენ.

უთუოდ იტყოდით: რუსთველის მშვენიერ პროსპექტზე ქართულ ასო-ებს გაუმართავთო ღოღი...



საქართველოს მუზეუმთან შესდგა თარაშ ემხვარ, თამარს წაავლო ხელი. უჩვენა ქართული კულტურის ეს სასახლე, ქართული დოქების მო-ტივებს, მთავარი შესავლის ჩუქურთმებს განუმარტავდა.



და მერმე დაიწყო შესანიშნავი თელების ხეივანი მთავრობის სასახ-ლის გასწვრივ.

ორმწკრივად დარგული თელები გადახვევიან ურთიერთს მშურად. ხე-ლოვნური ტალავერი ეგონება მქვერტელს ქართული ეენახების მშვენება...



თამარს ვიტრინებისაკენ ვაექცო სასახლის ქუჩაზე თვალი. წავის, ვეფ-ხვის, კვერნის, გარეული კატის ბეწვეული, ნიანგის ტყავის ელენგატური საკეოიავები, ნიკელის ორმაგი საწოლები, აბრეშუმის საბნები, ბალიშე-ბი, ხვერდის მუთაქები და პორტიერები, შანდლები, ელექტროს შირმები, ისევ საბნები, ჯეჯიმები და ფარდაგები, ნოზები, ბოხჩები, მაფრაშები, პირის სარკეები, საბუღრეები, იავუნდის და ზურმუხტის ბეჭდები, ძვე-ლებური ლალის საყურენი. თარაშ ემხვარმა ქამარ-ხანჯლებს შეავლო თვალი, იქვე ელაგა დამბჩები, თოფები და ჯახაირები, ოჭროს ზარნიშო-ნი სატევრები, ვადამოხატული სატევრები, რკინის პერანგები, ჩუვლუგები და მუზარადები, ქართული უნაგირები, ამორძალის კაბები და ასალები სპარსული, ქართული სურები, სინები, ლანკანები და ვაზები.

ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდნენ ეს ნივთები, საქართველოს მთელი აზნაურობა აქ მოსულიყო თითქოს და წვრილად გაეყიდა მას თავისი ავლადიდება.

უკრძნუნელი

თარაში აჩქარებდა თამარს, კაროლინა გვიციდის ფეხებზე და ახლა შემდეგმა ვიტრინამ დაატყვევა თამარის მზერა.

ლაკის ტუფლები ზედებოდა თვალში, ვიტორია წინდები, სვიტრები და პიჯამები, ჯემპრები, ბერეტები და ტრუსიკები, იისფერი, მდელოსფერი, მალალურის ფერი კომბინიზონები, დარაიას, კრებდენშინის და ფაიდენის კაბები, ბეჭდები, სარკეები და საპუდრეები.

ვიტრინის გადაღმა დარბაისლურად იდგნენ კალით პირშეთხუპნილი მანეკენები. ევროპულად ჩაცმული ქალები და კაცები, პროვინციელ მახიობებსავეთ გაჯგვიმულიყვენ ისინი და ისევე უაზროდ მისჩერებოდნენ ხალხს, როგორც ამ უკანასკნელს სჩვევია ხოლმე მანეკენების ქვრეტა ვიტრინის გარედან.

თარაშ ემზვარს მოაგონდა მყისვე პარიზის და ბერლინის მანეკენების მთელი ლაშქარი. ცივილიზაციას სჩვევია ასე, მანეკენების არსით ასწავლისო ხალხს ჩაცმას. ეუბნება თარაში თამარს.

სასახლის ჭრჩის მიწურულში, მარტოკა მოდიოდა მალალი, ჭერა ქალი. სლავიანური ცისფერი თვალები ელავდნენ. ქალმა მოფრიდებლად შეხედა თამარს. თამარმაც შეაგება მზერა.

თარაშმა თვალი ჰკიდა, თუ როგორ დამდურებულსავეთ ჩაუარა ურთიერთს ორმა საუკეთესომ თავის ჯიშისამ.

ექვსი ხევსური მოდიოდა ზედ შუაგულ ჭრჩაზე.

სამს მათგანს ფარები ეჭირა ხელში. მალალი, ჭალარა შუბოსანი, წინ მიუძღოდა მათ. სატყვეები მუხლის თავამდე სწვდებოდა ექვსივეს. ჩოხის ფეშება და ბედანებზე ჯვრები ჰქონდათ ამოჭარგული.

თარაში შესდგა. შეხედა. მიდიოდნენ ხევსურები ქალაქის ჭრჩაზე რომელ სენატორების დარბაისლობით აღვსილნი.

შენიშნა:

„საოცარი ქვეყანაა, საქართველო, ვინ წარმოიდგენს მეოცე საუკუნეში, ფარხმალისანი ხალხი დადიოდეს ტრამვაების და ავტოების ორომტრიალში.“

ლონდონში ასეთ გამვლელებს კინოოპერატორების ლაშქარი გზას გადაუჭრიდა“.

თამარმა გაიცინა და თავათაც მიხედა ხევსურებს.

თამარი ისევ ვიტრინებს გასცქერის. ისევ ბეწვეული, საცვლები, ქუდეები, ტუფლები, კოსტუმები, ლალის, ფირუზის, ბრილიანტების ბეჭდები, ქოლგები, საწოლები, საკვიათები.

და ერთ წუთში სინამდვილეს გაუსხლტა ოცნება ხელიდან.

თამარი და თარაში უკვე ცოლქმარია.

მათ მყუდრო და მდიდრული ბინა აქვთ ცენტრში. სიმდიდრე და სახელი მოხვეჭილი აქვს თარაშს ეშვარს.

და ისევ ტუფლები, ქოლგები, კოსტუმები, ბერეტები, ბანტები, კრემდეშინის, ფაიდეშინის კაბები, ნელსურნელების, ოდეკალონის ფლაკონები, ბეჭდები, სამაჯურები და საყურეები ერჩიან მზერას.

და თამარი შეაკრთო კაროლინას ხმამ:

„Kinder wo seid ihr? Gehen Sie erst jetzt zur Tante Armadar?“ \*)

თამარი შეწითლდა ოდნავ.

იცოდა, კაროლინას ბუნტულობა უყვარდა.

თარაშმაც უხერხულობა იგრძნო. მცირე ხნის დუმილის შემდეგ ეს უთხრა კაროლინას:

„მე დაგპირდით ფრაუ, ტფილისში ჩაჩერონობა გამეწია თქვენთვის. დაიმახსოვრეთ, აი იმ მთიდან სწორედ ამ ადგილამდის სწვდებოდა ციხის კედელი, და მტკვარში ჩადიოდა. აქედან რუსთველის პროსპექტისკენ კალოები და ბალები იყო თურმე. აწინდელ კომუნარების ბაღში ძველი ყაბახი ყოფილა.“



ვერცხლის ქუჩას მიჰყვენენ და აქ იწყებოდა ნამდვილი ომი.

მოედანზე კოცონი ერთო, მუშები ფისს ადუღებდნენ, ასფალტის სატკეპნი როლლერები დარახრახებდნენ გარშემო, ხარაჩოებზე მიდგმულ ღარებიდან სცივოდა მტვერი, კირისა და აგურის ნამსხვრევები. კაროლინა წარამარა იწმენდდა კოსტუმს, ისევ ხარაჩოები, როლლერები, ფისის გეჯები, გრიალი, ნგრევა, მტერის ბული და ალიაქოთი.

და როგორც ოკეანის დიდი გემები, ბუბუნით, რახრახით, ზუზუნით შემოვლნენ პორტში, ლოცმანი გადმოდგება საკომანდო ხიღზე, რუპორს გაირკობს პირში და მორთავს ღრიალს, პატარა ფელიუგები, აფრიანი, გემები, კატარლები და კატერები, დაჩაივდებიან და მისცემენ განს ამ უზარმაზარ გოლიათებს, ისე მოდიოდნენ იერიშით მალალი, დიდი, ნაცრისფერი სახლები. ხარაჩოების ტყეს იცვლიდენ ისე სწრაფად, როგორც ამრეშუმის ჭია გამოიცივლის ხოლმე კანს სახე ნაცვალი, ასეთის სისწრაფით ამოდიოდნენ დიდი, ნაცრისფერი სახლები ბალავერებიდან ტფილის-

\*) სადა ხართ ბავშვებო, ნუთუ ახლა მიდიხართ მაშიდა არმადართან?

ში და ისრისებოდენ მათ შორის ძველებური, პაწია სანლები, კონტა, ქართული ხის აივნები და რიკულები... და ამ ატურიან ზეს კივებებსკენ რჩებოდა თვალი თარაშ ემხვარს.

შეგზიონთეკა

ეს სახლები აქ არ იდგნენო ერთი წლის წინად. არც ასეთი ალიაჭოთი იყო ამ ქუჩაზე, ტრამვაების რეკვა, ავტოების ღმუილი, ქუჩის განგაში, წაქცეულ კედლების ნგრევა, მუშების ძახილი და ღარებიდან დაშვებულ ქვისა და აგურის ნამუზრების ჩხრიალი, ეს ყოველივე აუტანელ ხმაურს აყენებდა გარშემო და როცა ჩემი გმირები ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ, ყოველი მათგანი ყურს იჩრდილავდა ხელით. აქა იქ შემთხვევით პატარა სახლები ისე საცოდავით გამოიყურებოდნენ როგორც ახლად მოგებული ზაქები, კამეჩების ჯოგის დენისას. ზედვე ეტყობოდათ მათ, რომ კიდევ რამოდენიმე თვეს, ან დღეს იბოგინებდნენ ისინი და შემდეგ ალიგვებოდნენ მიწის პირიდან.

თარაში მდუმარედ მიჰყვებოდა ქალებს. მოხუცებულ მოქალაქეთა ნაოჭებიან ჩოხებს ამჩნევდა აქა იქ, ხან ჭართველ ისრაელების გრძელი წვერი, ხანაც მებანჯენ ლეკების ზღარბისებური ქუდი, მეთულუხჩეების, კონების, მელნავრების, ხარაზების, თერძების ლანდები დალასლასებდნენ სიონის ქუჩაზე.

საოცარიო, შენიშნა კაროლინამ, ამ ქალაქს ასეთი დიდი ისტორია ჰქონია და ასე ცოტა ძველები დარჩენილანო.

თარაში ქალებს გაეხმაურა: ნაბიჯს უჩქარეთ, თორემ მამიდა არმადარი აღრე იძინებსო.

(შემდეგ • ქნება)







დორის-მუდოქივი — ხეობის დაშენება



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

პან. საზოგადოებრივი

# სალამოსაგურამოში

ისევ ხსოვნაში აღსდგა ილია...  
იწვის არაგვი — სათუთი კვარი.  
და ჩემთვის მაინც უფრო ტკბილია  
ერთი ჭადარი — სახლის წინ მდგარი.  
ასე მგონია ილიას სული,  
და არა მარტო რითმების ბგერა,  
არის ჭადარში გამოსახული,  
როგორც ოქროსფერ ფოთოლთ სიმღერა.  
გავევები ცქერით სივრცეთა ბნელას,  
ატყორცნილს მაღალ, შორ მწვერვალებად.  
მე ტყვილად ვეძებ ადგილის დედას —  
იგი უთუოდ აქ იმალება.  
ეზოში წყაროს ეტყობა დაღლა.  
ახლა სხვა არის ბაირახტარი.  
და არე-მარე ამაყობს ახლა  
ნათელ ზაპესით და ნატახტარით.  
„კაკო ყაჩაღის“ სტრიქონებს ყურში  
ხე ჩამჩურჩულებს ვით მოგზაური,  
და მესალმება სიცოცხლე ურჩი  
მოწაფეების ნორჩი ხმაურით.  
ახალი ყოფის პირველ მგოსნებად  
საგურამოზე ვარსკვლავნი სჩანან.  
და ის ჭადარი ჩემს საოცნებოდ  
ლამეში ამბობს ტკბილ იაე-ნანას.

ნოემბერი 1934 წ.



აკაკი ბელიაშვილი

## წერილი და გვირგვინი

მოთხრობა

შემოდგომის ფერადი ღრუბლები გადაეფინა ცას და ზღვის მხრიდან გახშირდა ცივი ქარი. ვატკბა ცეცხლიც და სოფელელებს იშვიათად თუ დაინახავდით ატალახებულ შარაზე. ყველანი ბუხარს უსხდენ. ქირნახული ყველას მოწეული ჰქონდა და ახლა არხეინად ვაცქეროდენ ცივი ღრუბლებით დაფარულ ცას.

ჯოგოც არხეინათ იჯდა ბუხართან. დღეს იშვიათი ჯირკები მოზიდა ტყიდან, ბუხარი გამოავსო, ცეცხლი ააგუზგუზა და ახლა არხეინად ამურქყებდა ამ აღმოდებულ ღუზღუზა ჯირკს. ბავშვი გაუხდა ცოტა ავად, გაცივდა და ის აწუხებდა, თორემ ისე რა ჰქონდა სადარდელი. თუ ხეალ უკეთობა არ შეეტყო, ეჭიშს მოგერის და რა უშავს... გრიპო, რომ ამბობენ, ისაა ალბათ.

ეზოში ნაგაზი აყეფდა და ვილაცას წკავწკავით მიეტანა. ჯოგო წამოხტა და გარეთ გაეარდა.

ლობის გადმოსაბიჯთან გუგულია ნოქარი იდგა და ხელში წერილი ეჭირა.

— ჰაიტ, დელიუპე იქით! — შეუტია ნაგაზს ჯოგომ და გუგუსაკენ გაეშურა.

— გამარჯობა, ჯოგო! — მიესალმა ნოქარი.

— გაგიმარჯოს! მობძანდი. არ გიკბენს, ნუ გეშინია.

— არა, მაგდენი დრო არ მაქ. წერილია თქვენია.

— წერილი? საიდანაა ნეტა? — შიშით იკითხა ჯოგომ.

— არ ვიცი. შიგ ეწერება ალბათ. ფოშტა მოვიდა დღეს.

ჯოგომ წერილი გამოართვა, გუგუიას კიდეც შეეპატივია, მაგრამ ნოქარმა არ მცალიაო უთხრა და უკან გაბრუნდა. ჯოგომ წერილს დახედა, გადააბრუნ-გადმოაბრუნა და სახლში შევიდა.

— ალბათ მოკვდა ვინმე ჩემი ნათესავი და ტირილში თუ გეპატივობენ, — გაუელვა თავში.

ჯოგო იშვიათად თუ მიიღებდა წერილს, წელიწადში ერთხელ ან ორჯერ და იმ წერილში ყოველთვის სატირალოში მიწვევა ეწერა. ასეთ წერილებს ღებულობდენ ყოველთვის მისი მეზობლები და ამიტომ იყო, რომ ჯოგოს წერილის მიღებისა საშინლად ეშინოდა. რამდენჯერ ახსოვს

ჯოგოს, რომ მის მეზობლებს მიუღიას წერილი და წაკითხვისთანავე ერთი წივილ-კივილი ატეხილა სახლში.

ამიტომ ყოველ ოჯახში წერილის მიღება და შეცხადება ყოველთვის იყო დააპირა წერილის გახსნა, რომ სახლში ჯოგოს წივილი მტევიდა და დაინახა თუ არა მის ხელში კონვერტი, ერთი იტყვიცა ლოყაზე მუშაობისაგან დაკორძებული ხელი და იქვე კარებთან ჩაჯდა.

— ვაჟა ნენა! რაა მაგ?..

— წერილია ეს დასალუპავი... გუგუიამ მოიტანა ახლა, — უპასუხა ჯოგომ და ისევ დახედა საიდუმლო კონვერტს.

— ნენა! დავიღუპე ალბათ. ტაგუია თუ მოკვდა! — წამოიკივლა ცოლმა. — მიშველე წაიკითხე ჩქარა! გული აღარა მაქ...

ჯოგომ ფრთხილად დაიწყო წერილის გახსნა.

— ნენა, მარინე არ იყოს კვდარი... — ვეღარ ისვენებდა შეშინებული ქალი.

— რას სულელობ ბოშ! მარინეს რა მოკლავს?.. — მიუგო ჯოგომ და ამოიღო ოთხად დაკეცილი წერილი კონვერტიდან.

— ბადრლას არაფერი შეემთხვის უბედურს, არ დამიბნელოს თვალეზი...

— დამაცალე ქალო! წაეკითხავ და ვაევიგებ.

ცოლი გაფართოებული თვალეზით უცქეროდა ჯოგოს და გულისცემით მოელოდა საშინელი ამბის გაგებას.

ჯოგომ წერილი გაშალა, ფანჯრისაკენ გადაიხნიჭა და კითხვა დაიწყო:

— „საყ...ვარელო და დაუფიწყარო დაო ესმა...“

— ვა! ვა აა! ბადრლას წერილია, ბაბაია მომკვდარა... ვაჟა!.. სკანი გოლუა!.. — იწივლა ესმამ და იატაკზე რამდენჯერმე შუბლი დაჭკრა.

მეორე ოთახში ავადმყოფ ელენას გაეღვიძა და შეშინებულმა იყვირა:

— რაია, ნენა... მიშველეთ... რა მოხდა?

— არაფერი ბაბა, არაფერი, — გასძახა ჯოგომ შვილს და შემდეგ ცოლს მიუბრუნდა: — მოიცა, ქალო, რა ვაკივლებს, შე ოჯახქორო! წაეკითხოთ ეს დასალუპავი და ვაევიგოთ, რა წერია...

ესმა უცბად გაჩუმდა და ისევ გაფართოებული თვალეზით დაუწყო ცქერა ქმარს.

ჯოგომ ისევ განაგრძო კითხვა:

„...ჩვენ ყველანი კარგათ ვართ“...

— ა, ქალო, ყველა კარგათ ყოფილა. რო კივი, რა ვაკივლებს! უნდა დააცალო, ბოშ, წაეკითხვა კაცს. გაუნათლებლობაა მაგ...

— რას ლაპარაკობ, კაცო! ჩემიანის გლახა ამბავი ვაევიგონო და ხმა არ გევიღო? რას იტყვის სოფელი!..

— ჰო და ჯერ ვაიგე და მერე იტირე, თუ ავრე ვინდა! — ისევ შეუტია ჯოგომ და წერილის კითხვა განაგრძო:

„...ჩვენ ყველანი კარგათ ვართ, მხო... მხოლოდ მე გავხარ ავით... აგერ ორი კვირეა ლოგინში ვწევა...“

— ვა, ვაა! — იკივლა ისევ ესმა. — ვაეა ჯიმა!...

ჯოგო უცბათ გაბრაზდა და ცოლს ისე ხმამაღლა უცხარაუკრუმკეზო-ში მურიამ ყეფა ატეხა.

— გაჩუმდი, ბოშ! დია! რა პლანის ადამიანია ეს? სად გავიწილა ცოცხალი ადამიანის ტირილი?

ესმა კვლავ გაჩუმდა. თავშალი შეიხსნა, ისევ შეისკვნა და ჯოგოს მიაცქერდა.

ჯოგომ როგორც იქნა ჩაიკითხა წერილი ბოლომდე, სადაც ეწერა, რომ ბარდლა ორი კვირაა ავად არის, ეჭიმვა წამლები გამოუწერა და იქნება ვალის აფთიაქში მიშოვოთ, თორემ აქ სულ გამოილიაო.

— კი, ნანა, ვუშოვით... რეცი ხოა წერილში?

— რეცი? დავიწყებიათ იმ დასალუბავებს. პაკეთში არაა და...

— აბა რა ვიციოთ, რა წამალია. ნანა! ის კარგათ არაა მგონია და დავილუბე...

— აკივლი ახლა ისევ...

— არ ვკივი, მარა რეცი რატომ არ ჩადვეს წერილში, თუ მაგაში სი-მართლეს წერია...

— ალბათ დაავიწყდათ.

ცოლ-ქმარი ერთმანეთს შეაცქერდა.

— რა ექნა ახლა მე? — იკითხა ჯოგომ.

— რა და ახლავე წადი. ნახე რაეა ის უბედური. ხვალ ქე დაბრუნდი ისევ და ამბავი გამაგებოე. ამაღამ არ დამეძინება ჯავრიოთ.

— ელენა როა ავით?

— ელენას რა უშავს. აქ არ ვარ. სიცხე ქე აქ, მარა ციებაა მაგ, მეტი არაფერი. ახლავე წადი ბარემ.

მოდებნა ტყეში თავისი ცალთვალა ცხენი ჯოგომ, დაადგა ზედ და-ნჯღრეული და მოსართავებ დაკვანძული უნავირი, მოახტა ზურგზე და გაუდგა გზას ოტობაიასკენ.



იმ ღამეს სიძე-ცოლის ძმამ კარგად მოილხინეს ბუხართბნ, და ბარდ-ლამ ბევრი იცინა იმ წერილის გამო. თვეზე მეტი იყო, რაც წერილი გა-მოეგზავნა და მარტო იმ წერილის იმედით რომ დარჩენილიყო, ახლა მისი ძვლებიც აღარ იქნებოდა ალბათ. იღბლად ისე განიკურნა, რომ არც წა-მალი დასპირებია და არც სხვა რამე.

მეორე დღეს ცხენები შეკაზმეს და ზუგდიდში წავიდნენ.

პარასკევი იყო და ზუგდიდის ბაზარი ხალხით გაჭედილი დახვდათ.

ქუჩის პირას ჩამწყვირებულ დედაკაცებს ამოელაგებიათ კალათებიდან სულგუნნი, მყავე მხალი, ხახვი, კვერცხი, პილპილი და ათასი ამგვარი

რამე. შუა ქუჩაში რუსის დედაკაცები ჰყიდდნენ ნახმარ პალტოებს, საცვალს, ლილას, ხოლო ერთ დედაკაცს პატარა ტაბურეტზე მოუწყო, რულეტი. საინზე დაატრიალებდა ეჭვსკუთხა ბზრიალას და ქიქრისუნე უცქროდნენ, თუ რომელი ნომერი დარჩებოდა წაქეულ ბზრიალას ზევით, რომ ამ ნომრის მიხედვით ტაბურეტიდან ფული აეზვეტათ.

ჯოგომ და ბარდლამ დიდხანს უცქირეს ამ ეშმაკურ სათამაშოს.

— ფულის მახეა ყველაფერი, — ჩაილაპარაკა ჯოგომ და შემდეგ ორივე გაემართა ბაზრის ბოლოსკენ, სადაც უფრო ირეოდა ხალხი.

— აბა გვირგვინები, საინტერესო გვირგვინები, იაფად. თუ ვინმეს ნათესავი მოგიკვდებათ, გვირგვინს მიუტანთ... გვირგვინები თავისი ლენტებით: „ჩემს დაუფიწყარ სონიას“ „სპეტაკ გუჯუს“. აბა ვის ვინდათ თავი ისახელოთ ტირილში?..

მართლა და საუცხოვო გვირგვინები გამოეტანა გასაყიდად ცალფეხა კოსტას. ქალაღისაგან გამოეჭრა ფოთლები, მწვანეთ შეეღება და მავთულზე დაემაგრებია, გვირგვინის ბოლოზე კი ქალაღისავე ყვავილები გაეკეთებია. ყვავილები შეეღება სხვადასხვა ფერად: წითლად, ყვითლად, ალისფრად.

— იყიდეთ გვირგვინები! ზაგრანიჩნი გვირგვინები! თუ არავენ მოგკვდომიათ, სულ ერთია ალბათ შერე მოგიკვდებათ და ამისთანა გვირგვინს სად იშოვით? იშვიათი გვირგვინებია, არ ჭკნება, არ ფუჭდება, არის და არის თავისთვის. კედელზე რომ დაკიდო, ოთახს დაამშვენებს...

ჯოგომ გვირგვინები შეათვალიერა.

— მართლა კარგი ვენოკებია. რა ღირს, ბოშო შენი, ვენოკები?

— თითო ხუთი მანათი, წყვილი რვა და ათი შაური. აბა იაფად. — დაავლო ხელი ერთ გვირგვინს კოსტამ და ჯოგოს გაუწოდა.

— რო თქვას კაცმა, ღირს ამის ყიდვა, იცი შენ? — წაულაპარაკა ჯოგოს ბარდლამ ისე, რომ გამყიდველს არ გაეგონა.

— მართალია, კაცო. ფარნა რო მოკვდა, მთელი ქვეყანა დავიარე და ვერსა ვერ ვიშოვე ეს დასალუპავი. უბრალო მინდვრის ყვავილები-საგან ხო ვერ გავაკეთებდი ვენოკს, თავი მომეჭრებოდა და ისევ ხელცარიელი წავედი. მარა რო არ წაესულიყავი, მერჩია. ტაგული დამწვარმაც კი მიუტანა ვენოკი. სირცხვილისგან არ ვიცოდი, სად დავმალულიყავი... რა ღირს პასლენდი ფასი შენი ვენოკი?

— ხუთი.

— რა ხუთი? მანათი კაცო? — გაიკვირვა ჯოგომ.

— მანათი აბა შაური! — გულმოსულად შეუყვირა კოსტამ და გვირგვინი ხელიდან გამოგლიჯა. — ხუთი მანათი რაა, რო ვიკვირს, ერთი სულაგუნის ფასია.

— შენი ვენოკები რაღაა, ნახევარი მანათი არ ღირს თითო.

კოსტამ ერთი შეუბღვირა ამ უსაქმურ მუშტრებს და შემდეგ ისევ ხალხისკენ მიბრუნდა:

— აბა, გვირგვინები, კარგი გვირგვინები, იაფად...

— თითო მანათს მოგცემთ, გინდა?

კოსტამ განგებ არ ვაიგონა ჯოგოს მიერ შენაძღვენი, *ფეხფედი* ისევ განაგრძო თავისი საჭონლის ხმამაღალი შექება: *გინგაქორთუვა*

— აბა, პატივი ეცით თქვენ მიცვალბულებს, ნათესავეებს, გვირგვინები...

კოსტას მუშტრები შემოესიენ.

— სიძე-ცოლის ძმა განზე გადაგენ და შორიდან თვალთვალი დაუწყეს.

— ორი მანათი ღირს, — ჩაილაპარაკა ჯოგომ.

— კი ღირს.

— მიდი ერთი შეაძლიე იმ დასაღუბავს, იქნება მოგყიდოს...

ბარდლამ ის იყო დააპირა კოსტასთან მისვლა, რომ ამ დროს ვიღაც შავებიანმა ქალმა სამი მანათი მისცა გვირგვინში.

— აუიპ! სამ მანათათ გაყიდა...

კარგა ხანს იყილეს ბაზარში უსაქმოდ. ხან ხარები ათვლიერეს, აფასებინეს, ხან ფოტოგრაფს ევაჭრენ. ნაცნობებთან იმუსაიდეს და ბოლოს ბაღში სკამზე ჩამოსხდენ და ხალხს თვალიერება დაუწყეს.

მზე გადაიწვერა. ბაზარში ხალხი საკმაოდ შეთხელდა. ბოლოს გადასწყვიტეს ორივემ თავიანთ სახლებსკენ წასვლა.

ისევ გაიარეს ბაზარი.

კოსტას გვირგვინები თითქმის გაესაღებია. ახლა არხეინად ჩამომჯდარიყო ტაბურეტზე, თავის ხის ფეხი განზე გაედგა და მადიანად სადილობდა მქადით და მგავე კიტრით.

— რა ქენი, გაყიდე შენი ვენოკები? — ჩაულაპარაკა ჯოგომ.

— გაყიდე მაშ.

— ორი მანათი მოგცე აი ამ ვენოკში. — მიუშვირა ხელი ჯოგომ.

— რომელში? ამაში? სამათ წაიღე თუ გინდა. საღამოა უკვე და აღარ გაწყენებ.

— კაი, კაცო, ორი მანათი...

— სამი.

— ორი, ორი... — მიიხედა კარგად მოშორებულმა ჯოგომ.

— ჰა! ორი და ნახევარი, შენი იღბალი ყოფილა, წაიღე. შეხედე, ახალი ფასონის ვენოკია! — გაუწოდა გვირგვინი კოსტამ.

ჯოგო მიბრუნდა. გვირგვინი შეათვალიერა და ისევ შეევაჭრა:

— ორი და ორი შაური.

— რა, შაურობით მევაჭრები, შე კაცო! წვანილს ყიდულობ თუ გვირგვინს? — გულმოსულად დააგდო გვირგვინი მაგიდაზე კოსტამ და ჰამა განაგრძო.

ჯოგომ გაიცინა, ბარდლას გადახედა და შემდეგ ფრთხილად გახსნა ბაწრით შეკრული საფულე. ამოიღო ფული და გაუწოდა კოსტას.

— ჰა! ორი მანათი და ერთი აბაზი. გეყოფა.

— არა, ძმაო, არა.

— მეტი არ მაქვს, კაცო. მომეცი, სულ ერთია ვერ გაყიდი.

— მეტი თუ არ გაქვს, ჩემი რა გადასახადია!

— პა ორი შაური კიდევ და გეყოფა ახლა. მცარცვენი წოდებულნი ძმაო, შენ! — გულმოსულად უპასუხა ჯოგომ, აილო გვირგვინი და გამოუდგა თავის ცოლის ძმას.

— აბაზი მოიტა, კაცო! არ ვყიდი, ძმაო, მაგ ფასათ! არ გესმის შენ?! — მიიძახა კოსტამ, მაგრამ ჯოგო მიხვდა, რომ კოსტა უკვე თანახმა იყო მიცემულ ფასზე და გზა განაგრძო.

— რა ხალხია, კაცო! ძალაზე არიან პირდაპირ. აბაზი რა ფულია, მარა მაინც გამომჩრა. ფუ, თქვენი!.. — გადააქნია თავი კოსტამ და შეავევ კიტრისაგან დასველებული ხელი ბლუზაზე ჩამოიწმინდა.



ინგირთან ბარდლამ ოტობაიასკენ გადაუხვია, ხოლო ჯოგო მარტო გაუდგა გზას შინისკენ. გვირგვინი ფრთხილად წამოეცვა მკლავზე და ცხენი ნელი ნაბიჯით მიჰყავდა. სულ ერთია სანამ მზე ზღვის პირამდე დავიდოდა, მაინც მიასწრებდა შინ მისელას.

ორღობეს გადაღმა ჩაის პლანტაციები იყო გადაჭიმული და აქა-იქ მოფანტული კოლმეურნეთა სარემონტო ბრიგადები საღრენაეო თბრილებს კრიდენ.

ალაგ-ალაგ ისეთი სქელი ძეძვები მიუყვებოდა გზას, რომ სინათლე ძლივს ატანდა და ცხენი მუხლამდე ეფლობოდა ტალახში. ყოველი ასი მეტრის შემდეგ ჭობი იღვავ ან ორსართულიანი ოდა და ჭის პირზე ვედრო ჩამოკიდებული ჭოკები ყანჩებივით ამართულიყვნენ.

ცაზე თეთრი გაცრეცილი ღრუბლები უძრავად გართხმულიყო. თბილოდა.

ფიქრებში გართული ჯოგო შეცქეროდა ცას. ცხენი თავის ნებაზე მიუშვა. უზანგოდან ცალი ფეხი გამოიღო, რომ მუხლი დაესვენებია.

— რა არის კაცი ცხოვრება? — ფიქრობდა ჯოგო. — მუშაობ, შრომობ, ჭამ, სვამ და კვდები. მეტი არაფერი. რამ გააჩინა ნეტა ეს დედომიწა? ყველაფერი კარგათაა მოწყობილი, ეს ტყე, ეს მდინარე, ეს ცა, ყველაფერი კარგია, ეს დასალუბავი სიკვდილი რო არ იყოს... მარა ალბათ ესეც საჭიროა, თორემ ისე მომრავლდებოდა ხალხი, რო ბავშვებისთვისაც კი აღარ დარჩებოდა ღომი. მარა — აჰ! — არ ფიქრობ სწორს ჯოგო. ამხელა ქვეყანაზე მილიონი ხალხი დაეტევა და ხალხის მომრავლება რას შეუშლის ხელს? მარა არა, არც ახლა ხარ სწორი ჯოგო. რამდენი ხანია, რაც ქვეყანა გაჩნდა. იქნება ალბათ ერთი ასი ათასი წელიწადი. დიდუ! მართლა რავაა ნეტა ჩემი ცირა, სიტყემ ხო არ მოუმატა. ანთება არ ჭონდეს ის დასალუბავი. არ უნდა წამოვსულიყავი გუშინ.



დაწყველილია ქალი. რას ამიტყდა — წადი, წადიო. ხელს გავუღლა ჩა-  
ვჩანჩალდი ოტობაიაში. ის კარგათ დამიხვდა და ბაეში იქნება უფრო  
ცუდათ შეიქნა.

ნელი ნაბიჯით მიდიოდა ცხენი. ჯოგო უფრო ღრმად გაეოთხრა ფიჭ-  
რებში. შემდეგ ოცნებაც დაიწყო. ვითომ... ეს მისი ცალთვალა ცხენი ბე-  
დაურად გადაიქცა, თითონ მოსირმულ ჩოხა-ახალოხში გამოეწყო და და-  
რაიის ყაბალახი მხრებზე მოიგდო. მიდის ჯოგო ამ შარაზე, მიაჭენებს  
თავის ბედაურს და ხალხი მდამლად სალამს აძლევს. მისი მტერი კაპიტონ  
ეშაია გაწოლილი ამ შარაზე და ევედრება, შეიწყალოს, ნუ დალუპავს,  
აპატიოს ყოველი შეცოდება. როგორი თვალებით გადახედა ჯოგომ! ვი-  
ნაა ეს მატლი, ეს, ეს...

ეჰ! რამდენმა სულელურმა ფიჭრმა გაუელვა თავში ჯოგოს, და სრუ-  
ლიად ვერ შეამჩნია, თუ როგორ შეაღო თავისი ეზოს ჭიშკარი. ამ დროს  
აივანზე გადმომდგარმა ცოლმა ცივად იკივლა:

— ვევააა, ჯოგო!.. ვევაა, ნენა!..

თავზარი დაეცა საბრალო ჯოგოს. უცბად თავისი ავადმყოფი ელენა  
გაახსენდა და გადმოხტა თუ არა ცხენიდან, თითონაც იღრიალა და ცო-  
ლისკენ გაეჭანა.

— ვევა, ესმა! ვევა, ბაბა!

იშვითი ტირილი იცოდა ესმამ. ქვალონამდი ჩააწვდენდა ხმას, თუ  
იკივლებდა. ხოლო როდესაც კიოდა, ქვეყანა რომ დაგექციათ, არაფერი  
არ ესმოდა.

მთელ სოფელს გადაწვდა ცოლ-ჭმრის კივილი. მეზობლები ძუნძულით  
მორბოდენ შარაზე, ხტებოდენ ლობეებზე, მოიჩქაროდენ, რომ გაეგოთ,  
თუ რა უბედურება ეწვია ჯოგოს და მის ცოლს.

მალე მთელმა სოფელმა მოიყარა თავი და დაინახეს ეზოში მდგარი  
ჯოგო, ცალ შკლავზე გვირგვინი წამოეცვა ხოლო მეორეს შუბლზე იცემ-  
და და ჩახლეჩილი ხმით მოთქვამდა.

— ბაბა!.. ჩემო ბაბა!.. შვილო ელენე!..

ესმა აივნის იატაკზე არახუნებდა თავს და ისე გულმოდგინეთ კიოდა,  
რომ ვერც ერთი ტურა ვერ გაბედავდა მასთან შეჯიბრებას.

მეზობლები გარს შემოეხვიენ ატირებულ ცოლ-ჭმარს. ქალები ესმას  
მივიარდენ, თმები ჩამოიშალეს და ის იყო თითონაც შეუწყეს ხმები ემას,  
რომ ამ დროს ჯოგო უცბად გაჩუმდა და აივანს დააცქერდა.

ოთახიდან ავადმყოფი ელენა გამოვიდა.

გაკვირვებულნი ჯოგო გაეჭანა შეილისაკენ.

— შვილო, ელენა, გაცოცხლდი? ცოცხალი ხარ?

ხალხი აირია. ვერავენ ვერაფერი გაიგო. ესმა ისევე კიოდა, ხოლო  
ჯოგო, როდესაც დარწმუნდა, რომ შვილი ცოცხალი ჰყავდა, დამშვიდდა,  
მაგრამ მაინც ვერ გაიგო, თუ რატომ აკივლდა მისი ცოლი, და უეცრად  
გაახსენდა...

გვირგვინი.

— ხა! ხა! ხა!.. — ისე გულიანად გადიხარხარა ჯოგომ, რომ მეზობლები კინალამ გაგიყდენ და გულმოსულმა ნესტორ შონიამ ჩაგაქაჩა!

— ხალხო, ვაგვაგებიეთ, მასხრათ გვიღებთ, თუ რა მხრდას თქვენ თავს?!

ჯოგომ ვერაფრით ვერ შეიკავე სიცილი, ხველა აუტყდა, სულ გაულურჯდა სახე, მერე ისევ ახარხარდა, და შეშინებულმა ესმამ კივილი შეწყვიტა და იყვირა:

— მიშველეთ, ნანა!.. ვაგიყდა მაგ უბედური, შეკარით!..

ხალხი ეცა ჯოგოს. ვილაცამ თოკიც კი მოარბენია. ჯოგომ გაიბრძოლა და როდესაც შეატყო, რომ ძალა არ გაუვიდოდა, იყვირა:

— გვირგვინი, ხალხო გვირგვინი!..

— რა? გვირგვინი?.. — ჰკითხა ნესტორმა.

— გვირგვინი არ გამიფუჭოთ მაგ დასალუბავი! ხუთი მანათი მივეცი შიგ. მაგის ბრალია ყველაფერი. შოიცათ, კაცო, არ ვაგვიყებულვარ. მათქმევით პატარა... ე კაცო, ფეხით ნუ მომიტეღეთ მაგ დასალუბავი...

ათი წუთის შემდეგ გამხიარულებული მეზობლები ნელნელა იშლე-ბოდნ თაეთავიანთი სახლებიდან, მხოლოდ ნესტორა შონიამ გადააფურთხა გულმოსულმა და ყველას გასაგონად ჩაილაპარაკა:

— ფუ! რა ხალხია ახლა მაგ! გადაგვრიეს ხალხი... მხეცები!

1935 წ. ტფილისი.



# ა. წერეთლის გარდაცვალების 20 წლის თავი

საქართველოს  
საბჭოთაო დემოკრატიული რესპუბლიკა

მ. ბორჯომელიძე

## აკაკი წერეთელი \*)


ოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა ქართველი ხალხის საყვარელი პოეტი აკაკი.

20 წელი არ არის მცირე დრო თანამედროვე ვითარებაში. ამ ხნის განმავლობაში რამდენი დიდი სახელი მიეცა სრულ დავიწყებას, რამდენი გვირგვინოსანი დაემხო სამუდამოდ, რამდენი ტახტი დაინგრა აღუდგენლად იმ დიდი სოციალური ძვრებისა და ქართველების გამო, რომლებიც ახასიათებენ ქვეყნის გამანადგურებელ იმპერიალისტურ ომს და მის საწინააღმდეგოდ წარმოშობილ რევოლუციონურ მოძრაობას, გამძვინვარებულ სამოქალაქო ომებს, პროლეტარიატის დიქტატურის ძლევაში მსვლელობას, კოლონიებისა და ნახევრად კოლონიების დაჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლას!

ისტორიას არ ახსოვს მსგავსი რამ. ძველი ცხოვრება ძირიანად შეირყა, დედამიწის მეექვსედ ნაწილზე მოეწყო ახალი ცხოვრება და კაცობრიობა აუცილებლობის სამეფოდან ნახტომს აკეთებს თავისუფლების სამეფოში. სოციალიზმის მშენებლობა, რომელშიაც ჩვენ ჩაბმული ვართ, მოითხოვს მთელი ძალღონის დაძაბვას, მთელი გულისყურის მომავლისკენ მიმართვას.

თითქოს ყოველივე ეს ნაკლებად უწყობს ხელს იმას, რომ შევჩერდეთ წარსულის მოღვაწეზე და ის გადავაქციოთ ჩვენი კვლევა-ძიების, სულიერი განცდების, ჩვენი საქმიანობის საგნად. სად ჩვენი ხუთწლედები, მათთან დაკავშირებული სასიცოცხლო ინტერესები და სად ის, თუ ვინ გარდაიცვალა 20 წლის წინათ! მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით გვეჩვენება ასე. ყოველ შემთხვევაში პოეტ აკაკის მიმართ მას ძალა არა აქვს. ის დღესაც ცოცხალივით სდგას ჩვენს წინ და ჩვენივე ინტერესი მოითხოვს უდიდესი ყურადღებით ავწონ-დავწონოთ მის მიერ ნაანდერძევი განძი.

\*) სიტყვა თქმული აკაკის გარდაცვალებიდან 20 წ. თავის აღსანიშნავ საღამოზე 1935 წ. 13 თებერვალს.



სამხატვრო აკადემიის

და ასეთი ჩვენი მოპყრობა წარსულისადმი შეეხება არა მარტო აქაქის. მიუხედავად ჩვენი დიდი დატვირთვისა ყოველდღიური საქმიანობით, ჩვენ ვალდებული ვხდებით მოვიგონოთ წარსული ცხოვრებადღეობის ბიროვნებები და მათი დეაწლი ღირსეულად შევქმნათ ისინი, რომლებსაც დღესასწაულებს ვმართავთ მით პატივსაცემად, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვა კლასს ემსახურებოდნენ, ჩვენთვის მიუღებელ იდეებს და მისწრაფებებს გამოხატავდნენ. მიზანი აქ ერთადერთია: სწორად იქნეს შეფასებული წარსული, მისი სულიერი მემკვიდრეობა, რომ მიიღვადვილდეს თანამედროვე ვითარების გამორკვევა.

პოეტი აკაკი ერთი ასეთი ბიროვნებათაგანია.

ვინ იყო აკაკი?

თვით ეს სახელიც მრავალმნიშვნელოვანია. ის უდრის უდიდეს ისტორიულ სახელებს. მაგრამ ეს — დღეს არის ასე და არა მაშინ, როდესაც აკაკიმ ეს სახელწოდება მიიღო, როდესაც იგი თითქმის სრულ არარაობას წარმოადგენდა. სად, რომელ ისტორიულ ეპოქაში, რომელ ისტორიულ დოკუმენტში, რომელ ლიტერატურაში ბრწყინავდა ეს სახელი? არსად. და მაშ რამ შეაცდინა მისი ნათლიები თუ მშობლები, რომ ეს სახელი გამოუძებნეს მომავალ დიდ პოეტს? ალბად რომელიმე კალენდარმა და სურვილმა — რამე უჩვეულო სახელი დაერქმიათ და მით განესხვავებიათ იგი სხვა წერეთლებისაგან. აკაკიმ განასპეტაკა ეს სახელი, აიყვანა დიდ მწვერვალზე, გახადა ის სანატრელად მრავალი ათასისათვის და მის სასარგებლოდ წაართვა პირველობა ქართველობაში საუკუნეებით განმტკიცებულ სახელებს — გიორგის, ირაკლის, ტარიელს, ფრიდონს, ვახტანგს და მრავალ სხვას. ბევრი ცნობილი მოღვაწეა, რომ ატარებს ჩვენში ამ სახელს და, რა თქმა უნდა, ამის მიზეზი დიდი აკაკი წერეთელია.

ყოველივე ემს გარეშეა, რომ აკაკი უხვად იყო დაჯილდოებული ზენებრივი ნიჭით, — ამ მხრივ ის რჩეული იყო რჩეულთა შორის. მაგრამ ეს არ სწევტს თავის თავად საკითხს. ნიჭი შეიძლება კარგადაც იქნეს მოხმარებული და ცუდადაც, იმის მიხედვით, თუ რა გზას აირჩევს თავისთვის მისი პატრონი — პირად კეთილდღეობას თუ ხალხის სამსახურს, ვის მიეკედლება იგი — ძველი ცხოვრების მატარებელ კლასს, რომლის დღეები შეიძლება დათვლილია, მაგრამ დღეს-დღეობით წარმოადგენს ძლიერების განხორციელებას მატერიალურადაც და იდეური ტრადიციებითაც. — თუ, პირიქით, ახალ ძალებს, რომლებიც ჩანასახის ფორმაში იმყოფებიან და დიდი საჭირობოროტო გზა აქვთ გასავლელი თავიანთ მომწიფებამდე ეს არჩევანი ბევრად არის დამოკიდებული თვით ნიჭის მატარებელ ბიროვნებაზე, რომელსაც თავისი სამოქმედო გეზის სრულ გამორკვევამდე მრავალი შემთხვევა მიეცემა გამომცდელი თვლით შეხედოს ერთსაც და მეორესაც და ეკლიანი, მაგრამ სასახელო გზა ამჯობინოს ვარდებით მოიგვილი, მაგრამ საბოლოო ანგარიშში სამარცხვინო და დიდი ნიჭისათვის შეუფერებელ გზას.

აკაკიმ ეკლიანი გზა აირჩია, შეურიგებელი სისასტიკით დაეწირა-პირდა თვითმპყრობელ მთავრობას, მთელ ქვეყანას რომ მაკლავინასავით დასწოლოდა თავს, და დაჩაგრული ხალხის სამსახურში დაეწინა თავის ცხოვრების მიზნად. მას ბედნიერ პოეტს ეძახიან, მაგრამ ამ „ბედნიერს“ ბევრი გაჭირვება გაუვლია, ბევრი სამსალა დაუღვებია, სასოწარკვეთილებაც ბევრჯერ განუცდია. მას ეკუთვნის და არა სხვას ეისმეს უკვე სახალხოდ გადაქცეული ლექსები:

თავო ჩემო ბედი არ გიწერია,  
ჩანგო ჩემო ეშხით არ გიღვრია,  
გულო ჩემო ტბილად არ გიძვრია,  
ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე,  
სიტყბოზედა მწარე მეტი დავლიე,  
არ მშორდება მწუხარება და ქორი.

მაგრამ მასვე ეკუთვნის მხნეობით და იმედიანობით სავსე სიტყვები:

მაგრამ მაინც სულ ვიციანი, არ ვტირი...  
დიდ კაცებს თავს არ ვფარავ,  
რა მათი საფერი ვარ,  
უმათოდაც არ ვფარავ,  
ჩემით ბედნიერი ვარ.  
ქვეყნის შვილი, ქვეყნის მოძვე  
ქვეყანაში ყარიბი ვარ,  
მაშინ უფრო მდიდარი ვარ,  
როცა უფრო ღარიბი ვარ.

აშკარაა, ის ბედნიერება, რომელსაც პოეტმა საბოლოოდ მიაღწია, მას მუქთად არ დარჩენია. მთელი მისი სიცოცხლე, — ეს შეუწყვეტელი ჭიდილი იყო მის სათაყვანო იდეასა და ამ იდეის საწინააღმდეგო ძალას შუა და სწორედ ამ ჭიდილის, ამ ბრძოლის გადატანით მოიქმო აკაკიმ უკვდავება, ამით არის იგი ძვირფასი ჩვენთვის.

რისთვის იბრძოდა იგი?

როდესაც ამ კითხვას ვაყენებთ, ჩვენს მიზანს სრულიადაც არ შეადგენს ის, რომ ვისესხოთ ან ჩვენად ვალიაროთ აკაკის სამოქმედო პროგრამა, იდეები და მსოფლმხედველობა. ჩვენი ეპოქა, სტალინის ეპოქა მეტად მილიდარია იდეებით და შინაარსით და აშკარაა მდიდარ აკაკის ნაწარმოებშიაც არ დავიწყებთ საღვთისო იდეების ძებნას. ჩვენ შბოლოდ ის უნდა გავარკვიოთ, თუ რამდენად წასწია წინ აკაკიმ მისი თანამედროვე ცხოვრება და დაუახლოვა ჩვენს ეპოქას, ნიადაგი შეუმზადა მას.

ამ მხრივ მართლა დიდი ყურადღების ღირსია აკაკის მიერ განვლული გზა.

ამ მოკლე შესავალ სიტყვაში ჩემს მიზანს არ შეადგენს დავახასიათო მესამოცე წლების ეპოქა, რომელიც საბოლოოდ განსაზღვრავს აკაკის (ისე როგორც მისი თანამედროვის — ილია ჭავჭავაძის) შემოქმედებას. ბატონ-

ყმობის გაუქმებით ცხოვრების ასპარეზზე არ გამოსულა ისეთი ძალი კლასი, რომელსაც ცხოვრების სადავეები ხელში ჰქონოდა და თავისი სულის კვეთებით განემსქვალა მომავალი განვითარება. მელსაც ეკუთვნოდა ეს როლი; მეტად სუსტი იყო და პიროველ ნაწილებში მაინც შესვეურობა ისევ ძველ კლასს, თავადაზნაურობას დარჩა, თუმცა კი შეცვლილ პირობებში. მის საპირისპიროდ ისევ გლეხი იდგა, რომელიც განაგრძობდა თავის ჰაპანწყვეტას ონდავ შემსუბუქებული უღლის ქვეშ. მიუხედავად ამისა, ძველ საქართველოში შეიცვალა ერთი რამ: მონსპო ცალ-ცალკე ოლქების და მხარეების კარჩაკეტილობა, მათი ერთმანეთისადმი უფრო მტრული, ვიდრე მეგობრული დამოკიდებულება, გაძლიერდა მათ შორის ეკონომიური კავშირი, მიმოსვლა და შეიქმნა პირობები საქართველოს ეკონომიური მთლიანობისა, რაც საფუძვლად დაედო ეროვნული იდეის განვითარებას.

აკაკი ემსახურება ამ ეროვნულ იდეას, მაგრამ მასში ძველ შინაარსს, ძველი ფეოდალური საქართველოს იდეალებს ათავსებს. ამ სახითაც იგი გამოუსადეგარია არა მარტო ხალხის ფართო ფენებისათვის, არამედ თვით თავადაზნაურობისთვის, რომელიც თუმცა თანაუგრძნობს პოეტს, მაგრამ რად ღირს მისი თანაგრძნობა, ვინც დაღუპვის გზაზე დგას და მთავრობასთან შერიგებული, მისგან მოელის ხსნას. აკაკის შემოქმედება კი მთავრობასთან ყოველივე შერიგებას უარყოფს და ასეთ პირობებში ის ვერსად გრძნობს მტკიცე დასაყრდენს. „ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველო“. ამბობს ის და ეძებს გამირებს, რომელთაც უნდა გაიზიარონ მისი პროგრამა. „გამირებს დაეძებს, უყვიის ჩემი დაფი და ნალარა“. მერე სად არიან ეს გამირები? „კი, მაგრამ გამირი არა სჩანს“, ნაღვლიანად ამბობს პოეტი და ეს ვასაგებია, თუ წარმოვიდგენთ, რომ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ გლეხობაც ვერ არის განწყობილი მთავრობასთან საბრძოლველად, რადგან მას ეშინია კვლავ თავად-აზნაურობის კუთვნილებად არ გახდეს, როგორც ეს საუკუნოებით ყოფილა. მით უმეტეს ვერ ხიბლავს მას წარსულის სურათები, რომლებშიაც მეფე, თავად-აზნაურობა და სამღვდელთა დიდი სათნოებით არის შემკული პოეტის მიერ.

აკაკი ხვდება, რომ ხსნა თავად-აზნაურობაში არ არის, მაგრამ ის მაინც მის იდეალებს ვერ შორდება, თუნდაც წარსულში იყოს ეს იდეალები; სხვა საზრდო მას ვერ მოუძებნია თავისი ნიჭისათვის.

აკაკი იმასაც ხვდება, რომ ხსნა დაბალ ფენებშია. მაგრამ ეს ფენები ჯერ სუსტია (მუშათა მოძრაობის დაწყებამდე მათი პროგრამა არც გამოირკვევა) და მის შემოქმედებას ვერ ასაზრდოებენ. ამიტომ მხოლოდ ეპიზოდურად და შემთხვევითად ახერხებს ის ამ ფენებთან მისვლას და უძღვნის მათ მაღალნიჭიერ ლექსებს, როგორცაა „იმერული ნანინა“, „სიმღერა შკის დროს“, „სიმინდსა თოხნა დაფუწყოთ“ და სხვ.

მთავარი მისი თემა „მიჯაჭვული ამირანის“ (იგულისხმე საქართველო) განთავისუფლებაა.

ამგვარად, შესამოკლე წლების განმათავისუფლებელი იდეების მეტარებელი აკაკი ისეთ პირობებში მოექცა, როდესაც მან ვერ განაგრძო, თუ როგორ უნდა მომხდარიყო ამირანის განთავისუფლება, რეჟიმის კლასის უნდი ეკისრა ეს საქმე, რა ტაქტიკით უნდა დარაზმდებოდა მსხვერპლი ძალები. ის ძალაუფლებურად უნდა დაემყოფილებულიყო ნაციონალური იდეის გადვიძებით აქედან გამომდინარე ყოველივე პრაქტიკული მოქმედების გარეშე. და უნდა სიმართლე ითქვას, ამ საქმეს აკაკი ემსახურება ისეთი თავგამოდებით, როგორც სხვას არავის რგებია წილად.

თვალს მიხედვენ, ენას მგლეჯენ  
და მაგდებენ საიარეში,  
ურცხვად შეიდშვიდ პარასკევსა  
მითვლიან მე ერთ კვირეში, —

ასე ახასიათებს პოეტი იმ საერთო პირობებს, რომელშიაც მას ხვდა მოღვაწეობა. რა თქმა უნდა, ის ვერ იქნება კმაყოფილი თავისი ბედის, პირიქით, ყოველივე იმედ-წარკვეთილის კილო უფრო მეტად გაისმის მის ნაწერებში.

ფუ, ჩემს ვარსკვლავს და ჩემს ბედს წერასა,  
ცუ ნაცარში მიმატეუბა კერასა,  
რაც მებადა, გაატანა ურჯულოთ,  
შემოსულ ჩხიკეს, ყვესა და ძერასა.

რას მერზოდა, ეის რა ვირი მოეპარე,  
რომ საკანად გამოხადა ეს მხარე,  
სიდაც სისხლი დავანთხიე სარწყავად  
და ცრემლებიც თან ჩავუროე მდღლარე;  
ცალი ხელით გვიარს და რჯულს ეიფარავდი,  
მეორეთი ვიოზნადა და ეზარავდი,  
სისხლის ოფლში ვავიწურე, გაეკავდი,  
გავფოლადდი ცეცხლში, დაეპატარავდი.  
დავზავდი..... ნალღვი ვარ კვერცხივით,  
მზე ვერ მწვდება ვერ ვერც შეუთ, ვერც სხივით.

მაგრამ საკმარისია — ოდნავ შეიცვალოს პირობები, მზის სხივი გამოჩნდეს თუნდაც სარკმელში, რომ პოეტი სულ სხვა გუნებაზე დადგეს:

და თუ დამწვდა, ჩამომჭერიტა სარკმელში,  
ვიბრკევიალუბ ერთხელ კიდევ ვერცხლივით.

ხოლო, სანამ ეს პირობები არ შეცვლილა (და ეს კი დიდხანს გრძელდება), პოეტი განაგრძობს გოდებას და მის თანამოაზრეთა საყურადღებოდ თავისი გულის წყრომის გადმონთხევას:

მანამდე კი ფუ, ჩემს ბედს წერასა,  
სინამ ასე მიკრული ვარ კერასა!  
შხამ-ნაღვლი და ძირმწარე ჩემს კალამს  
და ცრემლები ამ ჩემს შემკრთალ წერასა!



მიუხედავად ამ „შემკრთალი წერისა“, პოეტი გასაოცარი ოსტატობით ახერხებს თავისი იდეების პროპაგანდას.

ქ. რ. ქ. მ. მ. მ.  
მ. მ. მ. მ. მ. მ.

მშვენიერო, შენ გეტყვი,  
შენი მონა ერთგული, —

ეუბნება ის სატრფოს (იმავე საქართველოს), რომელსაც ის არასოდეს არ უღალატებს და ცდილობს მთელ ხალხს ჩაუნერგოს მისდამი ასეთი გრძნობა. ის წმინდა სანთელივით აღმართულა ამ სატრფოს წინ, მასზე ლოცულობს, მისთვის იწვის და დნება:

ჩემი ხატია სამშობლო,  
სახატე მთელი ქვეყანა  
და რომ ვიწვოდვ, ვდნებოდვ,  
არ შემიძლია მეც განა?

ამ წვის დროს ის ბევრ ასაფეთქებელ მასალას აგროვებს, თავისი კალმის მეშვეობით ხანჯალს მიმართავს და ეუბნება:

მიმოცქეულე შტრის გულთან,  
მოუძღვენ ჩემი საღამო,  
ის ეთომ საწერელია,  
ჩაფრქვე ვიოა კალამი.

დაულეველია ის ენერჯია, რომლითაც ავტორი ემსახურება თავის სათაყვანო იდეას. ვარდი, ბუღბული, მაისის ღამე, მთვარე, კრწანისის ველი, მთაწმინდა, — ყველაფერი ეს ავონებს მას „ცა-ფირუს, ხმელეთ-ზურმუხტ“ მის ქვეყანას, ყველაფერი ეს ავსებს მას სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით.

ამხედრება თვითმპყრობელური ვეშაპის წინააღმდეგ, რომელიც ახასიათებს აკაკის შემოქმედებას, მართალია, მოკლებულია შესამჩნევ პრაქტიკულ გამოხატულებას, მაგრამ, როგორც ეროვნული განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთი ელემენტი, პროგრესიულ მოვლენას წარმოადგენს იმ დროისათვის, როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრება ამყაყებულ ჭაობს უფრო გავდა, ვიდრე მებრძოლი ძალების გააფთრებულ შეზღა-შემოხლას. მთავრობისადმი სრულიად უარყოფითი დამოკიდებულება და საერთოდ ის ოპოზიციონური სული, რომლითაც გაცდენთილია აკაკის უამრავი პატრიოტული ლექსი, შეიქნა იმის მიზეზი, რომ ამ პოეზიამ დიდი პოპულარიობა მოიპოვა. რევოლუციონერ მოძრაობაში ჩაბმულმა ხალხმა ის თავის ენაზე გადაიტანა, მთავრობისადმი სიძულვილი მან საესეებით გაიზიარა, სატრფოს დასახსნელად მიმართული ბრძოლა მან რევოლუციონერ ბრძოლად იგულისხმა და ასე თავისებურად გარდაქმნილ-შეხამებული ის ერთ დროს გამოყენებულ იქნა განმათავისუფლებელი იდეების დამშპარედ:

„ერთობა ჩვენთვის ტახტია,  
მტრებისთვის სახრჩობელი“.

იმეორებდა ხალხი აკაკის ლექსს და აღტაცებით ელოდა იმ დღეს, როდესაც მას შეეძლო დაეძახნა:

„მტრებს ვიი-დედა ვაძახოთ,  
ჩვენა ვთქვათ დელა-დელაო“.

ქარქინულნი  
გინგაქინულნი

ამ პოპულიარობას ძლიერ უწყობდა ხელს ის გარემოება, რომ აკაკის ლექსი შეტად მარტივი, მსუბუქი, ხალხური ენით არის დაწერილი და მოკლებულია იმ მწიფნობრულ ფუყე სტილს, რომელიც ჟასს უკარგავს კაი ნაწარმოებსაც.

სამაგიეროდ თვით პოეტზედაც იმოქმედა ხალხის მიერ მისი პოეზიის ასეთმა შეფასებამ. მას გული არ ვასტეხია იმის გამო, რომ თავად-აზნაურობა ზედმეტ ბარგად იქცა და, როგორც ხორცმეტი, ცხოვრებიდან გამოირიყა. 1905 წლის რევოლუციას იგი განსაკუთრებულად შეხვდა, შეიძლება ითქვას, ერთბაშად გადახალისდა და დაიწყო რევოლუციონურ თემებზე წერა. მან გადათარგმნა სიმღერა „ინტერნაციონალი“ და მებრძოლი განწყობილებებით ვაისტვალა. განსაკუთრებით შესანიშნავია ლექსი 1905 წლის მარტით დათარიღებული:

ამ დღეს ველოდი, მოვესწარი..  
ვიცინი, აღარ ვტირი მე,  
ახალგაზრდებო, იწ კი თქვენ  
გამოდით, თქვენი ჭირიმე!..  
ბევრი რამ მითქვამს... რომ მეთქვა,  
დავიზახნიჯე პირი მე!..  
ახლა არ გვგლეჯენ ენასა, —  
სთქვით რამე, თქვენი ჭირიმე!  
„ასეჯერ გაზომე და ერთჯერ  
გამოსტერო“ ახლაც ვეფერი მე-  
ნუ აჩქარდებით! ნურც შიშობთ,  
გამტკილით, თქვენი ჭირიმე!  
ბევრი ვეცადე, სიმწარეს  
ვერ გაუთხარე ძირი მე.  
ეხლა კი თქვენი ჯერია,  
დაბზარეო, თქვენი ჭირიმე!  
კუბოს კარამდე მისული  
რალა ვარ, განაწირი მე!  
მაგრამ თან თქვენი იმედი  
მიყვება, თქვენი ჭირიმე.  
ნუ გამოშტყუნებთ იმედსა,  
ხომ ხედავთ, აღარ ვტირი მე!  
დრო მოდის — ერთად ვიცინოთ!  
ვიცინოთ, თქვენი ჭირიმე!

აკაკის უმთავრესი ჟანრი ლირიკაა, მაგრამ მას ყველა დარგში მოეპოება საუცხოოვა ნაწარმოები. მისი ისტორიული პოემები იმავე თემას უტრიალებს, რასაც მისი ლირიკული ლექსები. მან ქართული პროზაც გა-

ამდიდრა მრავალი ისტორიული და ავტოგრაფიული ხასიათის შექმნა-  
ვი ნაწარმოებით, სადაც ავტორი ერთგულად იცავს თავის იდეას — აღი-  
ლოს ძველი საქართველო და წარმოუდგინოს იგი თანამედროვეს  
წასაბაძი მაგალითი.

დასასრულ უნდა ვახსენოთ მისი დიდი ღვაწლი სალიტერატურო ენის  
სიწმინდის საქმეში. მან ილია ჭავჭავაძესთან ერთად შექმნა ახალი სალი-  
ტერატურო ენა და ამის გამო დიდი ბრძოლა გადაიტანა ძველი თაობის  
წინააღმდეგ. ამ საკითხში მეტად მკაცრი და უღმობელი იყო და არ დაინდო  
თვით სახელოვანი პოეტიც, როგორც იყო ვაჟა-ფშაველა.

წმინდა ხელოვნების უარყოფელი, ყოველი საკითხის პრინციპიალურ  
სიმაღლეზე ამყვანი, თავდადებული მსახური თავისი იდეისა, აკაკი მუდამ  
დარჩება ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთ უშესანიშნავეს ფიგურად და  
განსაკუთრებით კი სიტყვის მისაბაძველ ოსტატად.

არ მოიპოვება ისეთი წერა-კითხვის მკოდნე, რომელიც არ დამტკბა-  
რიყოს აკაკის წარმტაცი ლექსით, არ მოიპოვება ისეთი პოეტი, რომელსაც  
არ განეცადოს მისი გავლენა. არ უნდა მოიპოვებოდეს ისეთი საბჭოთა მო-  
ქალაქე, რომელიც ყოველივე ხობის ან დამციროების გარეშე არ აფასებ-  
დეს წარსულის ამ დიდ მოქალაქეს, ამ დიდ პოეტს და პოეტთა შორის  
უველაზე საყვარელ აკაკის.



ალ. აბაშელი

## აბაშის შერაგანაღები

(მოგონება)

აკაკი პირველად დავინახე ტფილისში 1909 წელს. მაშინ გადასახლებიდან ახლად დაბრუნებული ვიყავი, ლექსებს ჯერ კიდევ არ ვბეჭდავდი და მწერლობასთან კავშირი არ მქონდა.

ერთ საღამოს ქართულ თეატრში წავედი (ახლანდელი ეოროპული სახელობის კლუბი). ადგილი ქანდარაზე მქონდა. არ მახსოვს რა პიესას თამაშობდნენ. დარბაზში ელექტრონი ჩაქრა და ფარდის აწვევის მოლოდინში ხალხის კრიამული მინელდა.

უცებ პარტერიდან მომესმა ჩურჩული: აკაკი! აკაკი! ტანში მოულოდნელი სიხარულის ყრუანტელმა დამიარა. გადმოვადირე ქანდარიდან თავკისერი და დავაშტერდი პარტერს, მაგრამ ბნელოდა და ვერაფერი დავინახე. ოდნავ იყო მხოლოდ განათებული რამზის შექათ პირველი რიგი.

რამდენიმე წამის შემდეგ ბაჯბაჯით შემოვიდა ამ რიგში ახლავანი მოხუცი, რომლის საოცარმა ქაღარამ, ნათელ შარავანდებს რომ უფრო ჰგავდა, ვიდრე თმა-წვერს, თითქოს გაანათა იქაურობა. მოწიწებით ეგებებოდნენ და ხელს ართმევდნენ პირველ რიგში მსხდომნი, სანამ იგი თავის საგარძელთან მივიდოდა.

დაჯდა და ფარდაც შრიალით აეარდა. მთელი წარმოდგენა ისე გათავდა, რომ მე ერთი სიტყვაც არ მომიხმენია სცენიდან და ამიტომ არც მახსოვს პიესა, — დავსკეროდი აკაკის, გაფაციკვებით ვიპერდი ყოველ მის მოძრაობას და შურით შევყურებდი მის ბედნიერ მეზობლებს, რომელნიც ხან მარჯვნიდან გადმოიხრებოდნენ მისკენ და რალაცას ეჩურჩულებოდნენ, ხან მარცხნიდან.

ყოველ ანტრაქტზე ჩამოვრბოდი ქანდარიდან პარტერში და გაურკვეველი შიშითა და სიხარულით სავსე ვიდევ გარინდული აკაკის შორი-ახლო და ყურს ეუფდებდი მის ლაპარაკს. ის კი ბევრს ლაპარაკობდა. მის ირგვლივ მდგომნი თითო-ორიოლა სიტყვას თუ ჩაურთავდნენ ბაასში, ისე კი საუბარის სადავე მას ეჭირა.

შემდეგ, როცა უფრო ხშირად ვხედებოდი აკაკის, უმთავრესად გვიგონლ დიასამიძის სახლში, შემინიშნავს, რომ რაც უნდა ბევრი ხალხი ყოფილიყო მის გარშემო, თუნდაც ვინმე საიდანმე ახლადმოსულიყო დიდი და საინტერესო ამბებით დატვირთული, ყოველთვის, კვლავ სიტყვის შემდეგ საუბარის დაფი გადადიოდა აკაკის ხელში, და ბოლომდე ის რჩებოდა უცვლელ დირიჟორად. ლაპარაკობდა დინჯად, ხმა აუმღლებლად, ყოველთვის მოზომილად და თავდაკერილად. კვიპატი ენა ჰქონდა, მაგრამ ტკბილ თხრობის კილოში მზხვლეთავე ეკლის სიმწარეს ისე გაურევედა, რომ თვით ისარნაქრავიცი იხიბლებოდა მოსწრებული სიტყვებიდან მოულოდნელად დაკვეცილ ცინცხლების სილამაზით.

ეს ყველაფერი შევნიშნე მერე, იმ საღამოს კი, აკაკისთან ახლოს ყოფნით აღელვებულს, ხეირიანად არც კი მესმოდა მისი სიტყვების აზრი.

ჩემი დროის ახალგაზრდობა მეტისმეტი კრძალვითა და რილით ეპყრობოდა დიდ სახალხო ავტორიტეტებს. იმ დროს მე გამოვლილი მქონდა პოლიტიკური ბრძოლის ჭარიშხალი, რა თქმა უნდა ჩემი ძალღონისა და უნარის შესაფერად, დავლილი მქონდა რუსეთის ციხეები და ჩრდილოეთში ვადასახლების სიმწარეც განცდილი, არც ისე ახალგაზრდა ვიყავი, — 24 წლისა, — მიუხედავად ამისა იმ წამს ჩემთვის თითქმის მიუწვდომელი ბედნიერება იყო ფიქრი იმაზე, რომ ოდესმე გამხდარავიყავ აკაკის გვერდით ჯდომისა და მასთან საუბრის ღირსი. და ამიტომ ყველა ეს ხალხი, აკაკის რომ გარს ეხვია და სახეში შესცინოდა, მე მიმჩინდა ჩემთვის მიუწვდომელ სიმაღლეზე მდგომ ადამიანებად.

ახლანდელი ახალგაზრდობა, საბედნიეროდ, მოკლებულია ამ პსიქოლოგიურ კერპთაყვანისმცემლობის გრძნობას და მას, სხვა ყოველ სიკეთესთან ერთად, რევოლუციამ მისცა ამაყი ნებისყოფა და უშიშარი თვალეზი. ახლა ცნობილ მსოფლიო ავტორიტეტს მაქსიმ გორკის, ახალგაზრდები გაბედულ წერილებს სწერენ, უკრძალველად საუბრობენ მასთან, როგორც უფროს ამზანავთან და ხშირად კადნიერადაც შეეკამათებიან მას...

მაგრამ ჩემ დროს ახალგაზრდობას აკლდა დიდი ავტორიტეტების შიშით ეს გამბედაობა. აკაკის კი უდიდესი პოეტის უზარმაზარი სახელი მქონდა და ამასთანავე ყოველ ჩვენგანის გულში ვერცხლის ეფენივით წკრიალებდა მისი ზონგურის დამატკობელი სიმები... დიდ მოკრძალებას ერთვოდა დიდი სიყვარული და განცვიფრება და ამიტომ ენადამულ შეყვარებულებით შევსტქეროდი აკაკის ნათელ ქაღარას.

მაინც ზოგი რამ მისი სიტყვებიდან ჩამრჩა გულში. აკაკი იმ საღამოს რომელიდაც მსახიობს ქართულს უწუნებდა. ზოგიერთ გამონაკლისს გარდაო, — ამბობდა იგი, — ჩვენი მსახიობები ვერ შეეჩვიენ სცენაზე ლიტერატურულ ქართულსო. მაყურებელმა ვერ უნდა შეატყოს სცენაზე მსახიობს, საქართველოს რომელ კუთხიდან არის იგი, იმერეთიდან თუ ქართლიდან. ჩვენი მსახიობების უმრავლესობას კი ბევრზომიდანვე აჩემებული

შინაური კილოკავი ვერ მოუშორებია და ინგლისელსა და დამსჯელს იმერულად ან ტეტურად ალაპარაკებდა.

— მაინც მხოლოდ ქართული თეატრიდან ისმის საუკეთესო თქვენი ხმები. — შენიშნა აკაკის მოსაუბრემ.

— მართალია, მაგრამ ეს მოწინავე მსახიობების მეოხებით. — მიუგო მან. — დიდი სასცენო ნიჭი ენობრივ დაბრკოლებასაც ადვილად სძლევს. მაგალითად, როცა ლადო მესხიშვილი რუსეთიდან დაბრუნდა, პირველ ხანებში მას ქართული არ უვარგოდა, შემადრწუნას მაგიერ „შემაწრუწუნა“-ს ამბობდა, მაგრამ ახლა ნახეთ, როგორი სანიმუშოა მისი ქართული მეტყველება...

იმ ხანებში მე ისევ მეტეხში ამოვყავი თავი, სასჯელი მომახდევინეს გადასახლებიდან თავის ნებით დაბრუნებისათვის. ციხიდან გამოსვლის შემდეგ დავიწყე ლექსების წერა და ბეჭდვა.

1911 წელს გაზ. „თემი“-ს რედაქციის თაოსნობით მოეწყო სალიტერატურო კონკურსი ლექსებზე. მეც მივიღე ამ კონკურსში მონაწილეობა.

1912 წლის 16 იანვარს ქართულ თეატრში მოხდა საკონკურსო ეიურის საჯარო სხდომა. ეიურის თავმჯდომარედ იყო სიტყვაკაზმული საზოგადოების თავმჯდომარე გრიგოლ რცხილაძე, საზეიმო სხდომაზე საპატიო თავმჯდომარედ მოწვეული იყო აკაკი.

წინააღმდეგობით გაზეთში ეიურიმ გამოაცხადა, რომ პრემია ერგო ლექსს „მზე“-ს, „სატურნი“-ს დევიზით.

როცა საღამოს არაოფიციალური ნაწილი დასრულდა, ეიურის სხდომა გახსნა აკაკიმ, რომელსაც გ. რცხილაძემ გადასცა დევიზიანი კონვერტი გასახსენლად. მე ეიცოდი, რომ დევიზი ჩემი იყო, ლექსის სათაურიც, მაგრამ ამ წუთს შიშმა შემიაყრო: ვაი თუ კიდევ სხვა ვისმე მჭონდეს ასეთი დევიზი-მეთქი. მე მომზადებული მოვედი თეატრში პრემიისა და ოვაციის მისაღებად და მოკლე სიტყვაც მჭონდა მომარაგებული. ამ სიტყვას, ვიდრე საღამოს საკონცერტო და სალიტერატურო ნაწილი მიმდინარეობდა, ჩუმად გულში ვიზებირებდი...

აკაკიმ გახსნა კონვერტი, მოიმარჯვა სითვალე და წაიკითხა ჩემი სახელი.

ატყდა ტაშისცემა. მე სცენაზე გამიწვიეს. გავვარდი ფოიეში და ძლივს შევკავე თავი, რომ არ გავქცეულიყავ თეატრიდან, ისე ამიტანა აკაკისთან პირდაპირ წარდგომის მოულოდნელობა შიშმა.

არ მახსოვს როგორ გავჩნდი სცენაზე. ვხედავდი აკაკის თეთრად მოელვარე სახეს, ღიმილით რომ მომჩერებოდა, მესმოდა ტაშის გრიალი და გული ამოვარდნას ლამოდა.

აკაკი წამოდგა, გადმოშვა ფულიანი კონვერტი (პრემია), ჩამომართვა ხელი და მომილოცა.

არასოდეს არ დამევიწყებდა ის წრეგარღვეული ბედნიერების გრძნობა, რაც იმ წუთს განვიცადე.

ყველაფერი ამ ქვეყნად შედარებითა და განცდათა სიმბაძრე განი-  
სახლერება მოლოდინის იმ დაძაბულობით, რომლითაც ითვისებდა თუ  
იმ ფაქტს. იმ წუთს მე იმდენად სავე ვიყავი დაუძლეველი ~~ქვეყნად~~,  
რომ შეშინოდა, გული არ წამსვლოდა. ორი თუ სამი წელიწადი  
თეატრში ქანდარიდან დავსცქეროდი აკაკის ნათელსა და მიუწვდომელს  
სახეს და შორით შევეყურებდი მის გარშემო მოფუსფუსე ხალხს. იმ წუთს  
კი მე ვიდევ აკაკის წინ თავდახრილი, ბედნიერებისაგან ატოკებული და  
ვერძობდი, რომ ამიერიდან მეც შევდიოდი, თუნდაც უმნიშვნელო და  
უკანასკნელ წევრად, ქართული პოეზიის ბრწყინვალე სამთავროში, სადაც  
მეფობდა და მზრძანებლობდა იმ დროს აკაკი.

უმწვერვალეს მღელვარების ბურანში მყოფმა თითქოს ვიგრძენ, რო-  
გორ მოსწყდა აკაკის ნათელ შარავანდედს ერთი პატარა სხივი და დამეცა  
თავზე...

დადგა დრო, როცა უნდა მეთქვა წინასწარ გაზეპირებული სიტყვა,  
მაგრამ ჩემს თავში იმ დროს, ქარბუქით დატრიალებულ თოვლის კორიან-  
ტელივით, ქოტიურად დაფრინავდენ და ელავდენ მომზადებული მიმარ-  
თვის ცალკე სიტყვები და მათი წესრიგში მოყვანა ჩემს ძალღონეს აღე-  
მატებოდა. მე ვერაფერი ვერ ვთქვი, ისე გავედი სცენიდან, აკანკალებუ-  
ლი და ოფლიანი...

შემდეგ ხშირად ვხდებოდი აკაკის „თემი“-ს რედაქტორ გრიგოლ  
ღიასამიძის სახლში. გრიგოლი პირდაპირ აღმერთებდა აკაკის, მისა უსა-  
ზღვროდ თაყვანისმცემელი იყო და აკაკისაც უყვარდა იგი და სიამოვნე-  
ბით დაიარებოდა მისას, როცა ტფილისში იყო. „თემი“-ს რედაქცია ღიას-  
ამიძის სახლში იყო, ოლგას (ახლანდელ ლენინის) ქუჩაზე № 4. ყოველ-  
თვის პირველად შენიშნავდა ხოლმე ფანჯრიდან გრიგოლი ეზოში შემო-  
სულს აკაკის, სახე გაუბრწყინდებოდა და წამოიძახებდა — აკაკი მოდისო.  
ყველანი ფანჯრებს მივადგებოდით: შავ პალტოში, თავზე შავი კრაველის  
ქუდით, ჯოხით ხელში ნელა მოაბიჯებდა აკაკი და ფანჯრებს მისი ჭა-  
ლარის შუქი ეცემოდა. შეიძლება ბევრს გადაჭარბებულად მოეჩვენოს  
ჩემი სიტყვები, მაგრამ ვისაც ახსოვს აკაკი, უსათუოდ დამიმოწმებს, რომ  
ამ დიდებულ ადამიანთან შეხვედრა ისეთს შთაბეჭდილებას სტოვებდა,  
თითქოს მისგან შუქი რამ გამოსჭვიოდა, თითქოს იგი მთელი სხეულით  
ანათებდა. აკაკი ოთახში შემოდიოდა, როგორც დაბინდების ეამს ანთებუ-  
ლი სანთელი და თითქოს ფიზიკურადაც იგრძნობოდა მის შემოსვლასთან  
ერთად სინათლის მომატება...

შემოვიდოდა, ყველას მოგვესალმებოდა, ჩაჯდებოდა რბილს სავარ-  
ძელში და მოჰყვებოდა ტკბილს საუბარს.

შგონი იმავ 1912 წელს, როგორც მახსოვს, პოეტმა ი. გრიშაშვილმა  
ქუთაისში გამართა სალიტერატურო საღამო, რაც იმ ხანებში ძალიან იყო  
განშირებული. საღამოზე მონაწილეობა მიიღო აკაკიმ. სხვათა შორის ამ  
საღამოზე მეც ვიყავი მიწვეული. ვისაც არ უნდა მოეწყო საღამო, თუ

აკაკი ღებულობდა მონაწილეობას, ბუნებრივად ის უნდა გამსაღარიყო ზეიმის ცენტრად. აკაკიმ წაიკითხა დაუბეჭდავი ლექსი და მიიღო თეატრმა ხანგრძლივი ოცეცია გაუმართა მას. ახალგაზრდა მწიგნობრებით ახალი ლექსები. აკაკი გულდასმით გვისმენდა და ფარდის ჩამოშვების შემდეგ ყველას ვაგვიზიარა თავისი აზრი ჩვენ მიერ წაკითხულ ლექსებზე. ზოგს ცოტა რამ მოუწონა, სხვას ზოგი რამ დაუწუნა და ტკბილად, მამა-შვილურად დაგვარიგა. როცა ჯერი ჩემზე მიდგა, მთხოვა ჩემი ლექსის პირველი სტროფის გამეორება. მეც ვავიმეორე:

მომერიდეთ, შხამს ნუ მასმევთ!..  
 ჯერ არ მიტყვამს რის თქმაცა მსურს!  
 ნუ მიყურებთ შებრალებით,  
 ვით უღონოს და უსუსურს!  
 ჯერ არ იცით ვის ვემღერო,  
 ან რას ვეძებ სევდის ჰანჯში,  
 ჯერ არ იცით, რა ძალაა  
 ჩემს კავშიათ მოცულს ჩანჯში!..

— ეს სტრიქონები, — სთქვა აკაკიმ, — გამეორებული გაქვს ლექსის ბოლოშიც, — და უნდა ვითხრა, რომ არსებითად კარგ ლექსს აფუჭებს ეს უადგილო შესავალი და დასასრული. თუ არ გითქვამს რის თქმაცა გსურს, ჯერ თუ ვერ მოასწარი ახალგაზრდა პოეტმა საკუთარი სიტყვის მონახვა. ხალხი რა შუაშია, რომ ემუქრები? — მომერიდეთ! ჯერ არ მიტყვამს! თქვენ რა იცით!! ამგვარი სიტყვებით არასოდეს არ მიმართო ხალხს, რომელიც ყოველთვის აფასებს ნამდვილი პოეტის შემოქმედებას. როცა გამოაჩენ შენი ჩანგის მთელს ძლიერებას, ე მაშინ თუ არ დაგაფასა ხალხმა, შეგიძლია უსაყვედურო მას, მაგრამ ახლა რა საბუთით, ჩემო?!

განადგურებული გამოვედი თეატრიდან. ვერ შეანელა ჩემი სასოწარკვეთილება ვერც ამხანაგების ნუგეშთანმა მოწონებამ, ვერც მეორე დღეს გაზეთ „კოლხიდა“-ში გამოქვეყნებულმა რეცენზიამ, სადაც გულ-უბე სტუმარმოყვარეობით მაქებდენ სწორედ იმ ლექსისთვის, რომელსაც ასე უღმობღლად წაჭრა თავი აკაკიმ...

1913 წლის 30 მარტს მეც ვაგმართე სალიტერატურო საღამო ტფილისში, ჭართულ თეატრში. აკაკის ესთხოვე მონაწილეობის მიღება. მან წაიკითხა მოხსენება ხალხური ზეპირსიტყვაობისა და მისი მნიშვნელობის შესახებ. არ მახსოვს, დაიბეჭდა თუ არა ეს მოხსენება საღამო. ჩვენში ზეპირსიტყვაობის განსაკუთრებულ სიმდიდრეს აკაკი ხსნიდა ჩვენებური ბატონყმობის განსაკუთრებული ხასიათით. ვლენებს ბატონების ბეგარა ემართათო, — ამბობდა აკაკი, — ზოგს ღვინო, ზოგს პური, მაგრამ იყვენ ისეთი გლახებიც, რომელთაც ბეგარად ზღაპარი ემართათო. ზღაპრით დაბეგარილ გლახებს ამგვარი ვალდებულება შთამომავლობით ჰქონდათ დაკისრებული და მათ ოჯახებში თანდათანობით გროვდებოდა დიდძალი ზეპირ-



სიტყვაობა. ამ წესს უნდა ვუმადლოდეთ, რომ საქართველოში ამდენი ზღაპრები და ლექსებია შენახულიო. წაიკითხა რამდენიმე სანიმუშო ლექსი:

ხომალდში ჩავევქ, ზღვის ვადელ,  
 ფრანგის ქვეყნები ვნახეო,  
 სულ დავიარე ხშელეთი,  
 ვერ ვნახე შენი სახეო,  
 ანთებულ სანთელს გამსვავეს,  
 დილით ცისკარზე გნახეო,  
 ზელში ვეპირა ვაწვილი,  
 ფარსაც ვერ დავინახეო...

ქარქინუში  
 შინგულიძისა

— ქართველმა ხალხმა ამ მშვენიერი ლექსით გამოხატა ღვთისმშობლის კულტო, — ამბობდა აკაკი, — და ეს ლექსი ისევე შესანიშნავია, როგორც დიდებული რაფაელის მიერ დახატული მადონაო. არა თუ დღევანდელი მჯღაბნელები, და მათ რიცხვში მეც, თქვენი უმორჩილესი მონა, თვით რუსთაველსაც კი არ შერცხვებოდა ამ ლექსზე ხელის მოწერაო, — დაასკვნა აკაკიმ.

მოხსენების შემდეგ ერთმა მწერალმა უთხრა აკაკის:

— ბატონო აკაკი! თქვენ რომ ბატონყობის დროს გლენი ყოფილიყავით, ბატონი თქვენზე უკეთეს მოზღაპრეს ვერ იპოვიდაო.

ახალგაზრდა პოეტებს აკაკი მაინცდამაინც არ სწყალობდა. თუ ხანდახან, როცა განსაკუთრებულად ხალისიან გუნებაზე იყო, შეაქებდა ვისმე, იქვე ისეთს რასმე დაატანდა, რომ ქებისაგან არაფერი რჩებოდა.

მახსოვს, ერთხელ იმავე „თემი“-ს რედაქციაში, ილია ნაკაშიძემ ახალგაზრდა პოეტებზე ჩამოუგდო ლაპარაკი აკაკის. აკაკი კარგ გუნებაზე იყო და ნაკაშიძის მიერ დასახელებულ პოეტებს ამკობდა ბრწყინვალე ეპიტეტებით, თითქმის ბავშვებს შობის ხის საჩუქრებს ურიაგებსო.

— ვარღამ რუხბაძე უთუოდ ნიჭიერი პოეტია, — ამბობდა ღიმეფენილი აკაკი. — კარგად აქვს მოზომილი სიტყვის ძალა და დაკინებით ერთ წერტილს უმიზნებს. იცის, რომ პოეტს ისე, როგორც მიჯნურს, უნდა „ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აწიკობდეს“.

— ქ უ ჩ ი შ ვ ი ლ ი ნამდვილი ტრიბუნია, ხალხიდან გამოსული შედროშე.

— შ ა ნ შ ი ა შ ვ ი ლ ს ჩინებულად ებერბება „ლექსთა გრძელთა თქმა“. აქვს პოეტურ შემოქმედების ხეავი.

— გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ს ტოლი არა ჰყავს „სააშიკო, სალალობო“ პოეზიის დარგში, მისი ლექსები საღამოს ციციანთელელებით დაფრინავენ ყვევილებში.

— ა ბ ა შ ე ლ ი... — ჯერი რომ ჩემზე მიდგა, აკაკიმ გრიგოლ დიასამიძეს გადაჰხედა. გრიგოლი უზომო პატივისცემელი იყო ჩემი და ჩემს ლექსებს ყოველთვის გადაჰარბებულად აფასებდა. ეს იცოდა აკაკიმ და ამიტომ, რომც არაფერი ეპოვა ჩემს ლექსებში მოწონების ღირსი, როგორ აწყენი-

ებდა მის მადმერთებელ მასპინძელს და ცუდს რასმე როგორ იტყვოდა ჩემზე! — აბაშელი აქ არის და პირში ჭებად ნუ ჩამომარტყნიან და აკაკიმ ახლა მე მომანათა თვალები, — სიამოვნებით უნდა გუფუთავო კრუჭს სწორ და ნათელ გზაზე დგახარ და ღმერთს მოუმაძღვებია შენთვის „მართლად ცემის და მარჯვედ ჭნევის“ ნიჭი. იარე ამ გზით და უთუოდ გაიმარჯვებ.

— რაღა გიჭირს აწი, — მომმართა სიცილოდ არისტო ჭუმბაძემ. — აკაკიმ შენ გზას ნათელი მოჰქვინა, ამაზე მეტი გამარჯვება რაღა იქნება!.

— თუმცა ისიც უნდა ვთქვა, — უცებ შეუხვია აკაკიმ, — რომ დღევანდელ ახალგაზრდა მგოსნებს აკლიათ დაკვირვების უნარი, ცხოვრების სიღრმეში კი არ ცდილობენ ჩაწედენას, ზედ დაპუარფატებენ მღელვარე ზღვას და კი არ იციან, რატომ არის ეს ზღვა აღელვებული. შრომა ეზარებათ, მზა-მზარეულ ყალობში ასხამენ თავიანთ ნაფიქრს და რაც პირში მოადგებათ, ლექსად გადმოანთხევენ...

და აკაკიმ ჩამოუარა მის მიერ დაჯილდოებულ პოეტებს და თითო-თითოდ ყველას უცერემონიოდ აართვა საჩუქარი.

— ავიღოთ, თუ გნებავთ, იგივე ვარლამ რუხაძე. ღარიბ იმერელ გლეხის პატარა ეზოსავით ვიწროდ შემოუზღულდავს შემოქმედების არე და სოფლის დიაკვანივით გაუთავებლად იმეორებს ერთსა და იმავე „მამაო ჩვენოს“. თითქოს მშრომელ ხალხს ლექმა პურზე ბრძოლის გარდა სხვა არაფერი აინტერესებდეს. ტყუილია ეს. მშრომელი ხალხის ფანტაზია უსასღეროა და მრავალფერო. თუ გნებავთ გაიგოთ, როგორი პოეზია მოსწონს ხალხს, მიჰმართეთ მასვე, მისსავე შემოქმედებას. აიღეთ ხალხური ზეპირი პოეზია, რომელიც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში შეუქმნია თვით მშრომელ ხალხს. რაზე მღერის ხალხი? — შრომაზე და ცხოვრების სიმწვავეზე, ბატონების უღელზე და მზრძანებელთა უგულობაზე, მაგრამ ამავე დროს სიყვარულსა და სიძულვილზე, ვარსკვლავებსა და მთვარეზე, ყვავილებსა და სილამაზეზე, მეგობრობას და ვაჟაკობაზე, სიკვდილსა და სიცოცხლეზე, ყველაფერი, რითაც სძგერს ადამიანის გული დაბადებიდან სიკვდილამდე, შედის ხალხურ პოეზიაში. მაშასადამე, ხალხის გული ზღვასავით ფართოა და ნურავინ იფიქრებს, რომ ვინც ჭონებრივად ღარიბია, ის სულიერად, ფანტაზიითაც ღარიბია. და თუ ხალხი თვითონ თვალისმომკრელ ფერადებით ხატავს თავის გულის მოძრაობას, ის პოეტსაც ასეთსავე სიღრმესა და მრავალფეროვნებას მოსთხოვს. ჩვენი პოეტები არ იცნობენ ხალხურ შემოქმედებას და ამიტომ არის ხშირად ასე ღარიბი ფერადოვნებით დღევანდელი ლექსები. რა ლექსია, მაგალითად, დღეს რომ შანშიაშვილის ლექსი წაიკითხეთ! აბა კიდევ წაიკითხეთ! — მიჰმართა აკაკიმ მ. წულუკიძეს, რომელმაც გაშალა რომელღაც ყურნალი თუ გაზეთი და წაიკითხა შანშიაშვილის პატარა ლექსი. მთელი ლექსი აშენებული იყო ერთმარცვლოვან რითმაზე „ირს“.

— ვხათავე? შევიძლია რომდენიც ვინდა განავრძო, ამგვარი ლექსი არც  
თავი აქვს, არც ტანი და აღარც ბოლო, — სთქვა აკაკიმ და ხელეწიფდა  
მატა რამდენიმე სტრიქონი:

ლექსის წერა მეტად პირს,  
თუ წერის დროს იღბან ცხვირს  
და დააფრენ უწნოდ პირს.  
რა აყვირებს, ნეტა, ვირს?..  
ხომ არ მოსძვრა ტვირთი ძირს?..

— ან რა არის, მაგალითად, გრიშაშვილის „ოქროს ფეხი?“ ხალხი  
ასეთს შედარებას არასოდეს არ მიჰმართავს, იმიტომ რომ ოქროს ფეხი  
ყვითელი იქნება და ამ ფერის ფეხი — მტრისას — მხოლოდ მკედარსა აქვს,  
და თუ ცოცხალსა აქვს, უეჭველად რაღაც სიბინძურეში ჩაუკრავს...

მე ვგრძნობდი, რომ აკაკი მეც მომწვედებოდა, თუმცა გრიგოლ დია-  
სამიძის იმედი მქონდა. მართლაც, თითქოს იგრძნო ჩემი შიშო, გრიგოლი  
თვითონ შეეცადა ჩემი პოზიციის წინასწარ გამაგრებას აკაკის წინაშე  
და მოულოდნელად ჩაურთო:

— ამ მხრივ აბაშელს წუნი არ დაედება, მისი ყოველი სიტყვა ათას-  
ჯერ არის აწონილი.

აკაკიმ თვალეზი შეაბრიალა დიასამიძეს.

— შენ თუ ვინმე აიჩემე, უთუოდ უცოდველ ანგელოზად წარმოგიდ-  
გება. როგორ შეიძლება აბაშელს არ ჰქონდეს ის ნაკლი, რაც ყველასა  
აქვს? შენ გგონია კარგია, მას რომ სიტყვების აკვიატება უყვარს? „შზის  
სხივები ჩაეაქსოვე“, „შუქი მთვარეს ჩაეაქსოვე“, „სხივი წვიმას ჩაეაქსო-  
ვე“, რა არის ეს, ამდენი ჭოვავა?

— რატომ, ბატონო აკაკი, — გამომეკომავა დიასამიძე, — შზის სხივე-  
ბი რომ წვიმას ჩაეაქსოვება, ცისარტყელა იბადება.

— თუ ჩააცივდები, შე დალოცვილო, მაგ ცისარტყელას, ისე გახუნდე-  
ბა, როგორც ნარმა. მე ვამბობ, სიტყვებს ნუ აიკვიატებ-მეთქი, თორემ თუ  
სულ ჭოვავზე ილაპარაკე, უფრო ფეიქარი გამოხვალ, ვიდრე პოეტი. ან  
რა არის, ყმაწვილო, „ყოფნის სევდა?“ — მომიბრუნდა აკაკი ოდნავ მო-  
კინარის სახით, — „ყოფნის საფლავი“, ან „ყოფნის წალკოტი?“

მე ეს სიტყვა ნახმარი მქონდა ჰამლეტის „ყოფნა-არყოფნის“ აზრით,  
რუსულ „бытие“-ს შესატყვისად და არავითარ უაზრობას მასში არ ვხე-  
დავდი, მაგრამ აკაკის დამკინავემა კილომ მას ყოველგვარი აზრის ნატა-  
მლი გამოაცალა და იმ წუთს „ყოფნის სევდა“ ისეთი საცოდავი და უბა-  
დრუეი რამ იყო, რომ მისი დაცვა შეუძლებლიდ ვსცანი და ვერაფერი  
ვთქვი. მაგრამ აკაკი პასუხს არც ელოდა და განავრძობდა ჩემს განიავებას:

— რომ სევდა და საფლავი ყველას ჰყოფნის, ეს, თქმა არ უნდა, ცხა-  
დია, მაგრამ წალკოტი ჯერჯერობით რომ ყველასათვის საკმარისი არ  
არის, ესეც უაპელოა.

— არა ჰყოფნის, ბატონო აკაკი, — მომეშველა მ. წულუკიძე — არა-მედ ყოფნის უპაეოდ.

— პაე და პაე არაფერს უშველის ბუნდოვან სიტყვებს მკვრივად ნუ იხმარ ლექსში ისეთს სიტყვასა და წინადადებას, რომლის მნიშვნელობა და მკაფიოდ არა გაქვს წარმოდგენილი. ასეთ მარცხისაგან ახალგაზრდა მწერლის დაცვა შეეძლო საღ კრიტიკოსს, რომ ასეთი რამ არსებობდეს ჩვენში, — აკაკიმ ახლა შეუტია მ. წულუკიძეს, რომელმაც გაბედა მასთან შეკამათება, — ჩვენში კრიტიკა არის ბურთის თამაში: ყოველთვის უნდა წაესარჩლო და მოგებმარო შენს ბანაკში მყოფს და მოწინააღმდეგეს კი, რაც უნდა მოზდენილად და თვალის წარმტაცად მოაქროლებდეს ბურთს. წიხლი უნდა ჰქრა და გააგორო. კიტა აბაშიძე არასოდეს არ იტყვის კარგს მის მოწინააღმდეგე ბანაკის მწერალზე, თუ ცუდის თქმა მეტის მეტად უხერხული იქნება, კრინტს არ დასძრავს, თითქოს მისთვის ესა თუ ის მწერალი არც კი არსებობდეს. ასევე მეორე ბანაკის კრიტიკოსები, აქებენ თავისი მრევლის დიაკვნებს, და აძაგებენ მოწინააღმდეგე წრიდან გამო-სულ ოქროპირსაც-კი.

გრიგოლ დიასამიძემ ისარგებლა შემთხვევით, როცა აკაკი კრიტიკაზე გადავიდა და სწორედ დროზე მოგვაშველა აკაკის მწარე ლექსი, პეტრე უმიკაშვილისადმი მიმართული:

უმიკაშვილმა პეტრემა  
 ჯუზუალში სწერა კრიტიკა,  
 გამოიბერა სიბრძნითა.  
 იკოლოტა და იტიკა.  
 სხვისი გაღახვა უნდოდა,  
 თვითონვე ყბაში იტიკა.  
 სადაც ის ახალ აზრებს ჰკრებს,  
 ჩვენ მონღლებულს ვერით იტა...

იტყდა საერთო სიცილი. აკაკი წამოდგა და წასასვლელად მოემზადა. როცა კარებთან მივიდა, შეჩერდა, მომიბრუნდა მე, — ალბათ ძალზე შე-ბერტყილი კაცის გამომეტყველება მქონდა, — და ტკივილის დასაამებლად მითხრა:

— თქვენისთანა ახალგაზრდას ან კი რა გაემტყუნება, როცა ისეთი გამოჩენილი და საყოველთაოდ აღიარებული დიდი მწერალი, როგორც ილია, არ თაკილობს გარდამეტებულ შედარებებს. აიღეთ მისი „განდუ-ვილი“-ს დასაწყისი:

სადაც დიდებულს მოსია მუწავარსა  
 ორბნი, არწიენი ვერ შევხებიან,  
 საღ წებმა-თოვლნი, ყინულად ქნილნი,  
 მზისვან აროდეს არა დნებიან,  
 საღ უღაბურსა მას მუღღრობას  
 კაცთ ერიაშული ვერ შესწევდენია,  
 საღ მუღღება ჰემა-ქუხილსა,  
 ღრულს და ჰართა მხოლოდ კშეთნია, —

აი, ასეთ მიუტარებელ ადგილს კაციც მისულა, მონასტრის ციხე-კედლებს და სტოვრობდა თურმე შიგ. წარმოიდგინეთ, საშინელ კეჩაქუხილსა და ჭირიშხალში იქ მიდის მწყემსი ქალიც და პპოქობის სანჯიქსაფარს. ასე რომ არწივებისათვის არც ისე მიუწვდომელი გვეჩვენება ის ადგილი, როგორც ავტორი აგვიწერს გარდამეტებულს გაზვიადებით...

აკაკი გამოგვეშვიდობა და წავიდა. გროგოლ დიასამიძემ მიაცილა იგი ეტლამდის.

ამის შემდეგ აკაკის აღარ შევხვდრივარ. 1915 წლის 27 იანვარს იგი გარდაიცვალა თავის სოფელ სხვიტორში. 3 თებერვალს ტფილისიდან გაგზავნილ იქნა საჩხერეში სებადასხვა დაწესებულებათა და ორგანიზაციათა 100-მდე წარმომადგენელი პოეტის გამოსვენებაში მონაწილეობის მისაღებად. ტფილისის დელეგაციაში იყვნენ ახალგაზრდა პოეტები: შ ა ნ შ ი ა შ ვ ი ლ ი, გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, ქ უ ჩ ი შ ვ ი ლ ი და მექუთაისიდან ჩამოვიდნენ: ვ. რ უ ხ ა ძ ე, პ. ი ა შ ვ ი ლ ი, გ. ტ ა ბ ი ძ ე. ამხანაგების თხოვნით ახალგაზრდა პოეტების სახელით მე წარმოვსთქვი პოეტის კუბოს გამოსვენებისას ლექსი „ჩვენ ბეერნი ვართ“. 4 თებერვალს საჩხერეიდან დაიძრა 17 ვაგონიდან შემდგარი ძაძით შემოსილი მატარებელი. ორთქლმავალზე ფრიალებდა უზარმაზარი შავი დროშა. გზა-და-გზა, საჩხერედან მოკიდებულ ტფილისამდე, თითქმის ყოველ სადგურზე, მატარებელს ხედებოდა უამრავი ხალხი შავი დროშებითა და ყვავილებით. იდგა „აკაკისებური დარი“, როგორც მაშინ ამბობდნენ, მზიანი თბილი დღეები, მოწმენდილი, უღრუბლო ცა, ვარსკვლავებიანი წყნარი ღამეები. — მზის სხივებით განათებულ უბეში „ჩაისვენა აკაკის კუბო „ცაფიროუნ ხმელთ-სურმუხტ“-მა სამშობლო მიწამ.

აკაკის დაკრძალვის დღეები ტფილისში გაუგონარის სიღიადით ჩატარდა. შემთხვევით დამსწრე უცხოელები გაკვირებული იყვნენ ამ გრანდიოზული სანახაობით, რომელიც უფრო დიდ ეროვნულ ზეიმს ჰგავდა, ვიდრე დაკრძალვას.



## მ. დუდუჩავა

# აკაკი წერეთლის პოემა „ომი“-ს შესახებ

„ომი“ აკაკი წერეთლის უკანასკნელი ნაწარმოებია, რომელსაც 1914 წლის დეკემბრისა და 1915 წლის იანვრის მოსაზღვრე რიცხვებში განსაკუთრებული გატაცებით წერდა სიცოცხლის დამამთავრებელ დღეებს მიახლოებული პოეტი.

1915 წლის იანვარს (ახალი სტილით) საწერ მაგიდასთან უკანასკნელად იჯდა აკაკი და კწნიდა „ომის“ დასასრულს. და როდესაც რამდენიმე წუთის შემდეგ, მუშაობის პროცესში, პეტერბურგიდან მიღებული დეპეშით აღელვებულმა პოეტმა მის წინ გაშლილ ქაღალდზე ხელის კანკალით დაატყვევა პოემის შემდეგი სიტყვები:

„რომ იმას მტერი არ აწუხებდეს  
არცა აშიერ და (არც) იშიერ  
და ჩვენც ვიძახდეთ  
ჩვენის საფერად „მრავალფამიერ“, —

აკაკის სიცოცხლის ნორმალური მსვლელობა შეწყდა და, უკვე ავადმყოფი, ლოგინში ჩაწვა. ექვსი დღის შემდეგ დაღლილობისა და სისუსტის საფუძველზე გართულებულ ავადმყოფობას დაემატა დამბლა, რამაც პოეტს მარცხენა მხარე (ხელი და ფეხი) დაუდღმა და თავისუფალი მეტყველება წაართვა. ასეთ მდგომარეობაში სარეცელზე მიჯაჭული პოეზიის დიდი ოსტატი 27 დღის განმავლობაში ებრძოდა სიკვდილს. იგი გრძნობდა მოახლოებულ, დაუსრულებელი წყვილიადით შემოსალტულ ბედს და საკუთარი სიცოცხლის ნანგრევების ნაპირთან მდგომი საშინელ მძლეწარებას განიცდიდა.

„ჩვენ ყველანი მზიარულად მივედით მასთან, — წერს თავის მოგონებაში ანეტა იურკევიჩი, — და მიულოცეთ ახალი წელი. მანაც ჩვეულებისამებრ ყველა გადაგვკოცნა, ტირილი დაიწყო და გვითხრა:

„— ეკვდები!..“

მრავალი მნახველი მოდიოდა, მაგრამ ყველას შესვლა მასთან შეუძლებელი იყო, რადგან იგი მეტად ღელავდა და იმეორებდა: „მეთხოვებიანო“ \*).

ასე ბოლმით და შხამით ითვლიდა დიდი პოეტი თავის უკანასკნელ დღეებს. მაგრამ ასეთი განწყობილების მიუხედავად, მას მაინც არ დაეწეებოდა პოეზია, რომლის სამყაროში ის ნახევარი საუკუნის განმავლობაში იფერფლებოდა შემოქმედების კოცონზე. კერძოდ, არ დაეწეებოდა თავისი უკანასკნელი პოემა „ომი“, რომლის წერაც შეწყდა მისი ცხოვრების ნორმალურ მსვლელობასთან ერთად.

„ხშირად მაკითხებდა თავის თხზულებებს, — წერს ანეტა იურკევიჩი იმავე მოგონებაში, — განსაკუთრებით კი უკანასკნელ პოემას „ომს“, რომლის ბედიც მას, ჩანდა, მეტად აღშფოთებდა, თითქოს ეშინოდა, რომ იგი ჩვეულებრივ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა“...

„მასხოვს ერთი საღამო: მგონის სარეცელთან ვისხედით: გ. დიასამიძე, ვ. რუხაძე, კ. აბდუშელიშვილი, აკაკის ვაჟი ალექსი და მე.“

აკაკიმ მთხვია, „ომი“ წაიკითხო. მეც დავიწყე კითხვა. იგი გულაღმა იწვია. მარჯვენა ხელი თავქვეშ ამოედო და გატაცებით მისმენდა. გავეათავე... სიჩუმე ჩამოვარდა... მან ყველას სათითაოდ მიაპყრო თავისი დიდრონი თვალები, თითქოს უნდოდა თითოეულის სახეზე ამოეკითხა რამე და ბოლოს წამოილაპარაკა:

„ძალიან ვეფერები, მაგრამ ვაითუ ამ მოფერებში დანაც არა გამოვიდეს-რა“.

დაუღიწყარია ჩემთვის კიდევ ერთი საღამო. მგონის პატარა ოთახში მხოლოდ მე და კნ. მარიამი ვართ. მე თავით ვუზივარ, კნ. კი ცოკრა მოშორებით ზის. აკაკი მითითებს სახატეზე და მეუბნება: „იქ ჩემი ნაწერებია, გამოიღე და წაიკითხე რამე“—ო. მეც ბევრი რამ წაუკითხე იმ ღამეს და, სხვათა შორის, „გამზრდელის“ კითხვა დავიწყე.

როდესაც დასასრულს დაუახლოვდი და ეს ტაეები წაიკითხე:

„მაგრამ უსუფ ეუბნება:  
შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?!  
სიკვდილო მე ვარ მხოლოდ,  
რომ კაცთ ვერ გამოზღიბარ“.

საყვარელმა მოძღვარმა ქვითინი დაიწყო...

...როცა შეგჩერდი და შეშინებულმა მოვახსენე, რომ კითხვას სრულებით თავს დაეანებებ-მეთქი, მან აღელვებით მიბრძანა:

\*) იხ. ანეტა იურკევიჩის ჭლის მოგონება: „აკაკის უკანასკნელი დღეები“, „თეატრი და ცხოვრება“, 1915 წელი, № 10.





კითხი და პატრიოტიზმია. „სამშობლოს სიყვარული, — წერს იგი, — ეს ის წერტილია, რომელიც რადიუსებით შეერთებულია თ. აკაკი წერეთლის პოეზიის ყოველ ანბანთან და სტრიქონთან“ \*).

საწინააღმდეგო პოზიციაზე დგანან ს. ი. მ. ხუნდაძე და ვ. ა. ხ. კოტეტიშვილი. ვ. ა. ხ. კოტეტიშვილის შეხედულებით, „აკაკი წერეთლის შემოქმედებას ორი ძირითადი მხარე აქვს: ეროვნული და მშრომელი ხალხის სატრფიალო“. „აკაკი წერეთელი, — წერს ის, — ჩვენს ლიტერატურაში დემოკრატიული მიმართულების ერთ-ერთი დამწყობთაგანია. იგი „თერგდალეული“ იყო, ეს-კი იმას ნიშნავს, რომ იგი სახალხო იდეების მატარებელი იყო, რადგან „თერგდალეულობა“ თავისი დროის რადიკალობისა და რევოლუციონერობის აღმნიშვნელი მცნებაა. მარტო პატრიოტიზმი კი არა, არამედ საზოგადოებრივი წყობილების ძირითადი გარდაქმნა მთელი თავისი პოლიტიკით, ეკონომიკით, ზნეობით, — ეს იყო ჩვენი „სტუდენტობის“ საფიქრებელი და საოცნებო“ \*\*).

სხვაგვარი ფორმით ასეთივე აზრს ანვითარებს აკაკის შემოქმედების ძირითადი მოტივაციის შესახებ განსვენებული ს. ი. მ. ხუნდაძეც.

„როგორც უკვე აღვნიშნეთ, შემცდარია ის აზრი, თითქოს აკაკის ჩანგი ერთ ხმაზე ეღერდეს და პატრიოტიკა შეადგენდეს მისი პოეზიის ერთად-ერთ მოტივს. წინააღმდეგ, აკაკი წერეთელი მრავალმხრივი მწერალია და, რაც აღსანიშნავია, მის ნაწერებში საგრძნობი სიძლიერით გატარებულია დემოკრატიული პრინციპები“ \*\*\*). და ეს დემოკრატიული პრინციპები ციტატის ავტორს აკაკი წერეთლის შემოქმედების ერთ-ერთ ძირითად მოტივად მიაჩნია. ამ დასკვნის საფუძველზე განსვენებული მკვლევარი სავსებით ეთანხმება 1926 წელს ს. გორგაძის მიერ გამოთქმულ შემდეგ აზრს: „ამ ექვსი წლის განმავლობაში ჩაეყარა საფუძველი ყოველივე იმას, რაც ისე ნაზი გრძნობით აკავშირებდა განსვენებული პოეტის გულს მშრომელი ხალხის გლახაკობის სულთან და გულთან“ \*\*\*\*).

ამრიგად, როგორც მოყვანილ ციტატებიდან ირკვევა, აკაკი წერეთლის შემოქმედებაში კიტა აბაშიძე ასახელებს მხოლოდ ერთ მომენტს — ეროვნულ პრობლემას, ხოლო ვ. ა. ხ. კოტეტიშვილი და ს. ი. მ. ხუნდაძე — ორ ძირითად პრინციპს, ეროვნულ და დემოკრატიულ მოტივებს.

ჩვენი აზრით, როგორც კ. აბაშიძის, ისე ვ. ა. ხ. კოტეტიშვილის და ს. ი. მ. ხუნდაძის ეს დასკვნები, არ არის სწორი: ვერც ერთი მათგანი ვერ გამოხატავს აკაკი წერეთლის შემოქმე-

\* ) იქვე.

\*\* ) აკაკი წერეთლის რჩეული ნაწერების IV ტომი, გვ. XIX, 1928 წელი.

\*\*\* ) ს. ი. მ. ხუნდაძე — „აკაკი წერეთელი“, „მეათობი“, № 2-3, გვ. 230. 1930 წ.

\*\*\*\* ) ს. ი. მ. ხუნდაძის იგივე წერილი, გვ. 219.

დების ობიექტურ ბუნებას, რადგან ამ დასკვნებში მოცემულია აქაკის შემოქმედების ცალკეული მომენტის მხოლოდ ტენდენციური გაზვიადება და არა ისტორიკულად-მაპოეტმა და მრავალმხრივმა ლიტერატურულმა მოღვაწემ თავის შემოქმედებაში ჩააქსოვა.

აკაკი წერეთელი ეკუთვნის გასული საუკუნის სამოციანი წლების მოღვაწეთა იმ წყებას, რომლის შემოქმედებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის სოციალურ საფუძველს წარმოადგენდა ფეოდალური არისტოკრატის კლასობრივი ინტერესების ლიბერალური ორთოდოქსია. ამ გარკვეულ სოციალურ საფუძველს ემყარებოდა სამოციანი წლების ახალგაზრდა პოეტის შემოქმედება და ამავე სოციალურ საფუძველებს შერჩა ძირითადად სხვა წლებისა და ეპოქების აკაკიც. მაგრამ ისტორიის მოლიპულ გზაზე შემდგარი ჭართველი თავდა-აზნაურობის ეს ლიბერალიზმი, რომლის ხასიათსაც საზღვრავდა ჩვენი ქვეყნის კაპიტალიზმის პრუსიული გზით განვითარება, აკაკის შემოქმედებაში არ არის მოცემული კონსერვატიულ, განყენებულ და სტატიურ-ერთგვარ მდგომარეობაში. პირიქით, პოეზიის დიდმა ოსტატმა ანგრევისა და მსხვერვეის საღტებში მოქცეული თავისი კლასის ტკივილები, იდეები, ინტერესები და განწყობილებები გამოხატა თავისებურ, ცვალებად და შედარებით პროგრესიულ-რადიკალურ ფორმებში. ძირითად კი იდეურ-თემატიურ მოტივს, რომელზედაც ამ შემოქმედების ხერხემალი აშენდა, ეროვნული პრობლემა წარმოადგენს, მაგრამ, რასაკვირველია, ეს ფაქტი არ ნიშნავს იმას, თითქოს აკაკის შემოქმედება მხოლოდ ამ პრობლემას (მოტივს) შეიცავდეს და ამ შემოქმედების „ყოველი სიტყვა და სტრიქონი“ დასახელებული საკითხის დიამეტრზე იყოს აგებული. აღნიშნულის წინააღმდეგ, ეროვნული მოტივის ფონზე აკაკის შემოქმედება ითავსებს სხვა არა ძირითადი ხასიათის მოტივებსაც, რომელთა შორის ყველაზე მკვეთრად წარმოდგენილია დემოკრატიული ტენდენცია.

აკაკი წერეთლის შემოქმედებაში დემოკრატიული ელემენტების არსებობა უდავო ფაქტია. მაგრამ ჯერ კიდევ სადავოა და ზუსტ გამორკვევას მოითხოვს საკითხი: თუ როგორი მოცულობით და რა სოციალური შინაარსით არის მოცემული ეს ელემენტები ამ შემოქმედებაში.

როგორც აღვნიშნეთ, დემოკრატიულ ელემენტებს აკაკი წერეთლის შემოქმედება არ შეიცავს იმ სივრცით, როგორც ეს სიმ. ხუნდაძისა და ვახ. კოტეტიშვილის მიმოხილვებშია წარმოდგენილი. ჩვენი აზრით, აკაკის შემოქმედების ძირითად მოტივს, როგორც ეს ზემოთაც აღვნიშნეთ, წარმოადგენს ეროვნული საკითხი; დემოკრატიული მხარე კი იქ მოცემულია მხოლოდ როგორც ტენდენცია (მიდრეკილება), რომელიც საუკეთესო

შემთხვევაშიაც ვერ ცილდება ფეოდალური ლიბერალიზმის ფარგლებს. დიდი მგოსნის შემოქმედების ასეთი ბუნების გამო, სწორი არ არის სიმ. ხუნდაძის *ქრონიკული* ლეგენდა, რომლის მიხედვითაც აკაკი თავის შემოქმედებაში და აზროვნებით გარდამავალ საფეხურს წარმოადგენდა თავადაზნაურულ ლიბერალიზმიდან ნამდვილ დემოკრატიზმისაკენ და როგორც ასეთი, ქანაობდა თავადაზნაურულ და დემოკრატიულ მსოფლმხედველობათა შორის. ამიტომ მას არ შეეძლო სავსებით თავისუფალი ყოფილიყო თავადაზნაურული ტენდენციებისაგან\*) (კურსივი ავტორისა).

სიმ. ხუნდაძის ამ მოსაზრების წინააღმდეგ, აკაკი წერეთლის შემოქმედება ფეოდალური ლიბერალიზმიდან ნამდვილ დემოკრატიზმისაკენ გადასასვლელს კი არ წარმოადგენს, ანდა, რაც მთავარია, ფეოდალური ტენდენციით კი არ ხასიათდება, არამედ თავადაზნაურული ლიბერალიზმის საფუძველზე დგას და თუმცა ახალი ბურჟუაზიული ყოფისა და „ნამდვილი დემოკრატიზმის“ გავლენით გამოწვეულ, მაგრამ ძირითადად შიშაინც ამავდელ ლიბერალიზმის ფარგლებში მოთავსებულ დემოკრატიულ ტენდენციას (ელემენტებს) შეიცავს.

აკ. წერეთლის შემოქმედების ამგვარ სოციოლოგიურ შეფასებას ამტკიცებს აკაკის ის ლექსებიც კი, რომლებსაც პოეტის დემოკრატიზმის მთავარ დამამტკიცებელ ფაქტებად ასახელებენ. აკაკის ასეთი ხასიათის პირველი ლექსები ქრონოლოგიურად „მუშური“ და „გლეხის აღსარებაა“. ეს ლექსები დაიწერა 1861 წელს და პირველად 1863 წლის „ცისკრის“ სხვადასხვა ნომრებში გამოქვეყნდა. ამ ლექსებში, როგორც ეს სრულიად სამართლიანად აღნიშნული აქვს განსვენებულ სიმ. ხუნდაძესაც, მოცემულია პასიური გლეხები, რომელნიც, მართალია, გრძნობენ ბატონყმური ურთიერთობის ბორკილების სიმძიმეს, მაგრამ რომელთაც ამავე დროს სწამთ, რომ

„უბატონოთაც არ ვარგივართ  
როგორც ცხვარი უმწყემსური“.

ამასთან ერთად, რაც მთავარია, გლეხების აუტანელ პირობებს ამ ლექსებში პოეტი რელიგიურ-მისტიური პუმანიზმის თვალსაზრისით უდგება და თავისი ეპოქის ფეოდალურ-ლიბერალური იდეებისათვის დამახასიათებელ — ბატონყმობის მკაცრი მზარეების გადაკეთების — რეფორმიზმის იდეას ატარებს.

\*) „მნათობი“, № 4, 1930 წ., გვ. 185.

აკაკი წერეთლის შემოქმედების განვითარების შემთხვევაში პერიოდში ამ მხრივ საინტერესოა 80-იანი წლები, როდესაც საზოგადოების ყველაზე უფრო განვითარებული პოეტი ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის „ახალ გზას“ დაადგა. ამ მიჯნაზე ის თანდათან მხრობდა მხრობის შემოქმედებაში ლიბერალურ-დემოკრატიულ განწყობილებებს და, ფეოდალურ არისტოკრატიაზე გულგატეხილი, „ფურთხის ღირსად“ ქვეულ საქართველოს ეროვნულ ხსნას ეძებს „მუშათა ერში“. აკაკის ასეთი იდეური პოზიცია ყველაზე მკვეთრად გამოიკვეთა 1905 წლის რევოლუციის პროცესში.

1905 წლის რევოლუციის ქარტეზილს აღფრთოვანებით შეხვდა მოხუცი პოეტი. ამ მოვლენასთან დაკავშირებით, მან დასწერა ისეთი ლექსები, როგორცაა „ძირს“, „ინტერნაციონალი“, „ნატვრა“, „გლეხის საჩივარი“ და სხვა. ეს ლექსები, რომლებშიც უმთავრესად მოცემულია თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის მოწოდება, მოჰყავთ აკაკის შემოქმედების რევოლუციონურ-დემოკრატიული მოტივაციის ძირითად ფაქტებად. სინამდვილეში კი ჭაღარით შევერცხლილი პოეტის ეს აღგზნება უმთავრესად გამოწვეული იყო არა რევოლუციის რევოლუციური იდეების სიყვარულით, არამედ ამ გზით რუსეთის იმპერიის აგან საქართველოს განთავისუფლების შესაძლებლობის რწმენით. აკაკის დამახილი „ძირს მთავრობა“ გაშინაარსებულია არა იმ იდეებით, რომლებიც რევოლუციის ბარიკადებზე მებრძოლებს ამოძრავებდა, არამედ ეროვნული ვაგებით: პოეტს რუსეთის თვითმპყრობელობის დამხობა საქართველოს „ნაძალადე-საქმროსაგან“ \*) განთავისუფლებისათვის აინტერესებდა და არა მჩაგვრელთა დამხობის მიზნით. ასე იყო მით უმეტეს იმიტომ, რომ აკაკიც, ისევე, როგორც ილია ჭავჭავაძე, უარყოფდა საზოგადოების კლასობრივ დიფერენციაციას და კლასთა შორის არსებულ სოციალურ ანტაგონიზმს. ამასთან აღსანიშნავია ის დამახასიათებელი მოვლენაც, რომ აკაკის შემოქმედებაში ხშირად განმეორებული ცნებები: „ძმობა“, „ერთობა“, „სიყვარული“ და „თავისუფლება“ პოეტს ესმოდა არა როგორც კლასობრივი ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ მიმართული დემოკრატიული პრინციპები, არამედ მხოლოდ ეროვნული შინაარსით. ეს აშკარად ჩანს როგორც მისი ლექსებიდან, ისე მეფის ცენზურის მიერ აკრძალული მისი პოემის „ვორონცოვის“ უკანასკნელი ნაწილიდან.

\*) აკაკის ავტოგრაფში „ნაძალადე-საქმროს“ ეწოდება იმ ლექსს, რომელიც ს. აბაშელის და ს. გორგაძის რედაქციით გამოცემულ აკაკის რჩეული ნაწერებს IV ტომში „თვითმპყრობელობას“ სათაურით დაიბეჭდა.

მოყვანილი შენიშვნები, რომლებიც ამ მხრივ არსებული ფაქტების მხოლოდ ერთ ნაწილს წარმოადგენს, იმ ტენდენციასთან ერთად, რომელსაც პოეტი ისტორიულ თემებზე აგებულ ლექსებსა და ეპოქებში ატარებდა პოლიტიკური რომანტიზმის სახით, საკმაოდ მკვეთრად აჩვენებს აკაკი წერეთლის შემოქმედების ზემოთ წარმოადგენილ შეფასებას. აკაკის შემოქმედების ასეთ ხასიათზე მიგვიბრუნებს აგრეთვე ამ შენიშვნების გამომწვევი პოემა „ომი“, რომელიც როგორც ქრონოლოგიურად, ისე შინაარსით პოეტის იდეების, კერძოდ, ეროვნული შეხედულებების დამამთავრებელ ფინალს წარმოადგენს.

„ომის“ თემას წარმოადგენს საქართველოს ისტორიული წარსულისა და აწმყოს ფონზე ათვისებული მსოფლიო იმპერიალისტური ომი. პოემის დასაწყისში (პირველ ნაწილში) პოეტი საქართველოს წარსულის სტრატის იძლევა პოლიტიკური რომანტიზმის თვალსაზრისით და იმ დაუსრულებელ ბრძოლებს, რომლებსაც ძველი საქართველო სხვადასხვა სახელმწიფოს (ერების) წინააღმდეგ აწარმოებდა, უმთავრესად რელიგიური სხვაობით ხსნის. ამასთან ერთად, ამ განვლილი ბრძოლების საფუძველზე, ქართველ ერს იგი განსაკუთრებულ პრივილეგიებს ანიჭებს, რადგან:

„უბრებდაში გამოსწორთნილი  
აკი უფრო მეტად დასობს;  
ის გინდ ღედის ერთაც იყოს  
მინც ასობს და ათასობს.  
ასე არის ეროვნებაც  
ვისაც ბევრი გადახდია,  
ის ერი სხვა ერთა შორის  
გამომწვეარი ფოლადია!“

აკაკი საქართველოს რუსეთთან შეერთების ფაქტს პოემაში ეპყრობა თავისებური თავდაპერილობით, — და არა მარტო ამ ფაქტს, არამედ საქართველოში რუსეთის ბატონობის პერიოდსაც კი, რომლის წინააღმდეგ ბრძოლას შესწირა მან ამ პერიოდამდე მთელი თავისი შემოქმედება. ეს პერიოდი მას საქართველოს დასვენების და რუსეთის კალთაში ძილის საუკუნედ მიაჩნია. ის წერს:

„ეს რომ უთბრეს კიდევ ჩადგეს  
თავი რუსის კალთაშია  
და სიზმრისგან წაღებულ ხალხს  
არც სწყურია და არც შია.  
გამომწუშდა ხანგრძლივ ძილში,  
მოიხადა დალილობა  
და თავს ირემს დღეს ისევე  
წინანდელი ქართველობა.“

ამ გამოღვიძების საფუძველად პოეტი თვლის მსოფლიო იმპერიალისტურ ომს. განსაკუთრებით, ამ ომში რუსეთის იმპერატორის ეროვნულ პოლიტიკას.

დამახასიათებელია აგრეთვე ის გარემოება, რომ პოეტი თვით მშობის მიზეზს მხოლოდ გერმანიის შეფის კარიერიზმში ხედავს. მისთვის გაუგებარია ამ ომის კლასობრივი საფუძველი, იმპერიალისტურე ენაობა.

პოემის როგორც სიუჟეტურ, ისე იდეურ ფინალს შესაძლებელია პოემის ის ნაწილი, რომელიც ეხება ომში რუსეთისა და საქართველოს მონაწილეობის ხასიათს. აკაკი „ომის“ ამ ნაწილში, რომელიც დასასრულს წარმოადგენს, განსაკუთრებული სიმპატიით ეპყრობა რუსეთის იმპერატორს. კერძოდ, იგი აღტაცებით ეგებება იმ მოწოდებას, რომელიც იმპერატორმა გამოსცა კოლონიალური და ნახევრადკოლონიალური ჩაგრული ერების თვალების ასახვევად და რომლის მიხედვით თითქოს რუსეთის იმპერია მხოლოდ იმიტომ იღებდა მონაწილეობას ომში, რომ წერილი ერების გამოსარჩლება და დაცვა სურდა. ის სწერს:

„ჯერო რომ მიდგა რუსეთზე მაშინ  
ესა სოჭვა მათმა იმპერატორმა:  
„მეც ევთანხმები ჩემ მოკავშირეთ —  
რაც გადაწყვიტეს მაშინ იმ ორმა.  
მეტის დათობა არ შემოძლია,  
აწ საზღვარი აქვს ჩემს მოთმინებას,  
და წერი(ლი) ხალხი რომ დამეჩაგროს  
არაეის იმის ამ მოცემე ნებას.  
მრავალ სულობით გილომებული  
დეე, ნუ ყლაპავს სუსტს(ა) ძლიერი!  
სრული უფლება მიენიჭებათ,  
თავის ნებაზე რომ იყოს ერი.  
მაშინ მსოფლიოდ სანატრელი დრო,  
დაწყნარებული დადგება სრული  
და დამყარდება ერებთა შორის  
ძმობა, ერთობა და სიყვარული.  
ამას ჰქადაგებს ჰაგის კავშირი —  
და ეს მოძღვრება სანატრელია  
მაგრამ განზრახვა დღევანდელი დღის  
ხელის შემშლელი სიძაგელია.  
მეც მიტომ ვიღებ ხელში მახვილსა  
წინააღმდეგ სისხლის მღომისა  
და მოკავშირე ვხდები მეც სხვებთან  
ამ უკანასკნელ დიდი ომისა“.

იმპერატორის ამ სიტყვებით აღფრთოვანებული პოეტი ამ მოწოდებას საფუძველად უდებს ქართველების „თავგანწირულ“ მონაწილეობას ომში:

„რუსების აღთქმას და დაპირებას,  
როგორც რომ მოჰკრა ქართველმა ყური,  
მოუნდა ისტ ჩხუბში ჩარევა,  
როგორც მწიერ კაცს მოუნდეს პური;

მიდიან ჯარში თავისი ნებით  
 რუსის მეთაურებს ემატებიან;  
 სიცილ-ხარხარით, ტბილის სიმღერით  
 იმათთან მწარედ ერთად კედებიან“.



პოეტს ღრმად წამს, რომ ამ ომით ილღეწება „ქართველი ერის“ ეროვნული ჩაგვრის ბორჯილები და ამიტომ ის გულწრფელი სურვილით მიმართავს თვითმპყრობელურ რუსეთს:

„ჩენის სიკვდილით, ჩენის დადევით (!)  
 ახლა იწყება მომავლის შობა, —  
 და დიდ რუსეთსა წერილ ზაღისს დამცველს  
 ნუ მოუშალოს აწ გამარჯვება.  
 რომ იმის მტერი არ აწუხებდეს  
 არცა ამიერ და (არც) იმიერ,  
 და ჩვენც ვიძახდეთ  
 ჩენის საფერით „მრავალ-ეამიერ!“

ამრიგად, აკაკი თავის უკანასკნელ პოემაში რუსეთის იმპერიას და იმპერატორს ახასიათებს, როგორც წერილი ერების დიდ დამცველს, ეროვნული ჩაგვრის მტერს, ეროვნული ძმობის, ერთობისა და სიყვარულის მკადაგებელს. ის ზოტბას ასხამს „დიდ რუსეთს“ და უსურვებს „გამარჯვებას“, მაშინ, როდესაც არც ისე შორეულ წარსულში იგი სიხარულით შეეგება ალექსანდრე II-ის ტერორისტულ სიკვდილს, როდესაც აბეზარ და უშნო „ნაძალადე-საჭმროს“ უწოდებდა იმავე თვითმპყრობელურ რუსეთს და ნახევარი საუკუნის მანძილზე ხანჯალს ლესდა მის წინააღმდეგ. თუ პოეტს აქამდე სამშობლოს უბედურების მიზეზად რუსეთის იმპერია მიაჩნდა და უსასტიკესი სიძულვილით ძულდა იგი ყველა თავისი დამახასიათებელი ატრიბუტით, — გამოკვეყნებულ პოემაში საქართველოს ხსნას იგი იმავე რუსეთის ეროვნულ პოლიტიკაში ხედავს, ანდა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამშობლოს ეროვნული ბედის რუსეთის მეფის ტახტთან დაკავშირების თვალსაზრისს ანვითარებს, რაც XIX საუკუნის ქართველი ფეოდალური არისტოკრატის უმრავლესობის ეროვნული მსოფლმხედველობის დევიზს წარმოადგენდა.

აკაკის „ომში“ გამომჟღავნებული და „ომის“ დაწერის წინა პერიოდის ეროვნული პოზიციის ასეთმა სხვადასხვაობამ შესაძლებელია დაბადოს აზრი, რომ ეს პოემა პოეტის მხოლოდ დროებით გატაცებას გამოხატავს და მასში ავტორის ორგანიული რწმენა არ არის მოცემული. ასეთი აზრის არსებობა არა მარტო შესაძლებელია, არამედ ფაქტსაც წარმოადგენს, რის გამოც „ომი“ აკაკის ნაწარმოებთა განხილვის დროს, გარდა გამონაკლისისა, სრულიად დავიწყებული იყო.

რასაკვირველია, ასეთი შეხედულება „ომზე“ არ არის სწორი. და აი რატომ:

გარდა იმ საინტერესო მოგონებისა, რომლის მიხედვითაც მორჩეული პოეტი „განსაკუთრებით იცავდა“ თავისი პოემის „ომის“ იმ ადგილს, სადაც ნაჭები რუსი მთავრობის ლოზუნგი წერილ ერთ-ერთ მხარეზე იწებებ, და აგრეთვე იმ ფაქტისა, რომ „ომის“ იდეების მტყუნე მოცემულია „ომზე“ რამდენიმე წლით ადრე დაწერილ პოემა „ვარანცოვში“, რაც პოეტში ასეთი იდეების ჩამოყალიბების გარკვეულ გზაზე (პროცესზე) მიგვიჩვენებს, არსებობს მესამე გადამწყვეტი ხასიათის დოკუმენტი: თვით აკაკის პუბლიცისტური წერილი. ეს წერილი, რომელიც თავისი შინაარსით „ომის“ პუბლიცისტურ ვერსიას წარმოადგენს, „აკაკის წერილის“ სათაურით და ცენზურის მიერ შემოკლებული დაიბეჭდა გაზეთ „თემის“ 1914 წ. 27 ოქტომბრის ნომერში (№ 191). წერილის ავტოგრაფი დაცულია საქ. სახელმწ. მუზეუმის ხელნაწერების განყოფილებაში, ყოფილ საქართველოს საისტორიო-საენოგრაფიო საზოგად. მუზეუმის ფონდის აკაკის იმ ავტოგრაფებს შორის, რომლებიც დასახელებულ საქ. საისტორიო-საენოგრაფიო მუზეუმისათვის გადაუტოვა გაზეთ „თემის“ რედაქტორს გრიგოლ დიასამიძეს\*). აი ეს წერილიც: \*\*).

„ორასი ათასი მეომარი გამოიყვანა ჯერ-ჯერობით ამ პატარა საქართველომ და იძულებით არა ყოფილა რა!..“

ყველა თავის სურვილ-ნებით და სიხარულით მიისწრაფოდა რუსის გმირებთან ერთად, თავდასაღებად შორეულ ქვეყნებში. დიდი ხნის გულის ნადებმა გრძნობამ, სიმღერად ამოიხეთქა და ტკბილი გუგუნე ვადაეცა საქართველოს მთასა და ბარს. ერთი საუკუნეა, რაც ამისთანას არას მოსწრებია რა საქართველო. დღევანდელ ქართველებში ვაიღვია წინაპრებმა!! გმირული სიკვდილი აღარაფრად მიანია და თავის განწირვით უნდა, რომ სხვების სიკვდილი დასთრგუნოს და მომავალ დგმას ცხოვრება მიანიჭოს!..

რამ გამოაღვიძა, მთელი საუკუნის განმავლობაში მიყრჩბული გრძნობა? — იმ აღთქმამ, რომელიც გამოიხატება სარდლის სიტყვებში: „რუსეთი გამოდის მოსარჩლელ პატარა ქვეყნების, რომელნიც ძალმომრეობით დანგრული არიან. დე, ამიერიდან ნულა იქნება პატარა ერის გაქელვა და ქვეყნად დამყარდეს თანასწორობა, ძმობა, ერთობა და სიყვარული“.

აი სწორეთ ამ აზრიდ იყენენ ჩვენი წინაპრები გამსჭვალული, როდესაც რუსები მოიწვიეს! თუ დღემდის არ ჰხორციელდებოდა ეს დიადი აღთქმა, ეს სულ ნაძირალების ბრალი იყო და დღეს გაახლებული რუსეთის აზრი და სურვილი გამოითქვა უმაღლესის პირით!

\*) წერილის ავტოგრაფის სათაური „აკაკის წერილი“ წაწერილია გრ. დიასამიძის ხელით (ფანქრით). გრ. დიასამიძის მიერვე წერილის ტექსტში შეტანილია ზოგიერთი შესწორება.

\*\*\*) მოგვეყავს ავტოგრაფის მიხედვით (აღდგენილი ტექსტით).



იმედია ასრულდება ჩვენი წინაპრების განზრახვაც: „ქართველი უნდა იყოს პოლიტიკურად რუსი, მაგრამ თავის საკუთარი ენით, სარწმუნოებით და ეროვნული ელ-ფერიით.“<sup>\*)</sup> სწორედ ამან დღეს უკანასკნელ ნა საქართველო და მოაგონა მამა-პაპის ანდერძი:

„სჯობს სიცოცხლესა ნაძრანსა  
სიკვილი სხელოვანი“-ო.

გაუმარჯოს დიდებულ რუსეთს და მასთან ერთად ამ პატარა საქართველოს!.. მრავალყამიერს!..

აკაკი“.

აკაკის ეს წერილი, რომელიც „ომზე“ დაახლოებით სამი თვით ადრეა (1914 წლის ოქტომბერში) დაწერილი, არა მარტო გამოხატავს იმ აზრებს, რომლებიც „ომშია“ მოცემული, არამედ თავის სიტყვიერი მასალითაც კი უდრის „ომს“ (სახელდობრ „ომის“ უკანასკნელ ნაწილს). ეს ფაქტი აშკარად ამტკიცებს რომ „ომში“ მოცემული იდეები არის პოეტის არა შემთხვევითი გატაცება, არამედ მისი უკანასკნელი ეროვნული რწმენა. ეს ასეა, მიუხედავად იმისა, რომ „არავის არ სურდა და არც სურთ დაინახონ დიდი პოეტი ჯალათი მეფის წინაშე მთხოვნელი, თუ გინდ იმ სისხლის გასანადღებლად, რომელიც რუსეთის თვითმპყრობელის მიზნებს სათვის დაიღვარა“, — როგორც ამას წერდა განსვენებული სიმ. ხუნდაძე (1930 წელს), რომელმაც პირველმა გამოიყენა „ომი“ აკაკის შემოქმედების განხილვის დროს თავის თემცა სადაო, მაგრამ მრავალმხრივ საინტერესო ნარკვევში<sup>\*\*)</sup>.

\*) ამ ფრაზის პირველი ნახევარი შემდეგნაირად შეუსწორებია გრიგოლ დიასამიძეს: „ქართველი უნდა იყოს პოლიტიკურად „რუსთან ერთი“. ამ რედაქციით დაიბეჭდა ეს ფრაზა გაზეთშიც; მაგრამ წერილის ტექსტის ერთ სიტყვასთან ერთად ცენზურმა ეს დეკლი წითელი მელნით გადახაზა. (გაზეთშიც წერილი ამ აღგონების გამოკლებით გამოქვეყნდა). პოეტ და მკვლევარ იოსებ გრიშაშვილის წიგნთსაცავში დატულია ამ წერილის ამონაბეჭდი („ოტისკი“), რომელიც ცენზურაში ყოფილა წარდგენილი ნებართვისათვის და ზემოთ დასახელებულ ცენზურის წითელ ხაზებს შეიცავს.

\*\*) სიმ. ხუნდაძე დასახელებულ ნარკვევში (დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“) „ომის“ განხილვის დროს უმთავრესად ვ. რუხაძის მოგონებას ეყრდნობა. ვ. რუხაძის მოგონება, როგორც 1915 წელს გამოქვეყნებული ცნობების მიხედვით ირკვევა, არ შეიცავს ზუსტ ცნობებს. აღბათ იმიტომ, რომ ამ მოგონების დაწერის მომენტი — 1930 წელი — ფაქტებს დაშორებულია 15 წლით. იმიტომ სიმ. ხუნდაძის მსჯელობის ის ნაწილი, რომელიც ვ. რუხაძის მოგონებას ეყრდნობა და აკაკის ეროვნულ იდეებში მომხდარ გარდატეხის ხსენას ეხება, არ არის საესებით სწორი. კერძოდ აკ. წერეთელი უფრო მტკიცედ იდგა უკანასკნელ პერიოდში „ომის“ იდეების საფუძველზე, ვიდრე ამას ქართული ლიტერატურისა და საზოგად. აზროვნების ცნობილი მკვლევარი სიმ. ხუნდაძე ფიქრობდა.

ამრიგად, შემოქმედებისა და ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში მოხუცმა პოეტმა მოახდინა მეცხრამეტე საუკუნის ფეოდალური პრისტორიკატის იმ ეროვნული თვალსაზრისის აღდგენა, რომლის განვითარება-ტველი იყო გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, დ ი მ ი ტ რ ი ყ ი ფ ი ა ნ ი და განსაზღვრულ პერიოდში ი ლ ი ა კ ა ვ კ ა ვ ა ძ ე ც და რომელსაც თვითონვე ნახევარი საუკუნის განმავლობაში დაუნდობელი ბრძოლით და „ფურთხით“ უსწორებოდა. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს ფაქტი პოეტში პრინციპიალური გარდატეხის მოხდენას? რასაკვირველია, არ ნ ი შ ნ ა ვ ს. რუსეთის წინააღმდეგ ამხედრებული, მეფის მკვლელობით აღფრთოვანებული, 1905 წლის რევოლუციით გატაცებული აკაკი და „ომის“ ავტორი — „დიდი რუსეთისა“ და იმპერატორის მეხოტბე — მთლიანია, ძირითადად იგი ორივე შემთხვევაში ერთი და იმავე იდეების საფუძველზე დგას; სახელდობრ: ის უკიდურესი პატრიოტი იყო და მისი პოეზიაც მომენტის მიხედვით იმ მოვლენებს უმღეროდა, რომლებიც მას სამშობლოს ეროვნული თავისუფლების პერსპექტივას გადაუშლიდა. „ომის“ იდეების პერიოდად ამ თავისუფლების პერსპექტივას პოეტი ხედავდა რუსეთის პრინციპიალურ უარყოფასა, მეფის მკვლელობასა და რევოლუციაში, 1914 წ. კი, თითქმის მთელი ძველი თაობის ფეოდალურ-ნაციონალისტურ ინტელიგენციასთან ერთად — იმპერატორის საერთო ეროვნულ პოლიტიკაში. ამ უკანასკნელი პოზიციის ჩამოყალიბებაში, — პოზიციის, რომელიც წარმოადგენდა იმ სოციალ-კლასობრივი სიტუაციის კანონზომიერ შედეგს, რომელიც შეიქნა 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ, კერძოდ, მსოფლიო ომის დასაწყისის ატმოსფეროში, განსაზღვრულ როლს აკაკისათვის თამაშობდა, მის იდეებთან შედარებით, მუშათა მოძრაობის პრინციპიალურად განსხვავებული ხასიათის (გზის) გამორკვევაც. ის, როგორც ლიბერალური თავად-აზნაურობის ინტერესების საფუძველზე მდგომი მწერალი, უფრო ახლო იყო იმპერატორთან, თუ კი ამ უკანასკნელში თავისი იდეების რეალიზაციის შესაძლებლობას დაინახავდა, ვიდრე რევოლუციურ მოძრაობასთან, რომელმაც არ გაამართლა პოეტის იმედი „გამოკეთების“ შესახებ. \*) ამრიგად, აკაკის აზროვნებასა და შემოქმედებაში მოთავსებულ პროცესს, რომლის პოლიუსებსაც რევოლუცია და მეფე წარმოადგენდა, საფუძველად ედგა ერთი იდეური ხერხემალი — უკიდურესი პატრიოტიზმი.

\*) ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს აკაკის პუბლიცისტური წერილი: „საბანო ქეშმარიტება“ და ლექსი: „ს.დ.—ს.“ ორივე დასახელებულ ნაწარმოებში აკაკი აღნიშნავდა ახალი მიმდინარეობის (პირველში — მესამე დასის, მეორეში — სოციალ-დემოკრატიის) „უფრო სწორ გზაზე“ გადასვლის იმედს და საჭიროებას. ეს „ახალი გზა“ კი, პოეტის აზრით, მუშათა კლასის სოციალური და განსაკუთრებით ეროვნული მსოფლმხედველობის შეცვლაში მდგომარეობდა.

ამით ვამთავრებთ ჩვენს შენიშვნებს „ომის“ იდეურ-არსის ირგვლივ. დასასრულს ორიოდ სიტყვა „ომის“ მხატვრული ხასიათისა და დაწერის თარიღის შესახებ.

როგორც ზემოდაც აღვნიშნეთ, „ომი“ 75 წლის პირველ მხატვრულად დაუმუშავებელი დარჩა.

აკაკის უკანასკნელი ავადმყოფობის პირველი ეჭიმი შემდეგი სიტყვებით აღწერს „ომის“ დაწერის პროცესს: „...შევუდექი თუ არა ანამენტური ცნობების შეკრებას, გამოირკვა შემდეგი: ორი უკანასკნელი კვირა აკაკი თავაუღებლად დღედაღამ წერდა თურმე თავის პოემას ომის შესახებ. პოემის მეორე ნახევარი რომ დასწერა, აკაკიმ იგრძნო სისუსტე, რომელიც თანდათან მატულობდა. იმის წარმოდგენით, რომ ავადმყოფობა კალამს ხელიდან გააგდებინებდა, მგოსანი მეტის დაბეჯითებით და სიჩქარით ცდილობს პოემის დასრულებას, სისუსტე კი ძვალში და რბილში ჩასჭიდებია. აი მგოსანიც ანგარიშობს: შობის წინა დღით პოემას დაეასრულებ, მოსვენებით ჩაეწეები ლოგინში, ნევრებს დავაწყნარებ, სხეულს დავასვენებო; ამ იმედით ის მხნედ ასეელებს მეღანში კალამს და უკანასკნელ ძალას ანდომებს პოემის დასრულებას, როცა მასთან დღეშია მოაქვთ: პეტროგრადიდან ცოლშვილი აუწყებს მგოსანს უკიდურეს ნივთიერ გაჭირვებას და სიზოვს დახმარებას. ეს ამბავი აკაკის მგზავით ეცემა თავზე, ის კალამს ხელიდან აგდებს, ფიქრს მიეცემა: ფულია საჭირო, ფული კი მას ამჟამად არ მოუძევება. გაჰჭრა სიბეჯითე და სიმხნევე, რომელსაც აკაკი დეპეშის მიღებამდე გრძნობდა, მაგრამ პოემას მაინც დაბოლავება სჭირია. მგოსანი ნერვებ-აშლილი, აღშფოთებული, დანაღვლიანებული, ხელის კანკალით ასრულებს პოემას და სწრაფად წეება ლოგინში“ \*).

ნაწილობრივი გადაჭარბების გამოკლებით, ასეთ პირობებში იწერებოდა „ომი“. ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში დაწერილი პოემა ვერ იქნება მხატვრულად გამართული და დასრულებული ლიტერატურული დოკუმენტი. როგორც აღნიშნული იყო, ის დაუმუშავებელი დარჩა ავტორს, ამიტომ მასში, საერთო მხატვრულ სისუსტესთან ერთად, მრავალი დაულაგებელი, ერთმანეთთან შეუხამებელი და მხატვრულ სასტემოში მოუყვანელი სტრიქონი, განსაკუთრებით უკანასკნელ ნაწილში, მაგრამ აღნიშნულის მიუხედავად, პოემის ამ საერთო მხატვრულად სუსტ კონსტრუქციაში მოთავსებულია საკმაოდ შესამჩნევი ადგილებიც.

რაც შეეხება პოემის დაწერის თარიღს, ის თავსდება 1914 წლის დეკემბრის უკანასკნელ და 1915 წლის იანვრის პირველ რიცხვებში, სახელდობრ: დაახლოებით 1914 წლის 21 დეკემბრიდან 1915 წლის 6 იანვრამდე განვილი რიცხვებში (ახალი სტილით), რადგან, როგორც ს. ჯოდოშვილის მოგონებიდან ზემოთ მოყვანილი ციტატის (და აგრეთვე სხვა ცნობების) მიხედვით ირკვევა, აკაკიმ „ომის“ წერა დაამთავრა 1914

\*) ს. ჯოდოშვილი — „აკაკის უკანასკნელი ავადმყოფობა“, „თემი“, № 211, 1915 წ.

წლის 24 დეკემბერს (ძველი სტილით), ხოლო ამ თარიღამდე ოთხ კვირის განმავლობაში წერდა პოეტი ამ პოემას.


P. S. ეს წერილი რამდენიმე თვის დაწერილი იყო, <sup>ქრქეძის</sup> და მკვლევარმა იოსებ გრიშაშვილმა, გადმოცა მის მიერ ჩანაწერი პოეტ ვარლამ რუხაძის შემდეგი მოგონება: „ვ. რუხაძის სიტყვით, აკაკის სურდა თავისი უკანასკნელი პოემა „ომი“ რუსულად გადათარგმნილიყო და ცალკე დაბეჭდილიყო ნიკოლოზის პორტრეტით. „ამდენხან სულ ვებრძოდი რუსეთს, ახლა კი უნდა ვთხოვო, იქნება ამან მაინც გაჭრასო“. — დასძინა ამ სურვილს აკაკიმ“.

ვ. რუხაძის ეს ცნობა ეხება აკაკის ავადმყოფობის პერიოდს. ასეთი სურვილი ავადმყოფ პოეტს გამოუთქვამს მის მნახველებს შორის, მისი სურვილის თანახმად, „ომის“ წაკითხვის შემდეგ.





ქართული  
ლიბრეოთეკა



ქ. ვაძელიშვილი — კოლხიდეში

## ი. ენიკოლოვოვი

# აკაკის იუბილეს გამოცახილი რუსეთში და საზღვარგარეთ

1906 წ. 7 დეკემბერს მთელმა საქართველომ, ტფილისიდან დაწყებული მივიარდნით კუთხეებამდე, არაჩვეულებრივი ერთსულოვნებით და იშვიათი ზეიმით იდღესასწაულა მაღალნიჭიერი და უაღრესად ხალხური პოეტის აკაკი წერეთლის 50 წლის სალიტერატურო მოღვაწეობის იუბილე.

ამ ზეიმს გამოეხმაურენ მეზობელი ხალხებიც, რომელთაც მეტად გულთბილად აღნიშნეს ეს დღე.

დღესასწაული თავის დროზე საკმაოდ იქნა გაშუქებული ჟურნალ-გაზეთებში.

თუ როგორ ჩატარდა ეს იუბილე რუსეთში და საზღვარგარედ, ამის შესახებ ცნობები იბეჭდებოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად და დროგამოშვებით.

დღესასწაულის ოფიციალურ დღემდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე მოემზადა პეტერბურგში მცხოვრები ქართველი საზოგადოება საიუბილეო დღესასწაულის ჩასატარებლად. საზეიმო საღამო გაიმართა 1-ლ დეკემბერს „პალმის“ საზოგადოების სათეატრო დარბაზში.

საღამოს ოფიციალური ნაწილი დაიწყო მისალმებით, შესავალი სიტყვით და იუბილიარის დახასიათებით. შემდეგ წარმოდგენილი იქნა ერთი მოქმედება „თამარ ციხერიდან“ და გაიმართა დივერტისმენტი: კითხულობდნენ იუბილიარის ლექსებს ქართულ და რუსულ ენებზე.

საღამო დასრულდა აპოთეოზით: იუბილიარი თავის ნაწარმოებთა გმირებს შორის.

დიდი თანაგრძნობით გამოეხმაურენ იუბილეს რუსეთის ლიტერატურული და მეცნიერული წრეები. ცნობილმა ბელეტრისტმა ვ. კოროლენკომ ჟურნალ „რუსსკოე ბაგატსტო“-ს სახელით გაუგზავნა „მზურვალე საღამო ქართველი ხალხის მსცოვან მგოსანს“. პუბლიცისტი ნ. კ. ანენსკი პეტერბურგის ლიტერატურული საზოგადოების სახელით მიესალმა აკაკის — „ცხოვრების სიღამაზისა და სიხარულის გრძნობიერ პოეტს“. მიესალმენ აგრეთვე პოეტები ანატოლი კრემლევი და კ. ლებედევი — (აკაკის ზოგიერთი ლექსის მთარგმნელი).

ვანსაკუთრებით მგრძნობიერი მისალმება გაუგზავნა იუბილიარს პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ფაკულტეტის დეკანმა პროფ.



თული მიწის დიადო მწერალო. უკვდავი დიდება გენიალურ პოეტს სა-  
ყვარელ სამშობლოს ნათელ ლამპარს“.

მოსკოვიდან ტფილისში დეპეშები გამოგზავნეს სამსტრის თქმით  
ნ ე მ ი რ დ ვ ი ჩ - დ ა ნ ჩ ე ნ ე კ ო ს და ს ტ ა ნ ი ს ლ ა ე ს კ ი ს ხელმო-  
წერით, სამხ.-სალიტერატურო წრემ, ალექსი მესხიშვილმა,  
პროფ. ს ა კ უ ლ ი ნ მ ა, პროფ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ მ ა, ლაზარევის ინ-  
სტიტუტის პროფესორთა საბჭომ — დირექტორის მილერის ხელმო-  
წერით, პროფ. ხ ა ლ ა თ ი ა ნ ც მ ა, რომლის დეპეშაშიაც ნათქვამი იყო:  
„სალამი საქართველოს საყვარელ მგოსანს. ვულოთ ვუსურვებ ახალ ძა-  
ლას ძმურ სომხეთთან ერთობის საქადაგებლად“.

დეპეშები მივიდა აგრეთვე მოსკოვის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებ-  
ლის სტუდენტთაგან.

არ დარჩენილა არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი, სადაც კი სწავ-  
ლობდენ ქართველი სტუდენტები, რომ არ გამოხმაურებოდა იუბილეს.  
იურიევის უნივერსიტეტების სტუდენტებმა, რომელნიც გაერთიანებული  
იყვნენ „კავკასიელთა საზოგადოება“-ში, 6 დეკემბერს გამართეს საიუ-  
ბილეთ საღამო. საღამოები გაიმართა აგრეთვე ოდესაში, კიევიში, ტომსკში,  
ნოვოჩერკასკში, იაროსლავსკში და სხვაგან.

იუბილიარს მისასალმებელი დეპეშები გამოუგზავნეს კიევის „სალიტ-  
სამეცნიერო უწყების“, ვაზ. „რადას“ და სხვა ჟურნალ-გაზეთების რე-  
დაქციებმა.

იუბილემ ზოგიერთ ადგილას გამოიწვია მოსახლეობის სხვადასხვა ფე-  
ნების იშვიათი ერთსულოვნება. ამ მხრივ დამახასიათებელია იალტიდან გა-  
მოგზავნილი ინტელიგენციის ერთი წრისა და მუშების დეპეშა: „50 წელია  
შენ დგებარ სადარაჯოზე. შენ შეპქმენი ძალოვანი მხატვრული სიტყვა  
და მით აღვიძებ ბრძოლაში დასუსტებული შენი ხალხის მიმჭრალ გრძნო-  
ბებს. ეხლა ჩვენ ქართველები სიამაყით თავს ვიხრით შენი წინასწარმე-  
ტყველების წინაშე. შენ მართალი ხარ, ის არ მომკვდარა, მას მხოლოდ  
ეძინა, მან გაიღვიძა“.

რუსეთის ყველა მივარდნილ კუთხიდან, სადაც კი ქართველები ცხოვ-  
რობდნენ, დიდის აღფრთოვანებით ეხმაურებოდნენ იუბილეს და გზავნიდნენ  
მისასალმებელ დეპეშებს. ასეთი დეპეშები მივიდა შერვიდან, ჩარჯუიდან,  
ასხაბადიდან, ტაშკენტიდან, ვლადივოსტოკიდან და სხვ.

განსაკუთრებით მგრძნობიარეთ გამოეხმაურენ იუბილეს პოლიტიკური  
გადასახლებულნი, რომელნიც გადაკარგული იყვნენ ყველაზე უფრო სუს-  
ხიან ადგილებში:

ქ. ე ნ ო ტ ა ე ვ ს კ ი დ ა ნ: „თქვენი პოეტური მოღვაწეობის 50 წლის  
იუბილეს უალრესად საზეიმო დღეს მოგესალმებით, ძვირფასო აკაკი. გო-  
სურვებთ ნაყოფიერი მუშაობის გაგრძელებას ქართველი ხალხის ნაციო-  
ნალურ-კულტურული აღორძინებისათვის, რასაც თქვენ ხელმძღვანელობთ  
ნახევარი საუკუნის განმავლობაში“.



ქ. კემიდან (არხანგელის გუბ.): „ქ. კემის პოლ. გადასახლებულა ქართველები უერთდებიან ქართველთა საერთო ზეიმს ხელისუფლების მომღერალი, დამონებულთა სეედის განმარტების საშობლოს სასიქადულო შვილის აკაკი წერეთლის იუბილეს გამო“.

ქ. ხოლმოგორიდან (არხანგელსკის გუბ.): „არხანგელსკის გუბერნიის ქართველ პოლიტიკურ გადასახლებულთა წრე უერთებს თავის ხმას ქართველთა ზეიმის საერთო ჰანგს — ხალხის საყვარელი, თავისუფლების მომღერალი, ზეშთაგონებული პოეტის, პოლიტიკურად დამოხებული ხალხის მწუხარების ამსახველის, თავისი სამშობლოს სასიქადული შვილის აკაკი წერეთლის იუბილეს გამო“.

დიდი ზეიმით შეხედენ აკაკის იუბილეს საზღვარგარეთაც. უცხოეთის სხვადასხვა ქალაქებში გაბნეული ქართველობა, რომელნიც გაერთიანებული იყვნენ ქართულ კოლონიებში, მეტად მგრძნობიარეთ გამოხეზაურენ იუბილეს.

მისასალმებელი დეპეშები გამოგზავნეს მიუნხენიდან, ბრაუნშვეიგიდან, ვენიდან, ვენევიდან; ლეიპციგისა და რომის ქართველმა სტუდენტებმა. ბუქარესტიდან ჟორდროპმა („ვეფხის ტყაოსნის“ მთარგმნელის ძმამ); ქ. ლიევიდან (ბელგია), სადაც 1908 წელს კავკასიელ სტუდენტთა საგრძნობი რიცხვი იყო. იქაურ გაზეთ „La Meuse“-ს 23 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა აკაკის იუბილესადმი მიძღვნილი სტატია. ამ სტატიის ავტორი, გიორგი დარახველიძე იძლეოდა საქართველოს მოკლე ისტორიულ მიმოხილვას, აღნიშნავდა მის დიდ კულტურულ წარმატებას, რამაც უდიდეს განვითარებას მიაღწია XII საუკუნეში, და ამუშებდა იუბილიარის დამსახურებას. განსაკუთრებით ხაზს უსვამდა აკაკის ჩანგის ღირსებას, — „ჩანგის, რომელიც ტირის თავისი ხალხის სამწუხარო მდგომარეობის გამო და რომელიც ამავე დროს უწინასწარმეტყველებს ამ ხალხს ბედნიერ და ნათელ მომავლას“. „ქართველი პოეტებიდან აკაკი წერეთელი ყველაზე მეტად გავრცელებულია; მისი ლექსები აღწევენ საქართველოს ყველა მივარდნილ კუთხემდე“. შემდეგ ავტორი გვაცნობებს, რომ ლიევის უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტებმა დაადგინეს — დაარსონ უდიდესი მასწავლებლის სახელობის ბიბლიოთეკა.

რომის ქართველმა სტუდენტებმა, პატრ მიხ. თამარაშვილთან ერთად, იუბილიარს გამოუგზავნა ორიგინალური, ძვირფასი ძღვენი, ნახატი: შოთა რუსთაველი აძლევს კალამს აკაკის. სურათს წარწერილი აქვს ეპიგრაფად ციტატი „ვეფხის-ტყაოსნიდან“.

პარიზმა იუბილედ აღნიშნა ერთ-ერთ თავის პოპულარულ გაზეთში „La Petite République“-ში 1909 წლის იანვარს (N° 11973) „ნათელას“ შინაარსის გადაცემით. წერილი ეკუთვნოდა ნიკიერ პებლიცისტს მ. პუანსოსს. იქვე იყო მოყვანილი ლექსად თარგმნილი ნაწყვეტი ამ პოემიდან.



იუბილეს გადახდის რამდენიმე თვის შემდეგ აკაკი პარაზიკი დაეწინაურა პარიზის გაზ. „Le Nouvelles“-ში (1909 წ. 1 ნოემბრის ნომერი) მოთავესებული იყო წერილი, რომელიც ეხებოდა აკაკის ცხოვრების ზოგიერთ საინტერესო მომენტს.

„მისმა პარიზში ყოფნამ მაშინ შეუმჩნევლად ჩაიარა, იმიტომ რომ ის ბევრით თავმდაბლობის განხორციელება და გადაჭრით უარს აცხადებდა ყოველგვარ ინტერვიუზე, — ასე იწყებს თავის წერილს ფრანგი კორესპონდენტი აკაკის შესახებ. — მხოლოდ მასთან საუბრას შემდეგ, რომლის დროსაც მან გამოაჩინა თავისი ჭკუამახვილობა და ფილოსოფიური შეხედულებანი, შეიძლება მისი სილუეტის მოცემა“.

შემდეგ იწყება საჭარბველოს ისტორიული მიმოხილვა. მერე ავტორი კვლავ უბრუნდება აკაკის: „აი ამ მაგარმა და მკვირცხლმა ხალხმა წარმოშვა ის პოეტი ატარებს ამის ყველა ნიშანს. იგი მაღალი და წარმოსადეგია. ხუჭუჭი ხშირი თმით დამშვენებული მოხუცის მაგარი ლამაზი თავი პირისახის სწორი ნაკეთებით თითქოს ჩამულია თეთრი წვერის ჩარჩოში. ასე წარმოგვიდგა იგი სალონშიაც, სადაც ენახეთ იაკ. ნიკოლაძის მიერ გაკეთებული მისი ბიუსტი. მისი ექსტეზი მდინარია და მსუბუჭი, ის ხშირად იცინის და მაშინ მოსჩანს მისი მშვენიერად შენახული კბილები.“

„20 დეკემბერს (ახალი სტილით) მას თავის სამშობლოში გადაუხადეს იუბილე. ასეთი დღესასწაული საეჭვოა განეცადოს რომელიმე პოეტს, ვიქტორ ჰიუგოს გარდა. მისი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მას მიესალმა 200-ზე მეტი დეპუტაცია. მსოფლიოს ყველა მხარიდან მიუეცდა მისალოცი დეპეშები, ჟურნალებმა მიუძღვნეს მთლიანი ნომრები, მოსკოვისა და პეტერბურგის პრესამ გაუმართა ნამდვილი აპოთეოზი, რაც არ ხვედრია თვით დიდებულ ტოლსტოისაც. ხალხის ზეიმი გრძელდებოდა თვეობით.“

ქუთაისში მთელი ქალაქის პარტივისციემის გამოსახატავად მას წარუდგა 100 ქალიშვილი. ქალიშვილს, რომელმაც მას სიტყვით მიმართა, პოეტმა შაწოდა კონფერით სავსე კოლოფი, მაგრამ პატარა ქალმა სთხოვა: კონფეტები შენ დაიტოვე. ჩემთან კი სურათი გადაიღო“.

გულაჩვილებულმა პოეტმა ჰკითხა: „რისთვის?“ — „იმისათვის, — უპასუხა ბავშვმა, — რომ მაშინ მეც ყველასაგან ცნობილი შევიქნებიო“.

ასეთი დიდი პარტივისციემითა და აღფრთოვანებით შეხვდენ დიდი პოეტის და მწერლის იუბილეს რუსეთსა და საზღვარგარეთ.

კ. გორდელაძე

## მესამე ღასი

შესავალი

საქარ. კომ. პ. (ბ) IX ყრილობაზე ა.-კ. ბოლშევიკების ხელმძღვანელმა ანტონ ლ. ბერიამ სრულიად სამართლიანად აღნიშნა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება მეცნიერულად დამუშავებული მარქსისტულ-ლენინური ისტორია საქ. კომ. პ. (ბ) და რევოლუციური მოძრაობისა საქართველოში. „ჩვენდა სამარცხვინოდ უნდა იტყვას, — განაცხადა მან, — რომ ჩვენ დღემდე არა გვაქვს ოდნავადაც მეცნიერულად და დოკუმენტალურად დამუშავებული ისტორია ჩვენი პარტიისა და რევოლუციური მოძრაობისა საქართველოში“. ამით ჩვენს წინაშე დასმულია გადაუდებელი ამოცანა — ნათელვყოთ და მეცნიერულად დავამუშავოთ უამრავი ფაქტიური მასალა თავისი შინაარსით უმდიდრესი რევოლუციური მოძრაობის შესახებ საქართველოში იმ მიზნით, რომ უახლოესი დროის განმავლობაში გვექნეს რამდენადმე მაინც დამაკმაყოფილებელი შრომა ამ დარგში.

ზედმეტია ლაპარაკი რევოლუციური მოძრაობის ისტორიის მეცნიერული დამუშავების მნიშვნელობაზე. ლენინი და სტალინი ყოველთვის ხაზს უსვამდნენ ჩვენი პარტიისა და რევოლუციური მოძრაობის ისტორიის შესწავლის უდიდეს მნიშვნელობას მასების პოლიტიკური აღზრდისათვის, განსაკუთრებით პარტიის წევრთა ახალი თაობის და ახალგაზრდა მუშათა კადრების მარქსისტულ-ლენინურ აღზრდისათვის, რომელთაც არ შეეძლოთ ყოფილიყვნენ ამ მოძრაობის უშუალო მონაწილენი. „უდიდეს ზიანს აყენებენ მუშებს ის ადამიანები, — წერდა ლენინი, — რომლებიც (მსგავსად ლიკვიდატორებისა და ტროცკისა) გვერდს უვლიან ან ამახინჯებენ მუშათა მოძრაობაში იდეურ ბრძოლის ამ 20 წლის ისტორიას. არ შეიძლება შეგნებულ იყოს ის მუშა, რომელიც გულმაგიწყ ივანესავით უწყურებს თავის მოძრა-

ობას... გუშინდელი დღის დავიწყება „პროტუნიზმია“\*).

პარტიის ისტორიის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პირველ რევოლუციური ტროცკისტულ-ზინოვიევიური იდეოლოგიის წარმოშობის სრული განადგურების საქმეში.

მაგრამ, ვარდა ამისა, საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის მეცნიერულ დამუშავებას და შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმის გამო, რომ ამ მოძრაობის უშუალო ხელმძღვანელი მრავალი წლის განმავლობაში იყო ჩვენი პარტიისა და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი ამხ. სტალინი. საესებით მართალია ამხ. ბერია, როდესაც მიუთითებს, რომ „არ შეიძლება არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ფაქტის მოყვანა ლენინური ხაზისათვის ბრძოლის ისტორიიდან, რომელიც არ იყოს გამსჭვალული ამხ. სტალინის აზრითა და ნებისყოფით. ამხ. სტალინი წარმოადგენს ბოლშევიკური მოძრაობის საფუძვლის ჩამყრელს საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში. მან მოაწყო პირველი არალეგალური ფურცლების გამოშვება. მან მიაწყო პირველი პოლიტიკური გაფიცვა, პირველი პოლიტიკური დემონსტრაცია. მის მიერ იყო მოწყობილი და ის ხელმძღვანელობდა პარტიის პირველ არალეგალურ კომიტეტებს ტფილისსა და ბათომში.

„იმ პერიოდში ამიერ-კავკასიის უდიდესი სამრეწველო ცენტრი — ნავთის ქალაქი ბაქო, ამხ. სტალინის ორი წლის მუშაობის შემდეგ, გადაიქცა ბოლშევიზმის ციტადელად კავკასიაში, ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ნამდვილ დისაყრდენად. მუშაობდა რა საქართველოსა და ამიერ-კავკასიის რევოლუციური მოძრაობის ყველაზე საპასუხისმგებლო უბნებზე, აწყობდა რა ბრძოლას მენშევიკებთან და ამხელდა რა მათ, ამხ. სტალინს მთელი ბოლშევიკური ორგანიზაციის ბრძოლა აყავდა შადალ ლენინურ პრინციპიალობამდე და შეურიგებლობამდე“\*\*).

აქ აღნიშნულია საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში ამხ. სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიის ძირითადი მომენტები, რომელთა მიხედვითაც უნდა ჩატარდეს მეცნიერული გამოკვლევა. ამხ. სტალინს თავიდანვე ახასიათებდა მაღალი პრინციპიალობა და ლენინური შეურიგებლობა. ვერ კიდევ რ. ს.-დ. მ. პ. II ყრილობამდე ჭარბი „რაბოჩედელები“ ეს მომავალი მენშევიკები, ვერ „ითმენდნენ“ ამხ. სტალინს მისი მარქსისტულ-ლენინური პრინციპიალობისა და შეურიგებლობისათვის, რასაც

\*) ლენინი, ტ. XVII, გვ. 354 და „ლენინის კრებულები“ № 5, გვ. 87.

\*\*\*) ლ. ბერია, მოხსენება საქართველოს კ. პ. (ბ) IX ყრილობაზე.

ისინი დემოკრატიულად „პირად კაპრიზებად“, „დიქტატურისადმი მოწონებად“ და სხვ. სახედონ. აქ დავეკმაყოფილებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საინტერესო ფაქტის მოყვანით, რომელსაც ადგილზე მხოლოდ ერთ კლდე პარტიის II ყრილობამდე.

1901 წელს ტფილისის ორგანიზაციის წინაშე დაისვა საკითხი ტფილისის ახალი კომიტეტის შექმნის შესახებ. ამხ. სტალინი მოითხოვდა კომიტეტში პროფესიონალური რევოლუციონერები შეყვანას, რომელთაც პქონდათ არალეგალური ცხოვრების და კონსპირატიული მუშაობის უნარი. ის წინადადებას იძლეოდა არ მორიდებოდნენ ამას მაშინაც კი, თუ ამ კომიტეტში უმრავლესობა ინტელიგენტების სახით იქნებოდა წარმოდგენილი, ოღონდ ისინი პროფესიონალური რევოლუციონერები ყოფილიყვნენ. მომავალ მენშევიკებს, რომლებიც ყურადღების ცენტრში აყენებდნენ არა მუშაობის არალეგალურ ფორმებს, არამედ ლეგალურს, რადგან ისინი სრულებითაც არ ფიქრობდნენ მუშათა კლასის ნამდვილი მებრძოლი რევოლუციონერი პარტიის შექმნას და პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელებას, რასაკვირველია, არ შეეძლოთ დათანხმებოდნენ პარტიული კომიტეტის შედგენის სტალინურ პრინციპებს და მათ მიმართეს დემოკრაციას ამხ. სტალინის წინააღმდეგ, ბრალად დასდეს მას „თვითნებობა“, „დიქტატორობა“, „სიმკაცრე“ და სხვა ამის მსგავსი ცოდვები. ისინი მოუწოდებდნენ მუშებს „...აერჩიათ, ვინც სურდათ“, როგორც ამას გადმოგვცემს თვით მენშევიკი ისტორიკოსი ს. არკომედი თავის წიგნში „მუშათა მოძრაობა და სოციალ-დემოკრატია კავკასიაში“, რომელიც გამოვიდა პლენარის წინასიტყვაობით 1910 წ. თენგვაში.

ქართველი „მახაეცები“ და „რაბოჩედელეცები“ შინაპარტიული დემოკრატიზმის დროშის ქვეშ აპარებდნენ თავის დაშვალ ოპორტუნისმს, ებრძოდნენ რა რევოლუციურ სოციალ-დემოკრატობას, რომელსაც ახალგაზრდა სტალინი მეთაურობდა. აი რას ამბობს ამ ფაქტის შესახებ ს. არკომედი დასახელებულ წიგნში: „ხსენებულმა ახალგაზრდა ამხანაგმა, — წერს იგი, — ამის შემდეგ მალე თავისი მოღვაწეობა ტფილისიდან ბათუმში გადაიტანა (როგორც ცნობილია, 1901 წლის დასასრულს ამხ. სტალინი ტფილისიდან ბათუმში გადავიდა, იქ შექმნა რ.ს.-დ. მ. პ.-ის ბათუმის კომიტეტი, ჩაატარა გაფიცვები როტშილდისა და მანთაშევის ქარხნებში და 1902 წლის თებერვალში მოაწყო ბათუმის მუშების ცნობილი პოლიტიკური დემონსტრაცია, რომელიც დახვრიტეს მეფის დამკავებმა. — კ. გ.), საიდანაც ტფილისის მუშებმა მიიღეს ცნობა, რომ იგი არალოიალურად ეპყრობოდა ტფილისის ორგანიზაციას და მის მუშაკებს (წიკითხეთ: მხოლოდ ტფილისელ „რაბოჩედელეცებს“. კ. გ.), მტრულ და დეზორგანიზატორულ აგიტაციას აწარმოებდა მათ წინააღმდეგ... ზოგიერთი ამხანაგის ასეთი მოქმედება... უმეტეს შემთხვევაში იხსნება არა

მათი პრინციპიალური დამოკიდებულებით საერთო საქმისადმი, თანმედ  
 ინდივიდუალური თვისებებით, პირადი კაპრიზებით და  
 ბატონობისადმი მისწრაფებით“ (გვ. 84. კურსივი ჩვენისა).  
 კურსივი ჩვენისა

მენშევიკი ს. არკომელი, რომელიც ამ შემთხვევაში გამოხატავდა ქართ-  
 ველი მენშევიკების საერთო აზრს, ახალგაზრდა სტალინის წინა-  
 აღმდეგ, მისი პრინციპიალობისა და სიმტკიცისათვის რევოლუციური  
 მარქსიზმისათვის ბრძოლაში, აყენებდა ყველა იმ ბრალდებას, რომელსაც  
 თავის დროზე უყენებდნენ ვ. ი. ლენინს რუსი მენშევიკები — მარ-  
 ტოვი, ტროცკი, დანი, აქსელროდი და სხვ. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი,  
 რომ პარტიის გათიშვის შემდეგ მენშევიკური ზუბრები ბ. ბ. ნ. ჯორდან-  
 ნია, ი. წერეთელი, კ. ჩხეიძე და სხვ. დემავგოტური მიზნით პარტიის გა-  
 თიშვის მიზეზად ამხ. სტალინის პირად თვისებებს თვლიდნენ. მათ  
 სურდათ თავისი ისტერიული ყვირილით ამხ. სტალინის ვითომდა  
 დიქტატორობის შესახებ მიეფუჩეჩებიათ პარტიული მასისა და მუშების  
 წინაშე თავისი ოპორტუნისმი და გამცემლობა მათი რუსი კოლეგების  
 მსგავსად, რომლებიც ასევე განუწყვეტლივ გამოდიოდნენ მსგავსი ბრალ-  
 დებებით ლენინის წინააღმდეგ.

რუს და ქართველ მენშევიკების ეს ძველი ხაზი, მიმართული ბოლ-  
 შევიზმის ბელადების დისკრედიტაციისაკენ, მთლიანად გადაიღო ანტიპარ-  
 ტიულმა ტროცკისტულ-ზინოვიევისეულმა ოპოზიციამ ლენინურ პარტიას-  
 თან ბრძოლაში, ბრძოლაში ამხ. სტალინთან, როგორც პარტიის  
 ხელმძღვანელთან და ბელადთან. პარტიის ყოველთვის შესანიშნავად ესმო-  
 და, რომ ამ დარგშიც ტროცკი-ზინოვიევის ოპოზიცია ორიგინალური არ  
 იყო, რომ მან აქაც აშკარა პოლიტიკური პლაგიატი ჩაიდინა, ე. ი. სი-  
 ტყვა-სიტყვით იგივე ბრალდებები წაუყენა ამხ. სტალინს, რომელსაც  
 თავის დროზე უყენებდნენ ლენინს მენშევიზმის და ტროცკიზმის მე-  
 თაურები.

აი კიდევ ერთი თვალსაზირო მაგალითი, რომელიც ცხადად ლაპარა-  
 კობს საქართველოსა და ამიერ-კავკასიის რევოლუციური მოძრაობის ის-  
 ტორიის მეცნიერული დამუშავებისა და შესწავლის აუცილებლობის სა-  
 სარგებლოდ, ამხ. სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის შესწავ-  
 ლის იმ მომენტიდან, როდესაც ის ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში,  
 ვიდრე 1910 წლამდე, ე. ი. განსაკუთრებით იმ პერიოდში, რომლის გან-  
 მავლობაშიც ამხ. სტალინი უშუალოდ მეთაურობდა და ხელმძღვა-  
 ნელობდა პარტიულ ორგანიზაციებს და პროლეტარიატისა და მშრომელ-  
 თა სახელოვან რევოლუციურ ბრძოლებს მთელ ამიერ-კავკასიაში.

როგორც ამხ. ლ. ბერიამ თავის მოხსენებაში აღნიშნა, „თითქმის  
 ყოველივე, რაც დაწერილა საქართველოს კომპარტიის და ამიერ-კავკასიის  
 რევოლუციური მოძრაობის ისტორიის შესახებ, არ ასახავს ამხ. სტალი-  
 ნის სრულ და ნამდვილ როლს“. ამიტომ თავისთავად ცხადია, რომ ყო-



დასისა, რომელიც ბევრს შეცდომით მარქსისტულად მიიჩნია მისი პოლიტიკური მიმართულებით, მისი წარმომადგენლების მსოფლიოშედეგობით და მისი პრაქტიკული მოღვაწეობით.

უკრძნუნული

ამხ. სტალინმა თავისი რევოლუციური მოქმედებას მარქსისტულად მიიჩნია და ამ ჯგუფის ლეგალური მარქსიზმის წინააღმდეგ ნ. ჟორდანიას და სხვ. სახით, არამედ იგი, როგორც ნამდვილი რევოლუციური მარქსიზმის მამამთავარი ამიერ-კავკასიაში, შეუძლებელია შერიგებოდა მესამე დასის ჯგუფის რევოლუციური ელემენტების არათანმიმდევრობასა და მერყეობას, რისთვისაც აკრიტიკებდა და წინ უბიძგებდა მათ (მ. ცხაკაია, ფ. შანაბაძე, ს. წულუკიძე და სხვ.).

აი რატომ ჩავთვალეთ ჩვენ საუბროდ დაგვეწყო შრომა უფრო აღრინდელი პერიოდიდან. XIX საუკუნის მეორე ნახევრის საერთო დაბასიათების, კაპიტალიზმისა და მუშათა კლასის წარმოშობის ანალიზის შემდეგ წიგნის პირველი ნაწილი მიძღვნილია მესამე დასის ჯგუფის ისტორიის საკითხისადმი.

## მესამე დასი—ლეგალური მარქსიზმი

### 1. ნ. ჟორდანია, ვ. წიკიტელი და ვახ. „კვალი“

„რჩეული ნაწილების“ წინა-სიტყვაობაში ნ. ჟორდანია წერდა: „თუ საზოგადოებრივ მართალია ის დებულება, რომ წარსულის ცოდნა თავდება აწმყოს უკეთ გაგებისა და მომავლის ვათვალისწინების — მართალია განსაკუთრებით ჩვენი დროისათვის. არასოდეს არ ყოფილა ამ დებულებების განხორციელების ისეთი საერთო ნოთხოვნილება, როგორც დღეს არის. რა ნივთებით გუშინ, რას ვაკეთებდით, რას ვქადაგებდით, საიდან მოვდივართ და საითკენ მივდივართ — ეს და სხვა მრავალი კითხვები თითოეულს ჩვენგანს ებადებოდა და ითხოვენ ახსნას და განმარტებას“. (ხაზი ჩვენია, კ. გ.).

კარვად არის ნათქვამი. ნ. ჟორდანიას დღევანდელი კონტრარევოლუციური საქმიანობა შემთხვევითი მოვლენა როდია. ის სავსებით კანონზომიერია. მას ორგანიული კავშირი აქვს იმასთან, რასაც ნ. ჟორდანია აკეთებდა და ჭადაგებდა ჯერ კიდევ 90-იან წლებში. იმ პერიოდის ნ. ჟორდანიას იდეურ-პოლიტიკური ფიზიანომიის ანალიზი გვიჩვენებს მჭიდრო კავშირს მის წარსულსა და აწმყოს შორის. ის არავითარ ეჭვს არ სტოვებს იმაში, რომ ნ. ჟორდანია არასოდეს არ ყოფილა ნამდვილი მარქსისტი. რაკი ნ. ჟორდანია თვით ლაღადებს, რომ „წარსულის ცოდნა თავდება



აწმყოს უკეთ გაგებისა“, ჩვენც მივიღოთ ეს მხედველობა და დროს სინათლეზე გამოვიტანოთ აღნიშნული დროის ეორდანიას „მარქსისტობისა“ და „სოციალისტობის“ ხასიათი, რათა მისი „ანდერძის თანხმობის“ უკუმიერი წარსულსა და აწმყოს შორის დაცული იქნას.

ე. ნინოშვილის გარდაცვალების შემდეგ ნ. ეორდანიას და გ. წერეთელს მესამე დასის ფაქტიური ხელმძღვანელები შეიქმნენ, რაც შემდეგი გარემოებით იყო გამოწვეული: მესამე დასის თავისებოლი პოლიტიკური ბუნებით სწორეთ ისეთ იდეურ ხელმძღვანელებს მოითხოვდა, როგორც ნ. ეორდანიას და გ. წერეთელი იყვნენ. ეს იყო მთავარი მიზეზი. რასაკვირველია ამას იმ მოვლენამაც შეუწყო ხელი, რომ ე. ნინოშვილის გარდაცვალების შემდეგ ნ. ეორდანიას არ დაურჩა ისეთი იდეურ-პოლიტიკური მოწინააღმდეგე, რომელსაც შეეძლებოდა მესამე დასელთა ხელმძღვანელის როლში გამოსვლა. ე. ნინოშვილის გარდაცვალების დროის აშხ. ფ. მახარაძე ქ. ვარშავის ალექსანდრეს ციხადელში იჯდა მარქსისტულ წრეებში მონაწილეობისა და საზღვარგარეთიდან არალეგალური ლიტერატურის მიღებისათვის. აშხ. მ. ცხაკაია სრულებით სამართლიანად, უფრო მეტ მნიშვნელობას აკუთვნებდა და უფრო მეტ დროს ანდომებდა მუშათა მოძრაობის პრაქტიკულ საკითხებს, წრეების შექმნას და მათდამი ხელმძღვანელობას. გარდა ამისა, თავიდანვე არაშემთხვევითმა კარგმა ურთიერთობამ გ. წერეთელსა და ნ. ეორდანიას შორის ხელი შეუწყო იმას, რომ ეს უკანასკნელი მესამე დასის ხელმძღვანელად გამხდარიყო. სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო, რადგან ვაზ. „კვალის“ ბატონ-პატრონი გ. წერეთელი იყო და, რასაკვირველია, მის ნებასურვილზე დიდად იყო დამოკიდებული, თუ ვინ იქნებოდა მესამე დასის მთავარი ხელმძღვანელი. პოლიტიკურათ მისაღები იქნებოდა ის მისთვის თუ არა.

როგორც ნ. ეორდანიას მსოფლმხედველობის, მისი პოლიტიკური პროგრამის დეტალურმა განხილვამ დაგვიანხა, გ. წერეთელის არჩევანი ნ. ეორდანიასზე სრულებით არ ყოფილა შემთხვევითი. მასში ის ხედავდა ყველაზე უფრო მისაღებ კანდიდატს ამ საქმისათვის, რომელიც შესძლებდა ე. ნინოშვილის, მ. ცხაკაიას და ფ. მახარაძის „ცალმხრიობის“ გადალახვას და მთელი ერის და არა ერთი რომელიმე კლასის მებაირახტრედ გამოსვლას. მენშევიკი ისტორიკოსი ს. არკომედი ცდილობს დაამტკიცოს, რომ რაც უფრო მეტი დრო ვადიოდა, მით უფრო მეტად ნამდვილ მარქსისტებად ხდებოდნენ ნ. ეორდანიას და მისი თანამაზაზრენი. ამ დებულების დასამტკიცებლად მოჰყავთ ნ. ეორდანიას მსჯელობის, მისი ნაწერების უფრო გარკვეული „მარქსისტული“ ხასიათი 900-იან წლებიდან, ვიდრე ეს იყო 90-იან წლებში. ნამდვილად კი ნ. ეორდანიას „უფრო გარკვეული“ „მარქსისტობა“ გამოწვეული იყო მუშათა რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებით, 1905 წლის რევოლუციის ზეგავლენით, რის გამო ის იძულებული იყო იგივე ბურჟუაზიული იდეები, იგივე ნაციონალ-დემოკრატიული პრო-

გრამის პრინციპები გარეგნულად უფრო მკვეთრ ფერებში მარქსისტულად მოეჩვენებია. ამ შემთხვევაში მარქსიზმი მისთვის ხელსაყრელ სწორმასწარმოადგენს, რომლის იქით მისი პოლიტიკური ხაზები უფრო მკვეთრი დედა არსი იმალებოდა. ამრიგად სინამდვილესთან არაფერი აქვს საერთო იმ მოსაზრებას, თითქოს ნ. ჟორდანიას მიერ 90-იან წლებში წამოყენებული პოლიტიკური ხაზი თავისი არსებით არამარქსისტული და ბურჟუაზიული იყო იმიტომ, რომ იმ დროს ისე კარგად არ იცნობდა მარქსიზმს, ისე გარკვევით არ ჰქონდა შეთვისებული როგორც შემდეგ, 900-იან წლებიდან. აქ საქმე მარქსიზმის ცოდნის მეტნაკლებობაში როდია. თვით ნ. ჟორდანიას აღნიშნავდა, როდესაც ის მენშევიკური მთავრობის თავმჯდომარე იყო, რომ მისი მაშინდელი პრაქტიკული მოღვაწეობა გამომდინარეობდა იმ თეორიულ მოსაზრებიდან, რომელიც მან 90-იან წლებში წამოაყენა—თავის პირველ პროგრამულ შრომაში: „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“. ის სიამაყით აღნიშნავდა ამ მოვლენას, როგორც თავისი თანმიმდევრობის დამამტკიცებელ ფაქტს. თავისი ნაწერების პირველი ტომის წინასიტყვაობაში 1920 წელს ის წერდა: „...უკანასკნელ ტომში შევა ჩემი მოხსენებები და სიტყვები, რევოლუციის ხანაში წარმოთქმულნი. ვინც პირველი ტომის პირველ საპროგრამო წერილს შეუფარდებს უკანასკნელ ტომს, ის აშკარათ დაინახავს ოცდა შვიდი წლის წინათ დაწერილი გეგმის დღეს განხორციელებას“. ამასვე ამბობს დღესაც თავისი ახლანდელი მტრული პოზიცია პროლეტარული რევოლუციის მიმართ და ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესების დაცვა მას მიაჩნია 90-იან წლებში შემუშავებული პოლიტიკური პროგრამის პრაქტიკულად განხორციელებად. სხვანაირად შეუძლებელია იყოს. ყოველ შემთხვევაში, ახლა ნ. ჟორდანიას აღარ მალავს, რომ ის მარქსიზმის ნამდვილი მიმდევარი არასოდეს არ ყოფილა, რომ იგი იმავეთვე ცდილობდა მარქსიზმი შეეთანხმებია ნაციონალიზმთან, საქართველოს ბურჟუაზიული აღორძინების იდეებთან. როგორც უკვე ვიცით, ამ შრომის მეორე თავიდან, მესამე დასის წარმოშობის ორმოცი წლის თავზე ნ. ჟორდანიამ გარკვევით აღიარა, რომ მისი „მიზანი იყო მარქსიზმის დანერგვა ჩვენს ნიადაგზე, მისთვის ნაციონალური და დემოკრატიული შინაარსის დამატებით“). ნ. ჟორდანიას მსოფლმხედველობის განხილვა, მისი პირველი საპროგრამო წერილის სრული ანალიზი, ურწმუნო თომებმაც დაარწმუნებს, რომ ის აქვე მოყვანილ განცხადების სახით „ცამდე მართალია“, რომ ის მართლა არასოდეს არ ყოფილა ნამდვილი მარქსისტი.

ზოგიერთს შეიძლება გადაკარბებულადაც მოეჩვენოს დებულება ნ. ჟორდანიას არამარქსისტობის შესახებ, მტკიცება რომ ის არასოდეს ნამდვილი მარქსისტი არ ყოფილა. ვინც ჟორდანიას მსოფლმხედველობას ახლო არ გაცნობია, მან იქნებ იფიქროს, რომ ასეთი ბრალდება (თვით ნ. ჟორდანიას თვალსაზრისით, აღნიშნული დებულება ბრალდებას

•რ წარმოადგენს მისთვის, როგორც ეს მისივე ზემოთმოყვანილ სიტყვებიდან გამომდინარეობს) ნ. ჟორდანიას მიმართ გამოწვეულია შერიღვევანი დღეიანი აშკარა კონტრარევოლუციური მოღვაწეობით, თანამშრომლობის შეიძლება იმის უარყოფა, რომ ის წარსულში ნამდვილი მარქსისტი იყო. ნაოე ჟორდანიას პოლიტიკური მსოფლმხედველობის ანალიზი არავითარ ეტყეს არ ბადებს იმაში, რომ ის ნამდვილი მარქსისტი არასოდეს არ ყოფილა. ეს ანალიზი რომ უფრო დამაჯერებელი იქნას, ამიტომ დავიწყოთ ნ. ჟორდანიას პირველ ნაწარმოებიდან და კვალდაკვალ ვაყვეთ მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას და განვითარებას, როგორც ეს მოცემულია მის შემდეგ შრომებში.

პირველ ყოვლისა საჭიროა აღინიშნოს, რომ ნ. ჟორდანიას არასოდეს მარქსიზმი არ მიუღია და არ შეუთვისებია როგორც ერთი მთლიანი მონოლიტური იდეოლოგია, როგორც მეცნიერების, მსოფლმხედველობის და მეთოდის განუყოფელი მთლიანობა. ის თავიდანვე ეკუთვნოდა ისეთ „მარქსისტთა“ რიცხვს, რომლებიც მარქსიზმის მხოლოდ ამათუ იმ მხარეს დებულობენ და ამის მიხედვით თავის თავს მარქსისტებად აღიარებენ. როგორც ვიცით მარქსიზმი ასეთ „ცნობას“ არ ითმენს. მსგავს შემთხვევებში კ. მარქსი იტყოდა ზოლმე, რომ მე მარქსისტი არა ვარო. მართლაც, შეუძლებელია მარქსისტად ჩაითვალოს ისეთი კაცი, რომელიც მარქსიზმს დებულობს არა მთლიანად, არამედ იღებს მის ერთ რომელიმე მხარეს. როგორც ეთქვით ნ. ჟორდანიას თავიდანვე ასეთი ტიპის „მარქსისტი“ იყო.

ნ. ჟორდანიას არასოდეს არ აინტერესებდა მარქსისტული მსოფლმხედველობის საერთო საკითხები, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მარქსიზმის გავრცელების საქმე მოითხოვდა მარქსისტული მსოფლმხედველობის ფართო პროპაგანდას მასაში. მარქსიზმის მსოფლმხედველობის და მეთოდოლოგიური მხარეების უგულვებელყოფა დამახასიათებელი იყო ნ. ჟორდანიასთვის, რამდენადაც მას მარქსიზმი აინტერესებდა არა როგორც მუშათა კლასის კლასობრივი მსოფლმხედველობა, არამედ როგორც ისეთი მოძღვრება, რომლის გამოყენებას ის ცდილობდა თავისი ბურჟუაზიული პოლიტიკური ხაზის სისწორის დასასაბუთებლად. მისი პოლიტიკური ხაზის დედა-აზრს წარმოადგენდა დებულება იმის შესახებ, რომ საქართველოს ნაციონალური აღორძინება შეიძლება კაპიტალიზმის აღორძინების საფუძველზე. ამითი აიხსნება, რომ ნ. ჟორდანიას უგულვებელყოფდა რა მარქსიზმს, როგორც მსოფლმხედველობის და მეთოდის განუყოფელ მთლიანობას, ამავე დროს მისგან განკალკეებითი დებულობდა თავისებური ვაგებით მხოლოდ მარქსის ეკონომიურ მოძღვრებას, რის გამოც (მთავარი აქ იყო მისი ბურჟუაზიული პოლიტიკური ხაზი) მან ის შეითვისა, როგორც სტრუქტურულ და ლეგალური მარქსიზმის სხვა წარმომადგენელმა. ამრიგად, ნ. ჟორდანიას მიერ მარქსიზმის, როგორც მეცნიერების, მსოფლმხედველობის და მეთოდის მთლიანობის უგულვებელყოფა გამოწვეული

იყო არა ამ საკითხის არ ცოდნით, არამედ თვით მისი არანამდვილი მარქსისტობით. როგორც ასეთი, ის საკმაოდ სთვლიდა თავისთვის მხოლოდ მარქსიზმის ერთ რომელიმე მხარის, მისი ეკონომიური მოძღვრების შეფასებურად გაგებას და მიღებას.

დავუბრუნდეთ ისევ ნ. ჟორდანისას. თუ შეთხვევით ნ. ჟორდანია შეეხებოდა მარქსიზმს, როგორც მსოფლმხედველობას, მეთოდს და მეცნიერებას, უნდა ითქვას, რომ ის აქ იჩენდა ნამდვილ ეკლექტიურობას. მარქსიზმს ის ყოფდა ორ დამოუკიდებელ ნაწილად. ასე მაგ. ის წერდა: „სოციალ-დემოკრატიების მოძღვრება შედგება ორი ნაწილისაგან: ისტორიულ-ფილოსოფიური და პოლიტიკურ-ეკონომიური... ჩვენი წარსულის და აწმყოს მდგომარეობის გასაგებათ ვხელმძღვანელობთ ეკონომიური მატერიალიზმით, ხოლო რამდენათ ვითარდება კაპიტალისტური წყობილება, იმდენათ მეორესაც ხელს ვკიდებთ ერის დაჩაგრული ნაწილის გასაცნობიერებლათ ახალი მოვლენის წინაშე“. (ნ. ჟორდანია „ჩრეული ნაწერები“, გვ. 68). ამრიგად ნ. ჟორდანია მარქსიზმს ორ ნაწილად ჰყოფს. ერთის დაწინაშეულება ხელი შეუწყოს წარსულის და აწმყოს გაგებას, ხოლო მეორე კი გამოყენებული იქნას „ერის დაჩაგრული“ ნაწილის გასათვითცნობიერებლად. საერთოდ ცნობილია, რომ მარქსიზმი წარმოადგენს კლასობრივი ბრძოლის ბასრ იარაღს ბურჟუაზიის ბატონობის დასაწვრვად და პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურის დასამყარებლად სოციალიზმის განხორციელების მიზნით. გარდა იმისა, რომ მარქსისტული ფილოსოფიის, მატერიალისტური დიალექტიკის საგანია არა მხოლოდ საზოგადოებრივი მოვლენები, წარსულის და აწმყოს გაგების ხელის შესაწყობად, როგორც ვვასწავლიდა ბ-ნი ნ. ჟორდანია, არამედ მატერიის მოძრაობის საყოველთაო კანონები ბუნების, საზოგადოების და აზროვნების დარგში. დამახასიათებელია, რომ ნ. ჟორდანია იმთავითვე მარქსიზმის ამოცანას განსაზღვრავდა განმანათლებელი ფუნქციებით და არა პროლეტარიატის კლასობრივი განთავისუფლების საბრძოლო ამოცანებით. ჟორდანისავე სიტყვებით თუ ვიტყვით მარქსიზმის ძირითადი ამოცანა მდგომარეობდა ერის დაჩაგრული ნაწილის გასაცნობიერებლად „ახალი მოვლენის წინაშე“. მხოლოდ, როგორც იქვე შენიშნავს „ივერიის“ საყურადღებოდ, ეს ახალი მოვლენა მდგომარეობდა საქართველოს კაპიტალისტურ განვითარებაში. ექვს გარეშეა, კაპიტალიზმის აღორძინება საქართველოში ახალი მოვლენა იყო, რომლისთვისაც ყურადღება უნდა მიექცია „ერის დაჩაგრულ ნაწილს“, მაგრამ ეს როდია საკმაო. „ერის დაჩაგრული ნაწილის“ ნამდვილ წარმომადგენელს, ნამდვილ მარქსისტს იმთავითვე უნდა გაემაზვილებია შშრომელი მასის ყურადღება კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობის შესახებ. ნ. ჟორდანია ასე არ მოქცეულა და არც შეეძლო მას ასე მოქცეულიყო, რადგან, როგორც ქვემოთ დავინახავთ, კაპიტალიზმი

მას აინტერესებდა სულ სხვა მოსაზრებით და ნაცვლად მის წინააღმდეგ ბრძოლისა, მასთან შეგუების ხაზი ჰქონდა მას აღებული. ასე რომ, მისი მენშევიკური დებულება 1905 წლის რევოლუციის დროს მდინარეზე კლასის ჰეგემონიის და ბურჟუაზიულ პარტიებთან შეთანხმების შესახებ, ისე როგორც მისი მტრული დამოკიდებულება ოქტომბრის რევოლუციისადმი, ბურჟუაზიული პოლიტიკის განხორციელება საქართველოში მენშევიკური ხელისუფლების დროს და ამჟამად მისი სოციალ-ფაშისტური მოღვაწეობა ბურჟუაზიულ ევროპაში უახლოეს იდეურ კავშირში იმყოფება მის პირველ პროგრამულ შრომასთან: „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“.

ნ. ჟორდანიას მსოფლმხედველობის ეკლექტიკურ და არამარქსისტულ ბუნების გამოსააშკარავებლად მისი იმავე შრომიდან მოვიყვანოთ კიდევ ერთ ადგილს, სადაც ჩვენ ნათლად შეგვიძლია გამოვარკვიოთ, თუ როგორ ესმოდა მას მარქიზმი. ყოველგვარი ეკლექტიკისათვის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ერთი მოძღვრების მეორე მოძღვრებასთან მეჭანისტურად შეერთება. ხოლო ამ მიზნის მისაღწევად ის თითოეულს მათგანს აკლის მას რაც ძირითადია მასში, რომ გააადვილოს მათი შეერთების საკმე. სწორეთ ასე იქცევა ნ. ჟორდანიაც. ის ამტკიცებს, რომ რაკი ადამიანი ცხოველისგან წარმოიშვა, ამიტომ არავითარი თვისობრივი განსხვავება არ არსებობს ბიოლოგიურ და სოციალურ მოვლენების კანონზომიერებათა შორის, რომ შესაძლებელია ბიოლოგიის და სოციოლოგიის გაერთიანება ერთ მეცნიერებაშიო. ასეთ მეცნიერებად ის აღიარებს ევოლუციონიზმს. მოუხმინოთ მას: „...მეცნიერება გვასწავლის, ადამიანი ცხოველებთან გაგრძელებააო, ცხადია იმავე მეცნიერებამ მთელი ამ პროცესის შესახებ, ერთი საერთო თეორია უნდა შეიმუშავოს და მით ორი სამეფო ერთმანეთს დაუკავშიროს. აი, ეს თეორიაა ევოლუციონიზმი, რომელიც როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ბუნებისმეტყველებაში შეიტანა დარვინმა (დარვინიზმი) და სოციოლოგიაში მარქსმა (მარქსიზმი). ჩვენ ვიცით მხოლოდ ცვლილება, განვითარება, ევოლუცია და მეტი არაფერი. ამ ცვლილებას უნდა შეეწყოს, როგორც ცხოველები, ისე ადამიანები. აი, საერთო წერტილი ბიოლოგიას და სოციოლოგიას შორის. ასევე უნდა შევხედოთ ფეოდალიზმს, კაპიტალიზმს, სოციალიზმს და ცხოვრების სხვა ფორმებს“.

(იქვე, გვ. 82).

ნუთუ კ. მარქსის უმთავრესი „გამოგონება“, მარქსისტული მეთოდოლოგიის ძირითადი არსება მდგომარეობს ევოლუციურ თეორიის შემუშავებაში? ეს აღმოჩენა მხოლოდ და მხოლოდ ნ. ჟორდანიას ეკუთვნის. როგორც ჰეშმარტიმა ოპორტუნისტმა, ნ. ჟორდანიამ ევოლუციასა და განვითარებას შორის იგივეობის ნიშანი დასვა. სხვანაირად რომ ესთქვათ მისთვის განვითარება იგივეა, რაც ევოლუცია. მარქსისა და ნამდვილ მარქსისტებისათვის კი ეს ერთი და იგივე არ არის, ისე როგორც მარქსიზ-

მის ძირითად აღმოჩენას ევოლუციონური თეორია არ წარმოადგენს/ მარქსიზმის თეოსაზრისით ევოლუცია ბუნებაში და საზოგადოებაში წარმოადგენს განვითარების წინასწარ პირობას, თუ განვითარების განუყოფელად თუ როგორც დიალექტიკურ პროცესს და არა მეტაფიზიკურად. მხოლოდ ნ. ჟორდანიას მსგავს ემპირისტებისა და მეტაფიზიკოსებისათვის არის დამახასიათებელი განვითარების გაგება როგორც უბრალო ევოლუციური პროცესი, ე. ი. როგორც იმის ზრდა და ცვალებადობა, რაც არსებობს. მეტაფიზიკებიც სცნობენ განვითარებას, მხოლოდ ასეთ განვითარებას არასოდეს არ მივყევართ არსებულის უარყოფამდის, ერთი თვისების მეორე თვისებაში გადასვლამდის. ამრიგად ნ. ჟორდანიამ მარქსიზმს გამოაცალა ძირითადი არსება, მოძღვრება განვითარების დიალექტიკურ პროცესის შესახებ, მოძღვრება ერთი ისტორიული საზოგადოებრივი ფორმაციის რევოლუციური გზით შეცვლის შესახებ, ამ შემთხვევაში პროლეტარული რევოლუციის საშუალებით კაპიტალიზმის მოსპობა და პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურის გზით სოციალიზმის განხორციელების შესახებ. შემთხვევითი როდია, რომ ნ. ჟორდანია ყოველთვის უარყოფდა პროლეტარული რევოლუციის და პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიულ აუცილებლობას. ის ყოველთვის იცავდა ამა თუ იმ ფორმაში ბურჟუაზიულ პარტიებთან შეთანხმების პრაქტიკას, ვიდრე აშკარად არ გადავიდა კაპიტალიზმის არსებობის, ბურჟუაზიის კლასობრივ ინტერესთა დაცვის პოზიციაზე.

ნ. ჟორდანია როგორც ეკლექტიკოსი, შესაძლებლად სთვლიდა მატერიალიზმის იდეალიზმთან შეერთებას. ის მათ შორის არ ხედავდა ისეთ წინააღმდეგობას, რომ მათი ერთად მოთავსება შეუძლებელი ყოფილიყოს. ამ საკითხების შესახებ მან თავისი აზრი გამოსთქვა გ. წერეთლის მსოფლმხედველობის და მისი პოლიტიკური ხაზის შეფასებასთან დაკავშირებით. მესამე დასის მოწინააღმდეგენი ფეოდალურ-კონსერვატულ წრეებიდან გაკვირვებას გამოსთქვამდნენ გ. წერეთლის და მესამე დასელების ურთერთ კავშირის გამო, მათი ერთად თანამშრომლობის გამო. ისინი სვამდნენ საკითხს იმის შესახებ თუ როგორ შეიძლება თანამოაზრენი იყვნენ იდეალისტი გ. წერეთელი და „მატერიალისტი“ ნ. ჟორდანიისა და ერთად ითანამშრომლონ მათო.

გ. წერეთლისადმი მიძღვნილ წერილში, მისი გარდაცვალების ერთი წლისთავზე, ნ. ჟორდანიამ ასეთი შენიშვნა გააკეთა გ. თუმანოვის საპასუხოდ, როგორც ერთერთ იმათთაგანის მიმართ, რომლებიც ასეთ გაკვირვებას გამოსთქვამდნენ გ. წერეთლის მესამე დასთან თანამშრომლობის შესახებ. „თ. გ. თუმანოვი, — წერდა იგი, — ერთ თავის რუსულ წერილში გ. წერეთლის შესახებ ამბობს, რომ ის იდეალისტი იყო, თუმცა ხანდახან „ეკონომიურ მატერიალიზმსაც“ ჭადაგებდაო. მოვაგონებთ პატივცემულ ავტორს, რომ ეს ორი მცნება სრულიად არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს,

პირიქით „ეკონომიური მატერიალისტები“ ამ დროს უდიდესი იდეალისტები არიან“ („ევალი“, № 4 — 1901 წ.) ნ. ჟორდანიას ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვს იდეალიზმი, როგორც გარკვეული სანსკრიტული-სამატიური მიმართულება, როგორც მსოფლმხედველობა და მისი მხატვრული იდეალიზმი. წინააღმდეგ შემთხვევაში ის მას არ უწოდებდა ცნებას და რაც მთავარია, გ. თუმანოვს მხედველობაში ჰქონდა სწორედ იდეალიზმი, როგორც მსოფლმხედველობა. მხოლოდ ეს იყო მათი მსჯელობის საგანი.

თუ მხედველობაში მივიღებთ ნ. ჟორდანიას მსოფლმხედველობის აღნიშნულ ორმაგ ეკლექტიურ ხასიათს და მისი პოლიტიკური ხაზის ბურჟუაზიულ არსებას, ადვილი ვასაგები იქნება უახლოესი იდეური და პოლიტიკური ნათესაობის არსებობა გ. წერეთელსა და ნ. ჟორდანიას შორის, რასაც ისინი სრულებითაც არ სთვლიდენ საჭიროდ დამალათ. პირიქით, ამას ხაზგასმით აღნიშნავენ და თავიანთ მოვალეობად მიაჩნდათ ერთი მეორის დაცვა, მოწინააღმდეგეთა მიმართ ფეოდალური კონსერვატიზმის მატარებელ ინტელიგენციის ბანაკიდან. გ. წერეთელიც თავის თავს არ განასხვავებდა ნ. ჟორდანიასაგან, ის თავის გვერდით მასაც მესამე დასის და გაზ. „ევალის“ მედროშედ აღიარებდა.

გ. წერეთელს თავის მოვალეობად მიაჩნდა დაცვა ნ. ჟორდანიის, რაკი მას თავის თანამოაზრედ სთვლიდა. ასე მაგ., თავის სტატიაში: „გაზეთი „ივერია“ და მისი საპოლემიკო ხასიათი“, იგი წერდა: „ამ წლის „ივერიის“ № 17-ში დაისტამბა ერთი გრძელი ლანძღვა-გინებით შეზავებული ფელეტონი, მიმართული „ევალის“, გ. წერეთლის, ნ. ჟორდანიას და სხვების წინააღმდეგ“ („ევალი“, № 5 — 1899 წ.). როგორც ვხედავთ გ. წერეთლისათვის მესამე დასი და „ევალი“ ერთ ფრონტს წარმოადგენს. ის აღშფოთებას გამოსთქვამს მოწინააღმდეგეთა მიმართ და მზად არის დაცვას თავისი თანამოაზრენი. მიუხედავად იმისა, რომ გ. წერეთელი ბურჟუაზიული პოლიტიკოსია ის არ გაურბის მარქსიზმის მიღებას იმ სახით, როგორც ის ნ. ჟორდანიას მიერ იყო წარმოდგენილი. ის იცავს „მარქსიზმს“ და ამას აყენებს ყველა სხვა მეცნიერებაზე მაღლა. „...მარქსის თეორიის ეკონომიური მატერიალიზმისას, — წერდა იგი, — პოლიტიკო-ეკონომიურ მეცნიერებაში იგივე ადგილი უჭირავს, რაც დარჟინის თეორიის ბუნების მეცნიერებაში და ბიოლოგიაში. ეს არის უკანასკნელი მეცნიერული დასკვნა პოლიტიკო-ეკონომიაში და სოციოლოგიაში. ნოვ ჟორდანია ამ შეხედულებით არკვევს დღევანდელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებს. და, აი, თ. ილ. ჭავჭავაძე და მისი გაზეთი „ივერია“ ამას უწუნებენ „ევალის“ თანამშრომელს“ (იქვე).

ამრიგად მიუხედავად იმისა, რომ გ. წერეთელი გარკვეული ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის მატარებელი იყო, მას არა თუ არ აფრთხობს „მარქსიზმი“, არამედ თავის მოვალეობად მიაჩნია გამოესარჩლოს „მარ-

ქისტებს“ მესამე დასის სახით წარმოდგენილთ, და განსაკუთრებით კი იცავს ნ. ჟორდანიას. ეს მოვლენა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ახსნილი იქნას იმით, თითქმის გ. წერეთელი მარქსისტი ყოფილიყო არა, ის მარქსისტი არ იყო, მაგრამ არაფერი საწინააღმდეგო არ შექმნდა იმ მარქსიზმის, რომელიც მოცემული იყო ნ. ჟორდანიას შეხედულებათა სახით. ნ. ჟორდანიას „მარქსიზმი“ მას მიაჩნდა უწყინარ მარქსიზმად და მზად იყო გამოეყენებია ის თავისი ბურჟუაზიული პოლიტიკური მიზნებისათვის, რის განხორციელებაც მან უსათუოდ შესძლო. ამას ამტკიცებს მესამე დასის ძირითადი ნაწილის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული თეორია და პრაქტიკა, რომელსაც ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ.

აქ საჭიროა განვიხილოთ, თუ როგორ ხსნიდა თვით ნ. ჟორდანიას თავის პოლიტიკურ ურთიერთობას გ. წერეთელთან, როგორ აფასებდა მას, რაში პოულობდა მასთან საერთო მოქმედების ნიადაგს. გ. წერეთლის საერთო ხასიათის შეფასება ნ. ჟორდანიას მოცემული აქვს მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. „...განა შენში ვაფასებდი იმას, — წერდა იგი, — რასაც თვითიველი აფასებს? განა შენთან კავშირი და მეგობრობა იმიტომ შექმნდა, რომ შენ იყავი დამარსებელი ქართული პრესის, შემქმნელი ახალი ბელეტრისტიკის და სხვა ამისთანების? არა, სრულიადაც არა. ვერც ერთი ვერ მოინადირებს ადამიანის გულს. გულის მონადირება შეუძლია მხოლოდ გულს და აი სწორედ შენში ვპოვე მე ამნაირი გული“ („კვალი“, № 3 — 1900 წ. ხაზი, ჩენია, კ. გ.). რასაკვირველია, გ. წერეთელს ღვაწლი მიუძღვის ქართული ლიტერატურის განვითარებაში, ქართული პრესის აღორძინებაში, პროგრესიული იდეების გავრცელებაში, ფეოდალური ურთიერთობიდან თავის დაღწევის საქმეში და სხვ., მსგავსად ყველა ქვეყნის ბურჟუაზიულ მოაზროვნესა, რომლის მოღვაწეობა პროგრესიული იყო ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმში გადასვლის პერიოდში. ამ თვალსაზრისით გ. წერეთლის საზოგადოებრივი მოღვაწეობაც დადებითად უნდა იქნას შეფასებული. მაგრამ, ამ შემთხვევაში ჩვენ გვინტერესებს ის გარემოება, რომ ნ. ჟორდანიას ამ გაგებით კი არ უდგება გ. წერეთლის შეფასებას, არამედ ეს „მარქსისტი“ 900-იან წლების დასაწყისში, როდესაც ბურჟუაზიისა და მუშათა კლასის კლასობრივი ბრძოლა ხშირად აშკარა შეტაკების ხასიათს ღებულობდა, რაც წინამორბედი იყო მოახლოებული 1905 წლის რევოლუციისა, ბურჟუაზიულ „პროგრესისტ“ გ. წერეთელს პოლიტიკურ მეგობრობას ეფიცება და მასთან უახლოეს იდეურ ნათესაობას პოულობს, და ამ ხაზით ის ახდენს მის შეფასებას. სწორედ ეს მომენტი არის დამახასიათებელი, როგორც იმის ერთადერთი დამამტკიცებელი ფაქტი, რომ ნ. ჟორდანიასათვის შემთხვევით არ იყო გ. წერეთელთან უახლოესი პოლიტიკური კავშირი, რამდენადაც



არსებითად თვით წარმოდგენდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იდეების მატარებელს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ასეთ შეფასებას არ მისცემდა მას, რადგან შეუძლებელია მას არ სკოდნოდა გ. წერეთლის პოლიტიკური მსოფლმხედველობის ნაციონალურ-ბურჟუაზიული ხასიათი.

ამას არც ნ. ჟორდანიას მალავს, პირიქით ის ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ გ. წერეთლის გარდაცვალებას გამოეხმაურა არა ერთი რომელიმე განკერძოებული საზოგადოებრივი წრის წარმომადგენლები, არამედ „ახალი ხალხი მთელი ერისა“. „მე მხოლოდ ორი დასაფლავება ვიცი, — წერდა იგი, — რომელიც შეიქნა დასაწყისი ახალი ხანისა. პირველი — ეს ეგნატე ნინოშვილის დასაფლავება, რომელსაც დაესწრო განსვენებული გიორგი და/იქ თავმოყრილ ახალგაზრდობაზე მიათითა: აი, ახალი რაზმი და... ახალი დროშაო. ვანვლო ხანი, რაზმი მუშაობდა... და აი, დღეს დედასაფლავეთ თვით გიორგი და მის კუბოსთან შემოკრბა არა მარტო ახალი რაზმი ახალგაზრდობისა, არამედ ახალი ხალხიც მთელი ერისა“ („კვალი“, № 4 — 1900). ასეთი იყო მათ შორის პოლიტიკური ერთი-ერთობა, რაც ამტკიცებს მას, რომ მესამე დასის ძირითადი ნაწილის იდეური ბელმძღვანელი იყო არა მხოლოდ ნ. ჟორდანია, არამედ მასთან ერთად ბურჟუაზიული პროგრესისტი გ. წერეთელიც.

ეს გარემოება არ გამოჰპარევიათ არც მესამე დასის მაშინდელ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს ფეოდალური კონსერვატიზმის და ლიბერალური ხალხოსნობის ბანაკიდან. ისინი არსებით განსხვავებას არ პოულობდნენ გ. წერეთელსა და ნ. ჟორდანიას შორის მათი პოლიტიკური ხაზის მიხედვით. ა. ნა — ლი, თავის სტატიაში: „კვალის“ პუბლიცისტიკა და ჩვენი საზოგადო საქმეები“ — წერდა: „ეხლა ...ბ. ნ. ჟორდანიას ნაწერები განვიხილოთ... ქუთაისის ბანკს, ოპოზიციას, ინტელიგენციას და სხვას ეგ ვაებატონიც შეეხო, ხოლო თავისებურება კი სრულიად ვერ გამოიჩინა, ანდა“ გ. წერეთლის ამჟღად და ჩამჟღად რა სიკეთე უნდა მოსვლოდა, — ადვილი წარმოსადგენია“ (ეჟრნ. „მოამბე“, წიგ. V, 1899 წ.). თავისთავად ცხადია, რომ იგივე გ. წერეთელი ა. ნა — ლზე და მის კოლეგებზე მთელი თავით შალდა იდგა, ისე როგორც ნ. ჟორდანია, რამდენადაც ეს უკანასკნელნი ბურჟუაზიული პროგრესისტები იყვნენ. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ ეს საკითხი არ გვაინტერესებს. აქ მხედველობაში მისაღებია ის ფაქტი, რომ მესამე დასის ხელმძღვანელებად მისი მოწინააღმდეგე ბანაკიც გ. წერეთელს და ნ. ჟორდანიას აღიარებდა, რაც შემჩნეული ჰქონდათ თავიდანვე, განსაკუთრებით ე. ნინოშვილის გარდაცვალების შემდეგ. იგივე ა. ნა — ლი ჯერ კიდევ 1895 წელს წერდა: „მესამე დასის ერთბაშად, მოულოდნელად მივლინებულმა ბელადმა, ბ-ნმა გ. წერეთელმა ხმა გაკმინდა და „კვალის“ რედაქციამ ვილაც ყარიბი გამოასტუნა“ („მოამბე“, წიგ. III, 1895 წ.).

ასეთი უახლოესი პოლიტიკური ნათესაობა გ. წერეთელსა და ნ. ჟორდანიას შორის შეუძლებელია დამყარებული ყოფილიყო გარდასაძვარი ხასიათის მომენტებზე. მას საფუძვლად ედგა არა ტაქტიკური, არამედ პრინციპიალური მოსაზრებანი ყველა ძირითად საკითხში, როგორც იყო: კაპიტალიზმის აუცილებლობის, მისი შეფასების, ნაციონალურ ბურჟუაზიასთან დამოკიდებულების, საქართველოს, ქართველი ერის ისტორიული მერმისის, ნაციონალური იდეის, კლასთა ანტაგონიზმის უარყოფის და სხვა საკითხები. ამ საკითხების დეტალურად განხილვა ამავე დროს სრულ სურათს მოგვცემს, თუ რას წარმოადგენდა მესამე დასი, როგორც ის წარმოდგენილი იყო პირველ რიგში თვით გ. წერეთლის და ნ. ჟორდანიას სახით. მაგრამ ვიდრე ამ საკითხების განხილვას შევეუდგებოდეთ საჭიროა გაზ. „კვალის“ ისტორიის და მისი პოლიტიკური კრედოს გაცნობა.

გაზ. „კვალს“ სცემდა გ. წერეთელი. პირველი ნომერი გამოვიდა 1893 წელს, როგორც ჟურ. „ჯეჯილის“ მხატვრული დამატება, ის გამოდიოდა ყოველ კვირა დღეს. სათაურის კლიშეს ქვეშ მას ასეთი წარწერა ჰქონდა გაკეთებული: „ს ა პ ო ლ ი ტ ი კ ო, ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო და ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო ნ ა ხ ა ტ ე ბ ი ა ნ ი გაზეთი; გამოდის ყოველ კვირა დღეს“. ამრიგად „კვალის“ დამაარსებლი, გამომცემი და მისი იდეური ხელმძღვანელი იყო ბურჟუაზიული პროგრესისტი გ. წერეთელი. ამიტომ გაზ. „კვალი“ თავიდანვე წარმოადგენდა ფეოდალური-კონსერვატიული ინტელიგენციის ორგანოს გაზ. „ივერიის“ ანტიპოდს. ამ უკანასკნელმა ცნობილ მწერლის და საზოგადო მოღვაწის ი. ჭავჭავაძის მეთაურობით თავიდანვე მტრული პოზიცია დაიჭირა და ბრძოლა გამოუცხადა გაზ. „კვალს“. ეს გამოწვეული იყო იმითი, რომ გაზ. „კვალი“ პოლიტიკური იდეოლოგიით ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მიმართულების იყო. ის ილტვოდა იქითკენ, რომ თავის დროშის ქვეშ დაერაზმა ყველა პროგრესიული საზოგადოებრივი ძალა და გაერთიანებული ფრონტით ემოქმედა რეაქციურ თავად-აზნაურ ბანაკთა წინააღმდეგ. მაგრამ ამ მთლიანი ფრონტის შექმნის დარგში გ. წერეთელი არასოდეს არ გადასცილებია თავის ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ხაზის ფარგლებს. ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, თუ როგორ ებრძოდა ის ე. ნინოშვილის რადიკალიზმს. მიუხედავად იმისა, რომ გ. წერეთელი მასში ხედავდა თავის მოკავშირეს, მაინც არაერთარ დათმობაზე არ მიდიოდა, როდესაც საკითხი ისმებოდა სოციალისტური იდეების შესახებ და ისიც ისეთ მოუშწიფებელ ფორმებში, როგორშიც მათ ე. ნინოშვილი აყალიბებდა. ასეთი ხაზი გ. წერეთელმა ბოლომდის შეინარჩუნა, რადგან ნ. ჟორდანიას პოლიტიკური ხაზი ძირითადად ემთხვეოდა გ. წერეთლის ხაზს.

ამ მხრივ ფ. შახარაძის და ს. წულუკიძის წერილები გაზ. „კვალში“ ნაწილობრივად წარმოადგენდნ გამოწვევას, რამდენადაც, როგორც ეს

ნაჩვენები იქნება შემდეგ თავში, ისინი რამოდენიმედ გარკვევით იყენებდნენ კლასობრივი ბრძოლის და სოციალისტური იდეის საკითხებს. მაგრამ ისინი არ იყვნენ გაზ. „კვალის“ ტონის მიმცემი. [მესამე დასის სტრუქტურის არსებობას ლეგალური მარქსიზმი წარმოადგენდა, მისი პოლიტიკური ხასი ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მოთხოვნილებების წამოყენებაში მდგომარეობდა, ამიტომ ცხადია, გაზ. „კვალის“ ტონის მიმცემი იქნებოდნენ არა მესამე დასის მემარჯვენე რადიკალური ელემენტები (ფ. მახარაძე, მ. ცხაკაია, ს. წულუკიძე), არამედ მისი მემარჯვენე ელემენტები ნ. ჟორდანიას მეთაურობით. იმ დოკუმენტების მიხედვით, რომლებიც ზემოთ იყო გამოყვანილი გ. წერეთელთან და გაზ. „კვალთან“ ე. ნინოშვილის დამოკიდებულების შესახებ, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ე. ნინოშვილი ცოცხალი რომ ყოფილიყო, მასაც ის ადგილი ექნებოდა დათმობილი „კვალში“, რომელიც ჰქონდა ფ. მახარაძეს, მ. ცხაკაიას და ს. წულუკიძეს. რადგან გ. წერეთელი და ნ. ჟორდანიას და სხვ. არ დაუშვებდნენ რადიკალური თვალსაზრისის განვითარების შესაძლებლობას. „კვალისა“ და მისი ხელმძღვანელების გ. წერეთლის და ნ. ჟორდანიას ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, ლიბერალური ხასიათი მკაფიოდ არის გამოთქმული მათ დამოკიდებულებაში თვითმპყრობელობისადმი. მათი პოლიტიკური იდეალი იყო კონსტიტუციონალური მონარქია. ისინი შენატროდნენ ისეთ დროს, როდესაც რუსეთს ეუბნებოდა ისეთი განათლებული, კონსტიტუციის საფუძველზე მომქმედი მონარქია, როგორც ჰყავდა და ჰყავს ინგლისს. ქართული მენშევიზმის კრიტიკოსებს მოჰყავთ ნ. ჟორდანიას ნაწერებიდან ის ადგილები, რომლებიც წარმოადგენენ დიფირამბებს, ინგლისის დედოფლის ვიქტორიას მიმართ, მაგრამ, ისინი არასოდეს არ დაინტერესებულან გამოერკვია საკითხი, თუ რა ორგანიულ კავშირში იმყოფებოდა ნ. ჟორდანიას ეს „სანტიმენტალური“ განწყობილებანი დედოფლის მიმართ, მის და ამასთან ერთად გ. წერეთელის და „კვალის“ პოლიტიკურ ხაზთან.

საქმე ის არის, რომ კონსტიტუციონალური მონარქიზმის დამყარება შეადგენდა გ. წერეთლის, ნ. ჟორდანიას და „კვალის“ ერთერთ ძირითად პოლიტიკურ მოთხოვნილებას. „კვალი“ სავსე არის რუსეთის, საქართველოს და უცხო ქვეყნების მეფეების და მათი ოჯახების სურათებით და მილოცვებით. ზოგიერთები ცდილობდნენ ეს მოვლენა აეხსნათ იმით, რომ „კვალი“ ლეგალური ორგანო იყო და ასე რომ არ მოქცეულიყო ცენზურა არ გაახარებდაო. „კვალთან“ ცენზურის დამოკიდებულების შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. აქ საჭიროა აღინიშნოს ასეთი შეხედულების სრული უმართებულება, რადგან „კვალი“ ითავსებდა არა მხოლოდ ოფიციალურ, მასალას მეფეების შესახებ, არამედ თავის საკუთარსაც. თუ იტყვიან, რომ ამ შემთხვევაშიც ის ვალდებული იყო ასე მოქცეულიყო,

მაშინ უნდა ითქვას, ლეგალიზაცია ისეთ დიდ ფასად დამჯდარი, რომ მთელი იქნებოდა მასზე უარი ეთქვათ. თვით „კვალში“ მოთავსებული მასალის გაცნობა დაგვარწმუნებს მასში, რომ აქ საქმე იძულებულია არ იყო, არამედ თვით გ. წერეთლის და ნ. ჟორდანიას კონსტიტუციონალური მონარქიზმისათვის ბრძოლის პოლიტიკური ხაზში.

„კვალი“ ცდილობდა დაერწმუნებია თავისი თავი რუსეთში კონსტიტუციონალური მონარქიზმის შემოღების აუცილებლობის შესახებ, მეფის ხალხთან „დაახლოების“ შესაძლებლობაში და სხვ., ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ „კვალი“ მხატვრულად გაფორმებულია წმინდანების და მეფეების სურათებით: წმ. ნინოსი (№ 4, 1895 წ.), ერეკლე მეფის (№ 5, 1895 წ.), „მემკვიდრე ცესარევიჩის“, ნიკოლოზ II, „ცესარევიჩის“ დანიშნულისა (№ 25, 1894 წ.) და სხვ. „კვალის“ რედაქცია ათავსებს „მალალ თვითმპყრობელ“ მეფის ნიკოლოზ II მიმართ ასეთ ცნობას თავის საკუთარი განმარტებით: „იანერის 17 საზამთრო სასახლეში, დიდი ნიკოლოზის დარბაზში წარუდგენ ხელმწიფე იმპერატორს ამორჩეულნი ორმოცდა-ცხრა თავად-აზნაურთა საზოგადოებიდან... და მიულოცეს ჭორწინების დღესასწაული. ახალგაზრდა იმპერატორი გამობრძანდა დარბაზში... და უმაღლესათ წარმოსთქვა შემდეგი...“ (შემდეგ მოყვანილია მისი სიტყვა). თავის მხრივ „კვალის“ რედაქცია შემდეგს დასძენს: „ფრიად დიდ მნიშვნელოვანია ხელმწიფე იმპერატორის ასეთი ბრძანება. ამიერიდან ჩვენ უნდა ვიყოთ დარწმუნებული, რომ ხელმწიფე იმპერატორი ძალისამებრ თვითმპყრობელისა შეუდგება თავის ქვეშევრდომებისათვის მზრუნველობას და კეთილად, რომ განამართლოს თავისი გულისწადილი, მან კიდევ ინება მოწოდება ჟურნალ-გაზეთებისა, რომელთა მწერლების მდგომარეობა მიიღო მხედველობაში და კეთილ ინება მათი ნივთიერი არსებობის გაუმჯობესება... ვისურვოთ, რომ ჟურნალ-გაზეთების მწერლობა, როგორც დარაჯთა და ფხიზელთა თვალყურის მადევნებელთა ერის და ხალხის საჭიროებისა, არ უმტყუნონ თავის დანიშნულებას, არ დაუმაღონ უმაღლეს მთავრობას ნამდვილი მოთხოვნილება ხალხისა და ყოველთვის ცდილობდნენ ერის გულში ჩაახედონ ხოლმე ხელმწიფე იმპერატორი“ („კვალი“, № 5 — 1895 წ.). ვინ აიძულებდა „კვალის“ რედაქციის ასეთი დასკვნები გაეკეთებია ამ ოფიციალური ცნობისათვის? არა, აქ იძულება არაფერ შუაშია. ამისი მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ის არის, რომ ახალგაზრდა ქართული ნაციონალური ბურჟუაზია, რომლის ინტერესებს გამოხატავდა „კვალი“ და გ. წერეთელი — ნ. ჟორდანიას, დარწმუნებული იყო მასში, რომ მეფე მთელი ერის ინტერესებს გამოხატავდა, ის მთელი ხალხის ინტერესებს იცავდა, რომ „ხელმწიფე იმპერატორი ძალისამებრ თვითმპყრობელისა შეუდგება თავის ქვეშევრდომებისათვის მზრუნველობას“. მთელი ერის, მთელი ხალხის დამცველის როლში გამოსვლა დამა-

ხასიათებულია ახალგაზრდა ბურჟუაზიისათვის, რადგან შედარებით კლასობრივ განხეთქილებას, კლასობრივ ბრძოლას მასსა და მის მხარეს შორის მწვავე ხასიათი ჯერ კიდევ არ აქვს მიღებული. მისი მხარეს მხასიათებული იყო ეს გარემოება ქართველი ნაციონალური ბურჟუაზიისათვის იმ დროს, რაც აიხსნება საქართველოს ისტორიული, ეკონომიური განვითარების თავისებურებით, მაგრამ ამაზე შემდეგ აქ საჭიროა აღდგენილი იქნას „კვალის“ პოლიტიკური ფიზიანომიის სრული სურათი.

შეუძლიათ გვითხრან, რომ მოყვანილი წერილი ეკუთვნის იმ დროს, როდესაც ნ. ჟორდანიას ჯერ არ ჰქონდა მოპოებული ისეთი დიდი გავლენა „კვალის“ რედაქციაზე, გ. წერეთელზე, რომ წინააღმდეგ ამისა ყოფილიყო. ასეთი შესაძლებელი მოსაზრების გასაქარწყლებლად ავიღოთ უშუალოდ ის პერიოდი, როდესაც „კვალი“ მთლიანად ნ. ჟორდანიას რედაქტორობით გამოდიოდა. 1898 წელს გ. წერეთელმა გაზ. „კვალი“ მთლიანად ნ. ჟორდანიას გადასცა. ეს არ იყო გამოწვეული იმით, რომ გ. წერეთელი მოხუცდა. ეს რომ უმთავრესი მიზეზი ყოფილიყო, ამ შემთხვევაში მემკვიდრედ სხვას გამოსძებნიდა. მაგრამ ის ფაქტი, რომ ასეთ პოლიტიკურ მემკვიდრედ ჟორდანიას აირჩია, ერთხელ კიდევ ადასტურებს მათ უახლოეს ნათესაობას, იმას, რომ გ. წერეთელი დარწმუნებული იყო ნ. ჟორდანიას პოლიტიკურ „კეთილსინდისიერებაში“. სხვანაირად რომ ვსთქვათ მას სრული რწმენა ჰქონდა იმისი, რომ ნ. ჟორდანიას არ შეეცდებოდა „კვალის“ წარმართა იმ ვხით, როგორც ეს ე. ნინოშვილს უნდოდა. ეს ასეც მოხდა. დამამტკიცებელი მრავალი ფაქტი მოიპოება, მაგრამ ავიღოთ იგივე საკითხი, რომელიც ამავე დროს ბევრ რამეს გვეუბნება ნ. ჟორდანიას და მისი თანამოაზრეების პოლიტიკური ვინაობის შესახებ.

აი, რას წერდა ნ. ჟორდანიას თავისი რედაქტორობის დროს ბ. ი. ს. მ. ა. რ. კ. ის ვარდაცვალეების შესახებ, იმ ბისმარკის, რომელმაც გერმანიის სოციალისტები კანონს ვარგშე გამოაცხადა. ეს არ შეიძლება არ სცოდნოდან. ჟორდანიას, რადგან 90-იან წლების დასაწყისში საზღვარგარეთ ცხოვრობდა და იქ სწავლობდა. მაგრამ მას იმდენად დიდი პატივისცემა ჰქონდა ძლიერი ბისმარკისადმი, რომ თავი ვერ შეიკავა და ასე დაახასიათა გერმანიის სოციალისტური მოძრაობის ეს დაუძინებელი მტერი: „აი კიდევ ერთი შესანიშნავი პირი საფლავში ჩავსვენა, კიდევ ერთი გამოჩენილი მოღვაწე ქვეყანას მოაკლდა. ის, ვისიც სახელი ორმოცი წლის განმავლობაში გრგვინავდა მთელ გერმანიაში, მთელ ევროპაში, დღეს აღარ არის ის, ვისიც ერთი სიტყვა შეარყევდა მთელ მხარეს, მთელ სახელმწიფოს, დღეს უძრავად დევს ისე, როგორც ყოველი უბრალო მომაკვდავი“ („კვალი“, № 33 — 1898 წ.). ასეთია ის „მარქსისტული“ ანალიზი, რომელიც ნ. ჟორდანიამ გაუყუთა ბისმარკის პიროვნებას და მის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას. დავანებოთ თავი 90-იან წლებს, რაკი ის ასეთ სამარცხენო სურათს გვიშლის თვალწინ ნ. ჟორდანიას პოლიტიკური მოღვაწეობის

შესახებ და გადავიდეთ 900-იან წლების დასაწყისზე. შეიძლება ახალმა საუკუნემ, რომელიც აკავკასიის და განსაკუთრებით საქართველოსათვის დამახასიათებელი იყო მუშათა რევოლუციური მოძრაობის დასაწყისად გაძლიერებითა, რომ 1900 და 1901 წ.წ. აღინიშნა იმ დროისათვის მძლავრი მუშათა გაფიცვებით და დემონსტრაციებით, თვითმპყრობელობის მიერ სასტიკი რეპრესიებით რევოლუციურ მოძრაობის წინააღმდეგ, შეიძლება ამ ახალმა საუკუნემ გავლენა იქონია ნ. ჟორდანიასზე და მისი გულისყური მეფეებისაგან მუშებისაკენ მიაპყრო.

მავრამ დახეივთ ნ. ჟორდანიას პოლიტიკურ „სიმტიკეს!“ ის კვლავ ერთგულად დიფირამბებს უგალობს მეფეებს, რომლებიც ასე ერთგულად ყვლიყენ მუშებს. მეოცე საუკუნის გარიყრაყზე ნ. ჟორდანიას გული ინგლისის დედოფალმა ვიქტორიამ დაიპყრო. „ამ თვის 9, — წყრდა იგი, — გარდაიყვალა ინგლისის დედოფალი ვიქტორია. არც ერთი გვირგვინოსანი გავლილი საუკუნის იმდენ ხანს არ ყოფილა სამეფო ტახტზე, რამდენ ხანსაც ვიქტორია იყო... მას არ უღალატნია კონსტიტუციურ ზნეჩეულებსა და ხალხის სურვილისათვის. ვიქტორიას მეფობა არის მეფობა ხალხისა; ინგლისის ერს მხოლოდ მის დედოფლობაში მიეცა „მოქმედების სრული თავისუფლება და ამან შესაფერისი ნაყოფი გამოიღო“. (შემდეგ ნ. ჟორდანია ახასიათებს მრეწველობას, მიმოსვლას, სახელმწიფო შემოსავალს, შრომის განვითარებას, ვიქტორიას მეფობის დროს, როგორც კაპიტალიზმის ნამდვილი აპოლოგეტიკი, ზოტბას ასხამს ინგლისის ბურჟუაზიულ კანონმდებლობას მუშათა საყიბში, ის მიანჩნია იდეალად ყველა ქვეყნის მუშებისათვის, ერთი სიტყვითაც არ აღუნიშნავს მუშების ეკონომიური მდგომარეობის, მათი ექსპლოატაციის, კლასობრივი ბრძოლის და სხე.), და თავის წყრილს დედოფალზე ასე ამთავრებს: „ამნაირათ, ვიქტორიას მეფობაში ინგლისი გაძლიერდა ყოველმხრივ „ეკონომიურათ, ფინანსიურათ, პოლიტიკურათ, სოციალურად და სხე., ასეთ შინაგან გაძლიერებას თან მოჰყვა გარეგანი გაძლიერებაც. სივრცე ინგლისის სამფლობელოსი ერთი ირათ და ერთი სამათ გაფართოვდა: (ეს ჟორდანიას იდეალია, გაიხსენეთ მისი პოლიტიკა მეზობელ ერების მიმართ, იმი სომხებთან და სხე.), ამასთანავე ის გაბატონდა ზღვებზე და უძლიერესი სიომარი ხომალდები შეიძინა... და იი, ვის მფარველობის ქვეშაც ყოველივე ეს მოხდა, იგი დღეს აღარ არის! დედოფლის გარდაცვალებას ღრმად იგლოეს მთელი ინგლისი და ეს იქნება ნამდვილი გლოვა ხალხისა...“ („კვალი“, № 3 — 1901 წ.). თურმე ნუ იტყვიით, ვიქტორიას მეფობა ყოფილა მეფობა ხალხისა, რის გამო მის გარდაცვალებას გლოვობს მთელი ინგლისი, მთელი ერი და ეს იქნება „ნამდვილი გლოვა ხალხისა“... სხეანაირად რომ ვთქვათ, ნ. ჟორდანია ამტიყებს, რა საჭიროა კლასობრივი ბრძოლა, რევოლუცია, ხალხის მეფობა შესაძლებელია კონსტიტუციონალურ მონარქიის ჩარჩოებშიც, იღონდ მონარქი ისეთი კეთილმო-

ბილი და განათლებული იყოს, როგორც ინგლისის დედოფალი ექტორია იყო და ყველაფერი თავისთავად მოეწყობა, ხალხის ბედნიერება უზრუნველყოფილი იქნებაო. ასე აწარმოებდა ნ. ჟორდანიას „ქვეყნის წილებში მუშათა კლასის „კლასობრივ აღზრდას“, მის პოლიტიკურ გათვითცნობიერებას, ასეთი იყო გ.ზ. „კვალი“, რომელიც ხშირად მარქსისტულ ორგანოდაც არის კვალიფიცირებული. ამრიგად, ნ. ჟორდანიამ იმედი არ გაუტრუა გ. წერეთელს და მისი ხაზი თანმიმდევრობით განაგრძო.

„გ.ზ. „კვალის“ დასახასიათებლად საკმაო საბუთები იქნა მოყვანილი, მაგრამ შეუძლებელია გვერდი ავუხვიოთ ნ. ჟორდანიას დეკლარაციას „კვალის“ მიზნების და დანიშნულების შესახებ. ჩვენ მხედველობაში გვაქვს სარედაქციო წერილი, მოთავსებული იმ ნომერში, რომლიდანაც „კვალს“ უშუალოდ ნ. ჟორდანიას რედაქტორობდა. აი რას წერდა, უნდა ვიფიქროთ ნ. ჟორდანიას, რადგან ის იყო ამ დროს „კვალის“ რედაქტორი: „კვალის“ რედაქციის უმაღლესი და უწმინდესი მიზანია ქართველ ხალხს დღევანდელი რთული პირობების შეგნება და თანახმად ამისა მოქმედება გაუადვილოს. ამის განსახორციელებლად ჩვენ მას არავითარ უცხო და შეუფერებელ თეორიებს თავზე არ მოვახვევთ... „კვალი“ არ არის ორგანო ერთი რომელიმე პირის, ან ერთი რომელიმე წრის, ის არის საზოგადო ორგანო, ე. ი. ისეთი, სადაც ყველა საბუთიან შეხედულებას ადგილი ექნება. კითხვების დასმა, მიუღდგომელი სჯაბაასი; ნამდვილი მსჯავრის დადება — აი რა არის ორგანოს დანიშნულება“ რედაქციის აგან („კვალი“, № 1 — 1898 წ.). ამრიგად, თვით რედაქცია აღიარებს, რომ გ.ზ. „კვალი“ არ არის ერთი რომელიმე პარტიის, ერთი რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის ორგანო, არამედ ის ემსახურება მთელ ქართველ ერს, ბურჟუაზიას, მემამულეებს, მუშებს, გლეხებს და სხვ., იმ გაზეთის რედაქციამ, რომელიც თითქოს მოწოდებული იყო მარქსიზმი გავრცელებულია საქართველოში, დაეცვა საქართველოს მშრომელი ხალხის ინტერესები, თავის საპროგრამო განცხადებაში ერთი სიტყვაც კი ვერ გაიმეტა ეთქვა მუშათა მოძრაობაზე, მშრომელი ხალხის ბრძოლაზე თავისი მყვლეფელების წინააღმდეგ. ერთი რამ სწორად არის ნათქვამი ნ. ჟორდანიას საპროგრამო განცხადებაში: გ.ზ. „კვალი“ მართლაც არ წარმოადგენდა ერთი გარკვეული პოლიტიკური და იდეური ხაზის მატარებელ ორგანოს. ის იყო საერთო ეროვნული ხასიათის ორგანო, რომლის ფურცლებზე ერთიმეორის საწინააღმდეგო თვალსაზრისის მატარებელ ავტორებს შეეძლოთ თავისი აზრი გამოეთქვათ. ნაწილობრივად ამითაც აიხსნება, რომ გ. წერეთლის, ნ. ჟორდანიას, ი. გომართლის, ის. რამიშვილის, ს. ჯიბლაძის, ფხას და სხვ. გვერდით „კვალში“ თანამშრომლობდნენ ე. ნინოშვილი, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, ს. წულუკიძე და სხვ.

ამრიგად, თვით ნ. ჟორდანიას განცხადების თანახმად გ.ზ. „კვალი“ იყო საზოგადო, ეროვნული ორგანო და არა ერთი რომელიმე პოლიტი-

კური წრის ორგანო. მაგრამ „კვალი“ ხომ მესამე დასის ორგანო იყო და მესამე დასი კი ხომ ერთი განსაზღვრული პოლიტიკური მიმდინარეობის წრე იყო? ერთი შეხედვით აქ თითქოს წინააღმდეგობას ვხვდებით: ასეთი შთაბეჭდილება შეიძლება მიიღოს კაცმა მხოლოდ ზერეულ შეხედვით. ნამდვილად კი არავითარი წინააღმდეგობა არ არის, ვინაიდან მესამე დასი თავისი ძირითადი პოლიტიკური მიმართულებით, როგორც ის წარმოდგენილი იყო გ. წერეთლის, ნ. ჟორდანიას და მათი ჯგუფის სახით, გამოხატავდა არა ერთი კლასის, არამედ ყველა კლასის, მთელი ერის ინტერესებს. ამიტომ სრულიად მართალია ნ. ჟორდანიას, როდესაც აცხადებს, რომ „კვალი“ საზოგადო საერთო ეროვნული ორგანო არისო. ნ. ჟორდანიას პოლიტიკური კონცეპციის, მისი პოლიტიკური პროგრამის დეტალური განხილვა დაგვარწმუნებს იმის სისწორეში, რომ მესამე დასის ძირითადი გაბატონებული ჯგუფი ნ. ჟორდანიას მეთაურობით მიზნად ისახავდა ყველა კლასის, მთელი ერის „სამსახურს“.

შეიძლება ვინმე შემოგვედოს მასში, თუ რამდენად სწორათ ვიტყვივით, როდესაც ამ სარედაქციო წერილის პასუხისმგებლობას ნ. ჟორდანიას ვაკისრებთ. შეიძლება ამ შემთხვევაშიაც ის „იძულებული“ იყო რედაქციის უმრავლესობის „წინააღმდეგობის“ ზეგავლენით ასეთი ოპორტუნისტული, არასოციალისტური განცხადება გაეკეთებია. იმ მიზნით, რომ დაეაკმაყოცილოთ „კრიტიკულად“ მოაზროვნე პირები. საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ერთი შესაფერი ადგილი არა ხელმოუწერელ (თუმცაღა სარედაქციო) წერილიდან, არამედ ჟორდანიას ერთერთ შრომიდან, რომელსაც „ქართული პრესა“ ეწოდება. ის დაწერილია 1900 წელში. აქ, ყოველგვარ „იძულების“ გარეშე ნ. ჟორდანიას „კვალის“ და მესამე დასის პოლიტიკური ფიზიონომიის შესახებ, არსებითად იმასვე იმეორებს, რაც ნათქვამი იყო ზემოთ მოყვანილ სარედაქციო განცხადებაში. „რაკი „ივერია“ იყო, — წერდა იგი, — გაბატონებული ორგანო და აზროვნების მონოპოლიას ჩემობდა, ცხადია ახალი ორგანო ამ ბატონობას უნდა შებრძოლებოდა და მისი მონოპოლია დაეცვა. „კვალიც“ სწორედ ამ გზას დაადგა. პირველ ყოვლისა, ის შეიქნა ორგანო ქართველი საზოგადოების იმ ნაწილისა, რომელიც „ივერიას“ არ ეთანხმებოდა. „კვალში“ თავი მოიყარეს ოპოზიციონურ ელემენტებმა. ეს ელემენტები თავისი მიმართულებით და შეხედულებებით ერთი მეორისაგან განირჩევიოდნენ და ეს სხვანაირად არცკი შეიძლებოდა... ეს ოპოზიციონისტები, როგორც ვთქვით, სხვადასხვა მიმართულების იყვნენ — მაშასადამე, ამით „კვალში“ შეჯახება და კეშმარტების ძიება აუცილებლათ უნდა მომხდარიყო. და აი „კვალიც“ შეიქნა აზრის აღებ-მიცემობის და ბჭობის თავისუფალ სარბიელათ“ (გვ. 64). ძირითადი აზრი როგორც ამ ამონაწერის, ისე სარედაქციო განცხადების, ერთი და იგივე არის. ამის უარყოფა არავის არ შეუძლია.



## 2. მარქსიზმის დამოკიდება ბუჩუაზიულ ნაციონალიზმი-სადმი და „საერთო ნიადაგის“ თეორია

### ა) „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“, როგორც მისამდე დასის პროგრამა

„ნინოშვილის დასაფლავებას, თითქო განზრახ, თან მოჰყვა „მოამბის“ შეხუთე და მეექვსე ნომრებში წერილები: „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“, რომელიც დამოკლის მახვილით დასცქერის, როგორც თვით „მოამბეს“, ისე მთელი, ჩვენი ყოყოა ინტელიგენციის მიმართულებას. ამ სტატიაში, რომლითაც იწყება, ჩვენი აზრით, ახალი ხანა ჩვენს ლიტერატურაში, საკმაოდ გამოსჭვივის პროგრამა ჩვენი ახლის — დღეს „მესამე დასად“ წოდებული — თაობისა“ (ხაზი ჩვენი, კ. გ.). ასეთ შეფასებას აძლევდა ს. ჯიბლაძე ნ. ჟორდანიას ხსენებულ შრომას „თავის წერილში: „კვალი“ და მესამე დასის მწერლები“ (1895 წ.). ამ შეფასებაში ბევრი რამ მართალი არის. თუ მივიღებთ მხედველობაში ე. ნინოშვილის მტრულ პოზიციას ნ. ჟორდანიას მიერ ზესტაფონის კრებაზე წამოყენებულ ნაციონალურ-დემოკრატიული პროგრამის მიმართ, მართლაც ნ. ჟორდანიას ნაჩვენები შრომის გამოქვეყნებას ე. ნინოშვილის გარდაცვალების შემდეგ თავისებური პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ეინაიდან შეუძლებელია ე. ნინოშვილი ყოველ შემთხვევაში კრიტიკულად არ შეხვედროდა ნ. ჟორდანიას ამ შრომას. ასეთი შეხედულება გადაჭარბებულად არ უნდა მოგვტყვენოს, რამდენადაც ნ. ჟორდანიას შრომა „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“ წარმოადგენდა მის მიერ ზესტაფონის კრებაზე წამოყენებული პროგრამის გაფართოებულ ასლს. სწორედ იმ პროგრამის, რომლის წინააღმდეგ ასე ხელაღებით გაილაშქრა მაშინ ე. ნინოშვილმა ვარშავის მარქსისტული წრის, ფ. მახარაძის ზეგავლენით, რის შესახებ ჩვენ საუბარი გვქონდა ზემოთ შესაფერ დოკუმენტების საფუძველზე. ნ. ჟორდანიას შრომა „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“, რომ არსებითად ზესტაფონის პროგრამის ასლს წარმოადგენდა, ამას თვით ამ შრომის ისტორია მოწმობს.

ამ შემთხვევაში ჩვენ დავეყრდნობით თვით მენშევიკურ წყაროებს. ნ. ჟორდანიას ნაწერების პირველ ტომს, რომელშიაც შევიდა მისი შრომა „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“, რედაქციისაგან ასეთი ბიბლიოგრაფიული შენიშვნა აქვს ვაკეთებული: „პირველი წერილი — „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“ — დაწერილია 1892 წ. შემოდგომაზე და სახელად ერქვა „რა ვაკეთოთ“. 1893 წ. იანვარში ტფილისში მოხდა ახალგაზრდა მარქსისტთა კრება, რაც იყო გავრძელება ყვირილაში მოწვეულ კრებისა, სადაც დაესწრენ — ნ. ჟორდანია, კარლო ჩხეიძე, ს. ჯიბ-

ლაქე, ეგნატე ინგოროყვა, მიხა ცხაკაია და სხვებიც, — სულ შეიძლოა თუ რვა კაცი. აქ, მიხა ცხაკაიას ბინაზე (მიხაილოვის ქ. სარდაფში), წაითხულ იქნა ეს წერილი და მუხლობრივ ვარჩეული... რადგან „ქვეყნისაში“ ეს წერილი არ დაიბეჭდა — ავტორმა თან წაიღო ევროპაში. ამ დროს გამოცხადდა ჟურნალი „მოამბის“ გამოცემა... ავტორმა ეს წერილი 1893 წელს ზაფხულშივე შეეცარა იდიდან გამოუგზავნა „მოამბეს“ იმ სათაურით, რომელიც დღეს აქვს. „მოამბის“ რედაქციაში ალ. ჭყონიამ წერილს ვერაფერი გაუკვლია, ვერ მიხვდა რაში იყო საქმე, და მსჯავრის დასადებად გაუგზავნა ქუთაისში ზდანოვიჩს. მანაც დიდხანს ატრიალა და ბოლოს დასაბეჭდად მოიწონა... ცენზორს წერილში სიტყვაც არ წაეშალა, თუმცა მაშინდელი ცენზორი ქართველი კათოლიკე ისრაილოვი ითვლებოდა უსასტიკეს ცენზორად“ (ნ. ჟორდანიას, ტ. 1, „ბიბლიოგრაფიული შენიშვნა“). ამრიგად, დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს, რომ „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“ იგივე პროგრამაა, რომელიც ნ. ჟორდანიამ ზესტაფონის კონფერენციაზე და შემდეგ ტფილისის კრებაზე წარადგინა.

უაღრესად დამახასიათებელია ის გარემოება, რომ გ. ზდანოვიჩმა, რომელიც იმ დროს უკვე ბურჟუაზიულ ლიბერალს წარმოადგენდა, ნ. ჟორდანიას პროგრამული შრომა ისე მოიწონა, რომ საჭიროდაც არ დაინახა რაიმე პრინციპიალური შენიშვნის გაკეთება, რაც შეიძლება აიხსნას მხოლოდ იმით, რომ ნ. ჟორდანიას პროგრამა თავისი არსებით იყო არა სოციალისტური, მარქსისტული, არამედ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული. ამასვე გვიმტკიცებს აგრეთვე ცენზორის დამოკიდებულება არა მხოლოდ ნ. ჟორდანიას ხსენებულ წერილისადმი, არამედ მთლიანად შესამე დასის მწერლების და ვაზ. „კვალისადმი“. აქაც ისეთ მოვლენას ჰქონდა ადგილი, როგორც ეს მთლიანად რუსეთში იყო იმ დროს. მეფის ცენზურა თავისთვის საშიშროებად არ სთვლიდა ისეთი „მარქსისტული“ შრომების გამოქვეყნებას, რომლებიც პ. სტრუვეს, ტუვან-ბარანოვსკის და სხვ. ეკუთვნოდა რუსეთში, მხოლოდ საქართველოში კი ნ. ჟორდანიას და სხვ., მათ შრომებში ნამდვილ მარქსიზმს ადგილი არ ჰქონია. მათი „მარქსიზმი“ მდგომარეობდა მხოლოდ იმაში, რომ ხალხოსნური უტოპიის წინააღმდეგ ისინი იცავდნენ კაპიტალიზმის განვითარების აუცილებლობის თვალსაზრისს, ეს გარემოება არ შეიძლებოდა არ მოსწონებოდა გაბურჟუაზიების გზაზე დამდგარ მეფის თვითმპყრობელობას, რადგან ხსენებული „მარქსისტები“ მარქსიზმში უარყოფდნენ მას, რაც მთავარი იყო, ბრძოლას კაპიტალიზმის დასამშობად და მუშათა კლასის გასათავისუფლებლად. ამაში მდგომარეობდა ლეგალური მარქსიზმის ერთერთი ძირითადი დამახასიათებელი მომენტი. ამითი აიხსნება თვით ნ. ჟორდანიას ნაწერების რედაქტორთა მიერ აღნიშნული ფაქტი, რომ უსასტიკესი ცენზორი კათოლიკე ისრაილოვიც კი ლმობიერად მოეპყრა ნ. ჟორდანიას

პროგრამულ შრომას და არა თუ არ აკრძალა მისი დაბეჭდვა არამედ საჭიროდაც არ დაინახა რაიმე შესწორების შეტანა.

ნ. ჟორდანიასთან ერთად, მისი უახლოესი თანამოაზრე მესამე დასის პროგრამად აღიარებდა სტატიას „ეკონომიკური წესის შესახებ და ეროვნება“. ასე აფასებდნენ ამ შრომას გაზ. „ივერიის“ ბანაკიდანაც. აი რას წერს ამ გაზეთის რედაქციის ერთერთი ხელმძღვანელი ნ. ჟორდანიას ხსენებულ შრომის შესახებ: „მან თავისი პირველი პროგრამული წერა-ლი „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“, „ივერიაში“ მოგვიტანა. ალბათ იმიტომ, რომ დიდი იყო და კვირეული გაზეთ „ეკალში“ დიდხანს მოუნდებოდნენ მის ბეჭდვას. ამიტომ მე ქუთაში დამიჯდა წერილი ავტორისა, შეხედულემა მის წარსულზე და, თუმცა საცხებით არ ვიზიარებდი ყოველ მის აზრს და დებულებას. უმთავრეს პრინციპს მაინც თანაგრძნობით მოვეციდე და მზად ვიყავ დამებეჭდა. მაგრამ მარტო ჩემით არ იქნებოდა-რა. წერილი პუბლიცისტური იყო, პროგრამული, თითქმის ისეთივე, როგორიც ცოტა წინად დაბეჭდა ჟურნალ „ივერიაში“ (1882 წ.) განსვენებულმა ვ. მაიაშვილმა („ხდანოვიჩმა“)“ (ნ. ჟორდანიას, ტ. I, გვ. 259). ამ მოგონების ავტორია გრ. ყიფშიძე, ნაც.-დემოკრატი. მოგონება დაწერილია საქართველოში მენშევიკების ბატონობის დროს და დართული აქვს ნ. ჟორდანიას ნაწერების აღნიშნულ ტომს. მაშასადამე, ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ ნ. ჟორდანიას იზიარებს გრ. ყიფშიძის მიერ გამოთქმულ აზრებს. გაზ. „ივერიის“ ეს თანამშრომელი გარკვევით ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ მას ნ. ჟორდანიას პროგრამა „ქუთაში დაუჯდა“, რომ „უმთავრეს პრინციპს მაინც თანაგრძნობით მოეკიდა“ და სხვ. წინააღმდეგ შეუძლებელიც არის ყოფილიყო, რადგან ნ. ჟორდანიას პროგრამა ნაციალიზმის დემოკრატიული პროგრამა იყო, რომელიც გამოადგებოდა მომავალ ნაც.-დემოკრატებსაც. გრ. ყიფშიძემ სწორი აღლო აიღო. ასეთია მოკლე ისტორია ნ. ჟორდანიას პირველი ხსენებული შრომის, რომელიც ყველას მიერ მესამე დასის პროგრამად იქნა აღიარებული. ახლა განვიხილოთ თვით ამ პროგრამის შინაარსი.

## ბ) არა კლასობრივი პრინციპი, არამედ ეროვნული

ბევრნი გაკვირვებას გამოსთქვამდნენ ნ. ჟორდანიას პოლიტიკური პოზიციის გამო 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, რაც გამოწვეული იყო მხოლოდ იმით, რომ ამ პერიოდამდის ნ. ჟორდანიას ბევრს ნამდვილ მარქსისტად ჰყავდა წარმოდგენილი. ამიტომ მათ არ შეეძლოთ არ ეკითხათ: როგორ აძლევს თავის თავს ნებას ნ. ჟორდანიას, რომელიც აქამდის მარქსისტი იყო, აშკარა ბლოკი შეკრას ბურჟუაზიულ პარტიებთან პროლეტარული რევოლუციის წინააღმდეგ; სისხლში ჩაახრჩოს მშრომელი გლეხობის კანონიერი აჯანყებანი მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ მიმართულნი; გაატაროს წმინდა ბურჟუაზიულ-ფეოდალური ლო-

ნისიძეებანი მრუწველობის და მიწის საკითხებში; საქართველო, გზაობა-დოს ქართველებისათვის და სხვა ეროვნების წარმომადგენლები მისი ფარგლებიდან გააძეოს, მიუხედავად მათი კლასობრივი უფროსობისა; ბლოკი შეკრას მეფის გენერლებთან საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, მოიწვიოს ევროპის იმპერიალისტები და მათი გულის მოსაგებად გააყეთოს განცხადება: „აღმოსავლეთ ფანატიკოსებს დასავლეთის იმპერიალისტები შირჩენიაო“ და მრავალი სხვ.

1919 წელს, ქართველ მენშევიკებსა და სომეხ დაშნაკელებს შორის ომის დროს, მენშევიკურმა მთავრობამ, რომლის სათავეში ნ. ჟორდანიას იდგა, საქართველოს ტერიტორიაზე მობინადრე ყველა სომეხი, მათ შორის სომეხი მუშები და გლეხებიც, ქართველი ერის მოღალატეებად გამოაცხადა. ქ. ტფილისიდან ასახლებდნენ სომეხებს. აგენტები განსაკუთრებული რაზმისა, რომლის სათავეში ნიკოლოზ II ყოფილი ბოქაული შაჰ-რაზმელი კედია იდგა, ქუჩაში გამვლელ „საეჭვო“ პირებს აჩერებდნენ და მიმართავდნენ კითხვით: „შენ სომეხი ხარ?“ ვინც თავეის არა სომეხობას ვერ დაამტკიცებდა, მას იჭერდნენ და ასახლებდნენ. ასე აგვიწერს ამ სამარცხვინო მოვლენას თვით ნ. ჟორდანიას პოლიტიკური კოლეგა არ შაკ ზურაბოვი. ნ. ჟორდანიამ ა. ზურაბოვს „უპირატესობა“ მიანიჭა: მას მიეცა დოკუმენტი, რომლის ძალით ის არ უნდა ყოფილიყო დაჭერილი და გადასახლებული, მიუხედავად იმისა, რომ სომეხი იყო. „ვიფიქრებდით თუ არა ჩვენ ნოე ნიკოლოზისძვე, — სწერდა ა. ზურაბოვი ჟორდანიას, — როდესაც ხელი-ხელ ჩაკიდებული ასე დიდხანს ვიბრძოდით დემოკრატიზმისა და სოციალისტური იდეალისათვის, რომ თვით ჩვენ შევექმნით ისეთ მდგომარეობას, რომლის დროს ნაციონალიზმის მასაზრობებელი პირობების მაქსიმუმი მოგვევლინება, და როგორც ერთი ჩვენგანი, თქვენ იქნებით მთავრობის სათავეში, და მეორე კი, მე, მომარაგებული იქნება დოკუმენტით, რომელშიაც შავით თეთრზე აღბეჭდილი იქნება, რომ ა. ზურაბოვი არ ეჭვემდებარება შეპყრობას, როგორც სომეხი“ (გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, № 35, 1919 წ.).

ა. ზურაბოვი ამ პათეტიური წერილით მიზნად ისახავდა ემოქმედა ნ. ჟორდანიას „მარქსისტულ“ გრძნობებზე. ამიტომ აგონებდა მას წარსულს, როდესაც, მისი თქმით, ისინი „ხელი-ხელ ჩაკიდებული იბრძოდნენ დემოკრატიზმისა და სოციალისტური იდეალისათვის“. სხვანაირად, რომ ეთქვათ, ა. ზურაბოვს ეგონა, რომ ის ნ. ჟორდანიასთან ერთად მარქსისტები იყვნენ, ის კი „დააიფიცდა“, რომ ის ნამდვილ მარქსიზმს გამოეთხოვა იმ მომენტიდან, როდესაც ბოლშევიკიდან მენშევიკი ანუ, ნ. ჟორდანიას ტიპის „მარქსისტი“ გახდა. მას არ უნდოდა გაეგო, რომ ნ. ჟორდანიას პრინციპისათვის არ უღალატია, რომ ის მთავრობის თავმჯდომარეობის დროს აკეთებდა იმას, რასაც მოითხოვდა მისი ბურჟუაზიული

პოლიტიკური პროგრამა, მოცემული ჯერ კიდევ 90-იან წლებში, „ეკონომიური წარმატება და ეროვნების“ სახით. ყოველივე ამის გაგებისათვის კი საჭირო იყო იმის ცოდნა, რომ ნ. ჟორდანიას ნამდვილმა ნამუშაოსტი არასოდეს არ ყოფილა, რომ მარქსიზმს ის ყოველთვის უმარქსისტოდ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს. ნ. ჟორდანიას პოლიტიკის ბურჟუაზიული ხასიათი საქართველოში მენშევიკური პარტიის ბატონობის დროს და მისი დღევანდელი აშკარა კონტრრევოლუციური, ინტერვენციონისტული მოღვაწეობა საზღვარგარეთ, მისი პირვანდელი პოლიტიკური კონცეპციის ორგანიულ განვითარებას შეიცავდა. რაში მდგომარეობდა ნ. ჟორდანიას პოლიტიკური კონცეპცია, როგორც ის მოცემული იყო მის პირვანდელ პროგრამულ გამოსვლებში და განსაკუთრებით კი სტატიაში „ეკონომიური წარმატება და ეროვნება?“ როგორი იყო მისი ძირითადი პოლიტიკური პრინციპი? ამ საკითხს ცოტა შორიდან უნდა მოვეუაროთ, რათა მთლიანად დაეინახოთ ის.

1905 წლის რევოლუციის შემდეგ, რეაქციის პერიოდში ნ. ჟორდანიამ უფრო გარკვევით გამოამჟღავნა თავისი პოლიტიკური მსოფლმხედველობის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ბუნება. 1912 წელს გაზ. „ჩვენი ცხოვრებაში“ მან გამოაქვეყნა წერილები: „ძველი და ახალი“, სადაც ის იცავდა კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის ლოზუნგს. ცოტა ხნის შემდეგ, ის იმავე საკითხს უფრო ვრცლად შეეხო გაზ. „განთიადში“, სახელწოდებით: „ნაციონალური კითხვა ჩვენში“. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის ლოზუნგი ნაციონალური საკითხის გადაჭრის ბურჟუაზიულ პროგრამას წარმოადგენს, მაშინ ადვილი გასაგები იქნება, თუ ნ. ჟორდანიას აღნიშნული წერილები რატომ წარმოადგენენ დამახასიათებელ მოვლენას მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობის ბურჟუაზიული ხასიათის აშკარად გამომჟღავნების თვალსაზრისით. ეს წერილები ამ შემთხვევაში ჩვენ გვანტერესებს მხოლოდ აღნიშნული საკითხის გამორკვევის მიზნით. ნ. ჟორდანიას პროგრამას ნაციონალურ საკითხში, რომლის მარქსისტულ-ლენინური კრიტიკა თავის დროს მოცემული იყო ამხ. ი. სტალინის მიერ, ვრცლად ქვემოთ განვიხილავთ.

კავკასიის სოციალ-დემოკრატ მენშევიკებმა ნ. ჟორდანიას მეთაურობით მხარი დაუჭირეს ლიკვიდატორებს, მონაწილეობა მიიღეს ლიკვიდატორების კონფერენციაში 1912 წელს და ერთადერთ სწორ პროგრამად ნაციონალურ საკითხში ბუნდის პროგრამა, ე. ი. კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის პროგრამა აღიარეს. ნ. ჟორდანიას პოლიტიკურ მსოფლმხედველობასთან გაეცნობილ ბოლშევიკებისათვის მოულოდნელი აქ არაფერი ყოფილა. მაგრამ ვისაც ნ. ჟორდანიას და მისი თანამოაზრენი ნამდვილ სოციალისტებად და მარქსისტებად მიაჩნდა, ისინი აღშფოთებული იყვნენ ამ გარემოებით. პირველ ყოვლისა ჩვენ მხედველობაში

გვეყავს გ. პლეხანოვი, რომელიც იმ დროს ებრძოდა ლიკვიდატორებს, ცდილობდა მარქსიზმის ერთგული დარჩენილიყო და ებრძოდა პარტიისათვის... მაგრამ ეს იყო გედის უკანასკნელი სიმღერა. დასრულდა მისი გ. პლეხანოვიც კი ილაშქრებს ნ. ჟორდანიასა და მისი მხარისკაცების წინააღმდეგ, მათი ლიკვიდატორობის გამო და კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის პროგრამის მიღების გამო. მაშასადამე, ნ. ჟორდანიას შეხედულებები იმდენად ანტიმარქსისტული და ბურჟუაზიული ხასიათის იყო, რომ მენშევიკი პლეხანოვიც კი იმ დროს ვერ ურიგდებოდა მათ. იგი ბრალს სდებდა ნ. ჟორდანიას სოციალისტური იდეალისა და მარქსიზმის ღალატში, მაგრამ ანგარიშს არ უწევს იმას, რომ ნ. ჟორდანიას არ შეეძლო ეღალატა მარქსიზმისათვის, რადგან ის არასოდეს ნამდვილი მარქსისტი არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, ნ. ჟორდანიას აღნიშნული პოლიტიკური ხაზის შეფასება გ. პლეხანოვის მიერ საყურადღებოა, მიუხედავად მისი რეფორმისტული ელფერისა. პლეხანოვმა საესებით სწორად აღნიშნა ის გარემოება, რომ ნ. ჟორდანია და მისი თანამოაზრეები აუცილებლად სცნობდნენ სოციალიზმის, მარქსიზმის შეგუებას ბურჟუაზიულ ნაციონალიზმთან.

წერილში: „კიდევ ერთი გამოთქველი კონფერენცია“ — გ. პლეხანოვი წერდა: „ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენმა კავკასიელმა ამხანაგებმა, თავისი ერთერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლის სახით, დაიწყეს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის რევოლუციური ტრადიციების გადასინჯვა („რევიზია“). ამხ. ანი \*) ამტკიცებდა, რომ ახლა უნდა ჩვენ ხელი ავიღოთ პროლეტარიატის ჰეგემონიის ფიქრზე. კავკასიის სოციალ-დემოკრატები რევიზიონიზმის ამ სახეობას ჯეროვანი სიმკაცრით არ შეჰხედნენ. ისინი თითქმის იზიარებდნენ კიდევ ამხანაგი ანის ამ „კრიტიკულ“ შეხედულებას. ეს დიდი შეცდომა იყო. ახლა მათ იწენიეს ამ შეცდომის შედეგი. მათ უარი თქვეს პროლეტარიატის ჰეგემონიის ფიქრზე და ემორჩილებიან ბუნდის ჰეგემონიას.

იქამდეც კი ემორჩილებიან, რომ ნაციონალურ საკითხსაც კი უყურებენ ამ საქმეში დახელოვნებულ ბუნდელ ოსტატთა მიერ დამზადებული სათვალეებით. ისინი ლაპარაკობენ კავკასიის კულტურულ ავტონომიაზე \*\*). მაგრამ ასეთი ავტონომიის მოთხოვნას აზრი აქვს, — რამდენადაც მას აქვს აზრი — როდესაც მას აყენებს ბუნდი, რომელიც წარმოადგენს ტერიტორიამოკლებულ ხელოსანთა მოსახლეობას. რაც შეეხება კავკასიას, როდესაც მისთვის ავტონომიას მოითხოვ, უნდა მოითხოვო საერთოდ თვითმართველობა, — სხვანაირად რომ ვთქვათ, პოლიტიკური ავტონომია, — საამისოდ საესებით გარკვეული ტერიტორიით და

\*) ანი ნ. ჟორდანიას ფსევდონიმაა. ძ. ზ.

\*\*\*) ახ. რეზოლუცია კულტურული ავტონომიის საკითხზე. გვ. 42.

არ დასჯერდებოდა კულტურის ფრიალ ბუნდოვან ავტონომიას. პოლონეთის სოციალისტური პარტია („ლევიცა“) ასეც იქცევა. მას უნდა ფართო პოლიტიკური ავტონომია პოლონეთისათვის, და იგი თავის მხარეს საკმარისად მართალია. ხოლო კავკასიელმა ამხანაგებმა, რომელთაც ნაცისტულ პოლიტიკური ავტონომიისა ლაპარაკი დაიწყეს კულტურულ ავტონომიაზე, მხოლოდ დაადასტურეს ბუნდისადმი არაგონივრული დამორჩილების ფაქტი.

ნაციონალური საკითხი მორიგ საკითხად იქცა კავკასიაში. ეს რეაქციის ნაყოფია. წინათ ნაციონალისტური ელემენტებიც კი ეგუებოდნენ სოციალისტურ ელემენტებს. ახლა სოციალისტური ელემენტები ლამობენ შეგუებას ნაციონალისტურ ელემენტებთან. და — პირველი სიტყვა, რა თქმა უნდა, ბუნდს ეკუთვნის. მე ვფიქრობ, რომ კავკასიელმა ამხანაგებმა სწორედ იმიტომ გადასწყვიტეს მონაწილეობის მიღება ლიკვიდატორულ კონფერენციაში, რომ აუცილებლად სცნეს მოცხდინათ სოციალიზმის შეგუება ნაციონალიზმთან. მათ იცოდნენ, ანდა ყოველ შემთხვევაში ისინი გრძნობდნენ, რომ ბატონი ლიკვიდატორები მზად არიან შეუგუნონ რაც გნებავთ და რასთანაც გნებავთ, ოღონდ კი დახმარება გაუწიონ მათ ოსტატურ დიპლომატიურ კომპინაციებში. გული მტკივა კავკასიელ ამხანაგებისთვის. მათ დიდი დამსახურება მიუძღოდათ წარსულში. მაგრამ მართალს ამბობდა ეთესელი დრმა მოაზროვნე: «ყველაფერი მიმდინარეობს, ყველაფერი იცვლება».

სავსებით სწორია გ. პლენხანოვის დებულება იმის შესახებ, რომ ნ. ჟორდანიას პროლეტარიატის ჰეგემონიის უარყოფით და კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის აღიარებით სოციალიზმს ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს უმორჩილებდა, მაგრამ შემცდარია პლენხანოვის აზრი, თითქოს ნ. ჟორდანიას თავიდანვე ასეთი არ ყოფილიყოს თავისი პოლიტიკური მსოფლმხედველობით.

ნ. ჟორდანიას პოლიტიკური მსოფლმხედველობის ალფა და ომეგა, დაწყებული მისი პირველი საპროგრამო შრომიდან, ეროვნული საკითხი იყო. კლასობრივი საკითხი, ბრძოლა სხვადასხვა კლასს შორის, მუშათა კლასის განმთავისუფლებელი მოძრაობა და სხვა ამგვარი საკითხები მას მიაჩნდა არა ძირითად საკითხად, არამედ ეროვნული საკითხისადმი დამორჩილებულ მომენტად. ეროვნულ საკითხს ის იხილავდა, როგორც იმ ძირითად სოციალ-პოლიტიკურ პრობლემას, რომლის გადასაწყვეტად ისტორიულად მოწოდებული იყო მისი აზრით, ის ახალი თაობა, რომელსაც თვითონ უდგა.

მიზანი ყოველთვის განსაზღვრავს საშუალებას. პროლეტარიატის პარტია კომუნისტური და რევოლუციური იმიტომ, რომ მისი მიზანია კომუნისმის განხორციელება. ნ. ჟორდანიას 90-იანი წლების დასაწყისში მოითხოვდა არა სოც.-დემოკრატიული პარტიის, არამედ ნაციონალურ-

დემოკრატიული პარტიის დაარსებას. იმიტომ, რომ მისი ძირითადი მიზანი იყო ეროვნული საკითხის გადაჭრა. მარქსიზმს, სოციალიზმს, მემწეობას, კოძრაობას და სხვ., ნ. ჟორდანიას ღებულობდა იმდენად, რამდენადც ეროვნულივე ეს ხელის შემწყობი მომენტი იქნებოდა მთავარი პოლიტიკური მიზნის ეროვნული საკითხის გადაჭრისათვის. ნ. ჟორდანიას, თავიდანვე უარყოფდა ეროვნული საკითხის ერთადერთ სწორ გაგებას, რომლის მიხედვით ეროვნული საკითხი, „არის პროლეტარული რევოლუციის საერთო საკითხის ნაწილი“ (ი. ს. ტ ა ლ ი ნ ი). მისთვის ეროვნული საკითხი არ იყო ნაწილი საერთო საკითხისა, პროლეტარული რევოლუციის დამორჩილებული მომენტი, არამედ პირიქით. აი, რატომ არის სავსებით სწორი გ. პლეხანოვის შემოთ-მოყვანილი ღებულება, რომ ნ. ჟორდანიას სოციალიზმს უმორჩილებდა ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს, ახდენდა სოციალიზმის შეგუებას ბურჟუაზიულ ნაციონალიზმთან.

შეიძლება მკითხველმა იფიქროს, რომ ამ შემთხვევაში ნ. ჟორდანიას ვალაპარაკებთ ჩვენი გაგებით. „გაუგებრობის“ თავიდან ასაცილებლად უმჯობესი იქნებოდა თვით ნ. ჟორდანიას მიესცეთ სიტყვა, თვით იგი ვალაპარაკოთ, რა ღებულებები წამოაყენა მან თავის ხსენებულ პირველ პროგრამულ შრომაში და როგორ ასაბუთებდა მას?

ნ. ჟორდანიას პოლიტიკური კონცეპციის თვისისი, რომლის საფუძველზე ის „ეკონომიური მატერიალიზმის“ ანუ მარქსიზმის მომხრედ იქნა აღიარებული, შემდეგში მდგომარეობდა: „ერი გაერთიანებული ნივთიერთ — გაერთიანებულია იდეებითაც... საკაცობრიო და საგვარტომო გაერთიანება შესაძლებლად ხდება ნივთიერ ნიადაგზე, როცა ეკონომიური განვითარება იქამდის მიდის, რომ შრომა ნაწილდება, როგორც სხვადასხვა ერსა, ისე ერისა და ამავე ერის ნაწილთა შორის, თანახმად კულტურისა, ნიადაგისა და ჰვეის თვისებათა; ამით მკვიდრდება ნივთიერი საფუძველი ერთობისა და იბადება მტკიცე ეროვნული ცხოვრება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. თუ პოლიტიკო-ეკონომიური პირობანი არ აჩვენებს ერთად ცხოვრებას, თუ ცხოვრება და კულტურა არ აერთებს და არ აკავშირებს ადამიანთა ჯგუფს ერთი-მეორესთან, ისე არავითარ გარემოებას არ ძალუძს ისტორიული მდელეარებით დაქააქსული ერი ერთ უღელში შეებას, ცხოვრების ჰპანი ერთად გააწვეინოს“... („ეკონომიური წარმატება და ეროვნება“, (რჩეული ნაწერები, გვ. 9, 11).

უღდება რა ამ თვალსაზრისით ქართველი ერის ისტორიულ განვითარებას, ის აყენებს საქვეყნოდ ცნობილ შემდეგ სწორ ღებულებას, რომ ფეოდალიზმის დროს ქართველი ერი ნაციას არ წარმოადგენდა. ის დაქუცმაცებული, დანაწილებული იყო სხვადასხვა სამთავროდ, რომელთა შორის ერთობის ნაცვლად მუდმივი შუღლი, მტრობა და ომიანობა არსებობდა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ერი არ იყო ეკონომიურად გაერთიანე-





ბული და შეუძლებელია გაერთიანებული ყოფილიყო პოლიტიკურად... „ყოველივე კუთხე საქართველოსა, — სწერდა იგი, წაქეზებული ეკონომიურათ განკერძოებულ ადგილს, შრომის განაწილება, აღმშენებლობა, წარმოება თითქმის სრულებით არ არსებობდა და თუ ხანდახან აქა-იქ, თავს იჩენდა, ისიც ისე ხანმოკლეთ და სუსტათ, რომ ცხოვრების მიმდინარეობაზე არავითარი გავლენა არ ჰქონდა. ამ გარემოებამ დაბადა კარ-ჩაკეტილი ცხოვრება ქალაქებისა, პროვინციებისა. აღორძინდენ და განვითარდენ იმ გვარი ეროვნული თვისებანი, რომელნიც ამორებენ, აცალკევებენ სხვადასხვა ჯგუფთ ქართველი ტომისას. ჩვენს ისტორიას თან დაჰყვა ერთი ძალა, რომელიც მატლივით ჩაჯდა ცხოვრების სათავეში და დაუწყო ღრუნა ქართველ ერთობას. ეს იყო საქართველოს მიდრეკილება დანაწილებიდან. პოლიტიკური დანაწილება ანუ დაყოფა ერისა არის აშენებული და გამაგრებული ეკონომიურ განცალკევებაზე და დამოუკიდებლობაზე. რაკი რომელიმე მხარე ნივთიერად კარ-ჩაკეტილია, ამით აშკარაა, იმას ერთმევა ერთი უძლიერესი დედა-მარღვი დანარჩენ ქვეყანასთან მისვლა-მოსვლისა და ერთობისა. ამ შემთხვევაში ერში ბატონობს ფეოდალური წესწყობილება“ (იქვე, გვ. 18 — 19).

რა კი ეს ასეა, ცხადია ფეოდალიზმი რეგრესიული მოვლენაა. მაშ რა არის ის ძალა, რომელსაც შეუძლია ქართველი ერი შეაკავშიროს ეკონომიურად და პოლიტიკურად, ე. ი. გახადოს ის ნაციად? ეს ძალა არის კაპიტალიზმი. ამიტომ კაპიტალიზმი პროგრესიული მოვლენაა. ყოველი ახალი დასი, ახალი პარტია კაპიტალიზმის აღორძინების, მისი განვითარების მომხრე უნდა იყოს. საქართველომ ფეხი შესდგა კაპიტალიზმის განვითარებაში. ჩვენი მოვალეობაა ხელი შევეწყოთ ამ პროცესს. „...ჩვენი ქვეყანა, — წერდა იგი, — შეუმჩნეველად უკვე დაადგა წარმოების გზას, ერმა თავი გაყო კაპიტალიზმის კახრაკში... ამით მზადდება საფუძველი ეროვნული გაერთიანებისა. აქედან ეროვნულ გრძობათა გაღვიძება და ერთი მიზნისაკენ მიმართვა შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიურ ნიადაგზე“ (იქვე, გვ. 52 — 53).

მაგრამ, აქ ისმება საკითხი, საიდან უნდა მოვიდეს ქართველი ერის ეს მხსნელი ძალა? ნ. ეორდანია არკვევს საქართველოს კაპიტალისტური განვითარების რამდენიმე სხვადასხვა შესაძლებელ ფორმას და გზას. ეს შეიძლება მოხდეს, ამბობს იგი, სომხური კაპიტალის გაძლიერებით, რუსეთის გზით ან ევროპის კაპიტალის შემოსვლით. სომხური კაპიტალის გაძლიერება მიუღებელია, რადგან ის ჩარჩული და უქულტურობის მატარებელია. ეს არ შეიძლება მოხდეს არც რუსული კაპიტალის გზით, რადგან რუსეთი კაპიტალისტური განვითარების მხრივ იმდენად ჩამორჩენილია, რომ ის ვერ შესძლებს უზრუნველყოს საქართველოს კაპიტალისტური განვითარება. ერთადერთი რეალური ყოველმხრივ მისაღები ძალა ევროპაა. „ევროპა, — წერდა იგი, — ...ჩვენი მტერი არ არის, პირიქით,

ის არის სისხლი-სისხლთაგანი ჩვენი და ხორცი-ხორცთაგანი ჩვენი... ევროპიელები ცვლიან ეკონომიურ წყობილებას, ანეითარებენ ქვეყნულ შრომას, გააქვთ ნაწარმოები მსოფლიო ბაზარზე და მითვნიან მხოლოდ მათ. მათი ინტერესია საქართველო დასერილი იყოს გზატკეცილებით, რკინის გზებით, ტელეგრაფის მეფთულებით: იყოს ხალხი გაქალაქებული, გაზრდილი, განათლებული, მწერლობა აყვავებული, ახალი იურიდიული ურთიერთობა განმტკიცებული და სხვ. და სხვ. ერთი სიტყვით. მათ ენატრებათ ევროპა საქართველოში". (რჩეული ნაწერები, გვ. 180).

მაშასადამე, განაგრძობს მსჯელობას ნ. ჟორდანი, ქართველი ერის და მისი ხელმძღვანელობის წინაშე დასმულია საკითხი ევროპისადმი მიზაძვის, ქართველების გაევროპიელების შესახებ. გაევროპიელება ნიშნავს ეკონომიურ და კულტურულ აღორძინებას. მაგრამ ამ აღორძინების შესახებ ევროპის კაპიტალის გამოყენებით თვით ქართველი ერი უნდა იქნას. მან თავისი წიაღიდან უნდა წარმოშვას ახალი ძალა, ე. ი. ქართული ნაციონალური ბურჟუაზია, რომელიც ევროპისადმი მიზაძვით და მისი კაპიტალის ჩვენში შემოსვლის საფუძველზე აღორძინდება. ნ. ჟორდანი დიდ იმედებს ამყარებდა ნაციონალური ბურჟუაზიის განვითარებაზე. ....არის განვითარება და განვითარება. განვითარება იქნება ისიც, რომ მთელი ქართველების ქონებას და გონებას ვიღაც გადამთიელი დაეპატრონოს და ისიც, როცა ქართველობა საქართველოში ყოველ სარბიელზე ბატონობდეს. სად არის ის ძალა, რომელიც ჩვენ ამ მეორე გზისაკენ ხელს წაგვკრავს? საიდან მოგროვდება ის შეუღრეკელი მზნეობა, რომელიც დაამარცხებს უცხო ტომთა მეტოქეობას და უმადლეს საფეხურზე აგვიყვანს. უცხოეთიდან მოგვევლინება? სხვისი მიწის შვილი იქნება? არა, ელექტრონის ძალა, რომელიც ჩვენ გარს შემოგვეხვევა და უბრალო შეხებისთანავე დამწველ ნაპერწკალს გასცემს, ჩვენშივე უნდა მოგროვდეს, ჩვენვე უნდა შევიმუშაოთ და თავი მოვუყაროთ იმ საერთო აფშში, რომელსაც ეწოდება ქართველობა და რომლის თითოეული მართული, თითოეული ქართველია. ამ მართულების შემაერთებელი ძალა ცხოვრებაა, ხოლო მათი ბოლო ეროვნება, ეროვნული ძალაა" (იქვე, გვ. 186). მეტის-მეტად გარკვევით არის ნათქვამი. ნ. ჟორდანის ეხერხება გარკვევით გამოსთქვას თავისი ბურჟუაზიული აზრები. საერთო დასკვნა: კაპიტალიზმი პროგრესიული მოვლენაა, რადგან ის ქართველობას ნაციად ზდის; კაპიტალიზმის განვითარება ჩვენში უნდა მოხდეს ევროპის „კულტურული“ კაპიტალის შემოსვლის მეოხებით მშობლიურ, ეროვნული, ნაციონალური ბურჟუაზიის აღორძინების საფუძველზე. „ქართველობა და ევროპიელობა — აი, რა სწერია მის (ე. ი. ქართველის, — კ. გ.) დროშაზე“, — აცხადებს ნ. ჟორდანი (იქვე, გვ. 108).

ასეთია ნ. ჟორდანიას პოლიტიკური კონცეპციის ერთი ძირითადი მომენტით. ეს ასეა, მაგრამ მკითხველს შეუძლია შეგვიწინოს: მერა რა არის აქ დასაძრახისი? კაპიტალიზმი ხომ მართლა პროგრესული წესი იყო და ფეოდალიზმთან შედარებით; ნაცია ხომ კაპიტალიზმის განვითარების პირმო შვილია, ევროპული კაპიტალიზმი ხომ მართლა უფრო მისაღები იქნებოდა და სხვ., ერთი სიტყვით, ნ. ჟორდანიას აქ წმინდა „მარქსისტი“. მაშ რა შეგვიძლია ვთქვათ ამის საწინააღმდეგოდ? რაში მდგომარეობს აქ მარქსიზმის, სოციალიზმის შეგუება ბურჟუაზიულ ნაციონალიზმთან?

მოყვანილ ადგილებიდან მწელი არ არის იმის გაგება, რომ ნ. ჟორდანიას თავისი პირველ პროგრამულ შრომაში ძირითად საკითხად აყენებს ეროვნულ საკითხს, მუშათა მოძრაობის საკითხიდან განყენებულად. სხვა ყველა სოციალური საკითხის გადაჭრას ის უდგება ეროვნული საკითხის თვალსაზრისით, ის მისი გენერალური პოლიტიკური ხაზია. საქართველოში კაპიტალიზმის წარმოშობის უმთავრეს შედეგად მიაჩნია არა მუშათა კლასის წარმოშობა, არა ახალი სოციალური ურთიერთობის დამყარება; არა ის კლასობრივი ურთიერთობა, რომელიც მყარდება ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს შორის, არამედ ქართველობის ნაციად ჩამოყალიბება. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ნ. ჟორდანიას ნამდვილი მარქსიზმის საწინააღმდეგოდ ეროვნულ საკითხს იხილავს არა როგორც პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის მომენტს, პროლეტარული რევოლუციის საერთო საკითხის ნაწილს, არამედ უფრო შორის მიდის და განყენებულად აღებულ ეროვნულ საკითხს იხილავს წმინდა ბურჟუაზიული თვალსაზრისით.

ის ლაპარაკობს საერთოდ ერზე. ასე აყენებდა საკითხს ნ. ჟორდანიას არა მარტო 1892 — 4 წლებში დაწერილ და გამოქვეყნებულ პირველ ნაწარმოებში, არამედ 1900-იან წლებშიც, როდესაც მუშათა რევოლუციური მოძრაობა ამიერ-კავკასიაში, ისე როგორც მთელ რუსეთში, უდიდეს რეალურ ძალად იქცა. ავითარებდა რა პირველ პროგრამულ შრომაში წამოყენებული ეროვნული პრინციპის უპირატესობას კლასობრივ პრინციპთან შედარებით, ანვითარებდა რა ამ ეროვნულ პრინციპს, როგორც მესამე დასის და შემდეგ სოც.-დემოკრატიის პოლიტიკური პროგრამის გამოსავალ წერტილს, ნ. ჟორდანიას, თავის წერილში, „ჩვენი უთანხმოებანი“ წერდა: „ჩვენი (ქართველი ნაციონალისტური მოღვაწენი, კ. გ.) ყველას გვიყვარს ჩვენი სამშობლო, ჩვენი ხალხი, ჩვენი ერი“... (გაზ. „კვალი“, № 24, № 43, გვ. 661, 680, 1900 წელი). ასეთია „მარქსისტი“ „ინტერნაციონალისტი“ ნ. ჟორდანიას პოლიტიკური პროგრამის გამოსავალი წერტილი, მისი სიტყვათა ლექსიკონი.

მას ყოველთვის და ყველგან მხედველობაში ჰყავს ერი მთლიანად, ე. ი. საკითხს სვამს არა ეროვნული საკითხის პროლეტარიატის კლასობრივი თვალსაზრისით გადაჭრის შესახებ, არამედ ბურჟუაზიული ნაციონა-

ლიზმის ფეოდალურ ნაციონალიზმზე უპირატესობის, მათი პროგრესიულობის შესახებ, რამდენადაც, მისი აზრით, ბურჟუაზია მთელი ნაციის ინტერესებს გამოხატავს. თავისი აზრი, რომელიც მოცემულია შემდეგლებულ პირველ შრომაში, ეორდანიამ კიდევ უფრო განაწმენა შემდეგ პერიოდში. „თავად-აზნაურობის ნაციონალური ინტერესი, — წერდა იგი, — არ შეიცავდა ნაციის ინტერესებს. ნაციონალიზმი შეიქმნა რეაქციონურ საშუალებათ. პროგრესიული ნაციონალიზმი ქართველობამ მშინ ვერ წამოაყენა, რადგანაც არ იყო ის პროგრესიული კლასი, რომლის ნაციონალური ინტერესი განსაზღვრულ ხანაში არის იმავე დროს ინტერესი მთელი ერის, არ იყო კლასი — ბურჟუაზია“ („ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“, რჩეული ნაწერები, გვ. 565).

ასეთია იმ პოლიტიკური მოღვაწის კონცეპციის ძირითადი მომენტი, რომელსაც საქართველოში მარქსიზმის შემოტანის და გავრცელების დიდი პრეტენზიები ჰქონდა და აქვს. რა საერთო აქვს ამ კონცეპციის მარქსიზმთან? განა ნამდვილ მარქსისტს შეუძლია ისე იმსჯელოს? როგორც ვხედავთ, ნ. ეორდანიამ არ მალავს, რომ ის თავიდანვე გამოდიოდა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის მედროშედ.

ამიტომ ვამბობთ ჩვენ, რომ ნ. ეორდანიამ სოციალიზმს და მარქსიზმს უგუებდა ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს. ამ დებულების სისწორეს ვერაფერ უარყოფს, ვისაც დაწერილის წაკითხვის და გაგების უნარი აქვს. განა ბურჟუაზიულ ნაციონალიზმთან არ გვაქვს საქმე, როდესაც ნ. ეორდანიამ თავისი პროგრამის ძირითად საკითხად აღიარებდა არა მუშათა კლასის საკითხს, არამედ ეროვნულ საკითხს. ამ მხრივ ნ. ეორდანიამ საკითხით სამართლიანად იქცეოდა, როდესაც მოითხოვდა ახალ პარტიას მიეღო ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის სახელწოდება. განსაზღვრული შინაარსი ყოველთვის განსაზღვრულ ფორმას მოითხოვს. ე. ნინოშვილმა, ფ. მახარაძემ, მ. ცხაკაიამ და სხვ., გაილაშქრეს ნ. ეორდანიას წინააღმდეგ, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მათი მიზანი იყო არა ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის, არანედ მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის დაარსება, მეორე იმიტომ, რომ იმ პერიოდში მათ არ ესმოდათ ნ. ეორდანიას პოლიტიკური ხაზის გარკვეული ბურჟუაზიული ხასიათი, მათ არ ჰქონდათ შეგნებული ნ. ეორდანიას მარქსიზმთან და მუშათა მოძრაობასთან კავშირის ხასიათი. ისინი ფიქრობდნენ, რომ „მარქსისტი“ ნ. ეორდანიამ სცდებოდა და დაკმაყოფილდნენ მხოლოდ ამ შეცდომის აღნიშვნით და მისი ფორმალურად გამოსწორებით, რამდენადაც ნ. ეორდანიამ უარი თქვა პარტიის ნაციონალურ-დემოკრატიულ სახელწოდებაზე. მაგრამ ეორდანიამ არსებითად, თეორიულად და პოლიტიკურად ამ „შეცდომის“ დამცველი და გამტარებელი დარჩა.

განა შეეძლო ნამდვილ მარქსისტს ისე დაესვა საკითხი ეროპის კულტურისა და ცივილიზაციის შესახებ, როგორც ამას ნ. ეორდანიამ ჩადიოდა სა-

ქართველოში მუშათა კლასის შეგნებული რევოლუციური მოძრაობის/წარმოშობის გარიტრაჟზე? ევროპეიზმით ასეთი გატაცება შეუძლებელია იყო ნ. ჟორდანიასათვის. ის არ იყო გამოწვეული მხოლოდ იმეხსიერებით, რომ საქართველოც ისეთი კულტურული და ცივილიზებული ქვეყანა გამხდარიყო, როგორც ევროპის ქვეყნები. მას უფრო ღრმა ფესვები აქვს. ის გამოდინარეობდა ნ. ჟორდანიას მიერ კაპიტალიზმის აპოლოგეტურ შეფასებიდან. აქ საჭიროა უფრო ვრცლად იქნას გამორკვეული ნ. ჟორდანიას პოლიტიკურ შეხედულებათა ეს მომენტი. მაშინ დამტკიცებული იქნება ის, რომ ნ. ჟორდანია სოციალიზმს უმორჩილებდა რა ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს, ამავდროს გამოდიოდა კაპიტალიზმის აპოლოგეტის როლში, ე. ი. ლეგალური მარქსისტის როლში. მისი პოლიტიკური ხაზის ეს ნაწილი ყველაზე უფრო მკაფიოდ შეიძლება ნაჩვენები იქნას კლასობრივი ბრძოლის საკითხებზე მის შეხედულებათა გამორკვევასთან დაკავშირებით. ამიტომ ვალაპარაკოთ თვით ნ. ჟორდანია.

### ბ) კაპიტალიზმის აპოლოგეტიკა და „სამართო ნიდაზის“ თეორია

ნ. ჟორდანიამ მარქსისტული მოძღვრება ყოველივე ერის საზოგადოებრივ განვითარებაში კაპიტალისტური საფეხურის ისტორიული აუცილებლობის შესახებ დაიყვანა კაპიტალიზმის აპოლოგეტიკამდე, ე. ი. კაპიტალიზმის უკრიტიკო მიღებამდე. ამით ის აშკარა ბურჟუაზიულ ობიექტივისტის როლში გამოდიოდა. რადგან კაპიტალიზმი ობიექტური აუცილებლობაა, საჭიროა მივიღოთ ის ისე, როგორც არსებობს, დავსვათ საკითხი არა მისი მოსაზრების აუცილებლობის შესახებ, არამედ მასთან შეგუების შესახებ.

რადგან ჩვენში კაპიტალიზმი თავისი განვითარებით ჩამორჩებოდა ევროპის კაპიტალიზმს, ამიტომ ნ. ჟორდანია ბევრს წერდა ამ უკანასკნელის შესახებ, რომ ყველასათვის გაეცნო კაპიტალიზმი როგორც ერთგვარი აღთქმის ქვეყანა. კაპიტალიზმისადმი დიფირამბების გალობაში ის იმდენად შორს წვიდა, რომ სრულიად გარკვევით და არაშემთხვევით ამართლებდა ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების კოლონიალურ პოლიტიკას და მტაცებლურ ომებს. ამ მხრივ მეტისმეტად საინტერესოა მისი წერილები „გადასახლება“ და „ბურები“. ის რაც უფრო მაღალი კულტურის მატარებელია, მით უფრო ბატონდება ბუნებაზე და თავის ყურმოჭრილ მონათ ხდის. და პირიქით, ის რაც უფრო დაბალი კულტურისაა, მით უფრო იჩაგრება, ბუნებასთან ბრძოლაში მარცხდება და ბოლოს ერთიანთ ემორჩილება. მარა რა არის მაღალი და დაბალი კულტურა? კულტურის სიმაღლე დღეს იზომება მრეწველობის სიმაღლით. ცხადია მრეწველი ხალხი იძლევა საუკეთესო კოლონისტებს. ამის მაგალითს წარმოადგენენ ინგლისელები. ამათ დაასახლეს ამერიკა, ავსტრალია და მრავალი



კუნძულები. როგორ, რით? მრეწველი ხალხი თუ საღმრეთო მიდის, მიდის მხოლოდ სამრეწველო და სავაჭრო მიზნით. უცხო ქვეყნების კაპიტალ-რონებიან მთა-მადნებს, ნავთ-სადგურებს, ხსნიან ფაბრიკების, ქარხნების შე-ნებენ ქალაქებს და ასე მთელ აღებ-მიცემობის და მოქალაქეობის სათა-ვეში დგებიან. ამას თან მოსდევს მეცნიერება, სწავლა, ცოდნა და სხვ., და ასე, თვით უდაბნოსაც გაანოყიერებენ, თვით უკაცო ადგილსაც ხალ-ხით ავსებენ და ცხოვრებას ატრიალებენ“ („კვალი“, № 50 — 1898 წ.).

არცერთი კრიტიკული სიტყვა კოლონიალური პოლიტიკის შესახებ. სრული უგულვებელყოფა იმ აუტანელი ეკონომიური და პოლიტიკური ჩაგვრისა, რომელშიც ვარდება კოლონიალური ქვეყნების შშრომელი ხალ-ხი იმპერიალისტურ „ცივილიზატორთა“ მათზე გაბატონების მეოხებით. ნ. ჟორდანიას სრულებითაც არ აინტერესებს საკითხი იმის შესახებ, თუ რა დიდ ფასად უჯდება კოლონიალური ქვეყნების ხალხს ბურჟუაზიული „ცივილიზაციით“ ზიარება. ის საჭიროდ სთვლის მხოლოდ ერთს: „შე-იგნონ ჩამორჩენილმა ქვეყნებმა და შესაფერისად დააფასონ ის დიდი ღვაწ-ლი“, რომელიც „მიუძღვის“ მათ მიმართ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს. იმპერიალისტური ქვეყნების, მათზე ბატონობა უნდა მიიღონ ისტორიულ აუცილებლობად და პროგრესიულ მოვლენად, ისე როგორც ისტორიული აუცილებლობა და პროგრესიული მოვლენაა თვით კაპიტა-ლიზმის არსებობა.

თავისი სოციალ-იმპერიალისტური იდეოლოგია ნ. ჟორდანიამ უფრო გარკვევით გამოამჟღავნა ინგლის ბურჟუაზიის ომისადმი მიძღვნილ წერილ-ში. ბურჟუაზიის, ამბობს ის, რასაკვირველია, აქვთ უფლება დაიკვირონ თავი-ანთი სამშობლო, სიყვარული სამშობლოსადმი, პატარა ხალხის, ბურჟუაზიის მხრივ, მოსაწონი და პატივსაცემია, მაგრამ ერთი წუთითაც ნურავინ ნუ დაივიწყებს მას, რომ არაერთარ შემთხვევაში შეღავათი არ უნდა იქნას ინგლისის კაპიტალიზმის ძლიერება, ინგლისის, რომელიც ცივილიზაციის და თავისუფლების დროშის მატარებელია საერთოდ და ამ დროშით „მიე-მგზავრება“ ბურჟუაზიის ქვეყანაში. მოუსმინოთ თვით ნ. ჟორდანიას ამის შესახებ: „ჩვენი სიმპატია ბურჟუაზიისადმი, სრულებით არ მოითხოვს სი-ძულვილს ინგლისელებისადმი. ბურჟუაზიის თანაუგრძნობენ იმიტომ, რომ ის პატარა ერია და თავის სამშობლოს, თავის თავისუფლებას იცავს. ინგ-ლისი? ინგლისი სასიყვარულო და სათანაგრძნობოა მრავალნაირათ. ინგ-ლისი ეს აკვანია ყოველივე იმის, რითაც დღეს თავი მოაქვს განათლე-ბულ კაცობრიობას. პირველათ მან აიღო ხმალი თავისი შინაგანი უსა-მართლობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ. პირველათ მან დაიარსა ის წყობილება, რომელიც რამდენსამე საუკუნეს შემდეგ ევროპაში გაბატონ-და, პირველად მან განახორციელა პრინციპი სრული თავისუფლებისა, საითკენაც ამათ ილტვის დანარჩენი კაცობრიობა. პირველათ ინგლისმა გაანავითარა ის ეკონომიური ურთიერთობა, რომელმაც ქვეყანა იხსნა ძვე-

ლი დახვედრებული მდგომარეობისაგან და დაამყარა ახალი... გენერაციან: ინგლისი ეგოისტია, თავის ინტერესების მაძიებელია და ამ ეგოისტობით გააკეთა ყველაფერი. დიხს, ინგლისი ეგოისტია, მაშ რა არ არის ეგოისტია? ეგოისტია ყველა, თავის სარგებლობას ეძებს ყველა და ვაი იმ ვრს, რომელსაც ეს ვერ შეუგნია და სხვის სათრეველათ გადა-ქცულა. მხოლოდ თავმოყვარეობას შეუძლია დიდი რამის შესრულება და სწორეთ ასეთი ერია — ერი ინგლისისა. მას შეგნებული აქვს თავისი ეინაობა, თავისი ძალა და მოწოდება და სწორეთ ფმით არის ის დიადი, სწორეთ ამით არის ის კაცობრიობის წინამორბედი. დეე ბურებმა დაი-ფარონ თავის პაწია სამშობლო, მტლათ დაედვან თავისუფლებას... მარა, დეე, ამასთანავე ინგლისი დარჩეს დიდებულ ინგლისათ, ახალი ცხოვრე-ბის მოციქულათ და ახალი დროშის მატარებლათ, დეე, ის იყოს ცივილი-ზაციის მეთაურათ და მებაიარბტრეთ..." (ნ. ჟორდანიია. „კვალი“, № 51, გვ. 862 — 3, 1899 წ.).

ასეთია ნ. ჟორდანიიას სოციალ-იმპერიალისტური კონცეპცია. მისგან განსხვავებით ნამდვილმა მარქსისტებმა ლენინის მეთაურობით ინგ-ლის-ბურების ომიდან, რასაკვირველია, სულ საწინააღმდეგო დასკვნები გამოიყვანეს. ეს ომი მათ მიერ სრულიად სამართლიანად შეფასებული იქნა, როგორც კაპიტალიზმის განვითარებაში ახალი, უმაღლესი და უკა-ნასკნელი სტადიის წარმოშობა, — იმპერიალიზმის წარმოშობა, აქედან გა-მომდინარე პოლიტიკური დასკვნებით მუშათა რევოლუციურ მოძრაობი-სათვის. ეს ომი გაკიცხული და უარყოფილი იქნა, როგორც მტაცებლუ-რი, წმინდა წყლის იმპერიალისტური ომი. ნ. ჟორდანიიას კი „ობიექტიურ, პროგრესიულ და ცივილიზატორულ“ მოვლენად მიაჩნდა იგი, გუნდრუქს უკმევდა ინგლისის ბურჟუაზიას, რომელიც მისი აზრით იბრძვის თავისი ქვეყნის შიგნით უსამართლოებისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ, მაშა-სადამე უნდა ვიგულისხმოთ კაპიტალის შრომაზე ბატონობის წინააღმდე-გაც! ასე მსჯელობს „მარქსისტი“ ნ. ჟორდანიია.

ამის შემდეგ რა გასაკვირია, თუ ნ. ჟორდანიიამ, რომელსაც ახასიათებს თანმიმდევრობა თავის ბურჟუაზიული პოლიტიკური ხაზის დაცვაში, მზა-რი დაუჭირა 1914 წლის იმპერიალისტურ ომს, როგორც „ისტორიულ აუცილებლობას“. ამის შემდეგ, რასაკვირველია, აქ სრული, რეალური საფუძველი ჰქონდა ჟორდანიიას მისი მენშევიკური მთავრობის თავმჯდო-მარეობის დროს გაეცხადებია ინგლისელ გენერალ კორესათვის, როდესაც „თავისუფლების და ცივილიზაციის“ გამაერცვლებელ ინგლისის ეს მე-დროშე ჯარებით „სტუმრათ“ მოიწვია ჯორდანიიამ: „მე პირადათ 25 წ. განშავლობაში და ჩვენი მთავრობის წევრებიც დიდი ხანია ეწვეიან აგი-ტაციას ინგლისელების სასარგებლოთ“. — მოახსენა მან გენერალ კორეს. რაც სიმართლეა, მისი უარყოფა შეუძლებელია. ნ. ჟორდანიიას მართლაც არც-ერთხელ არ უღალატია ათეული წლების ისტორიის მანძილზე კაპი-

ტალიზმის და იმპერიალიზმის დაცვის პოლიტიკისათვის. ამ სიტუაციაში მას ვერაფერი წაართმევს.

ამის შემდეგ არავის ექვი არ შეეპარება იმ გარემოებას, რომელიც ფორდანიის თავიდანვე კაპიტალიზმის მუდმივად არსებობის პოლიტიკის მატარებელი იყო, რომ ის მსგავსად თავის მოძმე რუს ლეგალურ მარქსისტებისა, კაპიტალიზმის აპოლოგეტის როლში გამოდიოდა. კაპიტალიზმი ფეოდალიზმთან შედარებით პროგრესია, მაშასადამე ჩვენი მოვალეობაა გავამართლოთ მისი პოლიტიკა და ყოველშრივ დავიცვათ მისი არსებობა. ასეთია ნ. ფორდანიას დასკვნა.

იმავე დებულების გაღრმავებას და შემდეგ დასაბუთებას შეიცავს ნ. ფორდანიას შეხედულებანი კაპიტალიზმის დროს კლასობრივ ურთიერთობათა შესახებ მუშათა კლასის, მისი პარტიის კაპიტალიზმისადმი დამოკიდებულების შესახებ, — მათი პოლიტიკური ამოცანების შესახებ.

სოციალურ-კლასობრივ საკითხს ნ. ფორდანიის იხილავს თავისი ეროვნული პოლიტიკური პროგრამის საკითხის თვალსაზრისით. ის აყენებს დებულებას იმის შესახებ, რომ თანამედროვე ხანა, კაპიტალიზმის აღორძინების ეპოქა, ხასიათდება ორი ძირითადი საკითხის, ეროვნულის და სოციალური საკითხის წამოჭრით: „...ეროვნული და სოციალური კითხვა — აი, ის ორი ფეხი, რომელზედაც ცხოვრება შესდგა და საშინელი სისწრაფით წინ მიეჭანება“ (ჩრეული ნაწერები, გვ. 60). ზემოთ ნათქვამი იყო, თუ როგორ ესმის მას ამ თვალსაზრისით სოციალური საკითხი.

ის გარემოება, რომ ნ. ფორდანიასთვის ძირითადი საკითხი ეროვნული საკითხია და არა კლასობრივი, რომ ეს უკანასკნელი პირველის დამორჩილებული ნაწილია და არა პირიქით, იქიდანაც ჩანს, რომ ნ. ფორდანიის სოციალურ-კლასობრივ საკითხს იხილავს ნაციონალური საკითხის თვალსაზრისით. კაპიტალიზმის პროგრესიულობას, როგორც ნათქვამი იყო ნ. ფორდანიის ხედავდა იმაში, რომ მისი აღორძინების საფუძველზე დაქუცმაცებული ქართველი ერი გაერთიანდა, ერის მთლიანობა მას მიანიჭდა უმაღლეს პოლიტიკურ მიზნად. აი, სწორედ ამ თავის ძირითად პოლიტიკურ მიზანს უთანხმებს ის სოციალური საკითხის გადაჭრას.

ნ. ფორდანიას არ შეეძლო არ შეემჩნია, რომ კაპიტალიზმის აღორძინება იწვევს ერის სხვადასხვა კლასებად დაყოფას, რომ ეკონომიური უთანასწორობა ბადებს კლასობრივ ინტერესთა უთანხმოებას და ამ კლასების ურთიერთ ბრძოლას, რამაც დაბადა ეროვნული გაერთიანება და სოციალური დანაწილება. „საქართველო ერთი, განუყოფელი; საქართველო ორი, სიმდიდრე-სიღარიბის მიხედვით დაყოფილი“ (იქვე). პირველ შემთხვევაში არსებობს ერთობა, მეორეში — ბრძოლა. ამრიგად, ნ. ფორდანიის „აღიარებს“ კლასთა ბრძოლის არსებობას. მაშ რაშია საქმე, რატომ ჩვენ მას მარქსისტად არ ვთვლით?

არსებობს სხვადასხვა კლასები და კლასთა ბრძოლა, — წერდა იგი, — „შინაგანი, კლასური და გარეგანი, ეროვნული, ბრძოლა კლასთა



და ერთა შორის. პირველი, რაც უნდა ძლიერი იყოს, აქვს ისეთი საზღვარი, სადაც მებრძოლნი ერთად დგებიან, ერთ კულტურულ და ისტორიულ უღელში ებმებიან. ეს ქმნის იმას, რასაც ეწოდება ერთ-ერთოვნი ძალა. აქ არის საერთო ფარგალი, ამას გარეთ სხვა ეწოდება ერთ-ერთოვნი კლასებია, ირგვლივ კი ეროვნული ძალა, ეროვნული კულტურა, ეროვნული "შენობაა" (იქვე, გვ. 165). ეს დებულება ნ. ჟორდანიამ გამოსთქვა 1896 წელს წერილში „მესამოცე წლების მოღვაწენი და დღევანდელი ცხოვრება“; ის ამ დებულების ერთგული დარჩა ბოლომდის. ამ მოსაზრებიდანაც გამომდინარეობდა მისი პოზიცია იმპერიალისტური ომის საკითხში, რაც გამოიხატა ომის მხარისდაჭერაში. მისი სოციალ-იმპერიალიზმის ფესვები მოცემული იყო ჯერ კიდევ მის პირვანდელ საპროგრამო წერილებში.

ამრიგად, ნ. ჟორდანიას აღნიშნული დებულება მთელი სიცხადით ამტკიცებს ჩვენი მოსაზრების სისწორეს იმის შესახებ, რომ მისთვის სოციალურ-კლასობრივი საკითხი წარმოადგენდა ეროვნული საკითხისადმი დამორჩილებულ მომენტს, რომ ამ უკანასკნელის თვალსაზრისით ახდენდა ნ. ჟორდანია მის გადაჭრას.

ამავე დებულებაში ნ. ჟორდანია მიუთითებს იმას თუ რა არის კლასების შეთანხმებული მოქმედების საერთო ნიადაგი. ეს არის ხელოვნება, ერის ეკონომიური ვითარება, მისი ეროვნული კულტურა, ზნეჩვეულება, ეროვნული შგგნების მთლიანობა, ეროვნული ხასიათის საერთოდ. მეორე ადგილას კიდევ უფრო გარკვევით ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ეროვნული პრინციპი განსაზღვრულ ჩარჩოებში აქცევს კლასების ბრძოლას და მათ აძლევს მოქმედების საერთო ნიადაგს. „ერი შეება, — წერდა იგი, — საერთო უღელში, შეეჩვია ერთად ცხოვრებას, ერთად მოღვაწეობას; მოამზადა ნიადაგი გონებრივი ერთობისა, ქართველობა ერთი ყელ-საბმელით შებორკილი, ერთი ჯაჭვით შემოჯაჭული, ფხიზლდება, სალი გონებით და მახვილი თვალთ იხედება“ (იქვე, გვ. 27). როგორ უნდა გაეიგოთ დებულება იმის შესახებ, რომ ერი, რომელშიაც თვით ნ. ჟორდანიას აღიარებითაც კი, შედიან მჩაგვრელნი და დაჩაგრულნი, მდიდარნი და ღარიბნი, კაპიტალისტები და მუშები შეება ერთ უღელში? ამის პასუხს თვით ნ. ჟორდანია იძლევა. მოვეუსმინოთ მას: „ერი გაერთიანებული ნივთიერთ — გაერთიანებულია იდეებითაც... ერის სიდიადეში დაინტერესებულია როგორც ბურჟუა-ვაჭარი, ისე გლეხი — მუშა. აქ ეროვნულ ცხოვრებას შეგნებულათ ეწევა, როგორც უდიდესი საპოლიტიკო მოღვაწე, ისე უბრალო სოფლელი“ (იქვე, გვ. 9).

ასეთია ნ. ჟორდანიას „მარქსიზმი“, თურმე ნუ იტყვით, ერის სიდიადეში ერთნაირად დაინტერესებული ყოფილან, ერთი მხრივ, მუშები, რომლებიც თავიანთი შრომით ქმნიან საზოგადოებრივ ღირებულებას და, მეორე მხრივ, კაპიტალისტები, რომლებიც ამ საზოგადოებრივ ღირებულებას ისაკუთრებენ. ერთის მხრივ ჩაგრულნი, მეორეს მხრივ მჩაგვრელები.

ასე გაიგო „მარქსისტმა“ ნ. ჟორდანიამ მარქს-ენგელსის სიტყვები „კულტურის პარტიის მანიფესტიდან“, იმის შესახებ, რომ პროლეტარებს საშუალება არ აქვთ, ვიდრე არ დაამარცხებენ თავის ნაციონალურ მოთხოვნას და თავის კლასობრივ ძალაუფლებას არ დაამყარებენ. „მარქსისტი“ ნ. ჟორდანიამ იფიქრებს, რომ ერთიანი ნაციონალური ხასიათის არსებობის დაცვა, რომელსაც ის კლასების შემარავებელ საერთო ნიადაგად აცხადებს, წმინდა წყლის ბურჟუაზიული მცენებაა, ის იფიქრებს, რომ ნამდვილი მარქსისტის მოვალეობაა, როგორც გვასწავლიდა ლენინი, თვით ეროვნულ „ხასიათში“, ეროვნულ კულტურაში გავარჩიოთ ბურჟუაზიული და დემოკრატიული, სოციალისტური ელემენტები და სხვ.

ნ. ჟორდანიას პოლიტიკური მოღვაწეობის ისტორია სიციხადით გვიმტკიცებს მას, რომ „საერთო ნიადაგის“ თეორია მისთვის ძალაში რჩებოდა ყოველთვის, არა მხოლოდ კაპიტალიზმის აღორძინების მომენტში, არამედ განვითარებულ კაპიტალიზმის დროსაც, როგორც აღნიშნავს აშხ. სტალინი.

„...ერის შეკავშირება და ერთიანობა მარტო განსახლების მეოხებით როდი ეცემა. იგი ეცემა აგრეთვე შიგნიდან, კლასობრივი ბრძოლის გამწვავების გამო. კაპიტალიზმის პირველ სტადიებზე კიდევ შეიძლება ლაპარაკი პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის „კულტურული ერთობის“ შესახებ. მაგრამ მსხვილი ინდუსტრიის განვითარებასა და კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან ერთად „ერთობა“ იწყებს გაჭრობას. არ შეიძლება სერიოზულად ლაპარაკი ერის „კულტურულ ერთობაზე“, როდესაც ერთი და იმავე ერის მებატონეებსა და მუშებს ერთმანეთის აღარა ვაუწყებთ რა. რომელ „სეგბედის ერთობაზე“ შეიძლება ლაპარაკი მაშინ, როდესაც ბურჟუაზიას ომი სწყურია, პროლეტარიატი კი „ომს ომს“ უცხადებს? განა შეიძლება ასეთი მოწინააღმდეგე ელემენტებისაგან ერთიანი საკლასთაშორისო ნაციონალური კავშირის მოწყობა? განა ამას შემდეგ შეიძლება ლაპარაკი „ერის ყველა წევრის შეკავშირებაზე ნაციონალურ-კულტურულ ურთიერთობად?“ \*) განა აქედან ცხადი არაა, რომ ნაციონალური ავტონომია კლასობრივი ბრძოლის მთელს მიმდინარეობას ეწინააღმდეგება? (ი. სტალინი — „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი“, გვ. 34).

აშხ. სტალინის ამ მარქსისტულ დებულებიდან ისეა დაშორებული ნ. ჟორდანიამ, როგორც ცხადი უნდა იყოს. „საერთო ნიადაგის“ თეორია ნ. ჟორდანიამ გადააქცია უნივერსალურ კანონად, რომლითაც ის ყოველთვის ხელმძღვანელობდა კლასობრივი ბრძოლის საკითხების გადაწყვეტაში, კაპიტალიზმის განვითარების ყველა პერიოდში. ნ. ჟორდანიას მთელი პოლიტიკური მოღვაწეობა 1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგაც მიმართული იყო „საერთო ნიადაგის“ თეორიის განხორციელებისაკენ კა-

\*) იხ. ბაუერის „ნაციონალური საკითხი“, გვ. 553.

პიტაღორას დაღუპვისაგან გადარჩენის მიზნით. ის ~~ანდრეა~~ ყველა ქართული კონტრრევოლუციონური პარტიების: მენშევიკების, ფედერალისტების, ნაც.-დემოკრატების და სხვ. გაერთიანებას „სეკურულ-ქრისტიანული“ საფუძველზე. მან შემდეგი განცხადება გააკეთა 1917 წელს ქრისტეშობაში: „დღევანდელი მომენტი და საქართველო“: „მე მომანდო ჩვენმა ინტერპარტიულმა საბჭომ მოხსენების წაკითხვა. თქვენ იცით, რომ ინტერპარტიულ საბჭოში შედიან ქართველი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები და თუ მათ იცნეს შესაძლებლად ერთი პირისათვის მიენდოთ მოხსენების წაკითხვა, აშკარა ყოფილა საერთო ნიადაგი და ამ საერთო ნიადაგზე იქნება სწორედ ჩემი მოხსენება აგებული“ (გაზ. „ეროთა“, № 202 1917 წ.). ეს მისი თეორია ორგანიულ კავშირში ფეოდალურ ზემოთ ანალიზებულ მის შეხედულებებთან კაპიტალიზმზე საერთოდ. კაპიტალიზმის აპოლოგეტობა მოითხოვდა კლასთა ანტაგონიზმის, პროლეტარული რევოლუციის და პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიული აუცილებლობის უარყოფას და კლასთა თანამშრომლობის, მათი შეთანხმების შესაძლებლობის აღიარებას. ეროვნული „ეროთა“, „მთლიანი“ ეროვნული თვისებები, „საერთო ეროვნული კულტურა“ და სხვ., მას მიანდა საერთო ნიადაგად ყველა კლასებისათვის, რომელთა შორის ამ ნიადაგზე განხორციელდებოდა საერთო მოქმედება და დამყარდებოდა მათ შორის კლასობრივი მშვიდობიანობა მიუხედავად იმისა, რომ მისივე აღიარებით კაპიტალიზმი კლასებად ყოფდა საზოგადოებას. კლასობრივი ბრძოლის ნაცვლად, კლასობრივი ზავი, სამოქალაქო ომის ნაცვლად იმპერიალისტური ომის მხარის დაჭერა („ეროვნული“ მთლიანობის, „საერთო“ ეროვნული ინტერესების, სხვადასხვა კლასის ამ „საერთო ნიადაგს“, „დასაცავად“) და ნაციონალისტური ომები მეზობელ ერებთან (იმავე მიზნებისათვის). ასეთია ნ. ჟორდანიას ძირითადი თეორიული დასკვნები და მისი პოლიტიკური მოღვაწეობის პრაქტიკა.

კაპიტალიზმის აპოლოგეტობამ და „საერთო ნიადაგის“ თეორიამ ნ. ჟორდანიას უკარნახა შესაფერი დასკვნები გაეკეთებია მესამე დასის და შემდეგ კი სოც.-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკურ-პრაქტიკული ამოცანების შესახებ. ის თავიდანვე ე. ბერნშტეინის თვალსაზრისზე იდგა: „მომართაბა ყველაფერია, მიზანი კი არაფერია“. რა მიზანი შეიძლება ჰქონოდა ნ. ჟორდანიას, რომელიც კაპიტალიზმის აპოლოგეტის როლში გამოდიოდა? მოქმედების რა პროგრამა შეეძლო მას დაესახა მესამე დასისათვის? მხოლოდ და მხოლოდ ისეთი პროგრამა, რომელიც არავითარ შემთხვევაში მიზნად არ ისახავდა კაპიტალიზმის დაღუპვას. ამიტომ ნ. ჟორდანიას განსაზღვრით, მესამე დასის პოლიტიკური ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ გამოსულიყო იგი კაპიტალიზმის განვითარების როლში. ამიტომ მესამე დასის პროგრამა, პრაქტიკულ მოღვაწეობის დარგში აღიარებდა მშრომელი ხალხის თვითცნობიერების გაძლიერებას, მაგრამ

არა კლასობრივი თვითცნობიერების, არამედ ეროვნულის: შრომის მშრომელი ხალხის, მძიმე ეკონომიური მდგომარეობის ნაწილობრივ შემსუბუქებისათვის, დეპო-სალაროების შემოღებით და სხვ., ე. ი. ქვემოთ მოხსენიებულიებს სახავდა იგი, რომელთა განხორციელება არა თუ არ იწყებდა კაპიტალიზმის მოსპობას, არამედ პირიქით, აძლიერებდა მას.

ასე მაგ., ნ. ჟორდანიას ეთანხმებოდა რა იდეალისტ პროფ. კარევეს იმაში, რომ „ეროვნებას შეგნება ჰქმნიდა“, აღნიშნავდა, რომ „სწორეთ ეს შეგნება აკლია ქართველ ხალხს. ამისათვის სადაც ეროვნული შეგნება არ სუფევს, იქ არც ეროვნება არსებობს“ (რჩეული ნაწერები, გვ. 12). რაკი ნ. ჟორდანიას პროგრამის ძირითად მიზანს ეროვნული პრობლემა შეიცავდა და ეროვნების არსებობაში კი ეროვნული შეგნება ასეთ დიდ როლს თამაშობს, ვის უნდა ეკისრა ქართველ ხალხში ეროვნული შეგნების შეტანა თუ არა მესამე დასს? ჩვენი პროგრამა მოკლე და ნათელია, — წერდა ნ. ჟორდანიას, — ქართული ენის, ლიტერატურის და, საზოგადოთ, კულტურის საშუალებით ქართველი „მშრომელი ხალხის“ (წინწყლები ნ. ჟორდანიას ეკუთვნის, ე. გ.) თანდათან გაეცნობიერება. გამძაფრება და თანამედროვე ცხოვრების შეგნებულ რაზმით გადაქცევა ერთი მხრით; მისი თვით-მოქმედების და, დამოუკიდებელი მოძრაობისათვის ხელის-შეწყობა — მეორე მხრით, აი ჩვენი იდეალი, აი ჩვენი პროგრამა“ (იქვე, გვ. 461). ეს სტრაქონები ნ. ჟორდანიას დაწერილი აქვს 1901 წელს, ე. ი. იმ პერიოდში, როდესაც ტფილისის პროლეტარიატმა მისი ნამდვილი ბელადის, ანტ. სტალინის ხელმძღვანელობით შეგნებულ კლასობრივი ბრძოლის საუკეთესო ნიმუშებს იძლეოდა პირველი გაფიცვების და დემონსტრაციის სახით. მიუხედავად ამისა, ნ. ჟორდანიას ერთ სიტყვასაც არაფერს ამბობს არა თუ ამ ფაქტის უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობაზე, თითქოს ის არცკი არსებობდეს, არამედ იმაზედაც თუ რა მნიშვნელობა აქვს მშრომელი ხალხის „გაცნობიერებისათვის“ საერთოდ კლასობრივ ბრძოლას. ეს გასაგებიც არის, რადგან ნ. ჟორდანიას სურდებოდა არ ქონია, მხედველობაში მშრომელი ხალხის კლასობრივი გათვითცნობიერება. ის ისწრაფოდა მხოლოდ „მშრომელი ხალხის“ ეროვნულ „გათვითცნობიერებისაკენ“. აი, ეს ეროვნული „გაცნობიერება“ შეიცავდა, ნ. ჟორდანიას განსაზღვრით, მესამე დასის პოლიტიკური მოღვაწეობის პროგრამას. ამით აიხსნება მესამე დასის, განსაკუთრებით კი ნ. ჟორდანიას მომხრეების, მოწყვეტა მუშათა კლასის რევოლუციურ მოძრაობიდან, რის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

იმავე აზრის იყო ნ. ჟორდანიას პოლიტიკური კოლეგა, ბურჟუაზიული ლიბერალი გ. წერეთელიც. აი რას წერდა იგი მესამე დასის პოლიტიკური ამოცანების შესახებ: „ამ მესამე დასმა საგნათ აირჩია ისეთი მოქმედება, რომ გაუნათლებელ ხალხში მოჰფინოს წერა-კითხვა, შეიტანოს მეცნიერებისაგან გამორკვეული ნათელი აზრები, მკვირცხლად ადევნოს თვალის მოსოფლიო ცხოვრების მიმდინარეობას და არავითარი შე-  
11. „მართობი № 2.

მთხვევა არ გამოეპაროს მსოფლიო ცხოვრების მოძრაობაში იმისთანა, რაც კი სარგებლობას მოუტანს ჩვენს ხალხს და წინ წააყენებს მის ბედობას“ (დამსწრე. „კვალი“, № 21 — 1894 წ.).

სამაგიეროდ ნ. ჟორდანიას არ იფიქრებდა „ზრუნველობის“ ხალხის ტკივილების „შემსუბუქებაზე“ კაპიტალიზმის არსებობის ფარგლებში, რის გარანტიასაც სხვათა შორის, როგორც აღვნიშნეთ, ის ხედავდა დემო-სალაროების შემოღებაში. ამის შესახებ იგი წერდა: „...საქმე იმაშია, რომ ეს ხანა (ე. ი. კაპიტალისტური განვითარება — ე. გ.) ხალხმა ჩქარა გამოიაროს და ტკივილები შეიმსუბუქოს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ დღეს ჩვენში ასე მეცადინეობენ იაფი კრედიტიანი ბანკების და დემო-კასების დახსნას. თვითონ ეს ლტოლვილება მოწმობს იმას, რომ ჩვენ კაპიტალიზმის გზაზე კარგა შორს წავსულვართ“ (იქვე, გვ. 38). ამრიგად, მშრომელი ხალხის თვალის ასახვევად, მის დასარწმუნებლად იმაში, თითქოს შესაძლებელია მუშათა კლასის ტკივილების „შემსუბუქება“ კაპიტალიზმის არსებობის პირობებში, ე. ი. მუშათა კლასის განთავისუფლება კაპიტალიზმის მოუსპობლად, ნ. ჟორდანიას მსგავსად ბურჟუაზიის პოლიტიკური აგენტის შულცე-დელიჩისა, მოითხოვდა დემო-სალაროების შემოღებას.

შეუძლიათ შეგვნიშნონ, რომ თითქოს ნ. ჟორდანიას აქ მხედველობაში ჰქონდა პროგრამა-მინიმუმითა. მაგრამ, ამ შემთხვევაში ჩვენ პირიქით უნდა შევეკითხოთ მათ: რაში მდგომარეობდა მისი პროგრამა-მაქსიმუმში და განა ის ოდესმე იბრძოდა ამ პროგრამა-მაქსიმუმის განსახორციელებლად? განა ნ. ჟორდანიას მთელი პოლიტიკური მოღვაწეობის ისტორია უტყუარ საბუთს არ წარმოადგენს იმისას, რომ ის ყოველთვის ბურჟუაზიასთან იყო და არის მუშათა კლასის წინააღმდეგ? ამის შესახებ კიდევ გვექნება ჭეშმით საუბარი.

მაშასადამე, ასეთი იყო მესამე დასის პოლიტიკური პროგრამა, როგორც ის დასახა ნ. ჟორდანიამ. ამიტომ ის სავეებით მართალი იყო, როდესაც მოითხოვდა ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიის დაარსებას. ნ. ჟორდანიას ნაციონალ-დემოკრატიული პროგრამის ანალიზი სრული არ იქნება თუ უფრო ვრცლად არ განვიხილეთ — მისი დამოკიდებულება ვახ. „ივერიის“ ჯგუფთან და ქართული ნაციონალურ-ბურჟუაზიასთან. აქ კიდევ უფრო გარკვევით გამომჟღავნდება ჟორდანიას „მარქსიზმის“ ხესიათი.

(დასასრული შემდეგ პე-ში).

# კრიტიკა ზ. სუბლისტიკა

საქართველოს  
შინაგარეო

გენიტო. გუაჩიკა

## კლასობრივი მტრების წინააღმდეგ ლიბერალური ფრონტები

(კონტრ-რევოლუციონური ტროცკიზმის და ზინოვიევი-  
მარქსისტული „თეორიის“ და პრაქტიკის გამოგატყობის  
ლიბერალურის ფრონტზე)

### I

ბოლშევიკური პარტია განსაკუთრებული იდეური შეურიგებლობით  
ებრძოდა და ებრძვის კონტრ-რევოლუციონურ ტროცკიზმის ყოველგვარ  
გამოხატულებას ყველა ფრონტზე, მათ შორის მხატვრული ლიტერატურის  
ფრონტზედაც.

ამჟამად, ზინოვიევი-კამენევის საზიზღარი მოღალატეობის, თვალთმაქ-  
ცობისა და პროვოკატორობის გამოაშკარაების შემდეგაც, სწარმოებს სას-  
ტიკი ბრძოლა და დაუნდობელი გამომჟღავნება ტროცკისა და ზინოვიე-  
ვის პოლიტიკურ-ლიტერატურულ მიმდევართა.

კლასობრივი მტრის ბრძოლის მეთოდები სხვადასხვაგვარია. ერთის  
მხრივ — მომზადება და განხორციელება გამცემლური გასროლისა, ხოლო  
მეორეს მხრივ, თვალთმაქცობა, ცდა პარტიის მოტყუებისა, ქვეწარმავლური  
ხერხები — დარჩენ ჩვენს რიგებში, რათა აწარმოონ მავნებლური მუშაობა.  
ამ მიზნით ისინი მლიქვნელურად ეფიცებიან პარტიას ერთგულებას, „ინა-  
ნიებენ“ შეცდომებს, საქმით კი ჩუმ-ჩუმად, ნიღაბაფარებულნი განაგრძო-  
ბენ კონტრ-რევოლუციონურ „მოღვაწეობას“.

კლასობრივმა მტერმა, ტროცკისტ-ზინოვიეველებმა, ლიტერატურის  
ფრონტზე აირჩიეს ბრძოლის ეს მეორე ფორმა. მხატვრული მწერლობა,  
ეითომ, უფრო ხელსაყრელი სფეროა შენიღბული პოლიტიკურ ბრძოლი-  
სათვის, საზიზღარი თვალთმაქცური მუშაობისათვის. მაგრამ მტერი აქაც  
მოტყუვდა. კონტრ-რევოლუციონური ტროცკისტ-ზინოვიეველები კონ-  
ტრბანდის გათრევის დროს „ნაქუჩდალით“ ხელში შესწრებულ იქნენ.  
ჩვენი ამოცანაა — ბოლომდე გამოვამჟღავნოთ ისინი. მაგრამ მოსვენე-  
ბულ თვითკმაყოფილებას არ უნდა მივცეთ. სრული ანგარიში უნდა გა-  
უწყოთ მას, რომ მტერმა საკმაო ზიანის მოტანა შესძლო. იგი ცდილობდა  
კონტრ-რევოლუციონური ტროცკისტული შხამით მოეწამლა და დაენაგ-

ვიანებია ლიტერატურაც. საჭიროა ბოლომდე დავაზუსტოთ — თუ სად, როგორ, რით და რა ფორმებში გამოვლინდა კონტრ-რევოლუციონური ტროცკიზმი ლიტერატურის ფრონტზე. ეს უნდა მოხდეს ყურადღებულად, კამათის, დავის წესით. არა. მტერთან ბოლშევიკებში კამათობენ. კამათი კი არა, — სასტიკი და დაუნდობელი გამომკვლავება, ყველასათვის ნათელყოფა და ძირ-ფესვიანად აღმოფხვრა კონტრ-რევოლუციონური ტროცკიზმის ყოველგვარი ფორმისა და ყოველგვარი გამოხატულებისა ლიტერატურის ფრონტზე. საჭიროა მონახულ იქნას ამ გამოხატულების ძირები. ახალგაზრდა მწერალთა ერთი ჯგუფის (ფრ. ნაროუშვილი, გ. შატბერაშვილი, შ. შავგულიძე) კონტრ-რევოლუციონური ტროცკისტულ-ფაშისტური გადაგვარება, თავისთავად და ერთბაშად არ მომხდარა. ისინი ხანგრძლივად იკვებებოდნენ მახინჯი კონტრ-რევოლუციონური ტროცკისტული იდეებით.

კონტრ-რევოლუციონური ტროცკიზმის არსენალიდან ამ იდეების ლიტერატურაში გადმომთრევი, მთავარი კონტრაბანდისტი იყო ამ გადაგვარებულ ახალგაზრდა მწერალთა ჯგუფის იდეური და პრაქტიკული ხელმძღვანელი პლატონ ქიქოძე. ჭართული ლიტერატურის ფრონტზე ტროცკისტულ-ზინოვიევეურ განწყობილებათა და იდეათა თანმიმდევარი და მთავარი გამომხატველი (ლიტერატურულად და ორგანიზაციულადაც, სათანადო ჯგუფების მოწყობის სახით) ყოველთვის იყო პ. ქიქოძე. მას მხოლოდ უკანასკნელ წელს არ დაუწყია კონტრ-რევოლუციონური ტროცკიზმის შენიღბულ ფორმებში პროპაგანდა. იგი 1925 წლიდან სისტემატურად აპარებს მწერლობაში ტროცკისტულ იდეებს. კონტრ-რევოლუციონური ტროცკისტული ცილისწამებისათვის ჩვენს სოციალისტურ სინამდვილეზე და ჩვენს მწერლობაზე პ. ქიქოძე პარტიის, ბოლშევიკური კრიტიკის მიერ მრავალჯერ იყო გაკრიტიკებული, გაფრთხილებული, მაგრამ იგი არ გამოსწორდა. ძველებურად, ზოგჯერ ახალ ფორმებში, თვალთმაქცობის მომარჯვებით, განაგრძობდა იგი კონტრ-რევოლუციონურ ტროცკიზმის ხახს. ეს აიხსნება იმით, რომ ქიქოძის იდეური ფესვები ბოლშევიკიზმის ტრადიციებიდან კი არ გამომდინარეობენ, არამედ მენშევიკიზმ-ტროცკიზმის იდეებიდან და ზინოვიეველთა თვალთმაქცურ ჩვევებიდან. არსებობს ამ დებულების ფრიალ უხვი დამადასტურებელი მასალა, რომლის დამახასიათებელ ნაწილსაც ქვემოთ გავეცნობით.

უკანასკნელ წელს მის ნაწერებში კიდევ მეტად გაიფურჩქნა ტროცკისტული „თაიგული“. ქიქოძე მოხერხებულად, ფარულ ფორმებში იყენებდა „ლიტგაზეთის“ რედაქტორის საპატიო პოსტს კონტრ-რევოლუციონურ-ტროცკისტული იდეების გასაპარებლად, ანტიპარტიული პოზიციების გასამტკიცებლად, ახალგაზრდობის ნაწილში გამხრწნელი მუშაობის საწარმოებლად. ამისთვის ქიქოძე მიმართავდა თვალთმაქცობის ნაცად ხერხს. ამ საჭმეში ქიქოძე იშვიათად დახელოვნებულია.

პარტიული და აქედან ლიტერატურული ოპოზიციების ბრძოლის უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ქიქოძეს მრავალი „მონაწილეობით“ განცხადება (სიტყვიერი და დაბეჭდილი) აქვს გაკეთებული. განცხადებების შემდეგ ქიქოძე ყოველთვის აგრძელებდა ძველი პოზიციებისათვის ბრძოლას, ხან უფრო რთულსა და ფარულ ფორმებში, ხან კიდევ უფრო აშკარა სახითაც. ასე გრძელდებოდა უკანასკნელ ხანებამდე. „კრიტიკულ“ მომენტებში ქიქოძე გრძელ-გრძელ განცხადებებში ფიცულობდა ყველაფერს, პარტიისათვის თავდადებას გეპირდებოდა და იქვე პარალელურად და მეორე დღიდანვე საწინააღმდეგო საკმევებს აკეთებდა.

უკანასკნელად მან წერილობითი განცხადება გამოაქვეყნა გაზ. „კომუნისტის“ 1932 წლის 14 თებერვლის ნომერში, სადაც სწერდა:

„განსაზღვრულ პერიოდში მე წარმოვადგენდი ამხ. აღ. პეზიონსკისთან, ილ. ვარდინთან და სხვ. ერთად გ. წ. „მემარცხენე“ ნაპოსტოველობას. ეს მიმდინარეობა უძველად წარმოადგენდა ლენინგრადის (ზინოვიევი) პარტ-ორგანიზაციის გამოძახილს ლიტერატურაში“.

შემდეგ ქიქოძე დაასკვნის, რომ ყველა ლიტერატურული ოპოზიციონერი პარტ-ოპოზიციონერი არ იყო, და:

„შევიგნე თუ არა, რომ ჩენი ლიტერატ. „მემარცხენეობა“ „ლენინგრადის ოპოზიციის“ გამოძახილს წარმოადგენდა — მაშინვე გაესწყვიტე კავშირი ამ ლიტერატურულ მიმართულებასთან“.

უკანასკნელმა წლებმა დაამტკიცა, რომ ეს მართალი არ იყო. ამ განცხადების პერიოდშივე ქიქოძემ გამოაქვეყნა წიგნაკი „За большевистский художественный метод“, რომელიც კომაკადემიის ორგანომ შეაფასა, როგორც თავიდან ბოლომდე „ლიტფრონტული“, მენშევიკური დებულებების შემცველი, როგორც ცილისწამებით აღსავსე თავდასხმა პროლეტარულ მწერლობაზე. ქიქოძე ამ პერიოდშიაც და შემდეგაც ფაქტიურად გააფთრებით იცავდა „ლიტფრონტს“, სირცოვ-ლომინაძის ამ „მემარცხენე-მემარჯვენე“ ბლოკის პირდაპირსა და უშუალო გამომხატველს ლიტერატურაში.

უფრო მეტიც: 1934 წელს ქიქოძე მივიდა უფრო აშკარად ჩამოყალიბებული ტროცკისტული იდეების გამომხატვამდე და დაცვამდე.

პლატონ ქიქოძემ არა თუ გასწყვიტა კავშირი „ლენინგრადის ოპოზიციის“ გამომხატველ ლიტერატურულ მიმართულებასთან, არა თუ მის საერთო არაფერი არ ჰქონდა იმათთან, ვინც პარტიული ხაზითაც გამოხატავდა ამ ოპოზიციას, არამედ ამ განცხადების შემდეგ მან უფრო მეტად შეამჭიდროვა მათთან კავშირი, უპირველეს ყოვლისა ამ ოპოზიციის სწორედ „პარტიული“ ხაზით გამომხატველ თვალსაჩინო წარმომადგენლებთან. პირველ რიგში ეს შეეხება ილ. ვარდინს. მიუხედავად მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომელნიც მიზნად ისახავდნენ ქიქოძის გამო-სწორებას, მის პარტიულ პოზიციებზე საკმით და არა „დეკლარაციით“ დაყენებას, ამ ათი წლის განმავლობაში არ მოხერხდა ქიქოძის დაცილება



ვარდინისაგან. მას მუდამ ჰქონდა ვარდინთან იდეური კავშირი, იგი სისტემატიურად იმეორებდა ვარდინიზმის აზრებს და, ამრიგად, არა მარტო საყოფაცხოვრებო, არამედ იდეურ კავშირსაც არ სწყურებდა მასთან.

უკანასკნელ წელს, ქიქოძემ დაიწყო აქტიური „მოღვაწეობა“, რომ მიეჩქმალა ტროცკისტულ-ვარდინისტული გამოხატულებების არსებობა ლიტერატურის ფრონტზე ახლო წარსულში და ახლაც. ეს პირადი ინტერესების გამო ჩაიდინა, რადგან ის თვითონ არის ამ გამოხატულებების აქტიური, მთავარი წარმომადგენელი. ამისათვის ქიქოძემ მიმართა ისევე თვალთმაქცობის ხერხს და გამოიყენა „ლიტერატურული გაზეთი“, რომლის რედაქტორიც თვით იყო.

კიროვის მეკვლელობიდან ორი თვის შემდეგ (6 თებერვ. „ლიტ. გაზ.“, № 6) მან „ლიტ. გაზეთში“ გამოაქვეყნა მოწინავე — „ბოლშევიკური სიფხიზლისათვის“, რომელიც ვითომდა მიძღვნილია კონტრ-რევოლუციონურ ტროცკიზმის — ზინოვიეველთა გამოხატულებების წინააღმდეგ. ფაქტიურად კი ეს „მოწინავე“ ანტიპარტიული დოკუმენტია, თავიდან ბოლომდე თვალთმაქცური, რომელიც მიზნად ისახავს დაამახინჯოს ლიტერატურის ფრონტზე არსებული მდგომარეობა, მიჩქმალოს, დაფაროს და გადაარჩინოს ტროცკიზმის, ზინოვიეველების, ვარდინიზმის ნაშთები, დახატოს იგი შორეულ, უკვე დიდი ხნის წინათ გავლილ საშიშროებად. რედაქტორმა ქიქოძემ, ორი-სამი ყოველად განყენებული კანცელიარული ფრაზის გარდა, ალილუიას მსგავსი შეძახილების გარდა, ვერაფერი ვერ მონახა ტროცკიზმის დამახასიათებლად ლიტერატურის ფრონტზე. არა თუ ვერ მონახა, არამედ ნახევარ სტრიქონში მიქყლიტა სხვადასხვა ბურჟუაზიულ პარტიათა რეგისტრატორული ჩამოსახელების დროს. მან ჩამოთვალა — საქართველოში იყო ნაციონალ-დემოკრატიზმი, მენშევიზმი, სოციალ-დემოკრატიზმი, ბუხარინიზმი და სხვა და სხვა. და „თავის დროზე“-ო „გამოძახილი ვარდინისტული ლიტერატურული ჯგუფების“-ო. ეს არის და ეს. ამას მიუმატა ინფორმაცია მოწინავეში, რომ მოსკოვში მწერალთა პარტორგანიზაციამ გამოირცხა პარტიიდან ტროცკისტი, რომელსაც ვარდინთან პოლიტიკური კავშირი ჰქონდაო. შემდეგ დაასკვნის, აქაც ფხიზლად უნდა ვიყოთო. აშკარაა, თუ როგორ თავხედურად შორსაა აქ წასული კონტრ-რევოლუციონური ტროცკიზმის, ვარდინიზმის ლიტერატურაში, საშიშროების პირადი ინტერესების გამო, მიჩქმალვის ცდები. მერე, როგორი ფორმაა აღებული?

ოპოზიციის წარმომადგენლები ლიტერატურის ფრონტსაც „წყალობდენ“ თავის დროზეო, მათი გამოძახილი „გვექონდა“-ო, სხვადასხვა პარტიის რეკლიემები „იყო“-ო. ყველაფერი გადატანილია წარსულ დროში: ამჟამად პარტიის მიერ დანთებულ მთავარი ცეცხლი ტროცკისტულ-ზინოვიევისტური იდეების წინააღმდეგ განელებულია და გადატანილია საერთოდ. ცხადია, თუ რა მოსაზრებითაა ეს ნათქვამი. რედაქტორს უნდოდა დაეფარა თავისი წარსული და ამ წარსულიდან გამომდინარე „მოღვა-

წეობა“. მას უნდოდა გვერდი აეარა იმ გარემოებისათვის, რომ იგი ვარდინთან ერთად საქართველოში ოპოზიციონური ჯგუფის მთავარი წარმომადგენელი იყო, დაეფარა ის, რომ იგი სისტემატიურად მშრომლობდა პარტიულ პოზიციებიდან, ანვითარებდა და ბეჭდავდა ტროცკისტულ-საპარტიულ აზრებს ლიტერატურის ფრონტზე; უნდოდა დაეფარა ის, რომ იგი ახლაც არ ელევა ამ ტვირთს და ამ ანტიპარტიულ აზრებს ლიტერატურული კრიტიკის საშუალებით უხვად იმეორებდა და თავის სათანადო თანამებრძოლებს ალაპარაკებდა და ბეჭდავდა. რედაქტორი ქიქოძე ამჯობინებდა ელაპარაკა საერთოდ მოსკოველი ლიტერატორის ვარდინის შესახებ, ვიდრე თავის ვარდინთან გაცილებით მეტი მნიშვნელობის მქონე პოლიტიკურ კავშირზე.

ვარდინისტი ქიქოძე თვალთმაქცურად დეკლამატორობს პარტიის ხაზისათვის თავდადებაზე, ბოლშევიკურ სიფხიზლეზე. მაგრამ მისი „სიფხიზლე“ რომ მხოლოდ დეკლამაცია იყო, ამას გაზეთის იგივე ნომერი ამტკიცებს. „ბოლშევიკურ სიფხიზლისათვის“ მიძღვნილ მოწინავეს გვერდით ეს რედაქტორი ბეჭდავს კონტრ-რევოლუციონურ სურათს — „კლასიური მტერი გასროლის წინ“. ცხადია, ახლანდელ სიტუაციაში ეს მტერი ნიკოლაევია. როგორაა დაბატული ეს საზიზღარი მტერი. ამ სურათზე იგი გიგანტური ძალით, დემონური სიმძაფრით, მაგრამ, საერთოდ, გმირულ-რომანტიული ელფერით უტევს მანეკენების მსგავს კომუნისტებს. მხატვარს, — შეუგნებლად, ალბად, მაგრამ ეს მდგომარეობას არ სცვლის — არაფერი არ დაუკლია იმისათვის, რომ ეს მკვლელი სიმპატიურად, გმირული სახის მქონედ მოეცა. „ბოლშევიკური სიფხიზლისათვის“ მებრძოლი რედაქტორი კი მას პირველ გვერდზე ბეჭდავს.

ქიქოძე თვალთმაქცური ოინებით ცდილობდა შეენელებია და დაეჩლუნგებია ჩვენი ყურადღება კონტრ-რევოლუციონურ ტროცკიზმ-ვარდინიზმისადმი. ამ მიზნით იგი ცალმხრივ ცეცხლს ანთებდა გაზეთის ამავე ნომერში. ტროცკიზმის გამოხატულებად ლიტერატურაში ის ასახელებდა პოეტ გ. შატბერაშვილის ლექსებს. ქიქოძე საერთოდ ამ უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში „ებრძოდა“ მხოლოდ და მხოლოდ შატბერაშვილს. მისი მთელი გულისყური მიმართული იყო იქითკენ, რომ ტროცკიზმის ყოველგვარი გამოხატულება და საერთოდ კლასობრივი მტრის გამომგლანების საშიშროება, დაეყვანა შატბერაშვილის ორ ლექსამდე. ეს ცდა აშკარად ჩანს „ლიტ. გაზეთის“ ყველა ნომერში. აქაც ქიქოძეს პირადი ინტერესები ამოქმედებდა. მხოლოდ შატბერაშვილის ირგვლივ ვიებერთელა ცეცხლის დანთება მას სჭირდებოდა თავისი და თავის ჯგუფის წევრთა ტროცკისტული განწყობილებების დასაფარავად. შატბერაშვილი მისთვის მეხთა მრიდის როლს ასრულებდა. ჩვენმა პრესამ დროულად მიაქცია ყურადღება შატბერაშვილის ტროცკისტული და კულაკური იდეებით გატენილ ლექსებს, საც იმას ნიშნავს, რომ ამ შაგალითზე უფრო ფართოდ უნდა გადავავლოთ თვალი ლიტერატურის

ფრონტს, განსაკუთრებით ახალგაზრდობის შემოქმედებს. ქიქოძისათვის სწორედ ეს არ იყო ხელსაყრელი და ამიტომაც ის შატბერაშვილით იწყებდა და შატბერაშვილით ამთავრებდა კლასობრივ ბრძოლას მწიგნობარებაში.

გარდა ამისა, თვით შატბერაშვილის ასეთი იდეებითი დაწესებულებების წარმოშობაში თვითონ ქიქოძეს აქვს შეტანილი დიდი წვლილი. შატბერაშვილის ლექსის — „წერილი ახალგაზრდებს“ იდეები ქიქოძისა და მისი ჯგუფის იდეებია. ამ ლექსში აწმყოსა და მომავლის დაპირდაპირებაა. ეს კი ქიქოძის რომანტიზმის მთავარი ხაზია. ქიქოძისა და შატბერაშვილის ახალგაზრდები წარსულიდან მომავლის ახალგაზრდებს უშვერენ ხელს, აწმყოს, ე. ი. სოციალისტური თანამედროვეობის გამოტოვებით „მომავალში“ ეძებენ დიდ ვმირებს.

ქიქოძის რუბრიკი — შ ა ვ ვ უ ლ ი ძ ე „სიტყვა და საქმეში“ (№ 5, 1934 წ., ქიქოძის რედაქტორობის დროს) მიმართავს თანამედროვე კომკავშირელ ქალს, ანუ გეგმებს მას „მომავლით“ თუ აწმყოში დაიღუპება.

ქიქოძე და მისი კრიტიკოსი გველაპარაკებიან, რომ „იქ“, მომავალში ოდესღაც „დადგება გაზაფხული“-ო; იქ „ხომ იყვავილებს ჩვენი ოცნება?“ მაშასადამე, ახლა გაუშლელი, დამკვნარი, განხორციელებისაგან შორს მდგარი ოცნება. და აი სწორედ ამ გაზაფხულის დადგომის დროს, იმ მომავალში უწოდებს ხელს თანასწორ ასაკის ამხანაგებსო, — ეუბნება „სიტყვა და საქმე“, რომელსაც რედაქტორობდა ქიქოძე. ასეთი აზრებით „ამშვენებდა“ მისი თანამებრძოლი, კომკავშირის ქურქში გახვეული ობივატელი შავგულიძე თანამედროვე კომკავშირელ ქალს.

ცხადია, ამ აზრებს ბოლშევიზმთან საერთო არაფერი არა აქვს. ეს ტროცკისტულ-მენშევიკური, ფაქტიურად კულაკური ახალგაზრდობის განწყობილებაა.

შატბერაშვილმა ქიქოძე-შავგულიძის ასეთი აზრები გალექსა ქიქოძისავე უშუალო დაკვეთით და დასწერა „წერილი ახალგაზრდებს“. ამ ლექსში სიტყვა-სიტყვით ვკითხულობთ ზემოთ მოყვანილ აზრებს, რითმებად ჩამოსხმულს:

„დავდივართ ქვეყნად... ასე შევხარით,  
ვეტრფიალებით მომავლის აჩრდილს

და ახალგაზრდებს სულით ჩვენგარებს  
შეგზედებით სიღმე დიდ მომავალში“.

ერთის შეხედვითაც ნათელია ზემოდ მოყვანილი წერილისა და ამ ლექსის სრული იგივეობა. ერთი ამბობს, „იქ ხომ დადგება გაზაფხული, ხომ იყვავილებს ჩვენი ოცნება“-ო. მეორე ამბობს, „ვეტრფიალებით მომავლის აჩრდილს“-ო. ერთი ამბობს „შენ ხელს უწოდებ თანასწორო ჰასაკის ამხანაგებს მომავლიდან“-ო, მეორე ამავე აზრს საკუთარი სიტყვებით იმეორებს:

„და ახალგაზრდებს სულით ჩვენ გვარებს  
შეგზავდებით სადმე დიდ მომავალში“-ო.



ასეთი იგივეობა არსებობს ქიქოძე-შავეულიძის აზრებსა და მამია მჭედის-შვილის პოეტურ პროდუქციას შორის. ასე ახლოს აღმოჩნდა „საბჭოთა სპორტის“-ლის იდეების ფესვები. ამრიგად, შატბერაშვილი პოეზიაში ანბორციელებდა და იმეორებდა ქიქოძე-შავეულიძის აზრებს.

პირიქითაც ხდებოდა. მაგალითად, შატბერაშვილის ამავე ლექსიდან „შავეულიძემ თავის შემდგომ „კრიტიკულ მოღვაწეობაში“ „გაიმედირა“ თავისი არსენალი. შატბერაშვილი წერს:

„დავდივარ ქვეყნად,  
შეგცქერი ზეცას,  
გზა გაშლილია არა ვარდების,  
არა დაფნებით“

შემოდგომაზე დაკარგულ ფოთლებს  
ვარდობის თევში გაშლიან ხენი“.

დაიწყო ქიქოძემ ტფილისში „ლიტ. გაზეთის“ რედაქტორობა და შავეულიძემ პირველსავე ნომერში („ლიტ. გაზ.“ 1934 წ. 30 სექტემბერი) მოათავსა „საპროგრამო“ წერილი ახალგაზრდობაზე, წერილი საესეა შატბერაშვილიდან წამოღებული აზრებით და გამოთქმებითაც კი.

შავეულიძე წერს:

„ისტორია არ გვიშადებს კმაყოფილების ვარდისფერ დღეებს... ჩვენ ბენიერ ვართ მოვიყვანოთ ის გაზაფხული, ლირიკას რომ გაღურჩქენას, შეგქმნათ ის ცხოვრება, ყვავილებს რომ დაუწყებენ კრეფას“ და სხვ.

ერთი წრე, ერთი და იმავე იდეების წყება. ეს აერთიანებს ურთიერთისაგან დაეალებულ ამ ახალგაზრდებს, დაწყებული რედაქტორიდან და გათავებულ პოეტით და „კრიტიკოსით“.

ამავე იდეების წრეს „ამიდირებდა“ ქიქოძის აქტიური თანამებრძოლი დ. ბენაშვილი, როდესაც 1933 წელს კ. კალაძის „უჩარდიონის“ წინასიტყვაობაში სწერდა „კლასთა დაღუპვის საფუძველზე აღმოცენებულ სოციალურ ტრადედია“-ს შესახებ. კულაკობის ლიკვიდაცია ბენაშვილს სოციალურ ტრადედიად მიაჩნდა და სწერდა რომ: „ქარლო კალაძის „უჩარდიონი“ 1933 წლის საგანთადაო ძახილია, რომელიც აღვიძებს მთელ თაობას ახალ ბრძოლებისათვის“; ბენაშვილი-შავეულიძე და პოეტი შატბერაშვილი ერთი ენით ლაპარაკობენ.

განსაკუთრებული საკითხია ის, რომ ქიქოძემ, მეტის ვადარჩენის მიზნით, „გაიმეტა“ თავისი ტროცკისტული აზრებით მოწამლულ ახალგაზრდობიდან პოეტი შატბერაშვილი და ყველაფერი მის კრიტიკაზე უნდოდა გადაეტარებია.

მეორეს მხრივ პლატონ ქიქოძე ყველაფერს სჩადიოდა იმისათვის, რომ დაეფარა, გაეპარებია, გაემართლებია და ფაქტიურად დაეცა აშკარად კონტრ-რევოლუციონური ტროცკისტული იდეები — მომხრეობა სოციალისტური სინამდვილის დაპირისპირების თეორიების მიმართ. გამომვლავნდა ფრ. ნაროუშვილის უკანასკნელ ნაწარმოების მაგალითზე.

მის კონტრ-რევოლუციონურ ტროცკისტულ თეორიებს პოეტურად ალამაზებდა ფრ. ნაროუშვილი. ასეთია პოემა: „არწივი ტოვებს მშობლიურ ბუდე“, რომელიც დაიბეჭდა 19 დეკემბერს, 1914 წ. ვახეთ „ლენინელში“, ზესტაფონის რაიკომის ორგანოში. ამ ნაწარმოებში ნაროუშვილს არწივებად გამოყვანილი ჰყავს ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი და სხვ. იგი უმღერის მათ, ცხადია, რთულსა და თვალთმაქცურ ფორმებში, მაგრამ მაინც აშკარად და ფრიად გასაგებად. მასშივეა ტროცკისტული ცილისწამება ვადაგვარების შესახებ, ის რომ ჩვენს ქვეყანაში ნამდვილ არწივებს უხდებიათ მშობლიური ბუდის დატოვება, რომ ისინი სიბრძნემ აწამა, როს მათ რობესპიერივით, მარატეივით, პუგაჩოვივით მემამბოხეებს თავებს კვეთენ და სხვ. ერთის სიტყვით, ეს ნაწარმოები აშკარად და უდავოდ საზიზღარი ტროცკისტული აზრებით მოწამლული პასკვილია.

ნაროუშვილი, ყოველთვის „მემარცხენე“ მერყეობის ტალღებში მყოფი, ვარდინისა და ქიქოძის იდეებითაა „გამოწრთენილი“. ამ ნაწარმოების იდეები ქიქოძისათვის აბლომელი იდეებია. მისი პროზაული ვარიანტი შავგულიძის წერილის სახით („ფიცი უცნობი ამხანაგის საფლავზე“), ქიქოძემ რამდენიმე თვით ადრე დაბეჭდა „ლიტერატურულ გაზეთში“.

პოემისა და წერილის ბევრი იდეა ემთხვევა ერთმანეთს.

შავგულიძე „აღწერს“ სამოქალაქო ომების გმირობას:

„ებლაც მესმის ზარბაზნების ყურ ქუჩილი, ვხუჯავ თვალებს და ვხედავ წიფელი გვარდიის მწყობრების ელვარებას.

კარგათ ვაფიგეთ, რომ მაშინ აკენეტლით ტუტებს, რომ არ გეტრიათ. არ გეტრიათ თქვენ მამაც ჯარისკაცებს“...

ნაროუშვილიც „აღწერს“ სამოქალაქო ომს:

„როდესაც ყველგან სისხლი გედოდა,

გერავინ თვლიდა ჩვენ ჭრილობებს,

მზე სისხლიანი ამოდიოდა, —

ჩვენ ყურს უკდებდით მაშინ ყრილობებს“...

სამოქალაქო ომის გმირული ეპოქის ჩვენება არც კრიტიკოსის, არც პოეტის მხრივ არაფერს, გარდა კმაყოფილებისა, არ გამოიწვევდა, რომ ორივეს სამოქალაქო ომის რომანტიკა არ სჭირდებოდეს აწმყოს ბნელ და მძიმე პერიოდად გამოსაცხადებლად და „მომავალში“ აწმყოს გარეშე გადასახტომად, ტროცკისტული იდეების გამომზეურებისათვის.

გარდა ამისა, ორივეს ამ სამოქალაქო ომის გმირობაშიც შეემატა ტროცკისტული, თეატრალური პოზიირობა, ნაცვლად კემშირბიტის ბროლიტარული თავგანწირვისა.

კრიტიკოსი სწერს თავის სამოქალაქო ომის გმირზე, რომ მან „იცოდა, რომ ავტოლებლიდ დაღუპვა მოელოდა, თუ წავიდოდა, მაგრამ მაინც წავიდა“.....

პოეტი სწერს თავის მეტრძოლ არწივზე:

„არწივს ორი რამ აქვს განზრახული — დაიღუპოს ან სძლიოს აედარი“.

მეორე და მთავარი მდგომარეობს იმაში, რომ „ლიტერატურული გაზეთიც“ და ფრ. ნაროუშვილიც აწმყოს, სოციალისტურ სინამდვილეს სახავენ შიშიმე პერიოდად, ტანჯვის, ტკივილის, განსაცდელის ხანად და მას უპირდაპირებენ მომავალს, რალაც მოლოდინს, მისტიურ ბრძოლას მომავალში. ცხადია, ამ აზრებს თვალთმაქცურ ფორმაში ახევევენ, თითო-ოროლა „რევოლუციონერ“ სიტყვას ხარჯავენ, მაგრამ ძირითადი აზრები პირწავარდნილი ტროცკისტულია, ისინი სავსეა ცილისწამებებით ჩვენი მდიდარი და ნათელი სოციალისტური სინამდვილის მიმართ.

„ლიტ. გაზეთი“ სწერს:

„ჩვენ მხოლოდ შესანიშნავი წინასიტყვაობის შექმნა მოვასწავით. ნამდვილ გზოსი კი ისევ წინ არის. მოვა ამის დრო ხვალ, ზეგ, იმის იქით“...

ეს წერილი ახალგაზრდობაზეა დაწერილი. მასასადამე, სიტყვა „ჩვენ“ აქ ახალგაზრდობას გულისხმობს. საერთოდ ამ წერილშიაც და სხვაგანაც, „ლიტ. გაზეთის“ წერილებში, აშკარად გამოსკვივის არა ლენინური, არამედ ტროცკისტული მიდგომა ახალგაზრდობისადმი; ახალგაზრდობა რევოლუციის მესაჭეაო, სახელდობრ — ებოსის გმირი, და სხვ. ეს არა მარტო აენაგარდინშია, არამედ რეალიზაციაა ტროცკის ცნობილი პროვოკაციული აზრის — „ახალგაზრდობა რევოლუციის ბარომეტრია“-ო. მაგრამ ზემოდმოყვანილ ციტატაში ყველაზე მეტად საინტერესო ის არის, რომ ჩვენი გრანდიოზული სოციალისტური მშენებლობა მხოლოდ „წინასიტყვაობად“ არის გამოცხადებული (წინასიტყვაობაში შეიძლება სამოქალაქო ომიც იგულისხმოს), ნამდვილი სოციალისტური ეპოსი კი დაწყებულადაც არ მიაჩნიათ. ამის დრო მოვა „იმის იქით“-ო.

რადენად ძლიერად ჰგავს ეს „აზრები“ ტროცკის აზრებს, რომელიც სწერდა, რომ ეხლა ერთდღიური შესვენება გვაქვს-ო, ჩვენი სამეურნეო-კულტურული მუშაობა, მხოლოდ თავის-თავის წესრიგში მოყვანა არის და ჩვენი ეპოქა ახალი კულტურის ეპოქა კი არა, არამედ მხოლოდ მასში შესავალიაო.

ბევრი აღარაფერი აკლია ტროცკის ამ აზრების „ლიტ. გაზეთის“ მიერ სიტყვა-სიტყვით ვადმოწერას. იდეური იგივეობა ნათელია. ტროცკისათვის ყველაფერი მომავალშია (პერმანენტული რევოლუციის თეორიიდან გამო-

მდინარე), მისი ბუნებისათვის მიუწევდომელი იყო აწმყო სიღრმე და განუსაზღვრელი მნიშვნელობა მომავლისათვის.

1934 წლის დამლევს „ლიტ. გაზეთსაც“ ყველაფერი მნიშვნელოვანი გადაქცეს: მას ტროცკივით არ უნდა გაიგოს სოციალისტური აწმყო სტრუქტურული მნიშვნელობა, რომ მომავალი უკვე აწმყოში იჭედება, ეპოსი იშლება და, ტროცკისტულად დაბრმავებული, მათ მიერ წარმოდგენილ „მომავლის“ ცალიერ სივრცეს გასცქერის.

ტროცკი ჩვენს ეპოქას უწოდებს „შესავალს“, „ლიტერატურული გაზეთი“ — „წინასიტყვიობას“. ეს ერთი და იგივეა. ასე ნაგვიანებად, მაგრამ პედანტური სიზუსტით იმეორებენ ქიქოძე-შავგულიძეები კონტრ-რევოლუციონური ტროცკიზმის დებულებებს.

„ლიტ. გაზეთი“ არ ისვენებს და იმავე წერილში უფრო მწვავედ ანვიტარებს ტროცკისტულ აზრებს:

„ისტორია არ გვიმზადებს კმაყოფილების ვარდისფერ დღეებს... საჭიროა თოფის წამალი მზრალად იყოს შენახული, ჩახმაზი ფეხზე იყოს შეყენებული. ჩვენ ბუნდური ვართ მოვიყვანოთ ის გაზაფხული, ლირიკას რომ გაფურჩქნის, შევქმნათ ის ცხოვრება, ყვეილებს რომ დაუწევებენ კრფას. ასეთია ლოგიკა. თვითონ ცხოვრება მოითხოვს რახმეტოვის ლურსმნებს. აქ იქნება ტვივოლები. ჩვენ ამას ავიტანთ. ცეცხლით გამოცდა. გაუძლებთ! მამ რილასთვის ვარსებობთ?“

მოვაცილოთ ამ „აზრებს“ ვარდები და ყვავილები. ისინი მოთრეულ-კონტრ-რევოლუციონური „სურნელების“ დასაფარავად. მაშასადამე, გერგაზაფხულიც არ ყოფილა და ის უნდა მოიყვანოს ქიქოძე-შავგულიძის მსგავსმა ახალგაზრდობამ: „ჩვენ ის ახალგაზრდობა ვართ, ნადირის რძით რომ გავგზარდა მშობელმა ქვეყანამ“.

ამავე წერილში ამ სიტყვებით ახასიათებს შავგულიძე თავის მსგავს ახალგაზრდებს; თურმე მათი იმედი ჰქონია პროლეტარულ რევოლუციას. ცხადია, ასეთი აზრების მატარებელ, ნადირის რძით აღზრდილ ახალგაზრდობას ლენინის, სტალინის მოდგმის ახალგაზრდობასთან საერთო არაფერი აქვს. ამ ისტერიკაში ტროცკის მოწამლული აზრებია მრავლად.

ჩერნიშევსკის რომანის „რა ვაკეთოთ“ გმირმა რახმეტოვმა საწოლის ფიცრებში ლურსმნები ჩასჰედა და მათ წვერებზე დაწვა. იგი რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში იტანჯებოდა, სისხლისაგან იცლებოდა. ის თავის თავს, თავის ფიქრით, იკაჟებდა. შეიძლება ამ მდგომარეობის გადმოტანა პროლეტარიატის ძლევაშისილი გამარჯვების ეპოქაში? ცხადია, არა. ობიექტურად, ტროცკისტული ცილისწამება იმის თქმა, რომ „თვითონ ცხოვრება მოითხოვს რახმეტოვის ლურსმნებს“-ო.

ეს წერილბურჟუაზიული, ტროცკისტული ისტერიკაა, რომელსაც საერთო არაფერი არა აქვს ბრძოლებისათვის მზად ყოფნასთან, სოციალიზმის მშენებლობაში მონაწილეობასთან. ეს მონაწილეობა ტანჯვა, ლურსმნებით დაჩხვლეტა კი არ არის, არამედ საგმირო, სასიხარულო, საამაყო საქმეა. ქიქოძე-შავგულიძეებს კი პირიქით ჰგონიათ. მათი აზრით, კარგი,

სოციალისტური, გაზაფხული, სიხარული — ყველაფერი მომავალი იქნება; ახლა კი სიბნელეა, გაზაფხულიც კი არ არის, სისხლიდან დაკლავა, რახმეტოვის ლურსმნებია.

რალა ვასაკვირველია, თუ ასეთმა აზრებმა ნიადაგი მოჭმუნადეს შატბერაშვილს და შემდეგ პოეტ ნაროუშვილს კონტრ-რევოლუციონური ნაწარმოების დასაწერად?! ნაროუშვილი პოეტურ ფორმაში ლოგიკურად ამოლოვებს ქიქოძე-შავგულიძის დებულებებს. მან გალექსა „ლიტერატურული ვაჭეთის“ წერილები და მივიღეთ „არწივები სტოვებენ მშობლიურ ბუღეს“.

ასე უმსგავსოდ და პირდაპირი მიმართულებით განავითარა პოეტმა ქიქოძის აზრები. მივიღეთ ის, რომ, მათი აზრით, ჩვენი დრო გადაგვარებაა, ნამდვილ არწივებს რომესპიერივით, მარტივით ლუბავენ და მომავალი ბრძოლისათვის უნდა ეემზადოთ.

შავგულიძის ერთ ეს ტროცკისტული „მომავალიც“ გადაიტანა თავის ნაწარმოებში პოეტმა ნაროუშვილმა.

იდეა და სწრაფვა, სახეები და პოლიტიკური აზრი ერთი და იგივეა. ასეთ ნაწარმოებთა შექმნისათვის მზადება ქიქოძემ დიდი ხანია დაიწყო.

ჯერ კიდევ გასულ წელს ქუთაისში, „სიტყვა და საქმეს“ რედაქტორობის დროს, ამავე შავგულიძეს აწერიებდა იგი ტროცკისტულ დებულებებს მათებური „მომავლის“ შესახებ:

„იჩვევით ჯოჯოხეთური ნაპრალეა. იქ კი, სულ ზემოდ, განთიადის ბურუსში ციმციმებს სოციალიზმის მზე“.

ამ კონტრ-რევოლუციონური დებულების პოეტურ გამოხატულებას ამოვიკითხავთ ნაროუშვილის იმავე ნაწარმოებში.

ჩვენ ხშირად მოგვყავს ციტატები შავგულიძის წერილებიდან. ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ მას რაიმე იდეური დამოუკიდებლობა ჰქონდეს. გარდა იმისა, რომ ამ აზრებს ქიქოძე სავსებით იზიარებს რადგან ბეჭდავს მათ უკომენტარიოდ, ისინი თავიდან ბოლომდე გამომდინარეობენ ქიქოძის დაბეჭდილ წერილებიდან. „განთიადის ბურუსიც“ რომ ბურუსია, ისიც კი სიტყვა-სიტყვით ქიქოძის წერილიდანაა გადმოღებული. ქიქოძე 1933 წ. ერთ წერილში სწერდა (შემდეგ ეს წერილი 1934 წელს გამოქვეყნებულ წიგნში შეიტანა) შემდეგს:

„არის ბურუსიც და ბურუსიც! არის ბურუსი ეფროსას და დაღამებინას, არის განთიადისაც, როცა მზის ამოსვლას უყურებ. ფილისტერს არ უყვარს არავითარი ბურუსი. — მას მარადიული სიწყნარე სწადა. რევოლუციონურ რომანტიკოსს უყვარს განთიადს მსუბუქი ნისლი“...

აი ასეთი მართლაც და ფილისტერული ბურუსის, „მსუბუქი“ ნისლის დაყენებით ქიქოძემ დაანაგვიანა ზოგიერთი ახალგაზრდის თავი, მაგრამ



მისი თავის ბურჟუაზი ბოლშევიზმისათვის უცხო, მანვე, პოლიტიკური ნისლითაა გაყვანილი. ასეთივეა მის მიერ ყალბად და ტროცკისტულად გაგებული „რევოლუციონური რომანტიზმი“, სოციალდემოკრატიზმისადმი, პოლიტიკურ ხაზით კი სოციალისტურ სინამდვილესთან დაპირებული. აქედან გამომდინარეობენ შავვულის ტროცკისტული წერილები და შატბერაშვილ-ნაროუშვილის მანვე ნაწარმოებები.

ნათქვამიდან ნათელი ხდება, თუ რატომ სცდილობდა ასეთი დაფინებით ქიქობე მიეჩქმალა და დაეფარა ნაროუშვილის აშკარად ტროცკისტული ნაწარმოებები. მას ეშინოდა, რომ არ გამოქვდავებულყო ამ ნაწარმოების ფესვები. მეორეს მხრით — გრძნობდა რა იდეურ ნათესაობას მასთან, სურდა იგი დაეცვა. ამიტომაცაა, რომ ასეთი უშვავსო ნაწარმოების დაბეჭდვიდან ორი კვირის შემდეგ იგი „ლიტერატურულ გაზეთში“, იმავე შავვულის ხელით, ძველებურად ჭება-დიდებით ამკობს ნაროუშვილს, კიდევ ერთხელ აცხადებს მახვილ კლასობრივ-პარტიულ პოეტად-შავვულის სწერს:

„ფრიდონ ნაროუშვილი კლასობრივი მტრის მიმართ სიძულვილის გრძობისაკენ ამახილებს ყურადღებას“. („ლიტ. გაზეთი“ 6 იანვრის 1935 წ.).

ტროცკის, კამენევის, ზინოვიევის იდეალიზაცია, ამ ხალხის აზრით, კლასობრივი მტრისადმი სიძულვილის გრძნობის ვალევიება ყოფილა.

აი ეს არის სწორედ, რომ სხვადასხვანაირია კლასობრივი მტერი. ბოლშევიკების კლასობრივი მტრები მტრები არ არიან იმ ხალხისათვის, რომელიც იდეურად გადაჯაჭვულია საკონცენტრაციო ბანაკში მსხლამ მოლაღატებთან.

ქიქობის თვალთმაქცობა მრავალნაირ ფორმაში ვლინდება. ერთი მაგალითი: 1934 წლის დეკემბრის „ლიტ. გაზეთში“ მან დაბეჭდა კიროვისადმი მიძღვნილი პოეტ გ. შატბერაშვილის ლექსი. 1934 წლის 30 დეკემბერს კი „ლიტ. გაზეთში“ კიროვის მკვლელობის გამო დაწერილ მოწინავეში ქიქობე შატბერაშვილს უწოდებს „კლასობრივი მტრის პირწავარდნილ აგენტს“.

ქიქობის აზრით — და, რაც მთავარია, როგორც მისი საქმეებიდან გამომდინარეობს, — ერთსა და იმავე პოეტს შეუძლია კონტრ-რევოლუციონერი ტროცკი და ზინოვიევი დასწეროს ლექსი და მანვე დასწეროს პროლეტარიატის და პარტიის დიდ ბელადზე — სტალინზე. კლასობრივ მტრის პირწავარდნილ აგენტს შეუძლია დასწეროს ლექსი კიროვის მკვლელების წინააღმდეგ. ქიქობეს ეს მოვლენა ბუნებრივად მიაჩნია, რადგან თვით ხელს უწყობს ამ მოვლენას და, როგორც შატბერაშვილის მაგალითზე დავინახეთ, ბეჭდვის სახით აკანონებს კიდევაც.

ან ერთი, ან მეორე — ქიქობისათვის არ არსებობს, რადგან თვითონ იგი თვალთმაქცობის ხერხებითაა შეიარაღებული. ამიტომაც ის სპეციალუ-

რად თავს უყრიდა, თავის მფარველობის ქვეშ აყენებდა ისეთ პოეტებს, რომელნიც ამგვარ მერყეობას განიცდიდნენ და უფრო ადვილად ითვისებენ ქიქოძის არა ბოლშევიკურ აზრებს. ეს „ფხიზელი“ კრიტიკის მანქანა გაზრდა პოეტის გრ. აბაშიძის შესახებ, იმის გამო, <sup>სადაც</sup> ~~სადაც~~ <sup>სადაც</sup> ~~სადაც~~ ერთი ლექსი უძღვნა „დასავლეთში რევოლუციონურ ბრძოლას“, სწერს შემდეგს:

„ასეთი ლექსი ვახარებს და ვაფიქვინებს, რომ ავტორი მართლაც ცხოვრობს მსოფლიო რევოლუციის ინტერესებით“ („სიტყვა და საქმე“ 1934 წ. ივნისი).

მაგრამ როდესაც ქიქოძემ ეს დაწერა, გრ. აბაშიძეს უკვე დაწერილი და გამოქვეყნებული ჰქონდა ისეთი ნაწარმოებები, სადაც არა თუ მსოფლიო რევოლუციის, არამედ საერთოდ რევოლუციის საქმეები და ინტერესები სულ სხვაგვარად იყო გაგებული. მის ლექსში „ახალი წელი და კარგული შაბათები“ ასეთი აზრებია:

„შინც სად გაქრენ ჩვენი ხსოვნებიდან,  
სად გადიკარგენ ეს შაბათები

მიდიან წყნარად დამშვიდებული, მიდიან  
დღური დინჯად უენებლად.

ნად მიგაქვთ ჩვენი ახალგაზრდობა, რამდენი  
კარგი დღე იღუპება“.

„ეს შაბათები წარსულში დარჩენ,  
თვალი გადაიყრის მალე ღამის ბინდს.  
დევს კალენდარი უხუთშაბათო  
და ჩვენც უცხო ვართ კალენდარივით“.

ასეთი იდეების მქონე პოეტზე ქიქოძე უყოყმანოდ ამბობს, რომ ის სცხოვრობს მსოფლიო რევოლუციის ინტერესებით. აქ ქიქოძეს „თანმიმდევრული“ ხაზი ჰქონდა. ამ ხაზის გამო მოხდა, რომ ქიქოძემ ნაროუშვილს, ამ უკანასკნელის მიერ ტროცკისტული ნაწარმოების გამოქვეყნების შემდეგ, უწოდა „მხავილი კლასობრივი პოეტი“. ასეთი კვალიფიკაციის შემდეგ ამავე რედაქტორმა ნაროუშვილს დაუბეჭდა „კლასობრივი“ პოეტისათვის „სანიმუშო“ ლექსები. ავიღოთ ამ „ნიმუშის“ ერთი მაგალითი:

„...სიბერე დრომ თუ გვიღირსა;  
ტანჯაძარცული და უგრძობელი  
დარბაზიელი მუხის ტოტები  
თუ შევიჭებით ახლის მგზობელი  
და მზოლოდ ძველის პატრიოტები, —  
შეგებბრძოლება მაშინ ქარბუქი  
საუკუნოვან სიბერეს ისე:  
გაიანდგურებს ბრძენი ჰაბუკი“.

ამ ნიმუშში, ჩვენი კლასობრიობისა და ბოლშევიკური იდეების ვარდა, ყველაფერია, მაგრამ ქიქოძის სულსკვეთებას ის საესებით ეგუება.

ყველა ამ ფაქტის განხილვის შემდეგ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მთელი ეს საქმიანობა ქიქოძის ანტიპარტიული ბუნების დამადასტურებელია, როგორ მოხდა ეს? ქიქოძე ასეთ მერყევ პოზიციას, ფაქტიურად აშკარა კონტრ-რევოლუციონურ-ტროცკისტულ პოზიციას მხოლოდ უკანასკნელ წელს დაადგა, თუ ახლო წარსულშიაც პქონდა მას ფესვები გადგმული? რატომ მფარველობდა ის ტროცკისტულ ნაწარმოებებს? რატომ უქმნიდა ნიადაგს მათ წარმოშობას? რატომ სწერდა თვით და სხვებსაც აწერიებდა ანტილენინურ დებულებებს და, როგორც რედაქტორი, ოდნავ შენიღბულს ბეჭდავდა მათ.

ლენინი სწერდა:

„შეძლებულია საესებით ვერცე რაიმე შეცდომაში, თუ არ გამოსძებნე იმ ადამიანის შეცდომების თეორიული ფესვები, ვინც ამ შეცდომებს უშვებს, გამოუმინარე იმ განსაზღვრულ დებულებიდან, რომლისც იგი შეგნებულად იღებს“.

(ლენინი, ტ. 18, ნაწ. 1, გვ. 57).

უეჭველია, ამ თეორიული ფესვების გამოძებნის გარეშე ჩვენ ვერ გავიგებთ ქიქოძის ანტიპარტიული სახის ჩამოყალიბების მიზეზებს; ვერ გავიგებთ, თუ რატომ იღებდა იგი შეგნებულად ანტიბოლშევიკური დებულებების მთელ წყებას და რატომ ეწეოდა შეგნებულად მათ სისტემატიურ პროპაგანდას.

ვერც იმას გავიგებთ, თუ რატომაა, რომ ქიქოძეს აქვს არა შეცდომები, არამედ ანტილენინური, ბოლშევიზმისათვის უცხო და მტრული დებულებების მთელი წყება, მთელი სისტემა.

ქიქოძემ ფართო ხაზით მუშაობა დაიწყო 1925 წელს, იგი ლიტერატურული კრიტიკოსია. კომუნისტური ლიტერატურული კრიტიკა კი თავიდან ბოლომდე პოლიტიკითაა გაელენთილი. კრიტიკოსი პლატონ ქიქოძის პოლიტიკური დებულების მთავარ წყაროდ 1925 წლიდანვე გადაიქცა ტროცკიზმი, საბოლოო ანგარიშში — მენშევიზმი. მან არსებითად გვერდი აუარა ლენინისა და სტალინის გენიალურ ბოლშევიკურ თეორიულ არსენალს და ტროცკისტულ-მენშევიკური იდეების ნამსხვრევებით დაიწყო კვება. ამიტომ იყო, რომ იგი მთელი ათი წლის განმავლობაში სისტემატიურად, ორგანიზაციულად უკავშირდებოდა ტროცკისტულ ოპოზიციონურ ლიტერატურულ ჯგუფებს; ამიტომაა, რომ ხშირად მის ნაწერებში შეგზვდებათ ისეთი ადგილებიც კი, რომლებიც ტროცკისტულ პროკლამაციებიდან ვადმოწერილსა ჰგავს.

ამ ფაქტებში არაფერი განსაკუთრებულად გასაკვირველი, მოულოდნელი და წარმოუდგენელი არ არის. თუ პარტიის რიგებში აღმოჩნდნენ ისეთები, კლასობრივი მტრის გავლენაში მოქცეულნი, რომელნიც საბო-

ლოოდ გადაგვარდენ და კონტრ-რევოლუციონური ტროცკიზმის ბანაკიდან ბოლშევიზმს დაუბირდაპირდენ, რატომ იქნება წარმოუფერებელი და მოულოდნელი ლიტერატურის ფრონტზედაც აღმოჩნდეს, გადაგვიყვანოს ასეთი შემთხვევა? ასეთი მოვლენები ჩვენ ვიცით რუსული ლიტერატურის ფრონტზე. გამონაკლისს არც ქართული ლიტერატურა წარმოადგენს. მით უმეტეს, რომ ქიქოძის წვრილბურჟუაზიული ბუნტარობა და ტროცკისტულ წრებთან იდეური კავშირი ყოველმხრივ უწყობდა ხელს ასეთ გადაგვარებას.

გავეცნოთ ქიქოძის პოლიტიკურ-ლიტერატურული მუშაობის ფაქტორს, მისი ტროცკისტული პოზიციების დამადასტურებელ, მასალას. ქიქოძეს მუდამ უკიდურეს ბოლშევიკად მოჰქონდა თავი. იგი ორტოდოქსალობას ჩემულობდა და პარტიისადმი ერთგულებას ფიცულობდა. ხშირად მიმართავდა ზოგად „პარტიულ“ დეკლამაციას, მაგრამ მისი არსებითი დებულებები და იდეური სწრაფვა ნაკლებ უკავშირდებოდა ბოლშევიზმის დიად იდეურ ტრადიციებს. ეს სავესებით დამახასიათებელია წვრილბურჟუაზიული რადიკალიზმისათვის. ავილოთ ქიქოძისათვის დამახასიათებელი მასალის, მისი სიმრავლის გამო, მხოლოდ ერთი ნაწილი, ტიპური და სხვადასხვა წლებისათვის საკვანძო. ეს აგვიხსნის ქიქოძის უკანასკნელი წლის ანტიპარტიულ ნაბიჯებსაც.

1925 წელს ქიქოძემ ილ. ვარდინის წინასიტყვაობით გამოსცა ბროშურა „პროლეტარული ლიტერატურისათვის“. ვარდინი ამ წინასიტყვაობაში უხერხემლოდ სვამს „პრობლემას“ — მოსწონს თუ არ მოსწონს პროლეტარიატს თავისი დიქტატურა. პროლეტარიატი:

„ამყარებს თავის დიქტატურას იმიტომ კი არა, რომ მას მაინც და მაინც ბატონობა მოსწონს“ (ვარდინი).

ქიქოძემ თავისი მასწავლებლის პრობლემა განსაზღვრულ პერიოდში განიმეორა იმავე უხერხემლო ხაზით.

პროლეტარიატს დიქტატურა არ უყვარსო. ცხადია, თუ რამდენად ფუჭია ვარდინ-ქიქოძის მსჯელობაში მენშევიკური ლაყბობა — უყვარს თუ არ უყვარს პროლეტარიატს დიქტატურა. მენშევიზმის წყაროები ამ ბროშურაშივე ეტყობა ქიქოძეს.

იგი სწერს:

„იშვიათია ინტელიგენტის, თუ გინდ პოლიტიკოსის ისეთი ტიპი, რომელიც პოეზიით არ იყოს იტრუხებული. მართლაც მენშევიზმი პოლიტიკური პოეზია არის.

ქიქოძე არ სჯერდება ამ წმინდა მენშევიკურ აზრებს და ფრთხილ თორმებში გვაპარებს ტროცკისტულ ბუზღუნს „ნების“ პერიოდში რევოლუციის ტემპის შენელების შესახებ, ლირიკით გართობის აუცილებლობის შესახებ და სხვ.

1926 წელს გამოცემულ ბროშურაში — „შემოქმედება თვით-მკვლელობა“ ქიქოძე ტროცკისტულ დებულებებს უფრო მეტად ანვითარებს, აღრმავებს და აშკარად აქვეყნებს. იგი სწერს: *არქონსაჲსი გიგლსიქონსაჲსი*

„ანცელარულობა და ბიუროკრატიზმი მძლავრად უშვებს კლანკებს, ფებს იმპერებს — ობივატელობა და წერილმანი ანგარიშები.“

ცხადია, ეს სისაძაგლე ტროცკისტულ პროკლამაციებიდანაა გადმოწერილი. ეს ცილისწამების მწვერვალია და კონტრ-რევოლუციონური ჭკუადამთხვეულობის ნიშანი. ამ აზრების კრიტიკა ზედმეტია. ასეთ „აზრებთან“ ბოლშევიკები არ კამათობენ.

დაადგა ერთხელვე რა ტროცკისტული ცილისწამებისა და ტროცკიზმის ყოველმხრივი შეთვისების გზას, ქიქოძე არ ისვენებს, ვითარდება ამ ხაზით, იშველიებს და აღრმავებს ვარდინის აზრებს, რაც მდგომარეობს იმასში, რომ პროლეტარიატის დიქტატურაზე აღმორცნებელი ცხოვრებით კმაყოფილი არ უნდა იყოს; პროლეტარიატის მიზანი არაა სოციალისტური საზოგადოების შექმნა (დემავოგოურად „კლასობრივს“ უმატებს); ახალყოფა-ცხოვრებაში კი არაა სოციალიზმის ფუძე და სოციალიზმის დიდი შენობის მშენებლობის ფაქტი, — არამედ იგი მხოლოდ საშუალებაა, გარდამავალი საფეხურია კაპიტალიზმსა და „ზორეულ“, „მოსალოდნელ“ სოციალიზმს შორის. ასეთია ქიქოძის იდეების პოლიტიკური შინაარსი.

კონტრ-რევოლუციონური ტროცკიზმი და პირწავარდნილი მენშევიზმი ღალატებს ქიქოძის სტრიკონებში. ქიქოძე კიდევაც ასკვნის ლოდიკურად: ჩვენი სინამდვილე არ არის საკმარისიო. მაშასადამე, უნდა ვებრძოლოთ ასეთ სინამდვილეს. უნდა ვებრძოლოთ იმ პარტიასაც და პროლეტარულ საზოგადოებრივობასაც, რომელნიც ასეთ პერიოდს ქნინან. ტროცკიზმის ლოგიკა ასეთი იყო და ქიქოძე ბოლომდე გაჰყვა ამ ლოგიკას. მხოლოდ შეეცადა მის ჩამოყალიბებას თვალთმაქცურ და „ლეგალურ“ ფორმებში. მან მოინდომა ლიტერატურაზე ლაპარაკით მიეჩქმალა ამ დებულების პოლიტიკური აზრი. მოტყვევდა მხოლოდ ზოგიერთი რედაქტორი. საქმე კი არ შეცვლილა.

ქიქოძე ფაქტიურად არა თუ ინანიებდა შეცდომებს, არამედ შეუჩერებლად ვითარდებოდა ტროცკიზმის ხაზით. 1928 წელს იგი უკვე აშკარად გველაპარაკებოდა, თუ სახელდობრ რა არ არის მისთვის საკმარისი და რას და ვისთან ბრძოლას ითხოვს იგი. 1928 წელს ჟურნალ „მნათობში“ იგი სწერს:

„პროლეტარული მწერალი უამებლად უნდა იცნობდეს და „შესისხლობრცებული“ ჰქონდეს ჩვენი პარტიის იდეები და საქმე. მაგრამ ესეც არ არის საკმარისი: საჭიროა ამ საერთო და დიდი იდეების ფარგლებში მწერალს მოეპოვებოდეს „საკუთარი“, ახალი, საერთო იდეებთან შეთანხმებული, კონკრეტული და მებრძოლი აზრები და განწყობილებანი, რათა ამ იდეების აქტუალურ მხატვრულ ფარგლებში ჩამოყალიბებით, — ეკეთოს მკითხველს და შენიფე საზოგადოებას.

ბრძოლით, ამ „შენი“ მხატვრული აზრის თავზე „ძალით“ მოსახვედრად, მხატვრულმა მწერალმა უნდა აიწიოს ხმა, დადგეს შესაფერ სიმბოლეზე, მკაცრი-ქობრივი უფლებები აღადგინოს და ეკეთოს მკითხველს“. („მხატვრული წყევლა“, გვ. 174).

გ. ბ. ლ. მ. მ. მ. მ. მ.

ტროცკისტმა ჭიჭოძემ კარტები საესეებით გაშალა. მართალია, ის აქაც ფიქრობს თავდაცვის მიზნით თვალთმაქცობას, ტროცკისტული აზრების ნიღაბში გახვევას, მათი მწერლობის საკითხებში გაპარებას, მაგრამ ეს ცდა უსუსურია. მწერლობის ფრონტზე მომუშავე ტროცკისტს, ცხადია, მწერლობის საშუალებით უნდა ბრძოლა. მაშასადამე, ჭიჭოძისათვის სახელდობრ პარტიის იდეები და საქმეები არ ყოფილა საქმარისი. ის პარტიაში ითხოვს საკუთარი, ახალი, მებრძოლი აზრების მქონე პროლეტარული მწერლობის ფრაქციის შექმნას, რომელიც, მისი აზრით, უნდა ებრძოდეს ჩვენს პროლეტარულ საზოგადოებრივობას. ჭიჭოძე პროლეტარულ მწერლობას ამოცანად უსახავს: აღადგინოს მოქალაქობრივი უფლებები.

ასეთი უფლებები პროლეტარულ, სოციალისტურ სინამდვილეში გათელილი ყოფილა და ჭიჭოძე მოგვიწოდებს მათ აღსადგენად.

შეუძლებელია ამ შემთხვევაში ჭიჭოძის ანტიპარტიულ შეხედულებათა სისტემის კრიტიკა, იმდენად აშკარაა მათი კონტრ-რევოლუციონური მენშევიკური ხასიათი. მოვიყვანოთ მხოლოდ ფაქტები.

ჭიჭოძე მრავალჯერ უბრუნდება, იმეორებს, ამრავალფეროვანებს, აღრმაებს და სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით „ანეთარებს“ პირწავარდნილ მენშევიკურ-ტროცკისტულ აზრებს. ამ აზრების გაცნობა საინტერესოა იმით, რომ ისინი საბოლოოდ ამკლავებენ ჭიჭოძის ანტიპარტიულ იდეოლოგიას. იგი ბოლშევიზმის ძირითად სამკედრო-სასიცოცხლო საკითხებში ანტილენინური შეხედულებებისაა.

აეილოთ მთავარი, ძირითადი: კლასი, პარტია.

ჩვენ უკვე გავეცანით მის და ვარდინის მენშევიკურ შეხედულებებს პროლეტარიატის დიქტატურაზე.

ჭიჭოძე უბრუნდება ამ საკითხს და უარყოფს, რომ ჩვენში არსებობს კლასი და პარტია, როგორც წამყვანი ძალა. ამ დებულების შესანიღბავად იგი, ცხადია, აქაც მწერლობას იშველიებს, მაგრამ აზრის პოლიტიკურ შინაარსს არ სცვლის. ჭიჭოძე სწერს, რომ პროლეტარულ მწერლობაში

„ჯერ არ არის მომწიფებული „ბელადთა და სარადლთა“ კადრი, ან მისი მთავარი, მთელი ამ მიმართულების განმსაზღვრელი და წამყვანი ძალა, რომელიც უძველესი სტილია ყოველ მიმართულებას და რომელიც უძველესად ეყოლება ჩვენს პროლეტარულ მწერლობას, მაგრამ ჯერ არ ჰყავს. ამის მიზეზი ჩვენში პროლეტარულ საზოგადოებრივობის მოუმწიფებლობისაგან გამომდინარეობს, რომელიც თავის მხრით ინდუსტრიის და პროლეტარიატის რაოდენობით სისუსტეს ნიშნავს“.

ქიქოძე თავის ასახვევად მწერლობაზე ლაპარაკობს ვითომ, მაგრამ ფაქტიურად კლასსა და პარტიას გულისხმობს და ამ დებულების მეორე ნაწილში არც მალავს ამას, როდესაც ლაპარაკობს „პროლეტარული საზოგადოებრივობის მოუმწიფებლობის“ შესახებ. ცნობილი მენშევიკური დებულებაა. ეს რომ ასეა, ქიქოძე იმავე წერილში მეორე ადგილას აზუსტებს თავის აზრს:

„ჩვენ შედარებით ჩამოყალიბებული გვაქვს სახელმწიფოებრივი ყოფა, მხოლოდ სრულებით ჩამოუყალიბებელი რჩება საზოგადოებრივი და ინდივიდუალური ყოფა-ცხოვრება“.

ქიქოძის აზრით, კლასი, პარტია მომწიფებელი არ არის და, ცხადია, საიდან ჩამოაყალიბებდნენ ისინი საზოგადოებრივ ყოფას. ამის თქმას იგი ბედავს პროლეტარულ რევოლუციის XII წლის თავზე! ამას ამბობდნენ მენშევიზმის ბელადები; ამას ამბობდა ვორონსკი, გორბოვი, სომხეთში სურხატაიანი და სხვები.

უფრო გვიან, 1933 წელს, ქიქოძის იდეების გამგრძელებელი — ბენაშვილი სხვა კუთხით აღრმავებდა ქიქოძის აზრებს. იგი „უჩარდიონის“ წინასიტყვაობაში სწერდა: „საკუთარი ხელებით ვეხებით კლასების და პარტიების დაღუპვას“-ო. ეს ქიქოძის დებულების მეორე მხარეა და ფაქტიურად წარმოადგენს კულაკობის „ტრაგედიით“ დაბრმავებას.

მენშევიზმი და ტროცკისტული ცილისწამება ორგანიულადაა გაერთიანებული ქიქოძის ნაწერებში და საჭმიანობაში. საბჭოთა სინამდვილეს იგი ყოველმხრივ უკუღმართად აზუქებს.

აღდგენისა და დიადი რეკონსტრუქციის პერიოდი ქიქოძისათვის „შედარებითი სიწყნარეა“; სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე ხელჩართულ ბრძოლის, დაჭიმული, გაასკეცებული მუშაობის პერიოდი მისთვის „დასვენების დღეებია“. იგი სწერს:

„ქართულმა მწერალმა არ გამოიყენა ეს მშენებრივი დრო სიწყნარისა“.

ტროცკისტულ ცილისწამებაში ქიქოძე შეუზღუდველია. პროლეტარული რევოლუციის კულაკური გადაგვარება გნებავთ? გნებავთ გაიგოთ ტროცკისტის ის აზრი, რომ რევოლუციის მონაპოვარი კულაკებმა მიითვისეს? ქიქოძე აქაც მზად არის, იგი არ დაერიდება ტროცკისტულ პროკლამაციიდან გადმოსწეროს ეს უმსგავსოება.

აქი გადმოსწერა კიდევაც. მოვსმინოთ:

„ავტორი (მის. ჯავახიშვილის „ჯაყოს ზიზნებზე“ ლაპარაკი — ბ. ბ.) სავსებით მართალია, რომ რევოლუციით კულაკი ხშირად სარგებლობს და ხშირად ეპატრონება კლდეც რევოლუციის მონაპოვარს“.

შემდეგ ქიქოძე „ვითომ“ არბილებს ამას და ამბობს, რომ მთავარ ძალად კულაკის აღიარება ღრმა შეცდომააო. მაგრამ ეს საჭმეს არ შევლის. ქიქოძის ასეთი შეხედულება არ არის გასაკვირველი.

ქიქოძე თავის მთავარ მასწავლებელს ტროცკის დასახელებასაც არ ერიდება და ისიც მაშინ, როდესაც ტროცკის კონტრ-რევოლუციონერი პოლიტიკური ფიზიონომია საეხებით გამომქლავებულს უწოდებდა სწერს:

„გაგება თანამგზავრობა მე შევიმუშავე უმთავრესად მხატვრული ფაქტებით, კომპარტიის ცეკას რეზოლუციის დამუშავებით. ლ. ტროცკის, გ. ლელვიჩის, ა. ლუნარსკის და სხვათა შეხედულების გათვალისწინებით“.

ცხადია, რომ ფაქტიურად ქიქოძემ გაითვალისწინა მხოლოდ კონტრ-რევოლუციონერ ტროცკის და მისი მიმდევარის გ. ლელვიჩის შეხედულებანი.

თანამგზავრობის ანტიპარტიული უარყოფა ქიქოძემ ტროცკისაგან ისწავლა. მან მოიშველია ცნობილი მენშევიკი პერევერზევიც (კომუნისტური კრიტიკის მიერ ქარცეცხლში გატარებული):

„მხატვრულ ფორმის განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მარქსისტ ვ. პერევერზევის მეთოდს, რომელიც თავის საფუძველში უმკველად მისაღება მარქსისტული კრიტიკისათვის, მისი ზოგიერთი გადაჭარბებული ფორმალური მომენტის გამოკლებით“.

მენშევიკს, საეხებით მენშევიკური მეთოდოლოგიის მქონე პერევერზევის, ქიქოძე, ზოგიერთი ფორმალური მომენტების გამოკლებით, საფუძველად ისახავს.

ამრიგად, ქიქოძის მასწავლებლები არიან მენშევიკები, ტროცკი და ტროცკისტები. იგი მათ იდებზე აღიზარდა, ისინი მიანიჩა მარქსისტებად, მათ შეხედულებებს ასაღებს ორტოდოქსალურ ბოლშევიკურ შეხედულებებად.

ცხადია, რა გამოვიდოდა ასეთი მასწავლებლების მიერ გაზრდილ ქიქოძისაგან.

ამიტომ იყო და არის, რომ ქიქოძემ ვერ მიაგნო ნამდვილ გზას და არაფერი ისწავლა ლენინისაგან, სტალინისაგან. მაშინაც-კი, როდესაც, ლენინს მიმართავს, ის მენშევიკურად აყალბებს და ამახინჯებს მას. მოსკოვის კომკადემიის ორგანომ „За марксистское искусство-знание“ 1932 წელს აღნიშნა და დაასაბუთა ეს, ქიქოძის ამავე წელს გამოსულ წიგნის გამო.

... Киходзе извращает Ленина с позиции Плеханова — меньшевика. Это прямая клевета на Ленина, попытка приписать Ленину меньшевистские взгляды Плеханова на творчество Толстого“ (გვ. 117).

ქიქოძე თავისი მასწავლებლის გზას მტკიცედ ადგია. ამავე ხანებში მოსკოვში ტყუილ-უბრალოდ არ სწერდენ:



„Переверзевская группа Том-Бек-Кикодзе с открыто меншевистской платформой“.

თანამგზავრობის საკითხში ქიქოძეს ყოველთვის ანტიპარტიულად „მემარცხენელი“, ვარდინისტული პოზიციები ეჭირა. მთელი რიგი წლების განმავლობაში იგი ებრძოდა პარტიის ხაზს თანამგზავრობის საკითხში. იგი უარყოფდა თანამგზავრობას. ის მუდამ იმეორებდა პროლეტარული და საბჭოთა მწერლობის შემოქმედებითი კრიზისის პირწავარდნილ ტროცკისტულ თეორიას. მისი აზრით, თანამგზავრების ერთ ფენას:

„საკუთარი თავის უარყოფა-და დარჩა „თავდაცვის“ ერთადერთ და უკანასკნელ საშუალებად“.

მენშევიკი პერევერზევი ამტკიცებდა, რომ მწერალი თავის კლასს ვერ გასცილდება, რევოლუციას ვერ დაუახლოვდება. პერევერზეველი ქიქოძე ამასვე იმეორებს. მისი აზრით, თანამგზავრების შერეე ფენაც, უფრო კარგი და უფრო ახლოს მდგარი ჩვენთან, განწირულია. რადგან, მისი აზრით, მათი:

„შემოქმედებითი კრიზისის მიზეზია ახალი იდეების არა ორგანიულად შეთვისება“.

ამრიგად, თანამგზავრების ორივე ფენა რევოლუციისათვის გამოუსადეგარია და ფაქტიურად მისი მტერი.

„მემარცხენე“ პოზიციებიდან ქიქოძე ყოველთვის გადადიოდა უკიდურეს მემარჯვენე პოზიციებისაკენ. ტროცკიზმისათვის ეს დამახასიათებელია. იდეური უპრინციპობა ქიქოძის ძველი ჩვეულებაა. თანამგზავრობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ის ათავსებდა რეაქციონური მწერლების საშიშროების მიჩქმალვას.

იგი სწერს:

„1925 წელს მომხდარ მწერალთა ყრილობაზე, ჩართულმა მწერლობამ მთლიანად ოფიციალურად განაცხადა, რომ იგი სდგება ოქტომბრის რევოლუციის ნიადაგზე. ამ მწერალთა ყრილობის შემდეგ ჩვენ შევედით მწერლობაში, კლასთა ბრძოლის სულ ახალ სტადიაში. აღარ არსებობს ამჟამად პოლიტიკური ანტი-საბჭოთა პარტიების დამხმარე მწერლობა“...

ამაზე მეტი პოლიტიკური სიბეცე, კლასობრივი ადლოს დაჩლუნგება, სინამდვილის დამახინჯება, კლასობრივი მტრების ძალთა და შესაძლებლობათა დამცირება შეუძლებელია. ეს არის ნაციონალ-დემოკრატიზმით დაბრმავება. ქიქოძისათვის არც ეს არის შემთხვევითი.

ერთი წლის შემდეგ იგი ამასვე იმეორებს:

„ოქტომბრის რევოლუციამ ჩართულ მწერლობის ძველ თავიანთს გამოაცალა მთავარი საფუძველი — ნაციონალიზმი. რევოლუციის შემდეგ გამოიჩინა საკართველოს იდეალი „ჩვენს პლანეტაზე“, როგორც ერთ-ერთი სოციალისტურ რესპუბლიკის, და ეს „ნაციონალისტური“ თემა ამოიწურა“.

სრული სიყალბე და „ლეგალურ“ მენშევიკ-ლიტერატორების ვააა-რია. ის კაცი, რომელსაც ოდნავ მაინც გაუვლია ბოლშევიკურ სიღიზ-ლის სკოლა, დაკვირვებია ჩვენს სინამდვილეს და წაუტყუებდას კლასობრივ მტრებს, ასეთ რამეს არ დასწერდა.

ბოლშევიკური ანალიზის უგულვებელყოფას და ბოლშევიკურ პრინციპების დამახინჯებას ქიქოძე ყველა მთავარ საკითხში ახერხებს. მან ნაციონალური კულტურის საკითხიც არ დაივიწყა.

აი რას ამბობს ქიქოძე ამ საკითხზე:

„დღევანდელი გასაბჭოებელი საქართველოს არაპროლეტარული ინტელიგენცია ხაზგასმით გაიძიხის ნაციონალურ კულტურის შესახებ; მაშინ დგება საკითხი: ვის უპირდაპირებს ასე გამაფრებთ ეს ინტელიგენცია თავის ნაციონალურ (თუ ნაციონალისტურ) კულტურას? რუსულ კულტურას, მაგრამ დღეს პრინციპიულად არ არსებობს რუსული კულტურა. დღეს არსებობს ინტერნაციონალური მოწინავე პროლეტარული კულტურა საბჭოთა რუსეთისა. მაშასადამე, ნაციონალური კულტურის შესახებ ყვრილი საქართველოს საბჭოთა სინამდვილეში, სადაც თავისთავად სწარმოებს ნაციონალურ პირობებთან შეფარდებული მუშაობა, არსებითად არის ბრძოლა პროლეტარული კულტურისა და იმ მისი ცენტრის წინააღმდეგ, რომელსაც საბჭოთა რუსეთი წარმოადგენს“.

ამ აზრებში ბოლშევიკური იოტის ოდენაც არაფერია. ქიქოძე ამჟღავნებს სრულ უაზრობას, სიბეცეს და ფალსიფიკაციას ლენინურ-სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკაში. ეს იმის შემდეგ, რაც არსებობს სტალინის გენიალური განსაზღვრა:

„პროლეტარული კულტურა არ უარყოფს ნაციონალურს, არამედ მას აძლევს შინაარსს და, პირიქით, ნაციონალური კულტურა არ უარყოფს პროლეტარულ კულტურას, არამედ აძლევს მას ფორმას“.

ქიქოძე კი სწორედ მათ პროვოკაციულად უპირდაპირებს ერთმანეთს, ნაციონალურ კულტურას უტოვებს „გასაბჭოებულ საქართველოს ინტელიგენციას“ და დანარჩენს თავისთავის ინახავს. მას ფორმით ნაციონალური და შინაარსით პროლეტარული კულტურა დაჰყავს „ნაციონალურ პირობებთან შეფარდებულ მუშაობამდე“. ნაციონალურ პირობებთან შეფარდებული მუშაობა სწარმოებს კოლონიალურ ქვეყნებშიაც და ამ მუშაობას აწარმოებენ იმპერიალისტური სახელმწიფოები, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ნაციონალურ კულტურას ქმნიან. პირიქით. ქიქოძეს არ ესმის, რომ არსებობს სწორედ რუსული ნაციონალურ-პროლეტარული კულტურა, სწორედ ქართული ნაციონალურ-პროლეტარული კულტურა და სხვ.

ასეთი თანშიმდევრობით ახდენს ქიქოძე თავის ღარიბ ნაწერებში ბოლშევიზმის გამენშევიკურებას, გაღარიბებას, ასე იმეორებს იგი ჩვენი მტრების პროვოკაციულ აზრებს. განსხვავება ისაა, რომ ქიქოძე თვითონ იწებებს ბოლშევიკის „იარლიკს“ და ბოლშევიზმის სახელით უნდა ასეთი საქმეების კეთება. ამიტომ მოხდა, რომ მან უარყო კლასიკოსები და ყველა

ქართველი კლასიკოსი ბოლშევიზმის მტრის ბანაკში გადასროლა. მან სოციალისტურ საზოგადოებრივობას მხოლოდ ეგნატე ნინოშვილი დაუტოვა.

თურმე ნუ იტყვი, „ნაციონალური“ მწერალი მხოლოდ ნინოშვილი ყოფილა. გაყოფილებული წერილი ბურჟუა, ინდივიდუალისტი, ასეთი რიხით გვაუწყებს ამ ამბავს:

„პირადად ჩემთვის და საქართველოს მუშათა კლასისთვის ბევრად უფრო ნაციონალურია ეგნატე ნინოშვილი“.

აქეთ ქიქოძე და იქით — არც მეტი და არც ნაკლები — საქართველოს მუშათა კლასი. ქიქოძის ზევიადი პირადობა მოწყალეობას იღებს და კადრულობს საქართველოს მუშათა კლასის ვეჭილობას.

ნაციონალური ფორმის სტალინური განსაზღვრის გაყალბებაში ქიქოძეს საკმაო დეაწლი მიუძღვის, როგორც პირადად, ისე ბრიგადულად. მას თავის მცირერიცხოვან მიმდევართა ჯგუფი ერთი და იმავე შემაღენლობის ბრიგადებად ჰყავდა დაყოფილი (განსაკუთრებით 1931 და 1932 წლებში) და მათთან ერთად ეწეოდა ბოლშევიკური იდეების დამახინჯებას. ნაციონალურ საკითხშიაც მან ტროცკისტულ-ვაგანიანისებური დამახინჯება შეიტანა. ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ უარყო მან 1927 წელს პროლეტარული, ფორმით ნაციონალური კულტურის საკითხი. 1931 და 1933 წლებში იგი მთელი თავისი ჯგუფით დაუბრუნდა ამ საკითხს და ძველებური გაყალბება განიმეორა.

1933 წელს წიგნში „ძველი ბრძოლა ახალ ფორმებში“ პ. ქიქოძე, ე. ბენაშვილი, ბ. მეუნარგია ერთად აქვეყნებენ წერილს, სადაც, ს. ამალლობელის შეცდომების ბოლშევიკური კრიტიკის მაგიერ, „ახალ“ ანტიპარტიულ აზრებს ანვითარებენ იმავე, ფორმით ნაციონალური, კულტურის შესახებ. ისინი თვალთმაქცურ მიხვევ-მოხვევით, მაგრამ არსებითად უარყოფენ შინაარსით პროლეტარულს, ხოლო ფორმით ნაციონალურ კულტურას. სტალინის განსაზღვრის გამყალბებელთა ეს სამეული ოინბაზურად ლაპარაკობს:

„...თუ მხოლოდ შინაარსია კლასობრივი და ფორმა კი რაღაც სხვა, მაშინ ამალლობელის ნაციონალურ ფორმას რაღაც ზეკლასიური ხასიათი ეძლევა“

ქიქოძის ჯგუფს არ უნდა მიიღოს სტალინის გენიალურად უბრალო და უაღრესად ზუსტი ფორმულა შინაარსით პროლეტარული და ფორმით ნაციონალური კულტურის შესახებ. ამის მაგიერ ისინი ანტიპარტიულად ცოდვილობენ, იბრძვიან „რაღაც სხვა“ ნაციონალური ფორმის წინააღმდეგ, იგონებენ „ნაციონალური ფორმის მუდმივ კატეგორიებს“ და ზათქით და ზმაურით ებრძვიან მას.

ჩვენი პროლეტარული სოციალისტური კულტურის შექმნის საქმეში ნაციონალური ფორმის გამოტოვების, მასზე გადახტომის ხაზით ამ ჯგუფის პოეტმა ფრ. ნაროუშვილმაც „ისახელა“ თავი. „პოლემიკური“ მტრის დეკლარაცია“-ში ნაროუშვილმა ნაციონალური ენების ახლაც სიკვდილის აუცილებლობაც კი გვეუწყა.

მან გახსნა „მკვდარი ენების მუზეუმი“ და ეს დიდ ბოლშევიკურ დამსახურებად მიიჩნია. მთელი რიგი წლების განმავლობაში ქიქობის ჯგუფის ერთგულმა მონაწილემ დ. ბენაშვილმა არა ერთხელ და ორჯერ შეასხა კება-დიდება ფრ. ნაროუშვილს ასეთი „რევოლუციონური“ აზრისათვის; ეს მას მაინც შეესანიშნავ ბოლშევიკობად. საერთოდ, ტროცკიზმის იდეებით ამოძრავებული ეს ჯგუფი თავის ანტიპარტიულ საქმიანობას ყოველთვის უაღრეს ბოლშევიკობად ასაღებდა. აი, მაგალითად, დ. ბენაშვილი 1933 წელს ამ ჯგუფის მიერ კლასიკოსების შესახებ გამოცემულ წიგნის წინასიტყვაობაში აცხადებს რომ:

„...ამ მასალებმა იცოცხლონ, როგორც ბოლშევიკური ბრძოლის ბრწყინვალე დოკუმენტებმა“.

ამ წიგნის დოკუმენტები კი გაქდენთილია ანტილენინური, ანტიპარტიული შეხედულებებით კლასიკოსების საკითხში. ამჟამად მხოლოდ ორიოდე დებულება მოვიყვანოთ ამ ბრწყინვალე „ბოლშევიკური“ დოკუმენტების დასახასიათებლად.

პ. ქიქობე ამ კრებულის „საპროგრამო“ წერილში სწუხს იმის გამო, რომ კლასიკოსები დღესაც იკითხება და ვრცელდება მუშურ-გლეხურ მკითხველ მასებში. ქიქობე ეძებს ამის მიზეზებს, უნდა ახსნას ეს მოვლენა. იი ეს „ახსნაც“:

„კლასიკოსების პრობლემის აქტუალობას საერთოდ სერიოზული საზოგადოებრივი მიზეზებიც აქვს: კლასიკოსების შემქმნელი, მათი იდეურად მასულდგმულელებელი საზოგადოებრივი კლასების ნარჩენები დღესაც არსებობენ. არსებობს ფეოდალური მწერლობის ერთერთი მასულდგმულელებელი ძალა, — ფეოდალური ინტელიგენციის ნარჩენების სახით. არსებობს ხალხოსნური ილუზიების შთამომავალი „დემოკრატიულად“ განწყობილი წერილბურთაზიული ინტელიგენციის ნარჩენები, ცოცხალია გლეხობის კულაკური ნაწილი და ყველა ეს ფენები არამც თუ კითხულობენ, არამედ იდეურადაც უთანაგრძნობენ“.

დღეს კლასიკოსები აქტუალური არიან და „ჯერ კიდევ ცოცხლობენ“ თურმე იმიტომ, რომ არსებობს ნარჩენები: ფეოდალური ინტელიგენციის, წერილბურთაზიული ინტელიგენციის და არსებობს კულაკობა. აი თურმე ვისი ყოფილა კლასიკოსები! ცხადია, არ არის საჭირო იმის მტკიცება, თუ ვისია ეს პროვოკაციული, ჭკუამოკლე, უხამსი და მავნე აზრები. მათ საერთო არაფერი არა აქვთ ლენინურ მიდგომასთან კლასიკოსების საკითხში. მათ დამწერს არაფერი არ ესმის პროლეტარული რევოლუ-

ციის, მუშათა კლასის ბუნებისა და საქმიანობისა, იგი შეგნებულადაც სწამებს ცილს მუშათა კლასს.

კიდევ ერთი მიზეზი აქვს მონახული ქიქოძეს კლასიკულური წყობისა. ეს არის:

„გარდა ამისა, კლასიკოსების კითხვას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ ჩვენ ჯერ არა გვაქვს კლასიციზმზე უფრო ძლიერი პროლეტარული მწერლობა ფართო მასებისათვის საკითხავად. კლასიკური მწერლების ასეთი იდეური გავლენის შესუსტება მხოლოდ პროლეტარული მწერლობის მიერ პედაგოგიის დაპყრობით ხდება. ძველი მწერლობა ძლიერია განსაკუთრებით პროზით — ამიტომ ჩვენა პროლეტარულად განწყობილი მკითხველიც სწორად მას უბრუნდება“.

ასე მოსთქვამს ეს გარდასული კლასების მიერ შექმნილი, უდიდესი კულტურის გამდარიბებელი, სოციალისტური პროლეტარიატის მიერ შემკვიდრებულად მიღებული უმდიდრესი კულტურის ხელის-მკერელი. მხოლოდ ბენაშვილს შეუძლია თქვას, რომ ეს „ბოლშევიზმის ბრწყინვალე დოკუმენტია“.

გულშეწუხებულ ქიქოძე ასკვნის:

„...ამრიგად კლასიკური მწერლობა დღესაც იკითხება, დღესაც აქტუალურია“ და სხვ.

რა სამწუხარო ამბავია, „დღესაც“ იკითხება! ჩვენ ახლა არ დავუბრუნებდით ლენინურ ჭეშმარიტებას, იმას, რომ კლასიკოსები იკითხება და უნდა იკითხებოდეს დღეს, ხვალაც და შემდეგაც. მხოლოდ, ბოლშევიკურ იდეებად ასეთი უმსგავსო აზრების გამოცხადების გამო, უნდა აელნიშნოთ, რომ ეს აზრები ბოლშევიკური კი არა, არამედ მხოლოდ ბურჟუაზიული ანარქიზმის ნამსხვრევებია; ეს შტირნერის აზრებით მოწამლული ახალგაზრდობის ხავსია, იმ ახალგაზრდობის, რომელიც გაიძახის: „მე — ეს არის ყველაფერი“, იმ ახალგაზრდობის, რომელიც ყველაფერს აფურთხებს და საკუთარი ფურთხის ჭერებით ტკბება.

ცხადია, რომ სოციალისტურ ეპოქაში ასეთი ახალგაზრდობის ნამსხვრევები, როგორ სპეკულიატურ ფორმებშიც არ უნდა მოგვევლინოს ისინი, გამომჟღავნებულ და აღმოფხვრილ უნდა იქნენ.

ასეთი მიდგომით კლასიკურ შემკვიდრებისადმი, ქიქოძე-ბენაშვილ-ნაროუშვილმა, შევეუღიქმე და ყველა დანარჩენმა ასეთი იდეების მქონე ჯგუფის წევრებმა ქართველი კლასიკოსები სათითაოდ ჩამოსწერეს, მთლიანად შტრად გამოაცხადეს, დაგესლეს და გადაისროლეს შორს პროლეტარიატისაგან; უბოძეს ფეოდალებს, ემიგრანტებს, თეთრგვარდიელებს.

ასეთი გასწორებისაგან ქიქოძემ და მისმა ჯგუფმა არ გადაარჩინეს არცერთი კლასიკოსი. განსაკუთრებულად მისდგენ ილია ჭავჭავაძეს. ბენაშვილ-ნაროუშვილი ენერგიულად შეუდგენ ილია ჭავჭავაძის მენშევიკებისათვის, ფედერალისტებისათვის, ემიგრანტებისათვის გადაბარებას. ფრ. ნაროუშვილმა ლექსებიც კი მიუძღვნა ამ საკითხს. ბენაშვილმა

ამ ლექსებს წერილები უძღვნა და შეერთებული ძალით შეეცადნენ ილიას მოცილებას სოციალისტურ თანამედროვეობისაგან, მისი „მემკვიდრეობის“ მოძებნას.

ბენაშვილი იშველიებს ნაროუშვილის ლექსს და სწერს:

„ასე წაიშალა ყველგვარი საზღვარი მენშევიზმა და სოციალ-ფედერალიზმ შორის, ნ. ჟორდანიას და ილ. ჭავჭავაძის იდეოლოგიის შორის:

ზღვარი წალკილ და წაშლილია,  
როგორც ძმებ შორის სხვადასხვა ძეთა  
ასე გადიქცა ნოეთ ილია  
და ჟორდანიას ჭავჭავაძეთა.

და მართლაც, იმხ. ნაროუშვილისა არ იყვეს, როგორც ხედავთ, ისტორიულად ილ. ჭავჭავაძე ნოე ჟორდანიასი ალაპარაკდა“ (დ. ბენაშვილი, გვ. 35).

ეს საქმეც მზად არის. მისცეს ილ. ჭავჭავაძე ჟორდანიას, მენშევიკებს, ფედერალისტებს, გადაგზავნეს იგი ემიგრაციაში და უხაროდათ, საჯაროდ გაპყვიროდნენ: ბოლშევიკურ საქმეს ეაკეთებთო. მოგვიანებით ნაროუშვილი უფრო გარკვევით სწერდა: „მათი ილია — ჩვენი ეგნატე“. ეს საქმე კი მხოლოდ და მხოლოდ ბოლშევიზმის მტრების საქმე იყო. ეს უმსგავს და ყველაზე მეტად მანვან ფორმაში განმეორებდა ნაციონალისტური, კლასობრივად მტრული ცილისწამებისა ბოლშევიკების მიმართ.

ნაციონალისტური ცილისწამებების განმეორებაში ეს ხალხი ძალზე შორს მიდიოდა. პოეტი ნაროუშვილი 1932 წელს ეძებს მწერალ ილ. ჭავჭავაძის მკვლელებს, ეძებს და ნახულობს მათ „იმდროინდელ მშვიერ კლასში“:

ვინ იყო ის „ბრბო“ დაუნდობელი,  
ვინც ჩაულეწა ფეოდალს ზურგი.  
მოკლა „ვერბგულ“ ქართლის მწყობრელი,  
თვითონ ჩაიკვა წვედიადის ქურკი.  
ვინ იყო ის „ბრბო“ რომელმაც ჩასცა  
მშამულის გულს მახვილი ბასრი?  
და მკვლელი დღემდე არავინ გასცა:  
„იმდროინდელი მშვიერი კლასი“.

ცხადია, ეს ძველი ნაციონალისტური გესლის გადმონთხევაა, რომ ილ. ჭავჭავაძის მკვლელობის მიწერა იმ დროინდელ მშვიერი კლასისათვის არის ყველა ჯურის ნაციონალისტების ძველი და ნაცნობი ჩხავილი, მათი ისტერიული, თავხედური და ბოროტი ცილისწამება, მიმართული მუშათა კლასის მიმართ.

სწორედ ფედერალისტები, ნაციონალ-დემოკრატები, პროლეტარიატისადმი კლასობრივ ზიზღით აღსავსენი ამტკიცებდნენ, რომ „ერის ბელადი“ ილ. ჭავჭავაძე მოკლეს მარქსისტებმა, მშვიერი კლასის ბელადებმა. ნაროუშვილმა ამ ცილისწამებას „რევოლუციონერი“ ნილაბი ჩამოაფარა. მით უარესი, მით უფრო საზიზღარი და მანებელი გახდა ის.

შეუძლებელია კლასიკოსების საკითხში ჭიჭოდის და მისი ჯგუფის ანტიპარტიული პოზიციების დასახასიათებლად მთელი ფაქტობრივი მასალის მოყვანა, რადგან ეს მასალა უამრავია და ერთი-ერთმანეთზე უფროსი.

ასეთი აზრების საფუძველზე მუშაობდა ჭიჭოძე 1929 — 30 და 31, 32 წლებშიაც. ამ წლებში ის ანეითარებდა თავის ძველ თეორიას „რომანტიზმის“ შესახებ. ტროცკისტულად ასაბუთებდა მას. ებრძოდა თანამგზავრობას, ვაადფორებით იბრძოდა „ლიტ. ფრონტთან“ ერთად, აგრძელებდა ვარდინის ხაზს. მის ასეთ პოზიციას წერილის დასაწყისში საკმაოდ ვავეცანიოთ. ჭიჭოდის ამ პერიოდის წერილები გაეღწეოთილია „ლიტ. ფრონტის“ სირცოვ-ლომინაძის ჯგუფის აზრებით. ის აღრმავებდა თავის მენშევიკურ დებულებებს.

არც ერთი სიტყვით ჭიჭოძეს ფაქტიურად არ უარუყვია და არ გაუკრიტიკებია თავისი შეცდომები. 1934 წელს გამოცემულ წიგნში მან ორგანიულად გააგრძელა და აღადგინა ძველი შეცდომები. მან მხოლოდ ერთს ან სულ ორ წერილში მორცხვად შეკრიბა და „წესრიგში“ მოიყვანა ერთი ან ორი დებულება, რომ თვალში მცემი მავნებლური სახე დაემალია. მთავარი ის არის, რომ 1934 წელს იგი ისევ უყაყმანოდ ხელს აწერს ძველი ხაზით ჩამოყალიბებულ დებულებებს და ამას „ახალ“ მარაგსაც უმატებს.

გავეცნოთ ზოგიერთ დებულებას. ჭიჭოძე კვლავ ლაპარაკობს პროლეტარული მწერლობის მწვერვალების მოუმწიფებლობის შესახებ და ისევ იმეორებს:

„ამის მიზეზი, როგორც არა ერთხელ თქმულა, ჩვენში ახალი პროლეტარული საზოგადოებრივობის შედარებით მოუმწიფებლობისაგან გამომდინარეობს, რომლის მიზეზი თავის მხრივ ინდუსტრიალურ პროლეტარიატის შედარებით სიმცირეში უნდა ვეძიოთ“.

წლები გადის. სოციალისტური მშენებლობა ძლევამოსილად წინ მიდის. შეუჩერებლად იზრდება და მტკიცდება მუშათა კლასის რიცხვი. ეს პროცესი კი ჭიჭოდის მხედველობის გარეშე მიმდინარეობს და იგი წლიდან წლამდე თუთიყუშით იმეორებს მენშევიკურ დებულებებს. ეს ბრძენი ყველაფერს აბრალებს არა თავის იდეურ უკულმართობას და პოლიტიკურ სიბეცეს, არამედ ჩვენს სოციალისტურ სინამდვილეს. აი მწერალმა დასწერა მკლე, სინამდვილის განყენებულად ამთვისებელი, სქემატიური ნაწარმოები. ჭიჭოძე ამაშიაც სინამდვილეს სდებს ბრალს. იგი სწერს:

„სამწუხაროდ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მთელი ეს მხატვრული ძალა და მიღწევები „დახარჯულია“ ავტორის მიერ შედარებით უბრალო და საკმაოდ მარტივი სიუჟეტის პოეზიასთვის. პოემა ცოტა არ იყოს სქემატიურია. მართალია ამ „სქემას“ თვით ცხოვრება იძლეოდა“\*).

\* ზ. დოლიძის პოემა — „ლეჭო იარაჯაულში“.

ჭიჭოძის აზრით, ჩვენი სინამდვილე იძლევა არა სრულ და ღრმა სახეებს, არამედ სქემებს.

აი ასე ხდება თანამედროვე ეტაპზე ტროცკიზმის გავრცელების პრობლემაში. ერთი შეხედვით უწყინარი, ჩვეულებრივი ლიტერატურული მსჯელობაა, მაგრამ ონდავ თუ გადავხედავთ და გავაწიშვლებთ პოლიტიკურ სარჩულს, ძველი ტროცკისტული ყურები ამოჰყოფს თავს. ასეთივე მდგომარეობაა, როდესაც ჭიჭოძე ეხება მეორე მწერლის ნაწარმოებს, რომელმაც დააღარიბა სინამდვილე, მშენებლობამ სიძნელეებთან დაჯახებების გამო ბოლშევიკ ინჟინერს თავი მოაკვლევინა, — და გაამართლა, გაარომანტიულა ეს თვითმკვლევლობა. ბოლშევიკურ დამსახურებად ჩაუთვალა იგი. კრიტიკოსი ჭიჭოძე აღაფრთოვანა ამ გარემოებამ და მან თავისი ტროცკისტული „ფილოსოფია“ ხელახლა გადმოაღაგა.

იგი ამ თვითმკვლელი კომუნისტი ინჟინერის (ხანდაველის) შესახებ ასე სწერს:

„ხანდაველი მტკიცედ დარწმუნებულია თავის ოცნების ამბოღებულ რეალობაში, მაგრამ როდესაც იკვ მის მიერ არა გათვალისწინებულ სიძნელეებს დაეჯახა, სწორედ აქ ამ ფრონტზე წარმოიშვა ტრაგედია“.

კიდევ:

„აზრივად ამ შემთხვევაში თვითმკვლელობის იდეა დაცემულობის ფონზე კი არ წარმოშობილა, როგორც ეს საერთოდ ხდება ხოლმე“.

შემდეგ ჭიჭოძე თვალთმაჭკურად თავს აქნევს თვითმკვლელობის, როგორც უარყოფითი მოვლენის გამო, მაგრამ ფაქტიურად ამართლებს და აიდეალურებს მას:

„...ჩვენ საკვებით ვიწონებთ ჰაბტუი რევოლუციონერი მეცნიერის საქმისადმი ამ გააფრთხულ თავდადებას, ამ უღრმეს რწმენას და გამბედაობას, რომლის დროებითში, მაგრამ სასტაჟმა დამარცხებამ (როგორც ხანდაველს გონია) — თვითგანადგურების აზრამდე მიიყვანა იგი.“

ყოველ ბოლშევიკს მხოლოდ სიხარულის ცრემლი მოუვა, როდესაც დაინახავს, რომ ჩვენ შორის არიან ასეთი პატოსანი მებრძოლი ხანდაველები, გმირები, რომლებიც ასე ტრაგიკულად განიცდიან თავისი კლასის მათ მიერ თუ განდა უნებლიეთ მოტყუებას“.

ასეთ წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენტურ უნიათობას აცხადებს ჭიჭოძე ბოლშევიკურ ღირსებად და „ყოველ ბოლშევიკს“ სიხარულის ცრემლებით ატირებს თვითმკვლელობის გამო. შედმეტია იმის მტკიცება, რომ თვითმკვლელობა ბოლშევიკებისათვის ყოველთვის უცხო და მიუღებელი იყო და არის. აქ მხოლოდ ისაა საინტერესო, თუ როგორ ბედავს ჭიჭოძე ასეთი ცრუ იდეების მიწერას ბოლშევიკებისათვის, ბოლშევიკების სახელით ლაპარაკს. საინტერესოა ის, თუ სადამდე შეუძლია მისვლა ჭიჭოძის წვრილბურჟუაზიულ ისტერიკას. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჭიჭოძის მეტიც შეუძლია. ის ამოუწურავი „გამომგონებელია“ ბოლშევიზმის ბუნების გაყალბებაში, სოციალისტური სინამდვილის დამახინჯებაში.



ქიქოძე არჩევს ერთი მწერლის ნაწარმოებს\*), რომელიც უნდა კომუნისტური ოჯახის საკითხებს, კომკავშირულ ვაჟებისა და ქალებს ურთიერთობას. ქიქოძე გადმოგვცემს ამ ნაწარმოების შინაარსს ნაწილს და შეფასებას აძლევს მას. იგი სწერს:

„მეღელ მებრძოლ კომუნისტს ციმბირში მეორე ცოლიდან ჰყავს ქალიშვილი, პირველიდან საქართველოში კი — ვაჟი საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ბრძოლით და მუშაობით დატვირთული კომუნისტი ვერ ამჩნევს, თუ მისი შვილები როგორ ხდებიან „ცოლ-ქმარნი“. ისინი უკვე ერთად ცხოვრობენ სქესობრივი ცხოვრებით და რა მათი ბრალია, თუ არ იციან, რომ და-ძმანი არიან ამგვ დროს.

ბოლოს ყოველივე აშკარადება, მაგრამ ფაქტი მომხდარია, და დას ძმისაგან მალე შვილი ეყოლება — ეს მათი კი არა, დროის და ეპოქის, სიახლის და თავისუფლების „ბრალია“. ოდიშოს მეფესავეთი ხომ არ უნდა დაითხოვონ თვალები?! თუ ბერძნულ ტრადიციას ასეთ შემთხვევაში გამოსავალი არ არის — დღეს ხომ საბერძნეთის ტრადიციის ეპოქა არ არის და არც ობიექტურად შიში („რას იტყვიან“) ახალ ადამიანს არ ახასიათებს“.

ამას წერს პლატონ ქიქოძე 1934 წელს სახელგამის მიერ გამოცემულ წიგნში, 47 გვერდზე. ამის დამწერის იდეურ-მორალური გაბრუნვა ამას იქით საღლა შეიძლება წავიდეს? ასეთ რამეებს ხომ თეორეტიკული დედაბრები ამბობდნენ ბოლშევიკების მისამართით, შურისძიების ცოფისაგან ჰქუა დაკარგულნი. ამბობდნენ უკიდურეს სიბოროტეში ჩაეარდნილნი და თვითონაც არ სჯეროდათ, მაგრამ მათ სჭირდებოდათ ასეთი პროვოკაციები. ქიქოძე ამბობს და თვითონაც სჯერა, რომ ეს კარგია; ის სერიოზულად „გვიმტკიცებს“, რომ დამძისაგან სოციალისტურ სინამდვილეში შეიძლება ოჯახი შესდგეს და ისიც კომუნისტური. მის რეგვენულ უტიფრობას საზღვარი არა აქვს, მას ჰყოფნის გამბედაობა აქაც ჩვენი სოციალისტური დრო, ეპოქა, კომუნისტურობა მოიშველიოს და გაამართლოს „დასაბუთოს“ სისხლის აღრევის საზიზღარი, პატალოგიური მოვლენა. და-ძმა შეუღლდა, მათ უკვე იციან თავიანთი ნათესაობა, მაგრამ ეს არაფერია, ეს დროის, ეპოქის სიახლის და თავისუფლების ბრალი ყოფილა. დიახ, სიტყვა-სიტყვით ასე სწერს. ჩვენს დროს, ჩვენს ეპოქას ჰქონია ასეთი თავისუფლება. ქიქოძე ამბობს, რა ეუყოთ მერე, ოდიშობს მეფესავეთი ხომ არ დაითხოვან თვალებს. დღეს საბერძნეთის ტრადიციის ეპოქა არ არის, დღეს სხვა ეპოქაა, სიახლე და თავისუფლება, ამ საკითხში ჩვენ თავისუფლება გვაქვსო. და-ძმას გენბავდეთ შეუღლდით, ობიექტურად შიში (?) — „რას იტყვიან“ —ო — ჩვენ ხომ ანგარიშს ვერ გაუწევთ. ეს შიში ახალ ადამიანს არ ახასიათებსო. მისი აზრით, და-ძმის შეუღლება კი ახალ ადამიანს ახასიათებს, რადგან თავისუფლებისა და სიახლის დროა-ო.

\*) სეფისტი თალაკვაძე — „ბრძოლის დიდ გზაზე“.

შეუძლებელია ჭიჭოძის ამ აზრების კვალიფიკაცია. მძიმეა, რასამოვნოა ასეთ „მოსაზრებებზე“ წერა, მაგრამ ფაქტია და ვერ გაუქმდება.

უკვე გავცანიტ ჭიჭოძის „განვითარების“ მახინჯ ტრეკის ტრეკიზმით დაიწყო ჭიჭოძემ 1925 წელს და იმავე ტრეკიზმიდან დაიწყო 1935 წელს. პრინციპიალური იდეური გარდატეხა მასში არ მომხდარა.

ჭიჭოძე თვითონაც არ მალავს ამ გარემოებას. 1934 წელს გამოცემულ წიგნის წინასიტყვაობაში იგი სწერს:

„ავტორი პრინციპიალურად თავის წინანდელ პოზიციაზე დგას“.

ჩვენ უკვე დაეინახეთ, რომ ჭიჭოძე მართლაც თავის წინანდელ პოზიციაზე დგას. ისიც ნათელია, თუ რამდენად იყო და არის ბოლშევიკური მისი პოზიციები. ის იყო და დარჩა ტრეკიზტულ-მენშევიკურბ იდეების პატრიოტად. ამ იდეებს იგი ბოლშევიკურს უწოდებს. ეს ჩვენს დროში ყველა ფალსიფიკატორის ხერხია. ჭიჭოძე კიდევაც ამბობს, რომ ასეთი იდეების პატრიოტია. ის სწერს:

„ძველი, სწორი, ბრძოლების მონაპოვარი იდეების პატრიოტი ყოველთვის უნდა ვიყოთ — ეს რომ ისე არ იყოს, მაშინ ან წინეთ არ ვყოფილავით ის, რაც ახლა ვართ, ან ახლა აღარ ვართ იმის გამგრძელებელი, რითაც დაიწვეთ არსებობა“.

ამაოდაა შეწუხებული ჭიჭოძე. მას აღარ სჭირდება იმის მტკიცება, რომ ის იყო და დარჩა ბოლშევიზმისადმი მტრული იდეების პატრიოტი. ეს უამისოდაც ნათელია. ამ წიგნის უახლოეს წერილებშიაც იგი არ ღალატობს თავის ნაცად გზას.

ყველამ იცის და „პრავდა“-შიაც მრავალჯერ ყოფილა დაბეჭდილი, რომ სოციალისტური რეალიზმი, როგორც საბჭოთა მწერლობის მეთოდი, სტილი, წამოყენებულია აშხ. ს ტ ა ლ ი ნ ი ს მიერ. თვითონ ეს თერმინი „სოციალისტური რეალიზმი“, მისი განსაზღვრა, პირველად ეკუთვნის აშხ. ს ტ ა ლ ი ნ ს. ჭიჭოძემ არ შეიძლება ეს არ იცოდეს. მაგრამ იგი მაინც უარყოფს სოციალისტურ რეალიზმს. იგი წინააღმდეგია ერთად-ერთი სწორი დებულებისა რომ რევოლუციონური რომანტიზმი მისაღებია და სასურველია ჩვენთვის სოციალისტური რეალიზმის საფუძველზე.

„რე. რომანტიზმი თუ შედის სოც. რეალიზმი და ამასთანვე შეიცავს თავისებურებასაც — მაშინ ეს თავისებურება ყოფილა ის, რაც ჩვენ მწერალს, ნამდვილ ბოლშევიკს, სჭირია სოციალისტურ რეალიზმს გარდა. ამიტომ სჯობია ვილაპარაკოთ რე. რომანტიზმზე, როგორც უფრო ფართო და მდიდარ მოვლენაზე, რამდენადაც ის შეიცავს სოციალისტური რეალიზმის ყველა დადებით თვისებებს და გარდა ამისა იმასაც, რასაც დღეს რევოლუციონურ რომანტიზმს უწოდებენ“.

ეს არის სრული უარყოფა ს ტ ა ლ ი ნ ი ს მიერ დასახული მიმართულების, მეთოდის, — სოციალისტური რეალიზმისა. ჭიჭოძის აზრით, ბოლშევიკობა, როგორც ჩვენი მწერლის თავისებურება, ყოფილა სოციალისტურ რეალიზმის გარეთ. ის ყოფილა რე. რომანტიზმის თავისებურება.

მისი აზრით, რევ. რომანტიზმი ყოფილა უფრო ფართო და მდიდარი მოვლენა. ამიტომ სჯობია მასზე ლაპარაკი, ე. ი. უკუუვადლოთ სოციალისტური რეალიზმი და მივიღოთ მხოლოდ რევ. რომანტიზმი. ესე უნდა იქნას პარტიულ-ფელგარიაშია, არამედ უხეში გალაშქრება პარტიულ-სამხედრო პოლიტიკის წინააღმდეგ. ქიქოძე ყველაფერს თავდაყირა აყენებს.

„ბოლშევიკური რეალიზმი მინუს რევოლუციონური რომანტიკა — ყველაფერია, გარდა ბოლშევიზმისა“.

ქიქოძე ყველაფერს მიმართავს, რომ ანტიპარტიულად გახლართოს, გააყალბოს და უფარვისი გზადოს პარტიის მიერ მოცემული საბჭოთა მწერლობის შემოქმედებითი პროგრამა.

„რევოლუციონური რომანტიზმის სახელწოდება უფრო მისაღებია“.

ყველაფერ ამას რომ მხოლოდ ლიტერატურული მნიშვნელობა ჰქონდეს, არ მიეაჭყვედით ყურადღებას, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ქიქოძის ეს აზრებიც მის ტროცკისტულ მეთოდოლოგიიდან გამომდინარეობენ. მას რევოლუციონური რომანტიზმი ბოლშევიკურად როდი ესმის; პირიქით, იგი „რევოლუციონური რომანტიზმის“ ცნებაში სდებს ბოლშევიზმისათვის უცხო შინაარსს და უპირდაპირებს მას სოციალისტურ რეალიზმსა და სოციალისტურ სინამდვილეს, აწმყოს. აქედან წარმოიშვა ქიქოძისა და მისი ჯგუფის მომავლისა და აწმყოს ტროცკისტული დაპირდაპირება და პოლიტიკური პოეზიის ტროცკისტული გაგება.

დავანებოთ თავი იმ აბღა-უბდას, რომელსაც წარმოადგენს ქიქოძის კატეგორიული მტკიცება: „საქართველო — რევოლუციონური რომანტიზმის ქვეყანა“.

და ავიღოთ მისი პროგრამის მთავარი მუხლი. ეს არის პოლიტიკური პოეზიის წამოყენება და მისი სისტემატიური პროპაგანდა. თავის წიგნში ქიქოძე სწერს, რომ საჭიროა მწერლობისათვის:

„უშუალო პოლიტიკურობა, ანუ ის, რასაც პოლიტიკურ პოეზიას ვწოდებთ“.

შემდეგ ქიქოძე, „ლიტ. გაზეთის“ რედაქტორობის დროს, ყოველთვის და ყველგან გეაჩრია „პოლიტიკური პოეზიის“ ლოზუნგს. ამ მიზნით ის ზოგადად ახასიათებდა ბელინსკის და ჩერნიშევსკის, გამოჰყავდა ისინი პოლიტიკური პოეზიის მამამთავრად და უმოწყალოდ აყალბებდა მათ. ქიქოძე „ლიტ. გაზეთში“ მთელ მოწინავეს სწერდა ამ სათაურით: „პოლიტიკური პოეზიის აბოლოგია“.

აქ საქმე იმაში კი არ არის, რომ ბოლშევიკური ნამდვილი სოციალისტური ხელოვნება — მწერლობა პოლიტიკური არ უნდა იყოს. ჩვენი მწერლობა პოლიტიკური უნდა იყოს. ჩვენ ამისათვის ვიბრძოდით, ვიბრძვით და აუცილებლად უნდა ვიბრძოდით. მაგრამ მწერლობის პოლიტიკურობისათვის ბოლშევიკური ბრძოლა ნიშნავს ჩვენი ეპოქის დიდი იდეების

მწერლობაში ორგანიულად გადატანას. ეს ნიშნავს მწერლობის ბოლშევიკური პარტიულობით გამსჭვალვას. ეს ნიშნავს მწერლობის უდიდეს მხატვრულ სიმაღლეზე აყვანას. დიდი იდეების მწერლობა, კოცონიერი მწერლობა სრულყოფილი, მხატვრული სახეების დიდძალი შექმნა იყოს. ჩვენმა პოლიტიკურობამ მწერლობას თავისი სპეციფიური მხატვრული ენა კი არ უნდა დაუტარგოს, არამედ, პირიქით, უფრო უნდა გააძლიეროს ეს ენა. ასედაც ხდება. ნამდვილი ბოლშევიკური პოლიტიკურობა მწერლობას ამდიდრებს, აღრმავებს, სრულყოფილს ხდის. ამაშია იმ სიმართლის („პრაედა“) აზრი და სიდიადე, რომელსაც მწერლობისაგან მოითხოვდა ამხ. სტალინი და რომელიც ქვეყნობედია სოციალისტური რეალიზმისა. ის „პოლიტიკურობა“ კი, რომლისთვისაც იბრძვის ქიქოძე, მწერლობას აცლის თავის ძალას, ასაქურისებს და ართმევს მას საკეთარ ენას. ამით ფაქტიურად უსპობს მას ბოლშევიკური იდეების ღრმა პროპაგანდის და ამ იდეების შესისხლბორცების საშუალებას.

პოლიტიკურობა ქიქოძეს ვიწროდ, მხოლოდ და მხოლოდ ტროცკისტულად ესმის. ქიქოძე მოითხოვს მწერლობისაგან უშუალო პოლიტიკურობას. ტროცკი ჩვენს ეპოქაში მწერლობის შექმნის შესაძლებლობას არ ცნობდა. მას იგი „შაშანის დამატებად“ მიაჩნდა. ტროცკის აზრით, ჩვენს ეპოქაში ყველა აქტიური ძალა თავს იყრის პოლიტიკაში და რევოლუციონერ ბრძოლაში. დანარჩენი გადაიხდება...

ტროცკიმ მწერლობაც გადასდო. დასტოვა მხოლოდ „ვიწრო პოლიტიკური“ მწერლობა. ზედმეტია ახლა იმის მტყიცება, რომ ჩვენი ეპოქა ყველა ფრონტს აძლევს ძალებს, რომ ის ქმნის შესანიშნავ პროლეტარულ, სოციალისტურ კულტურას, რომელსაც ტროცკი უარყოფდა. და ეს არის სწორედ უდიდესი პოლიტიკურობის და ნამდვილი რევოლუციონური ბრძოლის ნიშანი.

ცხადია, რომ ტროცკიზმის პოზიციებიდან გამომდინარე „ლიტფრონტელი“ ქიქოძე მწერლობის ამ საკითხშიაც ვერ ასცდა მწერლობის ტროცკისტულად „უშუალო“ პოლიტიკურობამდე დაყვანას, მის გაღარიბებას, მის გასქემატიურებას. ცხადია, რომ ჩვენი სოციალისტური მწერლობის დაყვანა „პოლიტიკური პოეზიის“ ჯანრამდე ტროცკიზმიდან გამომდინარეობს. მაშასადამე, არსებულა წმინდა „აპოლიტიკური პოეზია?“ ყოველივე აქედან გამომდინარეობს, რომ ქიქოძე ერთ და ორ საკითხში კი არა, მთელ რიგ საკითხებში ტროცკისტულ გაყალბების გზას ადგია.

საბჭოთა და პროლეტარული მწერლობის შეფასების საკითხშიაც ქიქოძე ყოველთვის ტროცკისტული ცილისწამების გზას ადგია. ამ გზისათვის მას არც უკანასკნელ წლებში გადაუხვევია. 1933 — 34 წელს ის კიდევაც სწუბდა, რომ პროლეტარული მწერლობის პირველი თაობა „ჯერ კიდევ ფიზიკურად ცოცხალია“ — ი. („ლიტ. საქ.“, მე-2 წიგნი, გვ. 217). დ. ბენაშვილი უფრო ადრე სწერდა, რომ ჩვენს მწერლობაში გაბატონებულია ჩინოვნიკების და ბიუროკრატების გემოვნება, სიკოფანტეი, შავი მწე-

რალი და სხვ. („უჩარდიონის“ წინასიტყვაობა, 1933 წ. გვ. V). ტროცკისტულ გაყალბებაში ურთიერთს ეჯიბრებოდნენ ბენაშევილი და ჭიჭინაძე.

„ლიტერატურული გაზეთის“ რედაქტორობის დროსაც მჭიდროდ შეხვედნენ მანე შეხედულება და შეცდომა დააკანონა. ამ რედაქტორულ-კრიტიკული მუშაობის ერთ ნაწილს ჩვენ უკვე გავეცანით. ყოვლად შეუძლებელია ამ მანე შეხედულება-შეცდომების სრულად აღნუსხვა. გაკვრით შევცნობთ მხოლოდ რამდენიმეს.

ავილოთ ჩ ე რ ნ ი შ ე ვ ს კ ი. ეს დიდი თანმიმდევარი რევოლუციონერი დემოკრატიკ ქი ქიქოძემ ტროცკისტულად, კამენევისებურად გააყალბა. და ეს მაშინ, როდესაც არსებობს ამომწურავი და შესანიშნავი შეფასება ჩერნიშევსკისა ლენინის მიერ. ის, რასაც ჩერნიშევსკი ცარიზმის დროს სწერდა, იგი, როგორც დიდი რევოლუციონერი, მაშინ მომავალს ეტრფოდა. ქიქოძემ ჩვენს სინამდვილეში გადმოიტანა და აქედან დაიწყო ჩერნიშევსკის სიტყვებით მომავლისაკენ ხელების გაშვება. ქიქოძემ ჩერნიშევსკის რომანიდან მაინც და მაინც რახმეტოვის მიერ თავისი თავის ლურსმნებით წვალება ამოიღო, თარგმნა და დაბეჭდა. წინასწარ ნიადაგი მოუმზადა ამას იმით, რომ თავის კრიტიკოსის პირით განაცხადა: ჩვენი ცხოვრება რახმეტოვის ლურსმნებს ითხოვსო. მან ჩერნიშევსკის მემკვიდრეობის ბოლშევიკურ დაფასების მაგიერ, ესთეტიკის ხაზითაც განაცხადა, რომ ჩერნიშევსკი:

„ჩვენზე უფრო მოლიანია, დასრულებული“.

და მის მიერ:

„ხელოვნების ფრონტზე ამართული დროში ჩვენ უკუყვანით შეგვიძლია ავილოთ ხელთ და დავაკვირავინოთ მის მიერ დაწყებული სოციალისტური ესთეტიკის საჭე“.

ეს არის არა ჩერნიშევსკის მემკვიდრეობის გამოყენება, არამედ სოციალისტურ ესთეტიკაში შარქსის, ენგელსის, ლენინის და სტალინის მიერ გამოქვედელი საფუძვლის უგულვებელყოფა.

ქიქოძეს „ლიტ. გაზეთის“ ერთ-ერთი ნომრის (№ 30) მოწინავეში („პური და სანახაობა“) ჩვენს დროს, ჩვენს ხელოვნებასა და უძველეს რომს შორის უმსგავსი ანალოგიები გაყავს. „ლიტ. გაზეთი“ სწერს:

„შოგვეკით პური და სანახაობანი — მოითხოვდა ხოლმე ანტიური ქვეყნების დემოსი. ჯერ კიდევ უძველესმა ხალხმა იცოდა, რომ პურის გარდა საჭიროა სანახაობანი. ჩვენი ეპოქის „სანახაობანი“ (ხელოვნება) მრავალნაირია“.

ცნობილია, რომ როდესაც ძველ რომში მშრომელი ხალხი, დემოსი, აღშფოთდებოდა ხოლმე ტირანების წინააღმდეგ, ტირანები მის მომადლოებას ცდილობდნენ პურისა და სანახაობის მიცემით.

ასე ანტიპარტიულად შეხვდა „ლიტ. გაზეთის“ რედაქტორი ქიქოძე პურის ბარათების გაუქმებას. პოეტმა ნაროუშვილმა უცბად აიტაცა ეს უმსგავსო ლოზუნგი და დაიწყო იმავე „ლიტ. გაზეთში“ ლექსების გამო-



ჭვეყნება „პურისა და სანახაობის“ სახელწოდებით.

ამავე მოწინავეში ჭიჭოძემ ჩვენი მშრომელების შეძლებულუფროსებას და კაპიტალისტური ჭვეყნების „შეძლებულებას“:

შ. ი. ბ. ლ. მ. მ. მ. მ. მ. მ.

„ჩვენი ჭვეყნის მშრომელთა სულ უფრო და უფრო ფართო მისება შეძლებულ ცხოვრებას იწყებენ. შეძლებულება კაპიტალისტურ პირობებში გამოჩაღის იყო“.

ჭიჭოძისათვის შეძლებულობა იგივეა, რაც გამდიდრება. ბ უ ხ ა რ ი ს ი ს ცნობილი შეცდომის ფესვებია აქ აყლორტილი.

მწერლებთან იდეური მუშაობის მაგიერ ჭიჭოძე აკანონებდა მათ იდეურ ჩაეარნდებს, უკომენტარიოდ ბეჭდავდა მათ ანტიბოლშევიკურ შეხედულებებს.

მომავლისა და აწმყოს ტროცკისტული დაპირდაპირების მრავალი მაგალითი მოვიყვანეთ ჭიჭოძის წიგნებიდან და მისი რედაქტორობის დროს გამოსული გაზეთებიდან.

ქუთაისის „სიტყვა და საქმეში“ ჭიჭოძემ და მისმა ჯგუფმა ცინიკურად დაიწყეს:

„ირველივე ჯოჯოხეთური ნაპრალეებია, იქ კი სულ ზემოდ, განთიადის ბურუსში ციმციმებს სოციალიზმის მზე“.

ჩრთის მზრით ამ კონტრ-რევეოლუციონური ტროცკისტული „სტილით“ სწერენ, მთორეს მზრით — თვალთმაქცურად უვლიან გვერდს ჩვენს სოციალისტურ სინამდვილეს და მას უფრო „ფრთხილად“ უტყვენ. ისინი მოითხოვენ ჩვენ გრანდიოზულ მონაპოვართა გაბედულ კრიტიკას — მისტიური მომავლის სახელით. ამავე ხაზით ისინი ითხოვენ ჩვენს მწერლობაში:

„გმირული იდეალიზაციის მეოღის“ („ლიტ. გაზეთი“, № 1, 1935 წ.)

დაკაონებას. ამ „გმირული იდეალიზაციით“ სველიან ისინი სოციალისტურ რეალიზმს, იმიტომ რომ არ მოსწონთ ჩვენი სოციალისტური სინამდვილე, ტროცკისტულად აყალბებენ მას და მის გარეშე მიჭრინ მომავალში. მათის აზრით, ჩვენს სინამდვილეში წამებაა, რახმეტოვის ლურსმნებია, უდაბნოა და სხვ. სოციალიზმი რომ დღეს იჭედება, იქმნება, აზრდება. ოცნება რომ დღეს ხორციელდება, — ეს მათ არ უნდათ გაიგონ. მათი აზრით, დღეს ტანჯვია, წამებაა, საძირკველში საკუთარი ძელების ჩაშებაა.

დღეს ჩვენი გოგონების ცრემლებია. ზვალ, ზეგ, იმას იქეთ — შეიძლება გვეშველოს.

მომავლისა და აწმყოს კონტრ-რევეოლუციონური ტროცკიზმის პოზიციიდან დაპირდაპირების ბევრი მასალა მოვიყვანეთ. კიდევ შეიძლება ამ მაგალითების გამრავლება. კიდევ შეიძლება ჭიჭოძის ნაწერებიდან მრავალ მასალის მოყვანა მის ტროცკისტული პოზიციების დასახასიათებლად, მაგრამ მოყვანილიც საკმაოზე მეტია.



დასკვნა:

უკვე გაკეთებულია. თავისთავად ნათელია. ჭიჭიძის კონტრაქტის საკმარისობაში წარმოშვა ისეთი პირწავეარდნილი კონტრაქტის ტროცკისტული ნაწარმოები, როგორც არის ნაროუშვილის „არწივები ტოვებენ მშობლიურ ბუდეს“.

იწამლებოდა ახალგაზრდობის ნაწილის თავები და ნიადაგი იქმნებოდა კონტრაქტოლოგიური ტროცკიზმის გავლენისათვის. მთელი ეს „თაიფული“ ბოლშევიკურად უნდა გამოქვეყნდეს და მას ბოლშევიკური კრიტიკის მსჯავრი უნდა დაედოს, რომ ამ ხალხს საშუალება აღარ მიეცეს კონტრაქტოლოგიური ტროცკიზმის იდეები ბოლშევიზმად გამოაცხადოს და დაუსჯელ კონტრაბანდას ეწეოდეს.

ჩვენ მზის სინათლეზე გამოვიტანეთ ეს ფაქტები, მოვაცილეთ მათ ნიღბი და შევეცადეთ დაგვესაბუთებია ამ ანტიპარტიული ნაკადის იდეური ფესვების ხასიათი, მასზე ამონაყარი ყლორტები და განვითარების სწრაფვა. მრავალი მაგალითი მოვიყვანეთ იმისათვის, რომ დაგვენახა, თუ საიდან მოდის ჭიჭიძის ასეთი პოზიცია, რა ნაყოფი გამოიღო მან და სად მივიდა იგი.

საბჭოთა და პროლეტარულ მწერლობის შემდგომი განვითარება მოითხოვს, რომ ამ კონტრაქტოლოგიური ტროცკისტული იდეების ყოველგვარი ნაშთი ბოლშევიკური ცეცხლით იქნას ამომწვარი და ძირ-ფესვიანად აღმოფხვრილი.



დ. მახვი

## მთბონებანი

(განცხილი, ნახული და გაგონილი)\*

შეუღღგები ქართული თეატრის ამბავს.

ისტორია ამ თეატრის და კოტე მესხის ცხოვრება 1874 წლიდან, როცა კოტე მესხი ტფილისის სცენაზე პირველად გამოვიდა, ისე მჭიდროდ არის გადაჯაჭვული, რომ მემბტიანე, თუ ერთის მოთხრობას შეუღღგება, უთუოდ მეორეც უნდა მოიხსენიოს. კოტე მესხი თავის დაუმთავრებელ მოგონებაში, სხვათა შორის, წერს: „ამავე წელს (1874) ტფილისში ერთ ქართულ წარმოდგენას დავესწარი, რომელიც პატივემული კირილე ლორთქიფანიძის მეთაურობით გაიმართა. არდგენდენ ილ. ჭავჭავაძის „სცენებს“. ეს წარმოდგენა ჩემთვის იმით იყო შესანიშნავი, რომ მე პირველად გამოვედიოდი სცენაზე. ვთამაშობდი გზირის როლს, უმნიშვნელოს, მაგრამ ჩემს მედიდურობას საზღვარი არა ჰქონდა, როცა შიშველ სახეზე დიდი უღვაშები და წვერი დამაკრეს. ისე ვიბერებოდი, თითქოს ჩემზე დიდი კაცი ქვეყანაზე არც დაბადებულყოფს“.

ქართული თეატრის გემო, სიყვარული და პატივისცემა კოტეს კალთის ქვეშ გამეზარდა. მისი გავლენით, წაქეზებით გამოვედი სცენაზე და მისივე რჩევით ვშრომობდი ამ საქმისათვის.

1879 წელს, როცა კოტე მესხმა ქუთაისის გუბერნატორის მალაფეევის ნებართვით საგუბერნიო კანცელარიაში ქართული წარმოდგენებისათვის სცენა მოაწყო, მაშინ „თავისუფალი მოქალაქე“ გახლდით, გიმნაზიას ამ წელს დავანებე თავი, თეატრის გემოს გაცნობილი ვიყავი და კოტეს სცენის მოწყობაზე ვებმარებოდი. რაკი მემარჯვებოდა დეკორაციების დამზადება, დადგმა, სცენის მოწყობა საერთოდ, ძმას ვშველოდი ამ საქმეში. სწორედ ამ დროს ეკუთვნის ერთი წერილი, რომელიც კოტემ მომწერა ჩიონში: „დათიეო, ტფილისის ქართული დასი ჩამოდის და უნდა წარმოდგენები გამართოს. ოთხშაბათს მოდიან. ხვალ დილით მოგელი, ჩამოდი უსათუოდ ადრე. საჭირო ხარ — დეკორაციებს უნდა გაკეთება. კოტე.“

\*) იხ. „მნათობი“ № 1.



მაგრამ მარტო დეკორატიურობა არ მაკმაობს. ამაგულდინა და სკენაზე-დაც გამომიყვანა. მაგრამ ჩემი სასცენო ნიჭი და უნარი იმეტელი ბიჭის, საზოგადოდ, იმერულ როლებზე ვაიყინა. სხვა როლებსაც მჯერებდა (მარტოლა რო მაკისრებდა, — და თუ ამ როლებს არ ვაფუჭებდი (ჩემს სტუდენტების ჩვეულებრივი გამოთქმა), ეს ზომ, ცხადია, წარმოდგენისათვის არ კმაროდა, არ კმაროდა პიესისათვის, არტისტიკისათვის. ამას, რა თქმა უნდა, ჩემზე უკეთ კოტეც ამჩნევდა, მაგრამ სხვა სახსარი არ იყო. როცა რუსული და ევროპული პიესები მოხშირდა ჩვენს სკენაზე, — „კინში“ ან „რევიზორში“ ივანიკას როლებს ზომ ვერ შევიქმნიო, — მეტყოდა კოტეც და უარტისტობის გამო „სოლომონს“ და „ოსიპს“ მათამაშებდა... — თუ არტისტობა გინდათ, ყველანაირი როლი უნდა ითამაშოთ, — ჩაგვიჩინებდა კოტეც.

დიდად სასტიკი და მკაცრი იყო კოტეც, როგორც რეჟისორი. ცხოვრებაში მზიარული, თითქოს უდარდელი კაცი, როცა რეჟისორობდა, მუდამ შრისხანე, წარბშეკრული იყო, თითქოს ქვეყნის დარდი მას აწვა. იცოდა ყვერილი, ჩიჩინი, ხშირად მაგარი სიტყვებიც.

ჯერ ახლაც მოიძვირებს ქართულ მსახიობთა შორის რიგიანი დიქციონსა და მართებული პლასტიკის მქონე, სკენაზე უნაკლოდ თავის დამკვირე, და კოტეც მესხის რეჟისორობის პირველ ხანებში, ადვილი წარმოსადგენია, რა უნდა ყოფილიყო. სად აუმაღლოს თუ დაუწიოს ხმას, სად დადგეს, როგორ გაიაროს, სად დაჯდეს, — ვესტებს ნულა იკითხავთ, — ამას ყველაფერს ჩვენება უნდოდა... „კაცო, როგორ დაბაჯბაჯობ, ადამიანურად გაიარე!“ ყვიროდა კოტეც, ბევრი ადამიანურადაც არ ლაპარაკობდა. ზოგი მამავოჩვენოსავით აბულბულებდა როლს, ზოგიც სიმღერის პანგებზე უტყევდა. ხშირად იატაკზე ცარკით შემოუფარგლავდა მსახიობს დასადგომ თუ გასადგულ ადგილს... ეს, ცხადია, ნების შემორკვა იყო მსახიობისა, მაგრამ იმ დროს უამისობა არ იგარგებდა.

კოტეც ხარობდა და ცხარე სიტყვებიც ეხარჯებოდა. მე ცრემლებიც მახსოვს, უფრო ხშირად მსახიობ ქალთა ცრემლები. ჩემი და ეფემია დამიშოწმებს ამას... გაურჩევლად ყველას სასტიკად ეტყეოდა და თავისიანებს ზომ უფრო მეტად შეუტევდა ხოლმე. ხშირი იყო არტისტების რეპეტიციიდან მოკურცხვლა. ერთხელ მახსოვს, მეც გავექეცი, როცა მიყვირა... შინ რომ მოვიდა, თითქოს ბოდიშით მომმართა: „რა მოხდა, რა ამბავია! დალოცვილო, იმდენი კი უნდა გესმოდეს, რომ ჩემიანებს უფრო მკაცრად ინიტომ გატყევი, იქნება, დანარჩენებს შევასმინო რაზე“.

უნდა გატეხილი ვთქვა, დიდად ყურმახვილი და უნარიანი ჩვენს შორის კოტეცა გახლდათ და კოტეცს სიმკაცრეც უსაბუთო არ იყო.

რეჟის ოთხმოცი წლის ენკენისთვეში კოტეცს მკირვოდენი თანხა გაუჩნდა. თვითონაც და სერგეის რჩევითაც გადაწყვიტა ოდესას წასვლა ბუხალტერიის შესასწავლად...

იმ ხანებში და მას შემდეგაც კარგა ხანს ქართველ მსახიობს ნელგასი ძალიან მცირე ეძლეოდა. მოვიყვან მაგალითს. ჩვიდმეტი წლის შემდეგ კოტე მწერდა ტფილისიდან: „9 ნოემბერს შენი „სიკოაი (სიკოაი) და-ნიშნული. უნდა ჩამოხვიდე უსათუოდ. 6-ს რეპეტიციაზე უნდა იყო, მი-იღებ 25 მანეთს“.

ეს წერილი იმის ნიმუშად მოვიყვანე, თუ როგორ ჯილდოვდებოდა ქართველი მსახიობი. მე, რასაკვირველია, ვერაფერი მსახიობი ვახლდით, რომ ზედმეტი ჯილდო მომეთხოვა, მაგრამ, ვფიქრობ, 25 მანეთი საავტორო, ჯილდო როგორც მსახიობს და ორი გზის ხარჯი ტფილისსა და ქუთაისს შუა ძალიან მცირე პონორარი იყო.

კოტე გავმგზავრა ოდესას... მაგრამ ათასი ორმაგი ბუხალტერიაც რო შეესწავლა, ქართულ სცენას ვერ ჩამოშორდებოდა, და თუ სხვა საქმესაც ეძებდა, ეძებდა იმისთვის, რომ ცხოვრების უზრუნველსაყოფელი სალსარი გამოენახა და თავის საყვარელ საქმეს მეტის ხალისით და გულით მოკიდებდა. და ეს ხალისი და გული საყვარელ საქმისადმი თითქმის უსახსროს, ადრე და მოულოდნელი სიკვდილის წუთამდის არ შესცვლია, არ შეფერხებია.

სწორედ სიკვდილის წინა დღით იყო, დარია ახვლედიანს რომ შეეხვეწა: „ნოე ჩიკვაძეს გადავეცი გასაღებქსად „მეფე ურიათა“-დან ერთი ადგილი; მიაკითხე, მოვიანდება, იქნება დროც არა აქვს, გამოართვი და, თუ ხათრი გაქვს, შენ გამირითმე მალე“. კაცს დღეები დათვლილი ჰქონდა და კიდევ თეატრზე ფიქრობდა...

ის უკვე ოდესაში გვეგონა დაბინავებული, როცა ჩემ ძმას ივანეს პარიზიდან შემდეგი წერილი მოუვიდა:

„ძმაო“ ივანე. ეს არის პარიზში მოველი და გწერ. თუ ძმა ხარ, ნუ შესწუხდები, აქ რო ჩამოვედი. მართალი გითბრა, ფოთამდი გადაწყვეტილი არ მქონდა, აქეთ წამოვიდოდი თუ ოდესისაკენ, მაგრამ ფოთში რომ მარსელის გემის ამბავი ვიკითხე, შემაცდინა და მერე ჩემმა განოთქმელმა სურვილმა. კოტე ჭავჭავაძემ (დამოყნის მოხელე) თითქმის სულ ტყუილად დამიჯინა გზა მარსელამდე 35 მანეთად, მაშინ, როცა ყველა მგზავრი 80 მან. იხდის. ის, როგორც მოხელე დამოყნისა, ყველასთან ნაცნობი იყო და ეს ფულები მე მარტო საქმელისათვის გადამახდევინეს... მარსელიდან პარიზამდე, ვიცოდი, 25 მან. მეტი არ დამეხარჯებოდა. ახლა წარმოიდგინე, 60 მანეთად შემეძლო აქ ამოსვლა და როგორ არ წამოვიდოდი, მაგრამ მაინც დავფიქრიანდი, შემდეგ კი მივადურთხე ეშპას და გამოვსწიე. თუ ტფილისი დამეხმარა, დავრჩები ოთხ-ხუთ თვეს, სწორედ იმდენ ხანს, რომ წაკითხული ფრანგულის ვაგება შევიძლო. და თარ-

\*) ეს მხიარული კომედია შეერთნოს „Шельменко денщик“-იდან გადმოვტარებულე.

გმნაც... მარსელში სარა ბერნარი ვნახე სცენაზე—კინალამ გადაძრა. თუმცა მისი ლაპარაკი არ მესმოდა, მაგრამ თამაშს ვხედავდი და ტანში მაკეცებდა... სერჯეის კორესპოდენტის ვუგზავნი ამ გამოჩენილი მსახიობის შესახებ...".

ამავე წერილში, სხვათა შორის, იმასაც იწერებოდა: „სახელები და ახალი სცენის განზრახვას არ დაავადებს, პარიზიდან ოდესას დაბრუნდება და ბუჰალტერიას უთუოდ შეისწავლის...“

მაგრამ პარიზის თეატრმა და გამოჩენილმა მსახიობებმა, თქვენი მტერია, ბუჰალტერია კი არა, თავიც დააიწყო. პარიზიდან ბურანში გახვეული დაბრუნდა, თან ჩამოიტანა ახალი პიესები, ქართული სცენისთვის უცხო, ახალი თამაში ახალი ელფერით.

სანამ ქუთ. საგუბერნიო კანცელარიაში სცენა მოეწყობოდა (1879 წლამდე), წარმოდგენები „სამეფო სახლში“ იმართებოდა. ეს სახლი ალექსანდრე II-ის მისაღებად ააგეს. შემდეგ იქ სცენა გამართეს. დარბაზი კი სრული იყო, სცენაც კარგად მოწყობილი, მაგრამ რუს-ოსმალის ომის დროს დაჭრილებისათვის საავადმყოფოდ გადააკეთეს, და კოტეშაც აღნიშნულ კანცელარიაში მოაწყო სცენა.

ქართველი მსახიობები მაშინ არაერთად სასყიდელს არ იღებდნენ. მთელი შემოსავალი სცენის გაუმჯობესებას, გარდერობის შექმნას უნდა მიხმარებოდა, და თუ რამ გადარჩებოდა — ღარიბი სტუდენტებისათვის დახმარება უნდა გაეწიათ.

იმ ხანებში აკაკიცი ლებულობდა მონაწილეობას წარმოდგენებში, თამაშობდა, მაგრამ 1875 წელს უკვე ჩამოყალიბებულ წრეს ვერ მოურიგდა, შელაპარაკება მოუხდა, გაჯავრდა და ჩამოშორდა.

ქუთათურ წრეში იყვნენ: ანტ. ლორთქიფანიძე, თემ. ლეკავა, ალ. ჭიჭინაძე, ილ. მიჭელაძე, შეს. ლოსაბერიძე, ლადო აბაშიძე, ხელთუფლიშვილისა და ნიკოლაძის ქალები, ეფრო კლდიაშვილისა, ანდრია მრეველიშვილის ქალები, ივ. აბაშიძე, ივ. მესხი, ანა მესხის ქალი, კოტე მესხი, ზაქ. ჭეიშვილი, ევგენია ჩხეიძისა (ნინოს დედა) და ანტ. ჭურციკიძე.

წრე ბევრითად და მარჯვედ მუშაობდა. ბევრი მოსაწონი წარმოდგენა გამართა. რეპერტუარი ღარიბი იყო, ქართული პიესები ცოტა. წრის წევრები თარგმნას დაუტრიალდნენ და გადათარგმნეს ბევრი ღირსეული ნაწარმოები. თარგმნიდნენ მეტწილად რუსულიდან და ფრანგულიდანაც. იმ დროინდელი რეპერტუარით ქართული სცენა კარგა ხანს იკვებებოდა.

„სამეფო სახლის“ ლაზარეთად გადაკეთებამ შეაფერხა ქართული წარმოდგენების საქმე. ხოლო 1879 წ., როცა საგუბერნიო კანცელარიაში მოეწყო სცენა, მაშინ უკვე დასი ჩამოყალიბდა და ამ ხნიდან კოტე მესხი რეჟისორობდა.

ვას. აბაშიძე და კოტე მესხი იმ თავითვე დიდი მეგობრები იყვნენ. სასცენო მოღვაწეობა თითქმის ერთდროს დაიწყეს. კოტე მესხი იმ თავიდან უფრო ხშირად კომიკურ როლებს თამაშობდა. სხვა როლებსაც მო-

ჰქიდა ხელი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პარიზი მოიარა და გერმანიის სახელმწიფოებრივი მსახიობები იხილა...

ქართული

ჯერ კიდევ სწავლაში ვიყავით, მოწაფეები, როცა დიდებულნი დასს ჩვენც მივბაძეთ, თითქმის ბავშვებმა. შევადგინეთ წრე და რაკი უფროსების პიესებს ვერ ვძლევდით, თვით ვთხზავდით სალაღობო რამეებს, ესარგებლობდით რუსული საბავშვო თეატრის რეპერტუარით, ვთარგმნიდით და ჩვენისავე ოჯახის წევრებს ბევრს ვაცივებდით. ჩვენი ოჯახიდან ამ წრეში სამი ვიყავით, ჩემი დები — ეფემია, მარიამი და მე, ორი ქალ-ვაჟი კლდიაშვილი მამა (მარიამ ძნელაძისა — მომღერალი) და ლუარსაბი, გიორგი გელოვანი (მიშას ძმა), ანდრია და ვარლამ ჭიჭინაძეები, იასონ ლოთქიფანიძე, ილია ჭყონია...

ჩვენს წარმოდგენებს ხან სად და ხან სად ვმართავდით. დიდების წრისა არ იყოს, ერთი ბინა არც ჩვენა გვქონდა. ხანმა რო გაიარა, ავგულიანდით, უკვე არტისტებად მოგვქონდა თავი და მომხბო რამეებსაც წავეუბოტინეთ ხელი...

ერთხელ აკაკის „ბუტიაობა“ მოვამზადეთ და ზალა წარმოდგენისათვის ნიკო დადიანს (შალვას მამას) გამოვთხოვეთ კოლექტიური უსტარით. საიმოვნებით დაგვითხო დარბაზი და თითონაც დაესწრო პატარა შალვათა ჩვენს წარმოდგენას. ბევრი ვაცივებთ დამსწრე საზოგადოება... წარმოდგენის შემდეგ ნიკომაც შეგვაქო, მხოლოდ გვირჩია — სათქვენო პიესის არჩევისთვის უფროსებს დაეკითხეთო. „ბუტიაობა“ შეუფერებლად იცნო ჩვენთვის...

კოტად რო წამოვჩიტიდით, ჩვენი დასიც დაიშალა: უფროსებისთვის ჯერ პატარები ვიყავით და პატარაობაც აღარ შეგვეფერებოდა... არც დიდებში, არც პატარებში!..

მე კი პირადად, როგორც ზევითაც მოვიხსენიე, კოტე მიშველიებდა ჯერ სცენის მოწყობაში, მერე სცენაზედაც გამოვხობნიკდი და როცა არ „ვხობნიკობდი“, იმერულ როლებს არ ვასრულებდი, ჩემს ქერქში თავს ვერ ვგრძნობდი...

ერთხელ ასიკო ცაგარლის პიესაში, მახსოვს, კოტემ კინტოების როლებიც დაგვაკისრა მე და კოლა ბადრიძეს. ვაბედულობის ასაწევეად, წარმოდგენის საღამოს ორივე ძალად ვაკინტოვებულმა თითო ბოთლი დვინო ვხლებეთ... სანამ ჰაერზე ვიყავით, არაფერი, თავს მარჯვეთ ვგრძნობდით, მაგრამ კულისებში რო შევედით და ცხელი ზული დაგვეტაკა, მტრისას, ფეხიც კი აგვერია, ჭანაობა დავიწყეთ. გვიყვირა კოტემ... მოატანი-ნა ნიშადური და ოც-ოცი წვეთი შეგვახუხეს. კოტად გამოვფხიზლდით და წარმოდგენასაც გადავჩიით მშვიდობით.

გიორგი წერეთელმა რეცენზიაში ჩამიწერა: «დათ. მესხი ჩინებულად ასრულებდა კინტოს როლს, მაგრამ ლოთი-ფოთი კინტო უნდა «წარმო-



მკვირცხლსა და მარად მზიარულ ღიზგადმოღმელს თითქოს დორდი, კმუნვა და ცრემლი ესაჭიროება — მარგარიტა ვოტიე, მადამ სანეენი, აქ არიან ფეფიკო, ნუცა, კოტე...

ტფილისის მოუნდა აცრემლება — მიდიან ქუთათურებს...  
 ქუთათურებს სიცრილი უორკეცდებათ ტფილისელების წყალობით...  
 და მცირე ხნის შემდეგ კი ელ. მესხიშვილი ტფილისსაც და ქუთაისსაც აცრემლებს, ნერვებს ზეუწევს.

ტფილისის სცენაზე ეფემია მესხის გამოსვლა ქართული თეატრის ეპოქა იყო, ეპოქა წმინდა ცრემლის, უღრმესი გრძნობების აღძვრისა. ტფილისელებს ჰყავდათ ლადო, მაგრამ მარგარიტა, ადრიანა ლეკუჯერე, მადამ სანეენი ჯერ ქართულ სცენაზე არ ენახათ, ქართველი მსახიობი-ქალის მიერ განსახიერებელი. ეფემია მესხმა აახშაურა ტფილისი. გიორგი წერეთელმა დიდი ზოტბა უძღვნა ეფ. მესხს „კვალში“, სურათებიც დაბეჭდა ამ მსახიობი ქალისა. უსაზღვრო აღფრთოვანება გამოიწვია ეფ. მესხის გასტროლებმა ტფილისში. რუსულ-ქართულ გაზეთებში მსახიობს ქების წერილები მიუძღვნეს...

ქართული თეატრი! დიდი სკოლა ქართველებისთვის. ჩვენს ყოფაში უაღრესი მნიშვნელობისა გახდა იგი.

როცა მეფის რუსეთის პოლიტიკა მწვავედ შეიჭრა სკოლაში და ქართულ ენას განზე ცქერა დაუწყეს, აბუჩად აიგდეს და სასწავლებლიდან თითქმის განდევნეს იგი, ამ ენის საღაროდ, ასპარეზად და საუნჯედ ქართული თეატრი შეიქნა.

დაე, ნუ იყოს სასცენოდ აგებული, იმის მოთხოვნისაფვის გამო-სადევი და ზედ გამოჭრილი აკაკის, ილიას, რაფიელის პიესები, თუნდა ბევრი სხვისაც... მაგრამ იქ ქართული ენის მარგალიტები იყო და ეს სცენი-ნიდან გვესმოდა...

სკოლებიდან ექსორია ქმნილმა ქართულმა ენამ ბინა მოიძია...

უცნაურია მსახიობის ბედი!

რაც უნდა დიდი ხელოვანიც იყოს მსახიობი, იგი ფასდება, სანამ ცოცხალია, სანამ სცენაზე მოქმედებს, თეატრს ამშვენებს. ანებებს თუ არა თავს ამ ასპარეზს, იგი დავიწყებას ეძლევა... გამოჩენილ დრამატიულ მწერალთა უდიდესი ნაწარმოები თითქოს უსიცოცხლო საგანძფრია, უსიცოცხლო საუნჯეა, და საზოგადოება და ხშირად ავტორიც ღირსეულ ფასს მაშინ დასდებენ ამ ნაწარმოებს, როცა აქტიორი-ხელოვანი დრამატიული თხზულების გმირს ცოცხალ სულს ჩაბერვენ, სცენის ქურუმში ხშირად ისეთ შტრიხებს, ხაზებს უკეთებს მწერლის მიერ დახატულ, გამოყვანილ პიროვნებას, რომ იგი მხოლოდ ამის შემდეგ ხდება გმირად და ისეთ დიდ გმირად, რომლის წარმოდგენა, დაფასება არც მკითხველს შეეძლო მანამდის და ხშირად ავტორნიც ვერა სცნობენ მათ მიერ აწერილი გმირების სახეს...

და აი, ამ ხელოვანთა პლეადას აღარავინ იგონებს თითქმის და გამოჩენილ დრამატიულ მწერლებთან ერთს სიაში არ ათავსებს მათ. ანა, ვინ-ღა მოიგონებს შექსპირთან, გოეთესთან, რასინთან, კოჩნელოფანე ლუჩენთან, დიუმასთან და გრიბოედოვ-ოსტროვსკისთან ერთად ამბროჯის, ჩხეიძის, როსის, პოსარტს, ტალმას, დუზეს, სარა ბერნარს, მოჩალოვს, შჩეპკინს და სცენის სხვა ქურუმებს! პირველებს დიდებული ძეგლები, ძეგლები, ძეგლები. უკანასკნელებს არც უბრალო ნიშნები...

ჩვენი ჩვენი სცენის დამსახურებულ, წარჩინებულ მსახიობებს შრომა დაუფასეს იუბილეებით. ამ ზეიმებში საზოგადოება ყოველთვის დიდ მონაწილეობას იღებდა: სიტყვები, კიდევ სიტყვები. ხობა, საჩუქრები... ყველა ჩვენი ქალაქები, დაბებიც კი ცალკე იწვევდნენ იუბილიარებს და ყველგან დიდი შეხვედრა, დღეობა...

მეც მივესალმე რამდენიმე იუბილიარს.


აქტიურობას თავი მალე დავანებე. რედაქციებში მუშაობით დატვირთული ვიყავი. ქართულ სცენას ჩემი გამოთხოვებით დიდი ზარალი არ უნახავს. დასში არსად ჩავწერილვარ. მხოლოდ საქველმოქმედო საღამოებზე ტფილისსა, ქუთაისში და სხვა ქალაქებსა თუ დაბებში ჩემი იმერული სცენებით ხშირად უმასპინძლებოდი ხოლმე საზოგადოებას და ვამზიარებდი კიდევაც იმერული კოლოკავით და დღიურ პირვარამზე სახუმარო ლექსებით.

ზევითაც ვთქვი, დღევანდელ თეატრს სახე სრულიად შეეცვალა. სულ სხვა იერით იდგმება პიესები და თვით პიესებიც სულ სხვაა, სხვა პანგზე აგებული... არა თუ ახალი, თანადროული პიესები, — ძველის ძველებიც ახალმა ჩელმძღვანელ-რეჟისორებმა ახალი სულით მონათლეს, დროის შესაფერ ელფერს აძლევენ. ძველი პიესები ძველი დადგმით დღეს დრომოჭმულად ჩაითვლება.

ფერი და იერი იცვალა ხალხმა...

ცხოვრებამ საზოგადოებას ახალი დალი დააკრა. თეატრმაც, ამ ცხოვრების სარკემ ეს დალი აისახა, შეითვისა და გვაჩვენებს... გვაჩვენებს ახალ სახეს, ახალ ვითარებას.

უამისობა არც შეიძლებოდა.

და, აი, მიიწურა კიდევაც ჩემი მოგონებანი... ვითომ?... ნუ თუ ამის მეტი არა მინახავს რა, ვანმცდია, გამიგონია,?!  


ბოდიშით შევეუდექ წერას, ვამთავრებ ბოდიშითვე... უნდა შეპატიოს, რაიც გამომჩრა. იწებ იყოს ვინმე ჩემის დროის, ჩემის ასაკისა, მეტი სიფხიზლის პატრონი, ჩემზე მარჯვე, მახვილი მახსოვრობისა და უკეთ ანუ-ხოს ჩემგან გავლილი დროის მატრიანე...

ია და ვარდი ფენია...

დაულოცავ კალამს!..

# ბიბლიოგრაფია

საქართველოს  
ბიბლიოციფია

უიარაღო — „მაშელუკი“. გამ. ფედერაცია, 1985 წ. გ. 4 მ.

„მაშელუკი“ ისტორიული შინაარსის მოთხრობაა და გვიხატავს ჩვენი მახლობელი ისტორიის უსაშინელეს პერიოდს.

ბატონყმობის მძინევარების დროს ყმებით ეპყრობა დაკანონებული მოვლენა იყო. ჩვენში ყმებით მტრწილად ეპყრობდნენ დიდი ფეოდალები და ხშირად დიდი სასულეო პირებიც — „თავადნი ეკლესიისანი“. ყმებით ეპყრობა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარშიც არ შეწყვეტილა.

უფროდ და მოულოდნელად დაღუპული კონტრაქტითა თათარიშვილი (უიარაღო) „მაშელუკი“ ამ თემაზე დაწერილი. მოთხრობის პირველ თავიდან ვტყობილობთ, რომ ნაწარმოების სიუჟეტი 1757 წლიდან (ხრესილის ბრძოლა ოსმალებსა და იმერელ-მეგრელებს შორის 1756 წელს მოხდა) იწიკვება. ავტორი დახელოვნებული მოთხრობელის სიდიანჯით და ოსტატობით ხატავს ერთიმეორეზე ცოცხალ და ტიპურ სურათებს, თანაც ეს სურათები სრულიად ძალდაუტანებლად, ბუნებრივად შესდევნენ ერთი მეორეს და მილიანობის წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებენ. განსაკუთრებით მოკმედებენ ის ადგილები. რომლებიც საქართველოს სინამდვილეს, ოსმალეთის ტყვეთა საეპყრო ბაზარს და ადამიანებით მოვაკრე ტიპებს ეხება.

უახლოეს ქართულ ლიტერატურაში ეს ხელშეუხლებელი თემა — ავტორის მიერ დამუშავებულია წერტილურფუნჯიული მსოფლმხედველობით, რისთვისაც მაშინდელ ცხოვრების ზოგიერთ უბანს, რეალურად და ისტორიულად წყვიდადის მომცემს, ნათელი ფერი აქვს დაკრული. მაგალითად ნაწარმოების მთავარი მოკმედი პირი, ნაწარმოების დადებითი გმირები — ეს მღვდელი შარკოზა და თავადის გიორგი გიორგიშვილის მუღღღღ — როდამია. განსაკუთრებით მღვდელი შარკოზა დაბადე გაკეთებულია თავის დროის უდიდეს კულტურის მქონე ადამიანის სახით და ამასთანავე უძლიერეს და უგაველნიანეს პიროვნებად, რომელიც ებრძვის თავადებს და სოფლის სხვა ბატონ-პატრონებს და რომელიც თუმცა თავდაბალია, მაგრამ თუ გაქირდა ქედმილაზე უაოეს იზამს. ცხადია, ეს ამბავი არ შეიცავს ისტორიულ სიმართლეს, სოფლის მღვდელი ჩვეულებრივად კელი იყო თავადებისა და აზნაურების და არა მათ წინააღმდეგ უშიშარი და თავდადებული მებრძოლი და უმაღლესი სამართლიანობის ქომაგი.

თუ გაეხსენებთ, რომ ავტორი ოდესმე სასულეორო წოდების რიგში იდგა, მაშინ გასაგები იქნება შარკოზის ასე გაკეთილშობილება და გაიდვალება. ავტორი შარკოზის მიმართ იმდენად გულმხურვალე გრძობებს იქნეს, მისი სუბიექტური განწყობილება მისადმი იმდენად თბილია, რომ ის მხატვრული შემოკმედების საზღვარსაც კი გადადის და მის პორტრეტს წმინდა პუბლიცისტური ზერხით აკეთებს.

ამ ნაწარმოებს ჩვენთვის ამ მხრივ აქვს მნიშვნელობა, რომ ის ფართო მასების წინაშე ამიშვლებს და ფარდას ხდის წარსულის ყველაზე უფრო საშინელ და საზიზღო პერიოდს. ამ მხრივ მის განსაკუთრებული ადგილი უკავია თავის დროის ქართულ ლიტერატურაში.

ავტორმა „მაშელუკებში“ გამოიყენა ხალხი, მშრომელი გლეხობა, შეწუბებული და გატანჯული, თავის აუტანელ ცხოვრების წინააღმდეგ ხმამაღლა ამტყველებული.



რომელიც არ ურიგდება დუბჭირის ცხოვრების პირობებს და ებრძვის მას, თუცა მეფეზე კი ლოცულობს და მის სახელს დიდი სასოებით ახსენებს, მაგრამ ეს პიხსნება გლეხთა იმ დროინდელი სოციალურ-პოლიტიკური პირობებით.

„მამულეები“-ს თემა იმდენად საინტერესოა და მკითხველს სწავლის, ისევე როგორც იტყობს, რომ ზოგიერთი არა მხატვრული ადგილები შეუმჩნეველიც კი რჩება.

მოთხრობას დართული აქვს ტ. ტაბიძის კრიტიკული მიმოხილვა. ავტორი საერთოდ სწორ შეფასებას აძლევს „მამულეს“, მაგრამ ბევრ რამეში უსათუოდ სასაყვედუროა. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ტ. ტაბიძე ერთობ ხელოვნურად უკავშირებს აღნიშნულ მოთხრობას ქართული ლიტერატურის განსაზღვრულ საფეხურს. გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ ტაბიძეს, ევროპის დეკადენტების ჩამოთვლის (დიდი, ჩამოთვლის და არა დამავკრებელი დახასიათების) ნაცვლად, ქართული ლიტერატურის მოცემული მომენტი მეტის დაკვირვებით და კონკრეტობით წარმოედგინა. ამ შემთხვევაში „მამულეი“ უფრო ორგანულად დაუკავშირდებოდა ჩვენს მწერლობას. კარგი იქნებოდა აგრეთვე კ. თათარისვილის მიერ ლიტერატურული მოღვაწეობის გაცნობა და არა ასე ორი ფრაზით აღნიშვნა, როგორც ამას ტაბიძის წერილში აქვს ადგილი. უიარაღო უსათუოდ არის ამის ღირსი.

ტაბიძე სწერს, ბატონყმობის წინააღმდეგ პირველად „კალმასობის“ ავტორმა ამოიღო ხმაო. ვერ გამოვიგია, საიდან დაასკვნა ავტორმა ეს აზრი. ყმების უცხოეთში გაყიდვა და ბატონყმობის საერთოდ მოსპობა არ არის ერთი მეორეში ასარგევი საგნები.

ტაბიძის წერილის მეორე დიდი ნაკლი ენობრივ დაუდევრობაშია. მას არ ეპატიება ასე წერა: „ჯერ ნაწილობრივადაც არ არის შესწავლილი კ. ლომთათიძის ოსტატობა გამოცდილება, და იმათ ვისაც თავიანთ აღმოჩენად მიაჩნიათ ჟოლას პროზა, არც კი იციან საიდან არის ის ერთნატიელი, რომელიც მას ახლავს და რა ძალა ტეხავდა და იმე დროს კეებადა მის ოსტატობას“. თავს ვინებებ „სტავთა ცოდვილით“ უვიცობის შესახებ ჭინძისთავის მომარჯვენას და პირდაპირ აღენიშნავ, რომ ამ ნაწევალზე წინადადებაში კავშირი „და“ ჭეშმარიტად ვნებულია. ვერც სასვენ ნიშანს მოუწახავს თავისი ადგილი.

ენობრივი დაუდევრობის მავალითი კიდევ ბევრი შეიძლება ამოგვეწერა, აგრეთვე სასცენი ნიშნების ან სულ არ ხმარების, ან კიდევ შეუფერებლად გამოყენების ტაბიძე ზოგ რამეს, ალბათ, კორექტორს გადააბრალეზს, — ეს სამართლიანიც იქნება, მაგრამ ბევრში კი თითონ უნდა აგოს პასუხი.

ენისა და კორექტორის საქმე „დედერაკიამ“ უსათუოდ უკეთ უნდა დააყენოს.



## ბ. ჩხეიძე — „მოთხრობები“. სახელგამო. 1985 წ.

ბ. ჩხეიძე პროლეტარული მწერლების რიგებიდან პროზის საკმაოდ დახელოვნებული ოსტატია. „დღეებმა“ მას დაუმევიდრა ნიჭიერი პროზაიკოსის სახელი. „უფრო“ მისი შემდგომი წინსვლისა და გამარჯვების მაჩვენებელი იყო. მწერალი ახლაც ზრდის პროცესშია და მხატვრული ოსტატობის ტექნიკას უფრო უკეთ და უკეთ ეუფლება.

სარტყენშიო წიგნში წარმოდგენილია მისი ოთხი მოთხრობა: „წილი“, „დღეები“, „მტერთავე ქათა“ და „სისხლიანი ბარი“. უნდა ითქვას, რომ ყველა ეს მოთხრობა ერთნაირი ოსტატობით არ არის გაკეთებული. მაშინ, როდესაც პირველი ორი მოთხრობა მოწიფებული მხატვრული ნაწარმოების შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველზე, უკანასკნელი ორი მოთხრობა უნდა ჩათვალოს სუსტ ნაწარმოებებათ.

მოთხრობა „წილი“ შინაარსი გაშლილია სამი ეპოქის ფონზე. ეს ეპოქებია: თვითმწყობელობის დრო, იმპერიალისტური ომი და საბჭოთა ბელისუფლების არსებობის წლები. პირველი ეპოქის ფონზე ავტორს მოცემული აქვს მუშის შრომის კაპიტალისტური ექსპლოატაცია ჭიათურის შავი ქვის მადარობში.

კომპროციურად მესამე ეპოქა ვერ არის მტკიცე დღეობით დაკავშირებული პირველ ორ ეპოქასთან. მესამე ეპოქის ამბები პროლოგის შინაარსი უფროა, ვიდრე ამ ეპოქის კონკრეტული სინაბდელის ასახვა, ვიდრე წინანდელ ეპოქებში განსაზღვრულ მიზნით წარმოდებული თავდადებული კლასობრივი ბრძოლების შედეგი. პირველი ეპოქის ასახვაშიაც ავტორი ებილოგს ტექსტთან აერთიანებს, ალბათ, მოთხრობის კომპროციურ მშენებლობაში სიახლის შეტანის მოსაზრებით, მაგრამ მიზანს ვერ აღწევს და ეს საეჭვო სიახლე ნაწარმოებს ერთგვარად მხატვრულ ეფექტიანობასაც კი უკარგავს.

„წილი“ უძველად დამაკმაყოფილებლად არის ნაწვენები ჭიათურის შავი ქვის შრეწველობაში კაპიტალისტური ექსპლოატაციის საშინელი ფორმები (ჯოჯობეთორი შრომის პირობები, პოლიციის ნადირობა მუშებზე, მცირე ბელფასი, მუშათა მოტყუება), კლასობრივი შეგნების ჩასახვა, პირველი მუშათა ჯგუფები, გლეხის საწარმოო ქებაში გადახარშვა (დიმიტრი), გაფიცვისათვის მზადება, მაგრამ, რაც მთავარია, არ ჩანს კლასი და ამ კლასის ავანგარდი — პარტია.

ვახუშტის სახით ავტორმა მოგვცა კაპიტალისტურ საქმიანობაში საცეხით ჩაფლული ადამიანის ტიპი. მასში უზოთოდ განვითარებულია შოვნის მადა. ხალხის უბედურება მისთვის ბედნიერების წყაროთაა გამზადარი. გვაღებებსა და სეტყვის დროს მის შარან-ბელღები თავამდის იღებია.

დიმიტრიც ტიპური ხაზეებით მოცემული მომჭმედი პირია. დიმიტრის პროლეტარობაცია და ჭიათურის შავი ქვის სამუშაოსკენ დაძვრა, ავტორს უძველად მხატვრული ზომიერებით აქვს ასახული. შოლოდ ერთ რამეში ამლანებს. დიმიტრის, სადაც კი ქალს შეახვედრებს, ყველგან რომანებისა და საყვარულის ბადეში იბანს.

„წილი“ უძველად მხატვრული ოსტატობით არის მოცემული ჭიათურის შავი ქვის შრეწველობის მუშათა პორტრეტები. საიდან მოდიან ეს მუშები, რამ მოყვანა ისინი ჭიათურის მადარობეში, როგორი იყო მათი სოციალური მდგომარეობა იქ მიხელამდე, — ამაში ავტორი კარგად ერკვედა. იტალიელი კაცულუღ, სპარსელი ბული, ბერძენი ხარლამე, რუსი კაპო კინეტკოვი, ებრაელი შკოლნიკი და ქართველები განა•

კვიენაძე, გრიგოლ შავგულაძე, ფუხაშვილი, პავლია სირაძე წარმოადგენენ მალარობების მუშათა მოწინავე რაზმს. მათ თაყიანთი სოციალური მდგომარეობის ბიოგრაფიები აქვთ. ავტორთან ერთად შეითხველსაც სჯერა, რომ წამსწამს წამსწამს პატრონებს ცხოვრების განვითარების სხვა გზა არ ჰქონდათ. სრულყოფილი წარმართობა და სოციალური მდგომარეობა მათ სწორედ ამ ჯოჯოხეთისაკენ უკაფადოა გზას უშვებულად დამამკაყოფილებლად არის მოცემული ეპიზოდები მათი წარსული ცხოვრებიდან. ესევე არ ითქმის ამილახერის ნაშველ ფუხაშვილზედაც.

იმპერიალისტური ომის ეპოქა და მთელი რიგი ბატალური სცენები ვერ არის ასახული სათანადო პოლიტიკური სიმახვილით. აქ ავტორს, ეტყობა, სუსტად ესმის ამ საკითხის არსებითი მხარე; უფრო მეტად: იგი სრულიად არ იცნობს იმ გარემოს, იმ კონკრეტულ სინამდვილეს, რომლის პირობებშიაც ხდებოდა ეს ამბები. რემარკოში, რომელიც ქართულ ლიტერატურაში განავითარეს სერგო კლდიაშვილმა („ფერფლი“) და ალ. ქუთათელაძემ („პირისპირ“), უშვებულად ახასიათებს ჩვენს ავტორსაც.

ბ. ჩხეიძეს ესმის, რომ ჯარისკაცების მდგომარეობას შესაფერი შეგნებაც უნდა მოჰყვეს, რომ ეს შეგნება ერთბაშად და ერთი ხელის დაკვირვით არ იბადება, რომ მას მეტის-მეტად ტკივილებიანი მშობიარობა აქვს. მაგრამ მის შეგნებულ ჯარისკაცებს კლასობრივი სიმბაფრე აკლიათ და ისინი აწბილებენ ომს არა მისი დიდი სოციალური ბოროტებისათვის ფარდის ახლით, არამედ პირადი შეწუხების და გატანჯვის მოტივებით. ისინი ომის საშინელებას განიცდიან, მაგრამ ამ საშინელებას პირდაპირ მაინც ვერ ზედავენ. ომის უარყოფაში ისინი კლასობრივი შეგნების მაღალ დონემდე ვერ ვითარდებიან. თუმცა მუშაობენ, რეკლუციონერ საქმიანობას ეწევიან, მაგრამ ყველაფერი ეს ვითარდება არა მთავარი მამოძრავებელი იდეების ზაზით, არამედ შემთხვევით და შეტ წილად სტიქიურად.

„დღეები“ სამოქალაქო ომის ფონზე გაშლილი და კარგი მხატვრული ოსტატობით შესრულებული ნაწარმოებია. სამოქალაქო ომის ფონად აღებულა მენშევიკების ბრძოლა ოსებთან. ბევრი გმიზოდი დიდი მხატვრული სიძლიერით არის მოცემული. ჩამორჩენილ ოსს გლეხებში ინტერნაციონალური სოლიდარობის გრძნობის ჩასაბუჯა და მისი თანდათან განვითარება კარგად არის ნაჩვენები.

„მტერთავე ქიტა“-ში ავტორი მიზნად ისახავს— გვიჩვენოს ადამიანის გარდაქმნა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მშვენიერი თემა მხატვრულად დაძლეული არ არის და ხარცენო მოთხრობა იძლევა მხოლოდ გარდაქმნის სქემას და არა კონკრეტულ ხანმდვილის ასახვას. „სისხლიანი ბარი“ კიდევ უფრო მეტად სქემატურია, ზოგადი და ნაკლებად მხატვრული.

